ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

განათლების მეცნიერებების სადოქტორო პროგრამა

ლელა სამნიაშვილი

ქართული უნივერსიტეტების ფუნქციონირების ძირითადი განზომილებები და მათში მიმდინარე პროცესები

განათლების მეცნიერებათა დოქტორის (PH.D) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი : პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი **ქეთევან ჭკუასელი**

თბილისი

2017

შინაარსი

1. შესავალი **4**

1.1 თემის მიმოხილვა, სიახლე და აქტუალობა 4

1.2 კვლევის საკითხები 7

2. მეთოდოლოგია **9**

2.1 სიტუაციური ანალიზი 11

2.2 კვლევის პროცესის ლოგიკა და მთავარი ასპექტები 12

3.თემასთან დაკავშირებული ძირითადი ცნებები და მათ შორის ურთიერთმიმართება 14

3.1 განზომილებები 14

3.2 უმაღლესი განათლების სისტემაში მიმდინარე ძირითადი პროცესები 18

4. ქართული უნივერსიტეტების ფუნქციონირების ძირითადი განზომილებები ისტორიულ და დღევანდელ პერსპექტივაში (დასავლური თეორიების ჭრილში) 29

4.1 თანამედროვე უნივერსიტეტების ფუნქციონირების ზოგადი კონტექსტი და საქართველო 29

4.2 საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის კოორდინაციის ფორმები სხვადასხვა ეტაპზე (საბჭოთა, პოსტ-საბჭოთა და არსებულ ეტაპზე; კოორდინაციის მოსალოდნელი მოდელი) 33

5. ურთიერთმიმართება ქართული უნივერსიტეტების ფუნქციონირების ძირითად განზომილებებს შორის 43

5.1 ურთიერთმიმართება უნივერსიტეტების ფუნქციონირების გლობალურ, რეგიონულ და ეროვნულ-კულტურულ განზომილებებს შორის 45

5.2 ურთიერთმიმართება უნივერსიტეტების ფუნქციონირების პოლიტიკურ-ეკონომიკურ და ეროვნულ-კულტურულ განზომილებებს შორის. 47

6. კვლევითი კომპონენტი: ქართული უნივერსიტეტების რეფორმირების ძირითადი მიმართულებები არსებულ ეტაპზე. ინტერვიუები უნივერსიტეტის ფუნციონირებაში დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლებთან. 61

6.1 სიტუაციური მაგალითები; უნივერსიტეტები, როგორც ერთერთი მთავარი დაინტერესებული მხარე საქართველოს უმაღლესი განათლების სფეროს ფუნქციონირებაში თანამედროვე ეტაპზე; მათი პოზიცია და სტრატეგიები 61

6.2 ინტერვიუები საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის კოორდინაციაში დაინტერესებული სხვა მხარეების წარმომადგენლებთან 106

7. ინფორმაციის განზოგადების მცდელობა; საქართველოს უმაღლესი განათლების სიტემაში მიმდინარე რეფორმების ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრა; დასკვნები და რეკომენდაციები 138

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა 159

1. შესავალი

1.1 თემის სიახლე და აქტუალობა

გლობალურ დონეზე შესაძლებელია უნივერსიტეტების, როგორც ერთერთი ყველაზე ძველი ინსტიტუციების ფუნქციონირების ძირითადი განზომილებების ამოცნობა, რომელთა ფარგლებში მიმდინარე პროცესების ინტენსივობის ცვლილების მიუხედავად, ნარჩუნდება ის ძირითადი მახასიათებლები, რომლებიც განაპირობებს ამ ინსტიტუციების გამძლეობას. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ შორეული ეპოქის აზიასა და ანტიკური პერიოდის ევროპაში უკვე არსებობდა უმაღლესი საგანმანათლებლო ფუნქციის მქონე დაწესებულებები, დღევანდელი უნივერსიტეტები შუასაუკუნეების ევროპული ინსტიტუციების მემკვიდრეებად მოიაზრება და ნაშრომში ტერმინი - „უნივერსიტეტი“ ძირითადად სწორედ ამ ტიპის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან კავშირში იქნება გამოყენებული.

ქართულ უნივერსიტეტებზე ფოკუსირება შესაძლებელს ხდის კონკრეტულ სისტემაზე დაკვირვებით განისაზღვროს ის ზოგადი მახასიათებლები, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნების ეროვნულ უნივერსიტეტებს ერთ კონტექსტში აერთიანებს. ქართული უნივერსიტეტების ისტორია შედარებით ხანმოკლეა და უშუალოდ ეყრდნობა უნივერსიტეტების ევროპულ ფუნდამენტს, რაც თემის კვლევის მასშტაბებს რეალისტურს ხდის. თემის აქტუალობა განპირობებულია საჭიროებით - მოხდეს საქართველოში უნივერსიტეტებთან დაკავშირებული რეფორმებისა და სხვა მიმდინარე პროცესების თეორიული რაციონალიზაცია.

ნაშრომში ძირითადი აქცენტი კეთდება პოსტ-საბჭოთა პერიოდის ქართულ უნივერსიტეტებში მიმდინარე პროცესებზე და მათ მიმართებაზე უნივერსიტეტების გლობალურად „მყარ განზომილებებთან”[1], რომლებიც ქმნიან ფართო კონტექსტს

[1] ტერმინი ჩვენეულია და იგულისხმება ერთგვარი ”მატრიცული” მოდელი იმ ძირითადი ველებით, რომელთა ურთიერქმედება განსაზღვრავს უნივერსიტეტების ფუნქციონირებას.

უმაღლესი განათლების სისტემის შიგნით მიმდინარე რეფორმებისა და სტიქიური ცვლილებებისათვის.

გლობალური თვალთახედვით, მკაფიოა, რომ თანამედროვე ქვეყნებს შორის მზარდ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ურთიერთკავშირს ლოგიკური გავლენა აქვს უმაღლესი განათლების ეროვნულ სისტემებზე. კომუნიზმის დამარცხებისა და საბჭოთა კავშირის რღვევის შემდეგ მოხდა თავისუფალი ბაზრისა და ცოდნის ეკონომიკის კაპიტალისტური რეჟიმის გავრცელება მსოფლიო მასშტაბით. როგორც მანუელ კასტელსი წერდა: „სოციალისტური ბანაკის ეკონომიკური ნანგრევების ინტეგრაციამ გლობალურ ეკონომიკაში საბოლოოდ გაუხსნა გზა კაპიტალიზმის გავრცელებას. პოსტ-საბჭოთა ქვეყნების ეკონომიკის გადარჩენა წარმოუდგენელი იქნებოდა კაპიტალის ბრუნვისა და ტექნოლოგიების განვითარების მსოფლიო სისტემებისათვის ფეხის აუწყობლად.“ (კასტელსი, 2000:136)

საქართველო, რომელიც სწორედ სოციალისტური სისტემის ნანგრევების მემკვიდრეობას ატარებს, დღემდე ადგას რეფორმების გრძელ და მტკივნეულ გზას ყველა სტრუქტურულ დონეზე, რათა საერთაშორისო საზოგადოებისათვის საზიარო, ტექნოლოგიურად ყველაზე უკეთ განვითარებული დასავლური სახელმწიფოების მიერ სტანდარტად დასახული წესები და ფასეულობები შეითვისოს.

საქართველოს, ერთ-ერთი უძველესი კულტურული მემკვიდრეობის პარალელურად, გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, წილად ხვდა ყოფილიყო რამდენიმე იმპერიის ნაწილი. მისი ისტორია სავსეა თავისუფლებისათვის ბრძოლის ხანგრძლივი და დამოუკიდებლობის ბევრად ხანმოკლე ეპიზოდებით. მეოცე საუკუნეში კი, რუსეთის იმპერიის ნგრევის კვალდაკვალ, სახელმწიფოებრიობის კვლავაც ძალიან ხანმოკლე პერიოდის შემდეგ, საქართველო საბჭოთა კავშირის ფარგლებში მოექცა და ათწლეულების მანძილზე იზიარებდა „სოციალისტური ბანაკის“ ქვეყნებისათვის დამახასიათებელ სისტემურ მახასიათებლებს ყველა სფეროში, მათ შორის უმაღლეს განათლებაში. 70 წლის მანძილზე საქართველოს უნივერსიტეტები ინტეგრირებული იყო საბჭოთა უმაღლესი განათლების სისტემაში - ძლიერად პოლიტიზირებულ, მკაცრად

დაგეგმილ ბაზარზე ორიენტირებულ სივრცეში, რომელშიც აშკარად ირღვეოდა სწავლაში და კვლევაში აკადემიური თავისუფლების ჰუმბოლდტისეული იდეები, თუმცა საბჭოური უნივერსიტეტები დიდწილად სწორედ გერმანულ მოდელს ეყრდნობოდა, რაც მათში, იდეოლოგიური წნეხის პირობებშიც, ზოგად განათლებაზე აქცენტსა და ძლიერი კვლევითი ტრადიციების ჩამოყალიბებაში გამოიხატა.

თუ დღევანდელ ეტაპზე გლობალიზაციას მოვიაზრებთ ყველაზე ფართო კონტექსტად, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია ქართულ უნივერსიტეტებთან დაკავშირებული არსებული რეალობისა და რეფორმების მიმართულებების ამოცნობა, შესაძლებელი გახდება ერთმანეთს შორის გარკვეული „წნეხური“ ურთიერთკავშირის მქონე განზომილებების დანახვა, რომლებშიც ქართულ უნივერსიტეტებს უწევთ ფუნქციონირება. დასავლურ თეორიებზე დაყრდნობით, ნაშრომში განხილული იქნება თანამედროვე უნივერსიტეტების რეფორმირებასთან დაკავშირებული ძირითადი პროცესები ქართულ რეალობაში; ასევე განვიხილავთ უნივერსიტეტის ცვალებად როლსა და ფუნქციებს უმაღლესი განათლების სისტემის კოორდინაციაში - სხვა „მონაწილეებთან“ მათ ურთიერთმიმართებას სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკურ ფორმაციებში და მათ მიერ დღევანდელობაში დეკლარირებული მიზნებისა და მისიის პოლიტიკურ-ეკონომიკურ და ეროვნულ/კულტურულ განზომილებებს.

საქართველოს უმაღლესი განათლების სფეროში მიმდინარე პროცესები რთულია და აკლია ემპირიული მონაცემებისა და პრაქტიკული ცვლილებების გააზრება და ინტერპრეტირება თეორიული ჩარჩოს შიგნით, რაც დასავლეთში უმაღლესი განათლების სფეროს ჩვეულებრივი პრაქტიკა და წინ წასული მეცნიერებაა. მიმართულებები, საითაც ისწრაფვის დღევანდელი ქართული უნივერსიტეტები რეფორმირების პროცესში რთული ამოსაცნობია, თუმცა გლობალური და რეგიონული კონტექსტების ცოდნა გვაძლევს მიახლოებით წარმოდგენას შესაძლო სცენარების განვითარების შესახებ. თემის სიახლე და აქტუალობა სწორედ ამ მიმართულებების მიახლოებითი განსაზღვრაა შესაფერისი თეორიების ჭრილიდან. საქართველოში უმაღლესი განათლების სფეროსთან დაკავშირებული კვლევები დღეისთვის ჯერ კიდევ

მწირია; მითუმეტეს, პრაქტიკულად არ არსებობს შრომები, რომლებიც უნივერსიტეტის ფუნქციონირების მექნიზმს ჩაუღრმავდება და ლოკალურ, სტიქიურ ცვლილებებს უნივერსიტეტების რეფორმირების გლობალურ კონტექსტს დაუკავშირებს. კვლევა უმაღლესი განათლების ფილოსოფიის დასავლურ მეთოდოლოგიას ეყრდნობა და ლოკალურ სისტემაზე კონცენტრაციით ერთგვარ სიტუაციურ ანალიზს წარმოადგენს, რომლის შედეგად გაკეთებული დასკვნები, შესაძლებელია, საინტერესო იყოს არა მხოლოდ სფეროს მკვლევარებისათვის, არამედ პრაქტიკოსი განათლების სპეციალისტებისთვის, გადაწყვეტილების მიმღებთათვის, რადგან რეფორმების მიმართულების შემდეგი რაციონალიზაცია ნამდვილად წაადგება ქართული უნივერსიტეტების განვითარებას. იმედია, მოცემული ნაშრომი სფეროს მკვლევარებისათვის ახალი კითხვების დასმისა და პასუხის გაცემის სურვილსაც გააჩენს.

1.2. კვლევის საკითხები

კვლევის ძირითადი საკითხია:

რა არის ქართული უნივესრიტეტების ფუნქციონირების ძირითადი განზომილებები და მათში მიმდინარე პროცესების მიმართულება?

კვლევის საკითხის ფართო სპექტრი ინტერპრეტაციის ვრცელ საშუალებას იძლევა. ამიტომაც რამდენიმე ქვე-საკითხი დაგვეხმარება საკვლევი არეალის უფრო კონკრეტულად განსაზღვრაში:

1. რა არის ქართული უნივერსიტეტების ფუნქციონირების ძირითადი განზომილებები ისტორიულ და დღევანდელ პერსპექტივაში?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად დაგვჭირდება დასავლურ თეორიებზე დაყრდნობით უნივერსიტეტების ფუნქციონირების ისტორიული, გლობალური, რეგიონული და ეროვნული კონტექსტების ამოცნობა და მათი განხილვა ქართულ რეალობასთან მიმართებაში. პოსტ-საბჭოთა სივრცის ინტეგრაცია თავისუფალ ბაზარზე

ორიენტირებულ მსოფლიოში ამ კონტექსტებს მეტ-ნაკლებად მსგავსს ხდის ნებისმიერი ეროვნული სისტემის შესწავლისა და ანალიზისათვის. უნივერსიტეტები, როგორც უმაღლესი განათლების სისტემის ნაწილი, თავისუფლად ექვემდებარება „გლობალიზაციისა და რეგიონალიზაციის“ შესახებ არსებული დასავლური თეორიების ჭრილში განხილვას. ამასთანავე, ევროპული უნივერსიტეტის ისტორიულად გავრცელებული მოდელი და განვითარების დინამიკა, უნივერსიტეტის ფუნქციონირების ჰუმბოლდტისეული პრინციპები და მოგვიანებით მათი საბჭოური ტრანსფორმაციები, კვლავაც შესაძლებელს ხდის ქართული უნივერსიტეტების ისტორიული რეტროსპექტივით დანახვას დასავლური თეორიების ჭრილში.

2. რა ურთიერთმიმართება ა ამ განზომილებებს შორის?

შევეცდებით დავასაბუთოთ მოსაზრება, რომ უნივერსიტეტის ფუნქციონირების ძირითად განზომილებებს შორის არსებობს მკაფიო იერარქიული და გარკვეულად, წნეხური ურთიერთმიმართება, რამდენადაც გლობალური და რეგიონული განზომილებების გარდა, მნიშვნელოვანია კონკრეტული სისტემის პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული განზომილებების ამოცნობა, რომლებიც ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო განწყობებისაკენ უბიძგებს დაინტერესებულ მხარეებს უმაღლესი განათლების სისტემის და შესაბამისად, უნივერსიტეტების რეფორმების პროცესში.

3. რა არის ქართული უნივერსიტეტების რეფორმირების ძირითადი მიმართულება არსებულ ეტაპზე?

გლობალიზაციის ეპოქაში, უმაღლესი განათლების ეროვნულ სისტემებში მიმდინარე ძირითადი პროცესები ფართოდ იდენტიფიცირებული და შესწავლილია, როგორც მსოფლიო მასშტაბებით რელევანტური. საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემა გამონაკლისი არ არის და უნივერსიტეტები, როგორც ამ სისტემის ერთეულები, განიცდიან იგივე პროცესების გავლენას როგორც მიზანმიმართული რეფორმების პროცესში, ასევე, ხშირად, სტიქიურად. ამდენად, რელევანტურია არსებული თეორიების

გამოყენება ქართულ უნივერსიტეტებთან მიმართებაში და მნიშვნელოვანია იმ მასშტაბებისა და თავისებურებების გამოვლენა, რომლითაც ესა თუ ის პროცესი მოქმედებს კონკრეტულ ეროვნულ კონტექსტში. ეს, თავის მხრივ, დაგვეხმარება განვსაზღვროთ შესაძლო მიმართულებები, საითაც ქართული უნივერსიტეტები შეიძლება განვითარდეს მომავალ პერიოდში.

4. რა შესაძლო საფრთხეები და სარგებელი შეიძლება ჰქონდეს ქართულ უნივერსიტეტებს არსებული პროცესების ზეგავლენის ქვეშ?

ეროვნული სისტემების მზარდი მსგავსება, ერთი მხრივ, აიოლებს კონკრეტული ქვეყნის შიგნით მიმდინარე რეფორმების გააზრებას უმაღლესი განათლების სფეროში არსებული ზოგადი თეორიეული ბაზის გამოყენებით, ზრდის კომუნიკაციებისა და ურთიერთთანამშრომლობის შესაძლებლობას, აიოლებს მობილობას, ერთობლივი კვლევების წარმოებისა და სწავლების ხელმისაწვდომობას სხვადასხვა ქვეყნებს შორის, მაგრამ მეორე მხრივ, ამძაფრებს კონკურენციას სისტემებს შორის, რაც გარკვეულ საფრთხეებს შეიცავს ასეთი მასშტაბებისათვის მოუმზადებელი სისტემებისათვის. უნივერსიტეტები ექცევიან ორმაგი წნეხის ქვეშ - მათ უწევთ კონკურენტუნარიანობის დამტკიცება როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე. ანალიზის საფუძველზე შესაძლებლობა გვექნება გავაკეთოთ დასკვნები იმ შესაძლო საფრთხეებისა და სარგებლის შესახებ, რომელიც ქართულ უნივერსიტეტებს ელოდება სხვადასხვა განზომილებაში.

2. მეთოდოლოგია

კვლევის ძირითადი საკითხების ბუნებიდან გამომდინარე, მოცემულ კვლევაში გამოყენებული მეთოდოლოგია თვისებრივია და ეყრდნობა ტექსტის ანალიზს (თეორიული ბაზა, კანონმდებლობა, ინტერვიუები). კვლევის თეორიულ ჩარჩოს წარმოადგენს პოლიტიკური და საგანმანათლებლო მეცნიერებების ჭრილში მოპოვებული ინფორმაცია. კვლევის ობიექტის (საქართველოს უმაღლესი განათლების

სისტემა) შესწავლის პროცესში ჩართულია აღწერილობითი მეთოდოლოგია და პროცესების ახსნის (ექსპლანატორული) მცდელობები. ეს ნიშნავს, რომ საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში მიმდინარე ძირითადი პროცესების ამოცნობისათვის შევეცდებით სისტემის მდგომარეობის აღწერას და მიღებული სურათის გლობალურ კონტესტში გააზრებას, სხვადასხვა პროცესებს შორის შსაძლო მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ახსნას და შესაბამისი კომენტარებისა და რეკომენდაციების შემუშავებას. ამდენად კვლევა ორიენტირებულია თეორიულ ემპირიულ კვლევაზე და მისი სავარაუდო შედეგები ახალი ჰიპოთეზების ჩამოყალიბებაა. საქართველოს უმაღლესი განათლების სფეროსთან დაკავშირებული საკანონმდებლო და სხვა ოფიციალური თუ არაოფიციალური დოკუმენტაციის შესწავლისას გამოყენებულია ინდუქციური მეთოდიც რათა მოვახერხოთ სფეროში არსებული პროცესების ამოცნობა და შესაძლო ახსნა ვუპოვოთ მათ. აღწერილობითი ელემენტები გამოყენებულია საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის რეტროსპექტულად დანახვისათვის, რადგან ისტორიული სურათის დღევანდელობასთან შედარება გვაძლევს დინამიკის აღქმის საფუძველს. კვლევაში არ გამოგვიყენებია რაოდენობრივი მიდგომა, რამდენადაც კვლევის ობიექტი ასახავს პროცესებს და არა კონკრეტულ, რაოდენობრივად გაზომვად კატეგორიებს.

ზოგადად მიჩნეულია, რომ ვალიდობის ცნება ნაკლებად რელევანტურია თვისებრივ კვლევასთან, მაგრამ მოცემულ კვლევაში გამოყენებული დოკუმენტები და მონაცემები მაღალი სანდოობისაა და მსჯელობისთვის მყარ საფუძველს იძლევა. ამიტომ ვიმედოვნებთ, რომ მოცემული კვლევის შედეგებს ექნება მაღალი შიდა ვალიდობა და მომავალში პრაქტიკულ გამოყენებას პოვებს საკითხის შესაძლო, უფრო სიღრმისეულ შესწავლაში. ამავე დროს, გამოყენებული თეორიული ჩარჩო (გლობალიზაციისა და რეგიონალიზაციის შესახებ თეორიები) კვლევის შედეგების გარე განზოგადების შესაძლებლობას იძლევა (მაგ. სხვა ქვეყნების მაგალითზე მსგავსი სისტემების შესწავლისათვის). შესაბამისად, შეგვიძლია ვიმედოვნოთ, რომ კვლევის შედეგებს ექნება მაღალი გარე ვალიდობა და შესაძლო გამოყენებას პოვებს სხვა, მონათესავე კვლევებშიც.

და მაინც, მოცემულ კვლევას აქვს გარკვეული შეზღუდვა, რომელიც საჭიროებს ხაზგასმას: საქართველოს უმაღლეს განათლებასთან მიმართებაში არ არსებობს მსგავსი კვლევა მსჯელობის გასამყარებლად და არის ალბათობა, ცალკეულ შემთხვევებში, ავტორისეული ინტერპრეტაციები სუბიეტური ხედვითაც ხასიათდებოდეს. ზოგადად, ხარისხობრივი მკვლევარები ინტერპრეტივიზმის გავლენის ქვეშ მოიაზრებიან (Brymen 2004:279), რაც შესაძლოა, აისახოს მოცემულ კვლევაზეც. ეს ნიშნავს, რომ ემპირიული მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის პროცესშიც კი, ფენომენოლოგიური კონტექსტი წამყვანია და მკვლევარის თეორიულ დაკვირვებებს ეყრდნობა. ობიეტურობის მაქსიმალურად შენარჩუნებას გარკვეულწოლად ემსახურება კვლევაში ინტერვიუების კომპონენტი - კვლევის შედეგებისათვის სფეროს ექსპერტთა მოსაზრებების ინტერპრეტირებისა და გათვალისწინების გზით.

2. 1 სიტუაციური ანალიზი

კვლევაში გამოყენებული სტრატეგია კლასიკურ სიტუაციურ ანალიზს არ წარმოადგენს კვლევის საკითხის მასშტაბური ბუნებისა და თეორიული ხასიათიდან გამომდინარე. მოცემულ შემთხვევაში საკითხის შესწავლა ხდება მაკრო "ზემოდან-ქვემოთ" ჭრილში, თუმცა, კვლევის მთავარი ობიექტი უმაღლესი განათლების კონკრეტული სისტემა და მასში მიმდინარე პროცესებია. ამ ნიშნით, მოცემული კვლევა სიტუაციური ანალიზის კატეგორიაში თავსდება.

პოპულარული გაგებით, ***სიტუაციური ანალიზი*** განიხილება, როგორც თანამედროვეობაში არსებული რაიმე ფენომენის შეწავლა რეალურ, ცხოვრებისეულ კონტექსტში (Yin, 1994:4). მოცემულ კვლევაში გლობალიზაცია, ევროპეიზაცია, მარკეტიზაცია და სხვა პროცესები წარმოადგენს რეალურ ფენომენს თანამედროვე საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში.

შესაბამისად, სიტუაციური ანალიზის სხვადასხვა სტრატეგიები: კვლევითი (ექსპლორატორული), ახსნითი (ექსპლანატორული) და აღწერილობითი

(დისქრიპტული) - გამოყენებულია ერთი და იმავე ფენომენის (პროცესების) შესასწავლად ერთასა და იმავე კონტექტსში (სისტემაში). როგორც მიჩნეულია, მსგავს კვლევებში არ არსებობს მკაფიო საზღვარი ამ სამ სტრატეგას შორის (Yin 1994:4) და კვლევის პროცესში მათი გამოყენება მონაცვლეობითია.

2.2 კვლევის პროცესის ლოგიკა და მთავარი ასპექტები

როგორც აღინიშნა, მოცემული კვლევის მთავარ საკითხს წარმოადგენს საქართველოს უმაღლესი განათლების სფეროში მიმდინარე პროცესები და მათი გავლენა სისტემაზე. კვლევის მოსახერხებელი დიზაინის აგებისათვის, საჭიროა გავითვალისწინოთ სხვადასხვა ჭრილი, რომელშიც მოხდება კვლევის საკითხის შესწავლა:

1. ***სამეცნიერო-თეორიული*** - გლობალიზაციის ეპოქაში მსოფლიოს სამეცნიერო წრეებში დაგროვდა დიდი თეორიული, განზოგადებადი ცოდნა ყველა სფეროში, უმაღლესი განათლების ჩათვლით. რამდენადაც თანამედროვე ეტაპზე სხვადასხვა სახელმწიფოების კონკრეტულ სისტემებში მიმდინარე პროცესები მნიშვნელოვნად მსგავსია, შესაძლებელია ამ "გლობალური" ცოდნის გამოყენება საქართველოს უმაღლესი განათლების სფეროს შესასწავლად. ამდენად, გამოვიყენებთ გლობალიზაციის, ევროპეიზაციის, მარკეტიზაციის, მასიფიკაციის, ინტერნაციონალიზაციის, დივერსიფიკაციისა და სხვა პროცესების/ფენომენების შესახებ არსებულ მოსაზრებებს დასავლურ თეორიებში, რომლებიც ქმნის მნიშვნელოვან სამეცნიერო-თეორიულ ჩარჩოს საქართველოს უმაღლეს განათლებაში მიმდინარე პროცესების გააზრებისათვის.

2. საკანონმდებლო ბაზა და სხვა ოფიციალური დოკუმენტები - იყენებს არსებულ ოფიციალურ თეორიულ ბაზას საქართველოს უმაღლესი განათლების სფეროში არსებული პროცესების პოლიტიკურ ჭრილში დანახვისათვის; მათი რეტროსპექტიული შესწავლა საფუძველს გვაძლევს ვიმსჯელოთ უმაღლესი განათლების სფეროსთან დაკავშირებულ პოლიტიკის-ფორმირების პროცესზე საქართველოში, პოლიტიკის ცვლილების ტემპებისა და რაკურსების გავლენაზე უმაღლესი განათლების სისტემის მიმართ ლოკალურ და გლობალურ კონტექსტში და მათ რაციონალზე.

3. ინტერვიუები - მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესების აკადემიური შესწავლის პრეცენდენტი, არსებულ ეტაპზე საქართველოს უმაღლესი განათლების სფეროში დასაქმებულია არაერთი ექსპერტი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მიღებული განათლებითა და სფეროში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული გარკვეული ხედვით. მათთვის ცნობილია კვლევის საკითხებთან დაკავშირებული საერთაშორისო თუ ლოკალური თეორიული და საკანონმდებლო ბაზა, რაც შესაძლებლობას გვაძლევს საკითხის შესწავლისას გავითვალისწინოთ არაერთგვაროვანი კომენტარები იდენტურ შეკითხვებზე. ხარისხობრივი კვლევის პირობებში, ეს, თავის მხრივ, დაგვეხმარება მაქსიმალურად დავიცვათ ობიექტურობა და გავზარდოთ კვლევის შედეგების ვალიდობა.

საქართველოს მთავრობის მიერ უმაღლეს განათლებაში ევროპული მიმართულებების ოფიციალურად ცნობის მიუხედავად (ბოლონიის პროცესში მონაწილეობა), საქართველოში, ისევე როგორც თავად ევროპული ქვეყნების შემთხვევაში, მარკეტიზაცია არსებულ ეტაპზე უმაღლესი განათლების სფეროს განვითარების თანმდევი და ანგარიშგასაწევი პროცესია. ამდენად, სახელმწიფო უნივერსიტეტების დღვანდელი მდგომარეობის შესწავლასთან ერთად აუცილებელია იმის აღიარება, რომ საქართველოში მკაფიოდ ფუნქციონირებს უმაღლესი განათლების ბაზარი კერძო სექტორის მონაწილეობით. ამ შემთხვევაში, კერძო უნივერსიტეტების ადმინისტრაციის წარმომადგენლების თვალსაზრისი მნიშვნელოვანია იმ ძირითადი ტენდენციების ამოსაცნობად, რომლებიც ეხება უმაღლესი განათლების ბაზრის კერძო სექტორის განვითარებას საქართველოში.

სახელმწიფო და კერძო უნოვერსიტეტების ადმინისტრაციასთან დასმული შეკითხვები მჭიდრო კავშირშია იმ ფორმალურ და არაფორმალურ სახელმწიფო პოლიტიკასთან, რომელიც დგრს ტარდება საქართველოს უმაღლეს განათლებაში. შესაბამისად, ინტერვიუების ნაწილი მოიცავს უშუალოდ პოლიტიკის გამტარებელთა თვალსაზრისს.

ამდენად, ინტერვიუებისათვის შეირჩა უნივერსიტეტების ფუნქციონირებაში დაინტერესებული რამდენიმე მხარე: უმაღლესი განათლების ექსპერტები, სახელმწიფო

და კერძო უნივერსიტეტების ადმინისტრაციის წარმომადგენლები, და სახელმწიფო პოლიტიკის გატარებაში ჩართული მხარე (სულ 8 რესპონდენტი). მათთვის დასმული შეკითხვები ეხება თმისათვის საინტერესო ისეთ საკითხებს, როგორიცაა ქართული უნივერსიტეტებში მიმდინარე მასიფიკაციის, ინტერნაციონალიზაციის, ევროპეიზაციის, პროგრამების დივერსიფიკაციის პროცესები უმაღლესი განათლების გლობალიზაციის ჭრილში; ასევე უმაღლესი განათლების დაფინანსების არსებულ მექანიზმთან დაკავშირებულ პრობლემატიკა.

3. თემასთან დაკავშირებული ძირითადი ცნებები და მათ შორის ურთიერთმიმართება

3.1 განზომილებები

უნივერსიტეტების ფუნქციონირება ისტორიულად ხასიათდება რამდენიმე ურთიერთმომცველი და ზოგ შემთხვევაში ურთიერთწინააღმდეგობრივი არეალით. მაგ. გლობალიზაციის დღევანდელი თეორეტიკოსები (ბერკენსი, ბაროუ და სხვ.) დაობენ გლობალიზაციის, როგორც ფენომენის სიახლის შესახებ. დღეს გლობალიზაცია მსოფლიოს მასშტაბებით გამოიყენება ამერიკანიზაციის სინონიმად, თუმცა მათ მოყავთ ისტორიული მაგალითები, რომელიც ადასტურებს ამა თუ იმ ეტაპზე სხვადასხვა თავდაპირველი ლოკაციის მქონე კონკრეტული სტრუქტურული თუ შინაარსობრივი მოდელების გლობალური მასშტაბებით გავრცელების პრეცენდენტებს. ფაქტია, რომ იგივე შუასაუკუნეების პირველი ევროპული უნივერსიტეტების (ბოლონა, პარიზი) იდეის ტრანსპორტირება და განხორციელება იოლად მოხდა არა მხოლოდ ევროპის, არამედ მსოფლიო მასშტაბებით.

მოცემულ თემაში ამა თუ იმ არეალს, რომელიც განაპირობებს უნივერსიტეტის ფუნქციონირების ძირითად ასპექტებს ეროვნულ და მეგა-ეროვნულ დონეზე, მოვიხსენიებ, როგორც განზომილებებს. მოცემული ნაშრომის ერთ-ერთი ამოცანაა

დააკონკრეტოს ამ არეალთა მასშტაბები და განსაზღვროს იმ ურთიერთქნედებათა სქემა, რომელიც არსებობს ამ განზომილებებს შორის. ჩემი დაკვირვებით, სწორედ ამ ურთიერთქმედებების ერთი მხრივ, წნეხისა და მეორე მხრივ, კოლაბორაციის შედეგია ამა თუ იმ სისტემის შიგნით უნივერსიტეტების რეალური სახე სხვადასხვა ეპოქაში; და გამონაკლისი არც ქართული უნივერსიტეტებია.

გლობალური განზომილება შეიძლება ჩაითვალოს სხვა ყველა განზომილების მომცველ მეგა-განზომილებად, რომელიც თავის მხრივ, ქმნის ერთგვარი ჰარმონიზაციისა და წინააღმდეგობრიობის არეალს.

მეორე მნიშვნელოვანი განზომილება, რომელიც უფრო კონკრეტული გეოგრაფიულ-პოლიტიკური ნიშნების მატარებელია, არის რეგიონული განზომილება. ფაქტია, რომ არსებულ ეტაპზე საქართველოს უმაღლესი განათლება ცდილობს ერთიან ევროპულ სივრცესთან ინტეგრაციას, რასაც წინ უძღოდა მთელი რიგი პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და ისტორიული ფაქტორები. შესაძლებელია ისიც ითქვას, რომ უმაღლესი განათლების სფეროში გაწეულმა ინიციატივებმა წინ ბევრად გაუსწრო ევროპასთან პოლიტიკურ ინტეგრაციის პროცესს. დღეს, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს უმაღლესი განათლების ***რეგიონული განზომილება***- ევროპეიზაციის სინონიმს წარმოადგენს და უშუალოდ ბოლონიის პროცესში საქართველოს მონაწილეობასთანაა კავშირში. თუმცა, ისტორიული რეტროსპექტივა მკაფიოდ გვიჩვენებს, რომ *რეგიონული განზომილება* ახალი არ არის საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემისთვის. ამ შემთხვევაში ვსაუბრობთ კონკრეტულად, უნივერსიტეტებზე, როგორც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე. შესაბამისად, უმაღლესი განათლების სისტემებისათვის დამახასიათებელი ძირითადი განზომილებები - უნივერსიტეტების ფუნქციონირების ძირითადი განზომილებებიცაა. თანამედროვე ქართული უნივესრიტეტებისათვის ევროპული უნივერსიტეტების ფუნქციონირების ნიშან-თვისებების გაზიარებით არ მომხდარა რაიმე პარადიგმატული რღვევა ან სტიქიური გადასვლა ერთი ზე-ნაციონალურ-რეგიონული კონტექსტიდან - მეორეში. უმაღლესი განათლების საბჭოური სივრცე უკვე დარღვეული იყო როდესაც საქართველო

ბოლონიის პროცესში ჩაერთო. დღეს სოციალისტური წარსულის მატარებელი აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების უმრავლესობა, მათ შორის რუსეთი, იგივე ბოლონიის პროცესის წევრი ქვეყნები არიან. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს უმაღლესი განათლების ძველი რეგიონული განზომილება ახალმა ჩაანაცვლა, ხოლო ეს მახასიათებელი მისთვის შენარჩუნებულია ახალ კონტექსტში. შესაბამისად, თუ ქართული უნივერსიტეტები წინა საუკუნეში სოციალისტური სივრცისათვის საზიარო პრინციპებზე ფუნქციონირებდა, ახლა მათთვის ამოსავალია ევროპული უნივერსიტეტებისათვის დამახასიათებელ სტრუქტურულ და შინაარსობრივ კონტექსტზე ორიენტაცია. უფრო მეტიც, თუ ტრადიცილი უნივერსიტეტის იდეას უკან, დროში გავცდებით, უძველესი ქართული მონასტრები და აკადემიებიც გარკვეულ რეგიონულ განზომილებას ატარებდა - მაგ. მკაფიოა ბერძნული/ბიზანტიური და ახლოაღმოსავლური კონტექსტები ანტიკურ ეპოქაში, მოგვიანებით კი რუსეთის იმპერიის რეგიონული ზეგავლენა - მე-19 საუკუნის ქართულ საგანმანათლებლო დაწესებულებებზე.

უნივერსიტეტის უფრო „ლოკალური“ განზომილებებია - პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული განზომილებები, რომლებიც ზოგჯერ ურთიერთსაპირისპირო ინტერესების გამოვლენის არეალად იქცევა და დიდ გავლენას პოვებს ეროვნულ დონეზე გატარებული რეფორმების პერიოდში. პოლიტიკურ-ეკონომიკური განზომილება ხშირად ითვალისწინებს გლობალურ და რეგიონულ კონტექსტებსა და მიმართულებებს, მაშინ როცა სოციალურ-კულტურული განზომილება უფრო კონსერვატული ხასიათისაა და ხშირად იყენებს სოციალურ განწყობებსა და ტრადიციას რეფორმების მუხრუჭის ფუნქციაში. კარგ მაგალითად გამოდგება „ახალი ინსტიტუციონალიზმისა და ახალი მენეჯმენტის თეორიის“ კრახი საქართველოში, რაც გულისხმობდა უნივერსიტეტების მართვაში ჩვეულებრივი „საწარმოსთვის“ დამახასიათებელი მექანიზმების შემოტანას. დასავლეთში განხორციელებულმა იდეამ, რომ უნივერსიტეტის რექტორი შეიძლებოდა ყოფილიყო პირი უმაღლესი აკადემიური ხარისხის გარეშეც, თუკი მოახდენდა მენეჯერისათვის

საჭირო უნარ-ჩვევების დემონსტრირებას, საქართველოს უმაღლესი განათლების შესახებ კანონშიც კი მოახერხა დაფიქსირება და გარკვეული პერიოდის მანძილზე ამ ტიპის მენეჯერები მართავდნენ უნივერსიტეტებს, თუმცა კანონში ბოლო ცვლილებით ისევ სავალდებულო რექტორის თანამდებობის დასაკავებლად - უმაღლესი აკადემიური ხარისხი. ეს პირველ რიგში განპირობებული იყო უნივერსიტეტის სოციალურ-კულტურულ განზომილებაში არსებული დაძაბულობით - ახალ თეორიებთან მიმართებაში. აკადემიური წრეები არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ზოგადად, გამოირჩევიან კონსერვატიული და სკეპტიკური ბუნებით მსგავს ექსპერიმენტებთან მიმართებაში. თავისუფალ ბაზარზე ორიენტირებული ეკონომისკის პირობებშიც კი, პროფესორ-მასწავლებლები ცდილობენ უნივერსიტეტებში ტრადიციული ღირებულებები და მართვის მოდელები შეინარჩუნონ. აღსანიშნავია, რომ ახალი მენეჯმენტის თეორიას ანალოგიური სკეპტიციზმი დახვდა ევროპულ უნივერსიტეტებშიც, მაშინ როცა ამერიკულ სისტემაში ის გამართული მუშაობის ნიმუშს იძლევა.

მოიუხედავად ცვლილებების მიმართ ასეთი მდგრადობისა, პოსტ-საბჭოთა პერიოდის ქართულ უნივერსიტეტებზე დაკვირვება მკაფიოს ხდის პოლიტიკურ-ეკონომიკური განზომილების მნიშვნელობასა და გავლენას მათში მიმდინარე მთელ რიგ ტრანსფორმაციებში. ეს გავლენები ხშირად სტიქიური, დაუგეგმავი პროცესების სახით ვლინდებოდა, თუმცა პირდაპირ კავშირში იყო 90-იანი წლების პოლიტიკური და ეკონომიკურის სტაგნაციის პირობებში უნივერსიტეტების მხრიდან „თვითგადარჩენის რეჟიმის“ ამუშავებასთან, რამაც ქართულ სისტემაში სფეროს კომერციალიზაცის მისცა დასაბამი და მოგვიანებით ეს პროცესები მხოლოდ ნაწილობრივ დარეგულირდა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზით.

ნახ. 1: ქართული უნივერსიტეტების ფუნქციონირების ძირითადი განზომილებები „ზემოდან-ქვემოთ ჩაშლილი“ მაკრო ანალიზისათვის



მოცემული სქემა ისრების მიმართულების მეშვეობით ავლენს იერარქიას განზომილებებს შორის, ორმხრივ და ცალმხრივ ურთიერთმიმართებებს და მათ „პრაქტიკულ შედეგობრიობას“.

3.2. უმაღლესი განათლების სისტემებში მიმდინარე ძირითადი პროცესები

როგორც უკვე აღინიშნა, დღევანდელი მსოფლიო, მზარდი ტექნოლოგიური და საკომუნიკაციო ინოვაციების პირობებში, თითქმის ნებისმიერ სფეროში გამორიცხავს ამა თუ იმ ქვეყნის ეროვნული სისტემების სეკულარულ ხასიათს. ინფორმაციის გაცვლა და ინტენსიური ურთიერთობები ქვეყნებს უბიძგებს მოსახერხებლად მსგავსი სისტემების აგებისაკენ საერთაშორისო სტანდარტებისა თუ მოთხოვნების გათვალისწინებით. გამონაკლისი არც უმაღლესი განათლების სფეროა, რომელიც როგორც გლობალურ,

ასევე ეროვნულ კონტექსტში განიცდის უნივერსალური ხასიათის რიგ ცვლილებას. მოცემულ ნაშრომში შევეცდებით განვიხილოთ უმაღლეს განათლებაში მიმდინარე ძირითადი პროცესების რაობა და მათი ურთიერთკავშირი უნივერსიტეტების ტრანსფორმაციებთან.

3.2.1 გლობალიზაცია:

დღევანდელ მსოფლიოში გლობალიზაცია ხშირად ამერიკანიზაციის ექვივალენტად იხმარება. ცივი ომის დასრულებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კაპიტალისტური მართვისა და საბაზრო ეკონომიკის პრინციპები მსოფლიო მასშტაბებით გავრცელდა და ძირეულად შეცვალა ეროვნული სისტემები ნებისმიერ სფეროში. აკადემიურ წრეებში არსებობს სკეპტიციზმი გლობალიზაციის, როგორც „ახალი პროცესის“ მიმართ. ელინური, რომაული, სპარსული, ბრიტანული და სხვა ევროპული თუ აღმოსავლური კულტურების ისტორიული როლი შესაძლოა სწორედ ისეთივე თანხვედრაში იყოს გლობალიზაციის ცნებასთან, როგორიც დღეს „ამერიკანიზაციაა“. ის, რაც უდაოა, არის მასშტაბებისა და გეოგრაფიული არეალის ზრდა, რომელიც თითქმის მთელ მსოფლიოს მოიცავს და ქმნის ერთიან, „მსოფლიო ბაზარს“. რადიკალურ ენაზე ხშირად გლობალიზას ზე-სახელმწიფოს მხრიდან მსოფლიო მასშტაბების ეკონომიკური ექსპლუატაციის გაღრმავების პროცესს უწოდებენ, რომელიც საფრთხეს უქმნის ეროვნული სახელმწიფოს ცნებასა და რესურსების ლოკალურად ათვისების შესაძლებლობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არის პოლიტიკურ მიზნებთან დაკავშირებული, ჰომოგენური სისტემებისა და ეკონომიკური ურთიერთობების შექმნის პროცესი. მკვლევარების ნაწილი კი თვლის, რომ ეს პროცესი არანაირ კავშირში არ არის პოლიტიკურ და ეკონომიკურ მანიპულაციებთან და რომ „ახალი ეკონომიკა“ თვითონ არის დაკავშირებული ისეთ ცნებებთან, როგორიცაა „გლობალური“ და „ინფორმაციული“. როგორც უმაღლესი განათლების ცნობილი მკვლევარი, მანუელ კასტელსი წერდა: *„ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე გაჩნდა ახალი ტიპის ეკონომიკა, რომელიც შეიძლება აღვწეროთ, როგორც გლობალური და ინფორმაციული“ (კასტელსი, 2000:66).* კასტელსი მიუთითებდა დღევანდელ

მსოფლიოში, მზარდი ინფორმაციული საშუალებების პირობებში - ცოდნის შექმნის, ათვისებისა და გამოყენებისათვის პროდუქტულობისა და კონკურენტუნარიანობის გაძლიერების აუცილებლობისაკენ, რამაც გავლენა იქონია ნებისმიერი სფეროს და პირველ რიგში, უმაღლესი განათლების სახეცვლილებაზე გლობალური მასშტაბით.

3.2.2 მარკეტიზაცია

გლობალიზაციის შედეგად, მეოცე საუკუნის დასასრულიდან ეროვნულმა სისტემებმა დაიწყო „საბაზრო ურთიერთობებზე გადაწყობა“. ამ პროცესის საწყისებს იგივე ამერიკულ სისტემასთან მივყავართ, რომელმაც დაუშვა შესაძლებლობა, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს აეთვისებინა „საწარმოს ფუნქციონირების“ მექანიზმები. დაიწყო ცოდნის, როგორც „პროდუქტის“, სტუდენტების, როგორც „მომხმარებლის“ და საგანმანათლებლო დაწესებულებების, როგორც „მიმწოდებლების“ (პროვაიდერების) განხილვა. ამ პროცესმა აშშ-ში, ბრიტანეთში, ავსტრალიაში და რიგ ქვეყნებში შექმნა ბაზარზე უკიდურესად ორიენტირებული სისტემები, სადაც კანონის ლიბერალიზაციამ კერძო სექტორს შესაძლებლობა მისცა, შეექმნა მომგებიანი საწარმოს ტიპის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები; ამავე დროს, საჯარო სექტორში უკვე არსებობდა შერეული დაფინანსების წყაროს ძიების პრაქტიკა - ექსკლუზიურად სახელწიფო დაფინანსების ნაცვლად, შესაძლებელი იყო სტუდენტებისათვის გადასახადების დაწესება, კვლევის წარმოება შემკვეთი კომპანიებისათვის, კუსდამთავრებულთა შემოწირულობების მიღება და ა.შ. საბჭოთა კავშირის რღვევის შემდეგ, მსოფლიო ბანკი მსგავსი საბაზრო ურთიერთობების შემოტანის შესახებ რეკომენდაციებს აწვდიდა მესამე მსოფლიოს და პოსტ-საბჭოთა ბანაკის ქვეყნებს. საქართველოს მაგალითზე ჩანს, რომ თავდაპირველ ეტაპზე ცვლილებები ამ მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის გაუცნობიერებელი ნაწილი იყო და „სტიქიური ბუნებით“ ხასიათდებოდა. მწირი ბიუჯეტის პირობებში სახელმწიფომ სფეროს ლიბერალიზაცია გამონახა, როგორც გამოსავალი - დაფინანსებაზე პასუხისმგებლობის დიდწილად მოცილებისა და დაინტერესებულ მხარეებს შორის უერთიერთობების საბაზრო პრინციპებით რეგულირებისათვის. ბარტონ კლარკი,

უმაღლესი განათლების ამერიკელი მკვლევარი, თავის ნაშრომში - „უმაღლესი განათლების სისტემა; აკადემიური ორგანიზაცია მეგა-ნაციონალურ ჭრილში“ (*The Higher Education System. Academic Organization in Crioss-National Perspective.* 1984, Berkeley:University of California Press) ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის 80'იან წლებში, აშშ-ს უმაღლეს განათლებაში მიმდინარე ძირეულ ცვლილებებზე დაკვირვებით საუბრობს სფეროს მარკეტიზაციის პროცესზე. ამ დროისთვის უმაღლესი განათლების გერმანული მოდელი, გავრცელებული ევროპასა და სოციალისტურ ქვეყნებში, ჯერ კიდევ დომინანტური იყო მსოფლიოსათვის. კლარკმა შექმნა ე.წ „კოორდინაციის სამკუთხედი“, რომელშიც სფეროს სამი ძირითადი „აგენტი“ (დაინტერესებული მხარე), პოლიტიკური და ეკონომიკური ძვრების კვალდაკვალ ცვლის ურთიერთმიმართებას:

სურ. 1. კლარკის „კოორდინაციის სამკუთხედი“ - მაღლესი განათლების ძირითადი მონაწილეები ტრადიციულ მოდელში



კოორდინაციის ტრადიციულ მოდელში სახელმწიფო - კანონმდებლობის, დაფინანსების და მართვის სხვა ბერკეტების გამოყენებით აწესრიგებს ურთიერთიობებს აკადემიურ ოლიგარქიასა და საზოგადოებას შორის. ტერმინი „აკადემიური ოლიგარქია“ წარმოაჩენს აკადემიური წრეების მნიშვნელობას უმაღლესი განათლების ტრადიციულ მოდელებში - საუკუნეების მანძილიზე უმაღლესი აკადემიური ხარისხის მქონე პირები, აკადემიური თავისუფლების პრინციპებიდან და პროფესიის პრესტიჟულობიდან გამომდინარე, წარმოადგენდნენ სახელმწიფოსათვის და საზოგადოებისათვის მეტად ანგარიშგასაწევ მხარეს. უმაღლეს განათლებას ქონდა ელიტარული ბუნება და მასში მონაწილეობა შეზღუდული იყო მასების დიდი ნაწილისთვის. დაფინანსების ძირითად წყაროს

წარმოადგენდა სახელმწიფო ბიუჯეტი. ზოგიერთ სისტემაში (მაგ. საბჭოთა კავშირის წევრ რესპუბლიკებში და სხვა სოციალისტურ ქვეყნებში) მკაცრად დაგეგმილი ბაზარი განაპირობებდა უნივერსიტეტების „გამტარობას“. სახელმწიფო იღებდა კურსდამთავრებულების დასაქმების პასუხისმგებლობას და შესაბამისად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ შეთავაზებული სპეციალობებისა და მისაღები აბიტურიენტების რაოდენობა განსაზღვრული იყო შრომის ბაზრის მოთხოვნებით.

მარკეტიზაციის პროცესმა ჯერ აშშ-სა და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში, ხოლო საბჭოთა კავშირის რღვევის შემდეგ, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში შეცვალა სფეროს კოორდინაციის სქემა: სახელმწიფომ დაიწყო კანონმდებლობის ლიბერალიზაცია უმაღლესი განათლების თავისუფალი ბაზრისათვის მინდობისკენ. ამან სახელმწიფოსთვის შესაძლებელი გახადა სფეროს მინიმალური დაფინანსებით მისი ფუნქციონირების შენარჩუნება და სისტემის „გაზრდაც“ კი. უნივერსიტეტებმა დაიწყეს „საწარმოს“ ტიპის მართვის მექანიზმების ათვისება. მათი გამტარობა დამოკიდებული გახდა საზოგადოების მხრიდან ცოდნის, როგორც პროდუქტის მოთხოვნაზე. მოხდა მათი დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაცია. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვაში გაჩნდა „მენეჯერული უნარების“ საჭიროება. სწორედ ამის გამო, კლარკის კოორდინაციის სამკუთხედის მე-2, ***მარკეტულ*** მოდელში დაინტერესებული მხარეების განმსაზღვრელი ცნებები იცვლება: სახელმწიფო ინარჩუნებს მთავარ ბერკეტს - კანონმდებლობით მოახერხოს მართვის ძირითადი უფლებების ბაზრისათვის მინიჭება; აკადემიური ოლიგარქია კარგავს ძალაუფლებას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების უნივერსალურად მართვაში - ჩნდება ახალი მენეჯმენტის თეორია და შესაბამისად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ორგანიზაციულად წარმოადგენენ სისტემის ფუნქციონირებაში დაინტერესებულ მხარეს; საზოგადოების ინტერესები წარმოჩენილია თავისუფალი ბაზრის პირობებში - უმაღლესი განათლების ინსტიტუციების რაოდენობრივი ზრდა,

მათში სწავლის საფასური და კვალიფიკაციების სპექტრი დამოკიდებულია „მომხმარებლის“ მოთხოვნებზე.

სურ. 2: კლარკის „კოორდინაციის სამკუთხედი“ - უმაღლესი განათლების დაინტერესებული მხარეების სახეცვლილება მარკეტიზაციის პროცესში.



უმაღლესი განათლების სისტემაში ასეთ ფუნდამენტურ ცვილელებებს ლოგიკურად ახლავს ისეთი პროცესები, როგორიცაა მასიფიკაცია და დივერსიფიკაცია.

3.2.3 მასიფიკაცია

უმაღლესი განათლება, თავისი ისტორიული ელიტარული ბუნებიდან და პრესტიჟიდან გამომდინარე, თითქმის ყველა საზოგადოებაში მაღალმოთხოვნადი იყო საუკუნეების განმავლობაში. მისი ხელმისაწვდომობა სახელმწიფოს და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მკაცრად იზღუდებოდა სხვადასხვა ბერკეტით, რაც უპირველეს ყოვლისა, განპირობებული იყო უნივერსიტეტების ისტორიული მისიით - მოემზადებინათ საზოგადოების მმართველი ძალა ამა თუ იმ სფეროში. თავისუფალი ბაზრის წახალისებამ შესაძლო გახადა მასებისთვის უმაღლესი განათლების მიღება; უნივერსიტეტებს შესაძლებლობა მიეცათ დაესაქმებინათ მეტი-პროფესორ მასწავლებელი, გაეზარდათ საკუთარი შემოსავლები, ეწარმოებინათ მეტი კვლევა და თავისუფალ ბაზარზე კონკურენტუნარიანობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, შეეთავაზებინათ უფრო მრავალფეროვანი სასწავლო პროგრამები და კვალიფიკაციები.

დღევანდელ მსოფლიოში, ყველაზე განვითარებული სისტემების ანალიზი სტატისტიკურად მოსახლეობის 30-35 %-ის მონაწილეობას ადასტურებს, თუმცა მასიფიკაციის პროცესი ჯერ კიდევ გრძელდება. აღსანიშნავია, რომ პოსტ-საბჭოთა სივრცეში, ეს პროცესი ბევერად უფრო სტიქიური იყო და სახელმწიფოს მიერ სისტემის მართვის უუნარობის პირობებში, კიდევ უფრო დიდ მასშტაბებს მიაღწია. 90-იანი წლებიდან მოყოლებული, 2003 წლამდე საქართველოში გაჩნდა 200-ზე მეტი უმაღლესი სასწავლო დაწესებულება გადასახადების დივერსიფიცირებული ოდენობითა და ხშირ შემთხვევაში, გაცემული დიპლომებისათვის სრულიად შეუსაბამო სასწავლო პროგრამებითა და სწავლების ხარისხით. ამ პროცესს ქონდა თავისი გამართლება, რამდენადაც შრომის ბაზრის არარსებობის ფონზე უმაღლესი განათლების სფერომ დაასაქმა უამრავი ადამიანი. საქართველოში უმაღლესი განათლების განსაკუთრებული პრესტიჟულობიდან გამომდინარე, სფეროს მასიფიკაციამ თითქმის უნივერსალურ მასშტაბებს მიაღწია - უნივერსიტეტების და კურსდამთავრებულების რაოდენობა უკიდურესად გაიზარდა მოთხოვნა-მიწოდების პრინციპიდან გამომდინარე, რაც სამწუხაროდ გამორიცხავდა ცოდნის ხარისხის ცნებას. 2003 წლიდან, უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებები გახდა ერთგვარი დასაბამი სფეროს რეგულირებისა და „კალაპოტში ჩაყენებისათვის“. შეიქმნა აკრედიტაციის, როგორც ხარისხის კონტროლის მექანიზმი, რომლის ფუნქციონირებამ უნივერსიტეტების რიცხვი 60-მდე შეამცირა; აბიტურიენტების უნივერსიტეტებში მიღება (რომელიც უწინ უნივერსიტეტების პრეროგატივა იყო) და სახელმწიფო გრანტის მინიჭება დაეფუძნა ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებს, რამაც შეამცირა სისტემაში კორუფციის დონე. ამ პროცესში ყველაზე რთული და საპასუხისმგებლო სასწავლო პროგრამების ხარისხიანობის გარანტირებაა (პროგრამული აკრედიტაცია), რომლის მექანიზმიც ჯერ კიდევ საჭიროებს ფინდამენტურ დახვეწას.

3.2.4 დივერსიფიკაცია

უმაღლესი სფეროს მარკეტიზაციასა და მასიფიკაციასთან უშუალო კავშირშია სფეროს დივერსიფიკაციის პროცესი. სფეროში სულ უფრო მეტი მონაწილის ჩართვა და

თავისუფალ ბაზარზე ორიენტაცია მოითხოვდა სხვადასხვა ტიპის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების გამოჩენას. წინა პერიოდის ელიტარული მიზნებისგან განსხვავებით, ამ ეტაპზე, შრომის ბაზრისათვის კონკურენტუნარიანი მოქალაქეების მომზადება უმაღლესი განათლების მთავარ ამოცანად იქცა. ამისთვის საჭირო გახდა მისანიჭებელი კვალიფიკაციების სპექტრის გაზრდა, პროგრამების მრავალფეროვნების უზრუნველყოფა მათი შინარსისა და ხანგრძლივობის დივერსიფიკაციით, უწყვეტი განათლების სტიმულირება, მოკლევადიანი ტრენინგ-პროგრამების შემუშავება და ა. შ.

უნიფიცირებული სასწავლო პროგრამების ნაცვლად, მოხდა პროგრამების მოქნილობის უზრუნველყოფა სხვადასხვა შინარსისა და ხანგრძლივობის მოდულებად მისი სეგმენტაციით. პროფესორ-მასწავლებლებს საშუალება მიეცათ ინდივიდუალურ ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით შეემუშავებინათ საკუთარი, ხშირად უნიკალური პროგრამები. აქცენტი გაკეთდა არა თეორიულ მასალაზე, არამედ ამ მასალის საშუალებით სტუდენტისათვის მთელი რიგი უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე.

ამ პროცესში, ერთი შეხედვით, უნივერსიტეტებმა დაკარგეს ელიტარული ბუნება, თუმცა სიძველისა და ტრადიციული პრესტიჟიდან გამომდინარე, დივერსიფიკაციის პირობებშიც, კონკრეტული უნივერსიტეტები ინარჩუნებენ უპირატესობას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აკრედიტირებულობის მიუხედავად, უნივერსიტეტების დასახელება და მათ მიერ გაცემული დიპლომი სხვადასხვაგვარად აღიქმება პოტენციური დამსაქმებლის მხრიდან. უპირატესობა ენიჭება ისტორიისა და ტრადიციის მქონე უნივერსიტეტებს. არსებობს მრავალკომპონენტიანი რანჟირების მექანიზმებიც, რომელიც ადგენს უნივერსიტეტების ყოველწლიურ რეიტინგებს. მათ სათავეში მოხვედრილი უნივერსიტეტები კი, ლოგიკურია, მეტად მიმზიდველია როგორც მომავალი სტუდენტებისათვის, ასევე მათი პოტენციური დამსაქმებლისთვის. ამდენად, უფრო ლოგიკური იქნება, თუ ვიტყვით, რომ მასიფიკაციისა და დივერსიფიკაციის პირობებში ელიტარული ბუნება დაკარგა ზოგადად უმაღლესმა განათლებამ, თუმცა ეს ბუნება შეინარჩუნა უნივერსიტეტების გარკვეულმა ნაწილმა.

3.2.5 ინტერნაციონალიზაცია

გლობალიზაციის პირობებში, მზარდი და ურთიერთდამოკიდებული ეროვნული სისტემები სულ უფრო გახსნილი ხდება ურთიერთთანამშრომლობისათვის. ინტერნაციონალიზაციას - ქვეყნებს შორის სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების გაცვლას, ისევე როგორც ერთობლივი პროექტების განხორციელებას - ძალიან დიდი წვლილი შეაქვს ქვეყნების კულტურის საზღვრებს მიღმა გატანისა და პოპულარიზაციისათვის, ასევე უცხოურო გამოცდილების ლოკალურად გაზიარებისათვის; განვითარებული ქვეყნების უმაღლესი განათლების სისტემები სულ უფრო მეტ ღიაობას აცხადებენ უცხოელი სტუდენტებისათვის. ინტერნაციონალიზაციის შესაბამისი სტატისტიკა - შემოსული სტუდენტების მზარდი რაოდენობა დღეს სისტემის გამართულობის ერთ-ერთი ინდიკატორია. სხვა დაინტერესებასთან ერთად, ინტერნაციონალიზაციასაც გააჩნია საბაზრო განზომილება, რამდენადაც ეროვნული კანონმდებლობა, ადგილობრივებთან შედარებით, ხშირად ბევრად მაღალ გადასახადს აწესებს უცხოელი სტუდენტებისათვის. თუმცა, იგივე განვითარებულ სისტემებს აქვთ ბევრი მიმზიდველი სტიპენდია წარჩინებული უცხოელი სტუდენტებისათვის, რაც ერთი მხრივ, „გონების გადინების“ პრობლემას უკავშირდება განვითარებადი ქვეყნებისთვის, თუმცა ოპტიმისტური თვალსაზრისით, მათი მოქალაქეებისათვის ხშირად უნიკალური შესაძლებლობაა - მიიღონ საფუძვლიანი განათლება და გამოიყენონ იგი საკუთარი საზოგადოების საკეთილდღეოდ.

ხშირად უმაღლეს განათლებაში **ინტერნაციონალიზაციას** აიგივებენ **გლობალიზაციასთან,** რამდენადაც ორივე პროცესი გაემიჯნება ლოკალურობას და მსოფლიო მასშტაბებს მოიცავს, თუმცა პირველი არ გამორიცხავს ეროვნული სისტემების მიერ მართვის ტრადიციული მექანიზმების შენარჩუნებას და არ გულისხმობს ერთი კონკრეტული სისტემის კვალდაკვალ, ფუნდამენტური ცვლილებების აუცილებლობას; ინტერნაციონალიზაცია წარმოადგენს ქვეყნებს შორის სულ უფრო მჭიდრო კავშირსა და თანამშრომლობას, მაშინ როცა გლობალიზაცია ნიშნავს სისტემების მიერ ერთი კონკრეტული სისტემისათვის დამახასიათებელი ნიშნების შეთავსებას და მის

პრინციპებზე „გადაწყობას.“ ინტერნაციონალიზაცია არ არის ახალი პროცესი და სხვადასხვა მასშტაბებით ყოველთვის გვხვდებოდა სხვადასხვა სისტემაში, თუმცა დღევანდელ ეტაპზე ის ბევრად უფრო ინტენსიური, ფართო არეალის მომცველი და მრავალრიცხოვანია.

3.2.6 რეგიონალიზაცია

საქართველოს ბოლონიის პროცესში ჩართულობა რეგიონალიზაციის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია. არსებულ ეტაპზე, აკადემიურ ლიტერატურაში, რეგიონალიზაციას ხშირად ევროპეიზაციის სინონიმადაც გამოიყენებენ, თუმცა რეგიონალიზაცია, სხვა ზემოთ აღნიშნული პროცესების მსგავსად, უმაღლესი განათლების სისტემებისათვის ისტორიული მახასიათებელია. პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობებიდან გამომდინარე, სხვადასხვა ქვეყნებს შორის სხვადასხვა ეტაპზე იქმნებოდა ერთგვარი კოალიციები, რომლის ფარგლებშიც უმაღლესი განათლების სისტემებს გააჩნდათ საერთო ნიშნები, მართვის მექანიზმები და ზოგჯერ მსგავსი სასწავლო კვალიფიკაციები და პროგრამებიც კი. შეიძლება ითქვას, რომ ქართულ უნივერსიტეტებს პირველივე ეტაპზე გააჩნდათ რეგიონული განზომილება - ისინი მოქცეული იყო რუსეთის და შემდგომ, საბჭოთა კავშირის რეგიონულ სფეროში და მათი ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები საზიარო იყო ამ რეგიონში შემავალ სხვა სისტემებთან.

ევროპეიზაციას, როგორც რეგიონალიზაციის სახეს, ხშირად მოიაზრებენ გლობალიზაციის ფონზე, ამერიკული სისტემისათვის ერთგვარი ალტერნატივის შექმნის მცდელობას. საბჭოთა კავშირის რღვევის შემდეგ დასავლურმა სახელმწიფოებმა სცადეს აეთვისებინათ ინტელექტუალური რესურსი საბჭოთა და პოისტ-სოციალისტური ნანგრევებიდან. აღმოსავლეთ ევროპიდან დასავლური უნივერსიტეტებისაკენ „გონების გადინების“ მასშტაბებმა გასული საუკუნის 90-იან წლებშივე მიაღწია პიკს. ამერიკული სისტემა, როგორც კვლევისათვის საუკეთესო, მეცნიერებისთვის ხშირად არის ყველაზე მიმზიდველი. მსოფლიოს სხვადასხვა სააგენტოების მიერ წარმოებულ რანჟირებებში წამყვანი პოზიციები სწორედ ამერიკულ

და ბრიტანულ უნივერსიტეტებს უკავია. უდაოა, რომ ეს პირდაპირ კავშირშია ამ სისტემებში კვლევის დაფინანსების მასშტაბებთან, რასაც ხელს უწყობს ლიბერალური კანონმდებლობა და მარკეტიზაციის ხარისხი.

ევროპული სახელმწიფოები ჯერ კიდევ ცდილობენ არ დაშორდნენ ჰუმბოლდტისეულ იდეალებზე დაფუძნებულ უნივერსიტეტის მოდელს, სადაც სახელმწიფო წამყვან როლს ინარჩუნებს სფეროს დაფინანსებაში, რათა სტუდენტებს შეუნარჩუნდეთ უფასო უმაღლესი განათლების მიღების შანსი. საქართველო ბოლონიის პროცესს 2005 წლის მაისში შეუერთდა; მოხდა საერთო სტრუქტურის - სამ საფეხურიანი აკადემიური პროგრამების შემუშავება (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) აკრედიტირებულ უნივერსიტეტებში. ბოლო პერიოდში დაიწყო თვისებრივი რეფორმებისაკენ სვლა აღნიშნული საფეხურების შესაბამისად, აკადემიური პროგრამების პროფილის გათვალისწინებით, საერთო ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების შემუშავების თვალსაზრისით (თიუნინგის პროექტი); დაიწყო უგს-ს პრიორიტეტეული ფეროების განსაზღვრისა და დაფინასების, სწავლებისა და კვლევის გაერთიანების მექანზიმების გზების ძიება.

სტიქიური რეფორმების გზაზე საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო ამ პროცესში ჩართვა, რადგან ბოლონიის პროცესი იქცა ამ რეფორმებისათვის გარკვეული სახის მიცემისა და ცვლილებების ლოგიკურად დაგეგმვის ძირითად ჩარჩოდ. მიუხედავად იმისა, რომ ბოლონია არასაკანონმდებლო შეთანხმებაა, საქართველომ მის მიერ გათვალისწინებული ბევრი მიმართულება სწორედ ეროვნულ კანონმდებლობაში ასახა. საქართველოს კანონმდებლობით დღეისათვის განსაზღვრული მრავალი ასპექტი უმაღლეს განათლებაში - მაგ. აკადემიურ საფეხურებზე სწავლის ხანგრძლივობა, საკრედიტო სისტემის მექანიზმის სირთულეები და სხვა, ალბათ ჯერ კიდევ საჭიროებს გადახედვასა და დახვეწას, თუმცა ევროინტეგრაციის პროცესში უმაღლესი განათლების სისტემის რეფორმირებისათვის სწორედ ევროპული განზომილების გათვალისწინება ჩვენთვის გადამწყვეტია.

ამ ყველაფრის მიუხედავად, არსებობს ევროპეიზაციის, როგორც გლობაზაციის ნაწილის ხედვის თვალსაზრისიც. ამის საფუძველს ის ფაქტები იძლევა, რომ ყველანაირი მცდელობის მიუხედავად, ევროპა გახსნილი გახდა უმაღლეს განათლებაში კერძო სექტორისთვის. იგივე აკადემიური ხარისხების საფეხურებად დაყოფა და საკრედიტო სისტემა - ნაკლებად განსხვავდება ამერიკულისგან. შეძლებს თუ არა ბოლონია შექმნას ამერიკული სისტემისათვის კონკურენციის გამწევი სივრცე, ჯერ კიდევ მომავალი გვიჩვენებს, თუმცა საქართველოს მსგავსმა სახელმწიფოებმა კარგად უნდა აწონ-დაწონონ ყველა ის შესაძლო რისკი და სარგებელი, რომელიც ამ პროცესებში გარდაუვალი და აუცილებელი მონაწილეობით იქნება განპირობებული.

4. ქართული უნივერსიტეტების ფუნქციონირების ძირითადი განზომილებები ისტორიულ და დღევანდელ პერსპექტივაში (დასავლური თეორიების ჭრილში)

4.1. თანამედროვე უნივერსიტეტების ფუნქციონირების ზოგადი კონტექსტი და საქართველო

ჩვენ უკვე შევეხეთ კლარკის მიერ შემოთავაზებულ „კოორდინაციის სამკუთხედს“ უმაღლესი განათლების სისტემებთან მიმართებაში. ამ კოორდინაციაში, აკადემიური ოლიგარქიისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კუთხე უნივერსიტეტებსაც მოიცავს. კლარკის თეორიის ჭრილში ქართული სისტემის განხილვა დასავლური მეცნიერული ანალიზის ლოკალურ სისტემასთან მისადაგების კიდევ ერთი მცდელობაა. ამასთან, შესაძლებელია ამ გლობალური მოდელის განხილვა რეგიონული, პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული განზომილებების გათვალისწინებით.

თუ ისევ ბოლონიის გახმაურებულ პროცესს ჩავუღრმავდებით, მკაფიოა, რომ ერთიანი ევროპული საგანმანათლებლო სივრცე, თავისი დეკლარირებული პრინციპებით, საქართველოს განათლების სისტემამ განვითარების ძირითად მიმართულებად დასახა.

მიუხედავად ბოლონიის პროცესის ძირითადი დოკუმენტების არასაკანონმდებლო ხასიათისა, პროცესმა უკვე განაპირობა ჩართული ქვეყნების მიერ მოხალისეობრივი ინიციატივით საკუთარი უგს-ების ფუნქციონირების ამ დოკუმენტებით დასახულ ფორმატებთან გარკვეული თანხვედრის მიღწევა (საკრედიტო-სატრანსფერო სისტემა; სწავლების სამსაფეხუროვანი სისტემა; მობილობა; საკვალიფიკაციო ჩარჩოების შემუშავება და ა.შ.). პროგრამულ დონეზე უგს-ების სინქრონიზაცია უფრო რთული პერსპექტივაა და შეიძლება შედარებით ფორმალური ხასიათიც მიიღოს, თუმცა ბოლონიის პროცესის მნიშვნელობა არსებულ ეტაპზე მთელი რიგი ქვეყნების და მათ შორის, საქართველოს უსგ-ს რეფორმირების პროცესში უდაოდ წამყვანია.

საქართველოსთვის, პოსტ-საბჭოთა ქვეყნების მსგავსად, ბოლონიის პროცესის "ფორმალისტური" კონტრიბუცია ბევრად უფრო დიდია, ვიდრე ვთქვათ, დასავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებისათვის. რეფორმის პროცესში, რომელიც ხშირად სრულიად სტიქიური და საპირისპირო იდეების განხორციელების ასპარეზია, ნებისმიერ სისტემას სჭირდება მეტ-ნაკლებად მყარი ფორმატი კონსტრუქციული და ეტაპობრივი განვითარებისათვის. საქართველომ, რომელის მოსახლეობასაც და განსაკუთრებით, აკადემიურ წრეებს ევროპის მიმართ მკვეთრად პოზიტიური ისტორიული მეხსიერება და ასოციაციები გააჩნია, უგს-ის რეფორმის მტკივნეულ პროცესში ბოლონია აღიქვა, როგორც საკუთარი სისტემის ევროპეიზაციის შანსი - გლობალიზაციის, ანუ ამერიკანიზაციის შესაძლო და სასურველ ალტერნატივად. თუმცა, ბოლონიის პროცესი თავის მხრივ რთული და მრავალწახნაგოვანი პროცესია საკუთარი მიზნებითა და მიზეზებით.

შევეცადოთ ჩამოვაყალიბოთ ბოლონიის ძირითადი პრაქტიკული მიზანი: ***პროფესორ-მასწავლებლებისათვის მიმზიდველი ერთიანი სივრცის შექმნა გაიოლებული მობილობით, კვლევისა და სწავლისათვის საჭირო პირობებით და შემდგომი დასაქმების პერსპექტივით.*** ეს მიზანი, როგორც 1.1 სქემაში ვაჩვენეთ, თავის მხრივ უშუალო კავშირშია უმაღლესი განათლების სიტემების გლობალიზაციასთან, ანუ ამერიკანიზაციასთან. ევროპა ერთიანი სივრცის შექმნის იდეით გამოდის სწორედ ამერიკულ სისტემასთან კონკურენტუნარიანობის გაზრდისათვის, ამერიკული

უნივერსიტეტებისა და შრომითი ბაზრისაკენ გონებრივი რესურსების შემდგომი გადინების, ტექნოლოგიურ მიღწევებში და ეკონომიკაში კონტრასტის ზრდის შესაჩერებლად. მაგრამ ამგვარი კონკურენციის გაწევისათვის ევროპულ სისტემებს თავად მოუხდათ ამერიკული მოდელის გათვალისწინება: საკრედიტო სისტემა (თუმცა მისი ათვლა არსებულ ეტაპზე ამერიკულ და ევროპულ სისტემებში განსხვავდება), სწავლების სამსაფეხუროვანი სისტემა (მინიმალური ტექნიკური განსხვავებებით), აკრედიტაციის სისტემა (სახელმწიფო და კერძო სააგენტოებს შორის განსხვავებულობით) და რიგი სხვა მახასიათებლები, რომელიც ბოლონიის პროცესმა უგს-ებისათვის განსაზღვრა, სწორედ ამერიკული სისტემის მახასიათებლების ინვარიანტებია. ისეთი მახასიათებლები, როგორიცაა სისტემების ***ინტერნაციონალიზაცია, დივერსიფიკაცია, მასიფიკაცია და მარკეტიზაცია*** *(უსდ-ების არამომგებიანიდან მომგებიან საწარმოებად გარდაქმნის პროცესი)* ასევე პირდაპირ კავშირშია მსოფლიო სისტემების დღევანდელ გლობალურ რეფორმებთან. ეს პროცესები სხვადასხვა მასშტაბებით და ტემპით აისახება საქართველოს უსგ-ზეც და რეფორმის პროცესი დამოკიდებულია სახელმწიფოს მიერ ისეთი მთავარი ბერკეტებით ვარირებაზე, როგორიცაა ***კანონმდებლობა, დაფინანსება, ინფორმაცია და მენეჯმენტი (ჰუდი, 1983; გორნიცკა, 1999).*** უნდა აღინიშნოს, რომ დღევანდელ ეტაპზეც, მწირი ბიუჯეტის პირობებში კანონმდებლობა საქართველოს მთავრობის ძირითად ბერკეტს წარმოადგენს ამა თუ იმ სფეროს, განათლების სისტემის ჩათვლით, რეფორმირების პროცესში.

კანონმდებლობა, განსაკუთრებით გარდამავალ პერიოდებში, ქვეყნისათვის განიხილება როგორც ერთგვარი გზამკვლევი ამა თუ იმ სფეროს განვითარებისათვის. უმეტეს შემთხვევაში ის არ წარმოადგენს უკვე არსებული საზოგადოებრივი ცვლილებების უბრალო ფორმალიზებას, არამედ წამყვანი ადგილი უკავია რეფორმის ინიცირებაში. კანონმდებლობას ხშირად მიიჩნევენ როგორც რეფორმის ინსტრუმენტს და თანადროულად, ჩარჩოს სხვა ინსტრუმენტების გამოყენებისათვის. საქართველოს მთავრობამ, ბევრი სხვა პოსტ-სოციალისტური ქვეყნის მთავრობების მსგავსად, კანონმდებლობა მიიჩნია რეფორმის მთავარ ბერკეტად. მწირი ფინანსური

შესაძლებლობების, სუსტი საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ახალი ტიპის ორგანიზაციული ცვლილებებისათვის საჭირო კადრების ნაკლებობის შემთხვევაში ასეთი სტრატეგია გასაგებია. გლობალიზაციის პირობებში უმაღლესი განათლების სისტემებში მიმდინარე ძირითადი პროცესები საქართველოს უგ სისტემაზეც აისახა, მათ შორის საკანონმდებლო დონეზეც.

გლობალიზაცია, ბაზრის განსაზღვრული ფორმის გავრცელება პლანეტის მასშტაბებით, აკადემიურ წრეებში სკეპტიციზმს იწვევს, თუმცა ბევრისთვის ის მსოფლიოში ბაზრის ერთგვაროვანი მექანიზმის ამუშავების, მზარდი ეკონომიკური ექსპლუატაციისა და სოციალური უთანასწორობის, ეროვნული სისტემების რღვევის ექვივალენტია და სისტემის ყველა დონეზე აღწევს. გამონაკლისი არც უმაღლესი განათლების სფეროა. ხშირად ამ პროცესის ალტერნატივად მოიაზრება უმაღლესი განათლების სისტემების რეგიონალიზაციის, ანუ ევროპეიზაციის მცდელობა ბოლონიის პროცესის მეშვეობით, რომელიც სახელმწიფოთშორისი შეთანხმების საფუძველზე ხორციელდება, არა-საკანონმდებლო ინიციატივები უდევს საფუძვლად და მხარს უჭერს მონაწილე ქვეყნების სისტემების თვითმყოფადობას. თუმცა, ბევრი ექსპერტი ამ პროცესის ძირითად ეკონომიკურ მიზნებზე საუბრობს. მათი ვარაუდით, ბოლონიის პროცესი ცდილობს შექმნას სისტემა, რომელიც მოახერხებს კონკურენცია გაუწიოს ამერიკულს, და ამავე დროს შეძლოს მასთან თანამშრომლობა. ამ გაგებით, ეროვნული სისტემები იძენენ რეგიონალურ განზომილებას გლობალიზაციის შიგნით.

უმაღლეს განათლებაში ბაზრის განზომილების შემოტანის ამერიკული პრეცენდენტი მსოფლიოს მასშტაბებით გავრცელდა და უსგ-ების შიგნით კოორდინაციის ცვლილებები გამოიწვია სფეროში ჩართულ დაწესებულებებს, სახელმწიფო მმართველობას, აკადემიურ და არა-აკადემიურ მონაწილეებს შორის. კერძო სექტორის შემოსვლა სფეროში განიხილება უმაღლეს განათლებაზე მზარდი მოთხოვნების, მასიფიკაციისა და დივერსიფიკაციის თანმხვედრ პროცესად, რამაც თავის მხრივ განაპირობა სახელმწიფოების მხრიდან სისტემების კოორდინაციაზე პასუხისმგებლობის ნაწილობრივ შესუსტება.

ევროპული სახელმწიფოების უმეტესობა ამ ეტაპზეც ცდილობს შეინარჩუნოს წამყვანი როლი უმაღლესი განათლების მართვაში; შესაბამისად, ბაზარზე ორიენტაცია ევროპულ სისტემებში ჯერ კიდევ სუსტია. სკანდინავია და გერმანია, სადაც უმაღლესი განათლება ჯერ კიდევ თითქმის უფასოა, ამის მაგალითად გამოდგება; მაგრამ ამის მიუხედავად, ევროპული სახელმწიფოები უსგ-სთან მიმართებაში გლობალური გამოწვევეის წინაშე დგანან - მასიფიკაცია ეჭვქვეშ აყენებს მხოლოდ სახელმწიფო რესურსებით სისტემის დაფინანსების შესაძლებლობას, რის საფუძველზეც შერეული დაფინანსება უკვე წამყვანი ფორმაა ევროპის ბევრ ქვეყანაში; ხდება სახელმწიფო უნივერსიტეტებისათვის ავტონომიურობის გაზრდა დაფინანსების დამატებითი წყაროების მოპოვებისათვის, აგრეთვე კერძო უნივერსიტეტების ჩართვა სახელმწიფო ფონდების ათვისების პროცესში - სტუდენტური გრანტების გაცემისა და კვლევის დაფინასების პერსპექტივით.

თუ საქართველოს შესაბამის კანონმდებლობას განვიხილავთ, მასში უმაღლესი განათლების დაფინანსების სწორედ ასეთ ჰიბრიდულ მექანიზმს აღმოვაჩენთ - ამერიკული მახასიათებლების ევროპული ინტერპერტაციით: სტუდენტურ გრანტებს განსაზღვრავს სახელმწიფო და გასცემს ორივე ტიპის უნივერსიტეტებზე; სამეცნიერო გრანტები გაიცემა კონკურსის საფუძველზე ასევე, ორივე ტიპის (სახელმწიფო და კერძო) უნივერსიტეტებისათვის; სახელმწიფო უნივერსიტეტებს ეძლევათ გარე ფინანსების მიზიდვის მეტი შესაძლებლობა (ავტონომიის შესაბამისი ინტერპრეტირებით) და ა.შ.

4. 2 საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის კოორდინაციის ფორმები სხვადასხვა ეტაპზე:

თუ რეტროსპექტიულად განვიხილავთ საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის კოორდინაციის ფორმებს და ეტაპებს საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული - დღემდე, შევძლებთ კანონმდებლობის, როგორც პოლიტიკის ინსტრუმენტის, გამოყენების ფაზების იდენტიფიცირებას საქართველოს უგს-სთან მიმართებაში. შეგვიძლია სქემატურადაც წარმოვიდგინოთ ეს ფაზები - პოლიტიკური და ეკონომიკური განზომილებებით განპირობებული ცვალებადი აქცენტებით კოორდინაციაში

(*საქართველოს მაგალითი მორგებულია ბარტონ კლარკის "კოორდინაციის სამკუთხედთან"*):

4.2. 1 საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის კოორდინაცია საბჭოთა პერიოდში:

საბჭოთა უნივერსიტეტები, როგორც იმპერიის სხვა დაწესებულებები, პირველ რიგში ქვეყნის პოლიტიკური მრწამსის ერთგულ ორგანიზაციებად იყო ჩაფიქრებული. იდეოლოგიისაგან თავისუფალი აკადემიური სწავლება ამ პერიოდის უნივერსიტეტებში არ არსებობდა. საბჭოთა მთავრობა განათლებას და მეცნიერებას პოლიტიკური პრიორიტეტების და სამხედრო იმპერატივების საფუძველზე აფინანსებდა და დამოუკიდებელი კავშირი საზოგადოებასა და უნივერსიტეტებს, ასევე სწავლებასა და სამეცნიერო კვლევას შორის, შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობდა. თუ ბარტონ კლარკის მიერ 1983 წელს შემუშავებული მოდელის მიხედვით, უმაღლესი განათლების სფეროს კოორდინაციაში სამ ძირითად დაინტერესებულ მხარეს გამოვარჩევთ - სახელმწიფოს, აკადემიურ ოლიგარქიას (უსდ-ებს) და ბაზარს (საზოგადოებას) შორის საბჭოთა ეტაპზე არსებული ურთიერთობა შეგვიძლია ასე გამოვსახოთ:

სურ. 3:



მოცემული მოდელის თანახმად კოორდინაციაში წამყვანი როლი სახელმწიფოს უკავია. საბჭოთა პერიოდში არ არსებობდა "ბაზარი" მისი დღევანდელი ინტერპრეტაციით, თუმცა ის არსებობდა საგულდაგულოდ დაგეგმილი ფორმით. სახელმწიფო

განსაზღვრავდა უგს-ს ფუნქციონირებისათვის საჭირო თითოეულ კომპონენტს, მაგ. როგორიცაა - პროფესორ-მასწავლებელთა კვალიფიკაციები, უნივერსიტეტების გამტარობა (მასში მონაწილეთა და კურსდამთავრებულთა რიცხვი), სასწავლო პროგრამების უნიფიცირებული შინაარსი და თანმდევი იდეოლოგია და ა.შ. დამატებით, გათვალისიწინებული იყო დიპლომირებულთათვის დასაქმების პერსპექტივა და სამუშაო ადგილების ლოკაციაც კი. ამ დროს, ჰუმბოლდტისეული უნივერსიტეტის იდეა წამყვანი იყო მსოფლიოში და მარქსიზმ-ლენინიზმის დოქტრინების წნეხქვეშაც კი აკადემიურ ოლიგარქიას საკმაო პრესტიჟი გააჩნდა. ამიტომაც, კოორდინაციაში, უსდ-ების, როგორც დამოუკიდებელი ერთეულების ნაცვლად წარმოვადგინეთ აკადემიური ოლიგარქია. საზოგადოებას მინიმალურად შეეძლო განესაზღვრა უგს-ს ფუნქციონირების რომელიმე ასპექტი, რამდენადაც ის არ იყო დამკვეთი და პასიურად იღებდა სისტემის მიერ შემოთავაზებულ შესაძლებლობებს. ამრიგად, სახელმწიფო შესაბამისი ბერკეტებით ახერხებდა ორმაგ კონტროლს - აკადემიურ ოლიგარქიასა და დაგეგმილ ბაზართან მიმართებაში და არ არსებობდა უკუკავშირი უნივერსიტეტებსა და საზოგადოებას შორის. ამას ქონდა როგორც ნეგატიური, ასევე პოზიტირი შედეგები - ერთი მხრივ, ვერ კმაყოფილდებოდა უმაღლეს განათლებაზე რეალური მოთხოვნა და სუსტი იყო სფეროში მასიფიკაციის ტენდენცია; მეორეს მხრივ, ხდებოდა ხარისხის ერთგვარი კონტროლი სრული სახელმწიფო დაფინანსების საფუძველზე, განისაზღვრებოდა სწავლებისა და კვლევისათვის პრიორიტეტული სფეროები და საქმდებობდნენ კურსდამთავრებულები, თუმცა ეს პოზიტივები აღარ ეხებოდა საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო ათწლეულების სისტემას; ისევე როგორც სხვა სფეროებში, საბჭოთა კავშირის კრიზისის პერიოდში, უმაღლესი განათლების სისტემაში აშკარა დეგრადაცია დაიწყო; გაიზარდა კორუპცია; აკადემიური ოლიგარქია თითქმის თვითნებურად განკარგავდა ისეთ პროცესებს, როგორიცაა უნივერსიტეტში სტუდენტების ჩარიცხვა და შეფასება; კვლევის დაფინანსება შემცირდა და ძირითადად არა-არსებით პროექტებზე იხარჯებოდა.

4.2. 2 საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის კოორდინაცია პოსტ-საბჭოთა პერიოდში:

პოსტ-საბჭოთა პერიოდში საქართველოს უმაღლესი განათლების სფეროში მიმდინარე პროცესები ძირითადად სტიქიური იყო და სისტემამ ფუნდამენტური ცვლილებები განიცადა. სფეროს კოორდინაციისათვის საჭირო ბერკეტებიდან სახელმწიფოს არ გააჩნდა თითქმის არც ერთი - დაინტერესებულ მხარეთა შორის ურთიერთობებში წამყვანი როლის შენარჩუნებისათვის. სახელმწიფო დაფინანსება გახდა მინიმალური, კანონმდებლობა ითხოვდა ადეკვატურ ცვლილებეს, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები დარჩნენ ანაზღაურების და სტატუსის გარეშე; დაიწყო გონებრივი რესურსების გადინება დასავლეთის უნივერსიტეტებისა და ზოგადად, შრომითი ბაზრისაკენ; სასწავლო პროგრამები და სახელმძღვანელოები გახდა მოძველებული; კვლევის შეწყვეტამ გამოიწვია წყვეტა სფეროს განვითარებაში; ინფორმაციული ვაკუუმი, სუსტი მენეჯმენტი, მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსების კარგვა სისტემის თითქმის პარალიზების მიზეზი გახდა; მაგრამ რამდენადაც განათლების სფერო ერთ-ერთი ყველაზე კონსერვატიულია, მას გარდაუვალი ცვლილებების პერიოდში ადაპტაციისათვის საკმაოდ მოქნილი ხასიათი გააჩნია, რაზეც უნივერსიტეტების გრძელი ისტორია მეტყველებს.

საქართველოში დარჩენილმა აკადემიურმა ოლიგარქიამ ალღო აუღო აუცილებელ ცვლილებებს და უნივერსიტეტების ფუნქციონირებისათვის ახალი გზები გამოძებნა - უმაღლესი განათლების ელიტარული ბუნებისა და საქართველოში განათლების კულტის არსებობის გამო ეკონომიკური კრიზისის პერიოდშიც კი საზოგადოების მხრიდან მოთხოვნა უმაღლეს განათლებაზე აქტუალური დარჩა. უფრო მეტიც, სახელმწიფო დაფინანსების სიმწირის პერიოდში გაჩნდა უშუალოდ მომხმარებლის მიერ უმაღლესი განათლების მისაღებად ინვესტიციის ჩადების პერსპექტივა. საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მზად იყო უკანასკნელი დანაზოგი ჩაედო უმაღლეს განათლებაში; ამან აკადემიურ ოლიგარქიას უბიძგა პირველი ნაბიჯები გადაედგათ სფეროს კომერციალიზაციისაკენ.

90-ან წლებში საქართველოში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებუილებების რიცხვმა 200-ს გადააჭარბა; მათში სწავლების საფასური განსხვავებული იყო, რაც სფეროს გახსნილს ხდიდა ნებისმიერი ტიპის გადახდისუნარიანი მოსახლეობისათვის.

ამ პერიოდში სახელმწიფო უნივერსიტეტები ჯერ კიდევ ინარჩუნებდნენ პრესტიჟულობას, თუმცა ერთი მხრივ, სტიქიური მასიფიკაციისა და მეორე მხრივ, არაადეკვატური რესურსების პირობებში, სწავლების ხარისხი გამონაკლისის გარეშე, ყველა უსდ-ში დრამატულად დაეცა.

სახელწიფოს როლი სფეროს კოორდინაციაში ამ დროს თითქმის მინიმალური გახდა. სახელმწიფომ შესაძლებლობა მისცა უნივერსიტეტებს ფუნქციონირება გაეგრძელებინათ ნებისმიერი გზით; ამ პერიოდის კანონმდებლობა პოსტ-ფაქტუმ ასახავდა სფეროში მიმდინარე ცვლილებებს და მიმართული იყო აკადემიურ ოლიგარქიასა და უკვე - ”მომხმარებელ” საზოგადოებას შორის არაფორმალური ურთიერთობების დაკანონებისაკენ.

ამ პერიოდის უმაღლესი განათლების სისტემის კოორდინაცია ასე გამოიყურება: ხდება ორმხრივი შეთანხმება აკადემიურ ოლიგარქიას (მიმწოდებელს) და საზოგადოებას (მომხმარებელს) შორის, ხოლო სახელმწიფო ხელს უწყობს უსდ-ების მიერ ფუნქციონირებისათვის გამოძებნილი მექანიზმების კანონმდებლობით გამართლებას:

სურ. 4 :



ასეთ კოორდინაციას გააჩნდა დიდი ნაკლი უმაღლესი განათლების ხარისხთან დაკავშირებით; შეიცვალა უმაღლესი განათლების ზოგადი მიზნებიც; თუმცა

გარდამავალ პერიოდში მძიმე ხარვეზების თავიდან აცილება ალბათ შეუძლებელიც იყო. მსგავსმა კოორდინაციამ უსახსროდ დარჩენილ პროფესორ-მასწავლებლებს სწავლების გაგრძელების შანსი, ხოლო სკოლადამთავრებულებს "ქუჩისგან" თავის დაღწევის გზა უჩვენა. საინტერესო იქნებოდა სტატისტიკური კვლევა, თუ მთლიანად რამდენი ადამიანი დაასაქმა უმაღლესი განათლების სფერომ 90-იანი წლების საქართველოში, სადაც სამუშაო ადგილები პრაქტიკულად არ არსებობდა.

უმაღლესი განათლების სფერო ერთ-ერთი პირველი იყო პოსტ-საბჭოთა საქართველოში, რომელმაც ფაქტიურად განიცადა კომერციალიზაცია, მასიფიკაცია და დივესიფიკაცია - პროცესები, რომლებიც იმ პერიოდში ჩვენს სისტემაში სტიქიურად განხორციელდა, მაგრამ დღესაც წამყვანია მსოფლიოს უმაღლესი განათლების სისტემების რეფორმირებაში.

4.2. 3. საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის კოორდინაცია არსებულ ეტაპზე

2003 წლის ვარდების რევოლუციის შედეგად დასრულდა "სტიქიური" ფაზა საქართველოს უგს-ს კოორდინაციაში და სახელმწიფომ ამ ეტაპზე ისევ წამყვანი როლი დაიკავა. სახემწიფოს მცდელობას დასავლური გამოცდილების გათვალსიწინების, ხარისხის კონტროლის მექანიზმის ამუშავების, თვითნებული პროცესების რაციონალიზაციისა და შემდგომი მიმართულებების დაგეგმვისათვის აკადემიური ოლიგარქიისა და საზოგადოებისათვის უმტკივნეულოდ არ ჩაუვლია. მოხდა კანონმდებლობის გადახედვა და "შოკური თერაპიის" მეთოდით (საზოგადოების მინიმალური ინფორმირებულობით), უმაღლესი განათლების შესახებ ახალი კანონის მიღება (2004), რომელშიც დღესაც აქტიურად შედის ცვლილებები.

როგორც დასაწყისშიც აღვნიშნეთ, საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემა, დეკლარირებულად, დასავლური სტანდარტების სისტემად ცდილობს განვითარდეს; მიმდინარე რეფორმის პირობებში ტრანსფორმაციის რამდენიმე წარმატებული საფეხურიც გაიარა. ინსტიტუციური აკრედიტაციის, ისევე როგორც აბიტურიენტთა უნივერსიტეტებში ჩარიცხვის მექანიზმი უფრო გამჭვირვალე პროცედურის საშუალებით უკვე ფუნქციონირებს 2004 წელს შემუშავებული შესაბამისი

საკანონმდებლო ბაზის საფუძველზე. საქართველოში დეკლარირებული გახდა, რომ უმაღლესი განათლების სისტემა უფრო მოქნილი, საერთაშორისო და არა მხოლოდ ლოკალური მნიშვნელობის უნდა იყოს ქვეყნისათვის; და რომ მიმდინარე რეფორმის უშუალო მიზანია ამ სისტემის ევროპულ კონტექსტში მოთავსება.

2005 წლის მაისში საქართველო შეუერთდა ბოლონიის პროცესს; მოხდა საერთო სტრუქტურის - სამ საფეხურიანი აკადემიური პროგრამების შემუშავება (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) აკრედიტირებულ უნივერსიტეტებში. ბოლო პერიოდში დაიწყო თვისებრივი რეფორმებისაკენ სვლა აღნიშნული საფეხურების შესაბამისად, აკადემიური პროგრამების პროფილის გათვალისწინებით, საერთო ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების შემუშავების თვალსაზრისით (თიუნინგის პროექტი); დაიწყო უგს-ს პრიორიტეტეული ფეროების განსაზღვრისა და დაფინასების, სწავლებისა და კვლევის გაერთიანების მექანზიმების გზების ძიება.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ამუშავებამ შეამცირა უსდ-ების რიცხვი და მათი გამტარობა, რაც იმედია უკეთესი სწავლების გარანტი და უფრო უკეთ ორგანიზებული, ეტაპობრივი მასიფიკაციის საფუძველი გახდება; სახელმწიფო გასცემს სტუდენტურ გრანტებს; განსაზღვრავს უნივერსიტეტებში ჩარიცხვის პროცესსა და პროცედურებს; ევროპული სახელმწიფოების მსგავსად, ცდილობს კონტროლი შეინარჩუნოს სფეროზე და ბოლომდე არ გახადოს "ბაზარზე ორიენტირებული". ყოველ შემთხვევაში, ოფიციალურად, საქართველოს მთავრობა, პოლიტიკური ცვლილებების ფინზეც, დეკლარირებულად, ამ კურსის მიმდევარი რჩება.

სურ. 5: **სახელმწიფო**



უმაღლესი საგანმანათლებლო **საზოგადოება**

დაწესებულებები

თუმცა, უმაღლესი განათლების სფეროში სახელმწიფოს მიერ ჩადებული ფინანსური ინვესტიციების სიმწირე მკაფიოდ იგრძნობა. არსებულ ეტაპზე სისტემა უკვე ჰიბრიდულია - კანონმდებლობით გათვალისწინებული სახელმწიფო და კერძო სექტორის რეგულირებისა და მათი დაფინანსების გზების თვალსაზრისით. სხვანაირად რომ ვთქვათ, სახელმწიფო ჯერ კიდევ წამყვან როლს ინარჩუნებს სისტემის კოორტდინაციაში, დაქვემდებარებაში იტოვებს ხარისხის მაკონტროლებელ ორგანოებსა და უნივერსიტეტში ჩარიცხვის მექანიზმებს, თუმცა არ არის სფეროში ერთადერთი ინვესტორი. შეიცვალა უნივერსიტეტების მენეჯმენტიც - ის ნაკლებად აკადემიური და მეტად "ბიზნესზე ორიენტირებული ხდება". ყოველივე ეს საფუძველს გვაძლევს, ვივარაუდოთ, რომ საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემა, ევროპული განზომილების შიგნით, გლობალიზაციის ეფექტის ქვეშაა.

4.2. 4. საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის კოორდინაციის მოსალოდნელი მოდელი

მასიფიკაციის, მარკეტიზაციის, ინერნაციონალიზაციისა და დივერსიფიკაციის პროცესები ისევე რეალურია საქართველოს უმაღლესი განათლების სფეროსთვის, როგორც მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის შესაბამისი სისტემისთვის. გლობალიზაციის ეფექტით, სახელმწიფოები მთელს მსოფლიოში ცდილობენ ფინანსური ვალდებულებების შესუსტებით მოახერხონ სფეროს არაპირდაპირი კოორდინაცია. არის

ევროპული ქვეყნების მაგალითები (ზემოთ მოყვანილი), რომლებიც ამ ზოგად პროცესს ფეხს არ უბამს, მაგრამ ბევრი სკეპტიკოსი თვლის, რომ ეს მხოლოდ დროის და ტემპის ამბავია.

მოსალოდნელი მოდელის თანახმად, სახელმწიფო "არეგულირებს" ბაზრის უნარს - უშუალო დამკვეთი იყოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის:

სურ.6 :



ეკონომიური თვალსაზრისით ეს მოდელი უპირობოდ მომგებიანია, თუმცა იწვევს უმაღლესი განათლების ტრადიციული ფუნქციების ფუნდამენტურ გადახედვას. ამერიკამ სახელმწიფო კონტროლი მინიმალურად შეამცირა უნივერსიტეტებზე და შესაბამისად, დაფინანსების საკითხის მოგვარება ძლიერ ბაზარს მიანდო. ევროპაში, უნივერსიტეტებისათვის საჭირო ავტონომიის ფარგლებში, სახელმწიფო წამყვან როლს ინარჩუნებს უნივერსიტეტების დაფინანსებასა და მათ ხელმძღვანელობაში. ამერიკული მოდელის წარმატება ბოლო ხანებში ამ მოდელს სულ უფრო მეტად პოპულარულს და მისაბაძს ხდის, თუმცა ევროპული მიმართულება ტრადიციის ერთგული რჩება. ისიც ფაქტია, რომ ამერიკული განათლების სისტემის წარმატება, განსაკუთრებით კვლევით საფეხურზე, "გარე რესურსების", "მსოფლიოს საუკეთესო ტვინების" აქტიურად მოზიდვითაცაა მნიშვნელოვნად განპირობებული.

მოცემული სცენარით, ყველაზე მეტი პრობლემა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემას სწავლების მაღალ საფეხურზე, კვლევასთან ურთიერთმიმართებაში უჩნდება. საეჭვოა ქართული უნივერსიტეტებიდან ბევრმა მოახერხოს ხარისხიანი სადოქტორო პროგრამების განხორციელება. ეს კი ნიშნავს, რომ საქართველოს უმაღლესი განათლების დაწესებულებათა უმრავლესობა მხოლოდ ერთ ან ორსაფეხუროვან სწავლებას თუ განახორციელებს მომავალში. გამოსავალია სისტემის შექმნა, რომლის უნივერსიტეტების ქსელშიც სადოქტორო პროგრამებით თუნდაც მინიმალური რაოდენობის, მაგრამ ხარისხიანი კვლევა განხორციელდება სახელმწიფო დაფინანსებით. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს რამდენიმე, თუნდაც ერთი კვლევითი ფუნქციის მქონე სახელმწიფო უნივერსიტეტის შენარჩუნებას და კვლევების დაფინანსებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, არის საფრთხე, თუნდაც იმ კერძო უნივერსიტეტებში, რომლებიც ეფექტურად განახორციელებენ შიდა მენეჯმენტს, ისევე როგორც რესურსების მოძიებას, უარი თქვან კვლევით კომპონენტზე, რადგან ამ კომპონენტის დაფინანსება ყველაზე დიდ თანხებთანაა დაკავშირებული და ხშირად, ყველაზე ნაკლებ მომგებიანია. ეს კი გვიბიძგებს, ჩამოვყალიბდეთ პერიფერიულ სისტემად, რომლის უნივერსიტეტებიც ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საფეხურების შემდეგ შესაბამისი სადოქტორო პროგრამების შეთავაზებას ვერ მოახერხებს. ეს კი ისევ გონებრივი რესურსების კარგვას და ქვეყნის ინტელექტუალური განვითარების შეფერხებას გამოიწვევს.

მსგავსი პრობლემების წინაშე არა თუ საქართველო, ბოლონიის მონაწილე ცენტრალური და დასავლეთ ევროპის ქვეყნებიც კი დგანან. ჩრდილოეთ ევროპის წამყვანი უნივერსიტეტები ევროპის ფარგლებში გონებრივი პოტენციალის მიზიდვის საფუძველზე, სავარაუდოდ, არათანაბარი კონკურენციის პირობებში ჩააყენებენ "სამხრეთულ" უნივერსიტეტებს. საერთო საგანმანათლებლო სივრცეში ყოფნა კი არ უნდა გულისხმობდეს ეროვნულ, ისევე როგორც ინსტიტუციონალურ დონეზე უნივერსიტეტების მიერ საკუთარი ფუნქციების დათმობის, კონკურენციაზე უარის თქმის და განვითარების შეწყვეტის პერსპექტივას.

5. ურთიერთმიმართება ქართული უნივერსიტეტების ფუნქციონირების ძირითად განზომილებებს შორის

შესავალში უკვე აღინიშნა,. რომ უნივერსიტეტებს, უმაღლესი განათლების სისტემის შიგნით, უწევთ რამდენიმე თანამკვეთი და ურთიერთწინააღმდეგობრივი განზომილების ჭრილში ფუნქციონირება. ამ განზომილებებიდან ყველაზე მკაფიოდ ამოსაცნობია გლობალური, რეგიონული, ეროვნულ-კულტურული და პოლიტიკურ-ეკონომიკური განზომილებები. განზომილებებს შორის, ლოგიკურია, რომ არსებობს გარკვეული იერარქია (იხ. ნახ.1) **გლობალური > რეგიონული> პოლიტიკურ/ეკონომიკური - ეროვნულ-კულტურული განზომილებების** სავარაუდო სქემით; ხოლო ისეთი ძირითადი პროცესები უმაღლეს განათლებაში, როგორიცაა გლობალიზაცია, რეგიონალიზაცია, მასიფიკაცია, მარკეტიზაცია, ინტერნაციონალიზაცია და დივერსიფიკაცია, ამ განზომილებების არეალში, მათი ურთიერთქმედების შესაბამისად, სხვადასხვა ინტენსივობითა და მასშტაბებით მიმდინარეობს სხვადასხვა სისტემის უნივერსიტეტებში.

მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტების ფუნქციონირების ძირითად განზომილებებს შორის იერარქიის ზოგადი სქემა მკაფიოა, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ შესაძლებელია ამ განზომილებების განხილვა ერთ საერთო სიბრტყეზეც, რადგან ერთგვარი წნეხი განზომილებებს შორის არ არის ცალმხრივი და მათი ურთიერთქმედება განსაზღვრავს უმაღლესი განათლების სფერსოთვის იმ ლოკალურ კლიმატს, რომელშიც ფუნქციონირებს ესა თუ ის უნივერსიტეტი.

რამდენადაც ჩვენი განხილვის საგანია ქართული უნივერსიტეტები არსებულ ეტაპზე, შეგვიძლია ავაგოთ სქემა ქართული უნივერსიტეტების ფუნქციონირების განზომილებებს შორის ურთიერთმიმართების განსაზღვრისათვის.

სურ. 7 :



მოცემულ სქემაზე, ლოგიკური ურთიერთმიმართებები განზომილებებს შორის გამოსახულია ისრებით (გავლენიანი განზომილებიდან - გავლენის მიმღები განზომილების მიმართულებით). მკაფიოა, რომ წნეხის მთავარი მიმღებია უნივერსიტეტების ფუნქციონირების პოლიტიკურ-ეკონომიკური განზომილება, რამდენადაც მასზე გავლენას ახდენს როგორც უმაღლესი განათლების გლობალური არეალი, ასევე რეგიონული (ევროპული) სივრცე და ლოკალური, ეროვნულ-კულტურული განზომილება, რომელიც ტრადიციების და მყარი ფასეულობების მომცველია და ხშირად შეუსაბამობაში მოდის თანამედროვე ტენდენციებთან.

თავის მხრივ, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ეკონომიკურ-პოლიტიკური განზომილება უმთავრესია უნივერსიტეტების რეფორმირების და ცხოვრების ახალ რეჟიმთან ადაპტაციის პროცესში. ახალ რეჟიმში, პირველ რიგში, იგულისხმება განათლების სფეროს კომერციალიზაცია. თუ ისტორიულ ჭრილში, უმთავრესად, უნივერსიტეტები არ განიხილებოდა, როგორც მოგებაზე ორიენტირებული დაწესებულებები, და დღესაც, ძირითადად ინარჩუნებენ არამომგებიანი ორგანიზაციების სტატუსს, რეალურად, სფერო აღიქმება, როგორც კომერციული ურთიერთობებისთვის გახსნილი. ეკონომიკური ასპექტის პოლიტიკურთან დაწყვილება განპირობებულია საბაზრო ეკონომიკის პირობებში შეუძლებლობით, პოლიტიკური გადაწყვეტილებები მიღებული იქნას ეკონომიკურ საკითხებზე კონცენტრაციის გარეშე.

ფაქტიურად, საბაზრო ეკონომიკის პირობებში პოლიტიკა ერთგვარი დამცავი ფარია თავისუფალი საბაზრო ურთიერთობებისათვის, პროცესში ხარისხის უზრუნველყოფის გარკვეული მექანიზმების ჩართვით.

5.1 ურთიერთმინართება უნივერსიტეტების ფუნქციონირების გლობალურ, რეგიონულ და ეროვნულ-კულტურულ განზომილებებს შორის

უმაღლესი განათლების სფერო, სხვა ნებისმიერი მნიშვნელოვანი სფეროს მსგავსად, კომპლექსური სისტემის სფეროა (Stephen Wolfram, 01.1985, Princeston) და მისი შესწავლა სხვადასხვა ასპექტის ღრმა შესწავლას საჭიროებს; განსხვავებული ეროვნული სისტემებისათვის კი მსგავსი კვლევები, ანთროპოლოგიური სიღრმეებიდან დაწყებული, საინფორმაციო ტექნოლოგიების განსხვავებული როლით დამთავრებული, ასპექტთა განსხვავებულ ინვარიანტებს უნდა მოიცავდეს. თუმცა, ცოდნის გაცემისა და მიღების სფეროში კონცეპტუალური ცვლილებები მსოფლიო მასშტაბით დღეს ქმნის ერთგვარ საერთო რეჟიმს, რომელზეც უნივერსიტეტები გადავიდა და კვლავაც აგრძელებს ”გადაწყობას”. უმაღლესი განათლების სფეროსთვის გლობალური განზომილება მოიცავს ყველა იმ ძირითად პროცესს, რომელიც მიმდინარეობს უნივერსიტეტებში მსოფლიო მასშტაბებით. ამოსავალი პრინციპი აქ მაინც მარკეტიზაციაა - უმაღლესი განათლების სფეროს ათვისება, როგორც ბაზრის ერთ-ერთი მომგებიანი სეგმენტის. სხვადასხვა ეროვნულ სისტემას, 90-იანი წლებიდან მოყოლებული, აქვს განსხვავებული ტემპი და პრობლემები აღნიშნულ რეჟიმთან ადაპტაციის პროცესში. მთელი რიგი კულტურების შიგნით, სადაც საუკუნეების მანძილზე უნივერსიტეტი, კლასიკური გაგებით, არ წარმოადგენდა მძლავრ ინსტიტუციას, მთავარი პრობლემა შეიძლება იყოს არა ბაზარზე ორიენტირებული აზროვნების მიღება უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებით, არამედ სამომხმარებლო ურთიერთობების განვითარება; სხვანაირად რომ ვთქვათ, პოპულაციის დაინტერესება ცოდნის, როგორც პროდუქტის მიღებით.

საქართველოს შემთხვევაში საქმე გვაქვს საკმაოდ რთულ ფენომენთან - უმაღლესი განათლებით დაინტერესება იყო და დღესაც არის საკმაოდ მაღალი; ამასთან, კომერციული ურთიერთობები, ყოველგავრი თეორიული ანალიზის გარეშე, ცალკეული

პრაქტიკული ინიციატივებით, სწრაფად აითვისეს და დაამკვიდრეს ახალი ტიპის რექტორებმა/მენეჯერებმა საბჭოთა კავშირის რღვევის პირველივე წლებიდან. მოცემულ პირობებში, ქართულ უნივერსიტეტებს არ უნდა გაჭირვებოდა გლობალურ განზომილებაში ფუნქციონირება, თუმცა ფორმალურად, მან მიიღო რეგიონული(ევროპული) განზომილება, როგორც მთავარი სამოქმედო არეალი. ეს პირველ რიგში, განპირობებული იყო ქართული უნივერსიტეტების ეროვნულ-კულტურული განზომილების თავისებურებებით. საქართველოში სახელმწიფო უნივერსიტეტებს ხანგრძლივად გააჩნდა ელიტარული ბუნება და მყარი ფასეულობები, რომელთა რღვევა, ბაზარზე ორიენტირებულ რეჟიმში ჩართვის პროცესში იყო და არის ზედაპირულად მგრძნობიარე. ვგულისხმობ "ზედაპირულად", რადგან უნივერსიტეტები, როგორც გამძლე ინსტიტუციები ფლობენ შინაგან ინერციას, მიიღონ გარდაუვალი ცვლილებები შემდგომი ფუნქციონირებისათვის. ამ პროცესში არც ქართული სახელმწიფო უნივერსიტეტებია გამონაკლისი. თუმცა, აკადემიური ოლიგარქიის გარდაქმნა ცოდნის "სერვისის" მიმწოდებელ კატეგორიად, დღსაც მტკივნეულად აღიქმება. ამავდროულად, "მომხმარებელი", ანუ უმაღლესი განათლების მიღებაში დაინტერესებული საზოგადოება, ერთი მხრივ, მზადაა ჩაერთოს ახალ ურთიერთობებში, რამდენადაც უმაღლესი განათლების პოპულარობა საქართველოში დღესაც ურყევი ფენომენია; ხოლო მეორე მხრივ, საზოგადოებას უჭირს აღიაროს სფეროს კომერციალიზაციისა და მასიფიკაციის მასშტაბები, რადგან უმაღლესი განათლება მათთვის ტრადიციულ, ელიტარულ ღირებულებად რჩება. ამ პირობებში, ქართული უნივერსიტეტებისთვის, ევროპული განზომილება ის არეალია, რომელშიც ხდება გლობალური და ეროვნულ-კულტურული განზომილებების ურთიერთგადაკვეთა ნაკლები მტკივნეულობით.

საქართველოს მაგალითზე მკაფიოა, რომ გლობალურ განზომილებაში მონაწილეობა ხდება რეგიუნული (ევროპული განზომილების) ფარგლებში. ანუ, ნომინალურად, საქართველოს სამთავრობო პოლიტიკა და სისტემური ცვლილებები უმაღლეს განათლებაში გამიზნულია ერთიან ევროპულ სივრცეში გაწევრიანებისაკენ, თუმცა თავის მხრივ, სფეროს მკვლევარებისთვის მკაფიოა, რომ ევროპული სივრცეც,

გლობალური მიმართულებების ზეგავლენას განიცდის. ამას მოწმობს ნაკლები მასშტაბებით, მაგრამ მაინც, კერძო სექტორის მკაფიო გამოჩენა განათლების ევროპულ სივრცეში; ამარიკულ უმაღლეს განათლებასთან მიახლოებული სქემატური ცვლილებები კვალიფიკაციებთან დაკავშირებით და ა.შ.

საქართველოს კანონში უმაღლესი განათლებსი შესახებ, ვკითხულობთ:

”(მუხლი 3) 1. საქართველოში უმაღლესი განათლების ძირითადი მიზნებია:

ა) ქართული და მსოფლიო კულტურის ღირებულებების ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობა, დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტაცია, რომლებიც აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების არსებობისა და განვითარებისათვის”

და აქვე - ”2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად სახელმწიფო უზრუნველყოფს: ..... ე) სწავლის, სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო და კვლევით სივრცეში, აგრეთვე თანამშრომლობის სხვა საერთაშორისო სისტემებში სრულუფლებიან მონაწილეობას.”

კანონის აღნიშნულ პუნქტებში მკაფიოდ ჩანს გლობალური, ევროპული და ეროვნული განზომილებების ის საერთო არეალი, რომელიც კანონითაა განსაზღვრული თანამედროვე ქართული უნივერსიტეტების ფუნქციონირებისათვის.

5.2 ურთიერთმიმართება უნივერსიტეტების ფუნქციონირების პოლიტიკურ-ეკონომიკურ და ეროვნულ-კულტურულ განზომილებებს შორის:

რეგიონული (ევროპული განზომილება) ერთგვარ განმუხტვის არეალს ქმნის ქართული უნივერსიტეტების ფუნქციონირების პოლიტიკურ-ეკონომიკურ და ეროვნულ-კულტურულ განზომილებებს შორის, რომლებიც ერთი შეხედვით, ურთიერთწინააღმდეგობრივია უმაღლესი განათლების სფეროს მარკეტიზაციის პროცესში. ფორმალურად, საქართველოს მთავრობა ინარჩუნებს მთავარ ბერკეტებს სფეროს კოორდინაციისთვის, თუმცა არსებული რეგულაციები ზრდის უმაღლესი განათლების მარკეტიზაციის მასშტაბებს.

დღეს საქართველოში ბევრი წარმატებული უნივერსიტეტი სწორედ კერძო უნივერსიტეტია. სახელმწიფო რესურსის სიმწირის პირობებში ეს ლოგიკურიცაა, თუმცა მყარი აკადემიური ტრადიციები, ეროვნულ-კულტურული განზომილების შიგნით, ერთგვარად განაპირობებს სახელმწიფოს მცდელობას, ფორმალურად მაინც შეინარჩუნოს წამყვანი ფუნქცია უმაღლესი განათლების კოორდინაციაში.

დასავლური თეორიების მიხედვით, უმაღლესი განათლების სფეროს კოორდინაციაში წამყვანი ფუნქციის შენარჩუნებისთვის სახელმწიფოს სჭირდება ეფექტურად გამოიყენოს პოლიტიკის გატარების ოთხი პოპულარული ინსტრუმენტი: სახაზინო (დაფინანსება), ძალაუფლება (ოფიციალური საკანონმდებლო უფლებამოსილება), ორგანიზება (მართვის მექანიზმების გაუმჯობესება) და ნოდალობა (საინფორმაციო გზების გამოყენება საზოგადოებასთან ეფექტური კომუნიკაციისათვის) (Hood, 1983)). სახელმწიფოსთვის, ამა თუ იმ სფეროს რეფორმირების პროცესში, ხშირად ამოსავალი განზომილება ის პოლიტიკურ-ეკონომიკური არეალია, რომელშიც მთავრობას უწევს ქვეყნის მართვა, თუმცა ამ მართვის წარმატებით განხორციელებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქვეყნის ეროვნულ-კულტურული განზომილების და მასში ნაგულისხმები ფასეულობებისა და ღირებულებების სისტემის თავისებურებების გათვალისწინება.

უმაღლესი განათლების (როგორც ჯანდაცვის სფეროს) ინტეგრაცია საბაზრო პრინციპებით მართულ სისტემებში საქართველოში საკმაოდ მტკივნეულად მიმდინარეობს. ხანგრძლივი დროის მანძილზე უმაღლესი განათლება ქართველებისთვის ასოცირდებოდა იდეალიზმთან ად ელიტურობასთან და დღეს ძნელად თავსდება მარკეტიზაციის და პირველ რიგში, მასიფიკაციის ფენომენთან. ქართველებს არ სჯერათ, რომ შესაძლებელია უმაღლესი განათლების ხარისხის შენარჩუნება უნივერსიტეტების რიცხვობრივი ზრდის პირობებში. პარადოქსულია ის, რომ მეორე მხრივ, საქართველოში მოთხოვნა უმაღლეს გათლებაზე, ძალიან მაღალია, რაც სისტემის სწორედ კომერციალიზაციის და მასიფიკაციის სწრაფ ტემპებს თავად განაპირობებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საქართველოს მოქალაქეებს არ სჯერათ დღევანდელი უმაღლესი განათლების ხარისხიანბის, თუმცა სურთ მასში მონაწილეობა.

საბაზრო ურთიერთობები კი, უნივერსიტეტების შემთხვევაშიც, მოთხოვნა-მიწოდების მარტივი პრინციპით ყალიბდება.

გლობალური მასშტაბებით, ნებისმიერი ეროვნული სისტემის შიგნით, უნივერსიტეტების ფუნქციონირების სამომხმარებლო რეჟიმზე გადასვლა ნიშნავს სახელმწიფოს მხრიდან აღიარებას, რომ უმაღლესი განათლების კოორდინაციაში საზოგადოება (მომხმარებელი) წამყვანი დაინტერესებული მხარეა. დაინტერესებული მხარეების განზომილებებთან იდენტიფიცირება არასწორი მიდგომა იქნებოდა, თუმცა აშკარაა, რომ სახელმწიფოსთვის, ნებისმიერ სეფეროში, წამყვანია პოლიტიკურ-ეკონომიკურ განზომილებაში ორიენტირება, მაშინ, როდესაც საზოგადოება, ნომინალურად მაინც, ცვლილებების მიმართ სწორედ ეროვნულ-კულტურული არეალის რეზისტენტულობას ემხრობა. ამრიგად, უნივერსიტეტების ფუნქციონირებისათვის ურთიერთწნეხი პოლიტიკურ-ეკონომიკურსა და ეროვნულ-კულტურულ განზომილებებს შორის მკაფიოა. თუმცა, გლობალიზაცია, ევროპეიზაციის გავლით ფარავს უნივერსიტეტების ფუნქციონირების ეროვნულ-კულტურულ არეალს, რაც თავის მხრივ, ამცირებს ეკონომიკურ-პოლიტიკური განზომილებისაკენ მიმართულ წნეხს.

მიუხედავად მცდელობებისა, გახდეს კონკურენტუნარიანი საერთაშორისო ასპარეზზე, საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის მასშტაბებიდან გამომიდინარე, მის პოლიტიკურ-ეკონომიკურ და ეროვნულ-კულტურულ განზომილებებს მხოლოდ ცალმხრივი კავშირი აქვთ გლობალურ და ევროპულ სივრცესთან და უკუქმედება აქ მინიმალურია.

უნივერსიტეტების ფუნქციონირების ეროვნულ-კულტურული განზომილების უცნაურობად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ საქართველოში, უმაღლესი განათლების სისტემის კოორდინაციის სამომხმარებლო რეჟიმზე გადასვლა დღეისთვის კვლავ მოკლებულია სწორედ სამომხმარებლო საზოგადოების რაციონალიზმის, რომელიც ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპია საბაზრო ეკონომიკაში. საქართველოში არის ძალიან სუსტი შრომითი ბაზარი, თუმცა ამ პირობებშიც მაღალია მოთხოვნა

უმაღლეს განათლებაზე, რაც სწორედ ლოკალური ეროვნულ-კულტურული განზომილების თავისებურებებიდან გამომდინარეობს.

უნივერსიტეტები, როგორც ცალკე დაინტერესებული მხარე, მეგა-განზომილებებზე მეტად (გლობალური და რეგიონული), სწორედ ამ ორ ლოკალურ განზომილებას შორის (პოლიტიკურ-ეკონომიკური და ეროვნულ-კულტურული) მოქცეული მოთამაშეა, რომელიც თანადროულად ხელმძღვანელობს სახემწიფო რეგულაციებითა და საზოგადოების მხრიდან არსებული დაკვეთებით. უნივერსიტეტებს კანონით აქვთ გარანტირებული გარკვეული ავტონომიურობა. კანონში უმაღლესი განათლების შესახებ, ტერმინთა განმარტებაში ვხვდებით ჩანაწერს: ”ავტონომია – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და მისი ძირითადი ერთეულის თავისუფლება, დამოუკიდებლად განსაზღვროს და განახორციელოს აკადემიური, საფინანსო-ეკონომიკური და ადმინისტრაციული საქმიანობა.” ავტონომიურობის ცნება ეხება როგორც კერძო, ასევე საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს. ამ ტერმინს შემდგომ ვხვდებით საქართველოს უმაღლესი განათლების მიზნებში (პუნქტი”ვ”). თუმცა, მოცემული ჩანაწერი ზუსტად არ განმარტავს ავტონომიის მასშტაბებს. სახელმწიფოს მხრიდან არის პერიოდული მცდელობები გააკონტროლოს სახელმწიფო უნივერსიტეტების მიერ წარმოებული ფინანსური ოპერაციები. კანონის მოქმედი ვერსიის თანახმად, ”საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილი კოლეგიური ორგანო, რომელიც ახორციელებს ამ კანონით გათვალისწინებულ ზედამხედველობით უფლებამოსილებებს სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობასთან დაკავშირებით (თავი 1, მუხლი 2, ჰ-37) ” არის რეგენტთა საბჭო. მუხლი 22 -1 სრულად ასახავს რეგენტთა საბჭოს როლს სახელმწიფო უნივერსიტეტების მართვაში, რაც მკაფიოდ გამოხატავს ორგანოს ზედამხედველობით ბუნებას. მის უფლებამოსილებაში შედის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დანიშვნა - (მუხლი 22-1, 5-ა) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრულ კოლეგიურ ორგანოს დასამტკიცებლად წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურას. კოლეგიური ორგანოს მიერ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის

კანდიდატურის ზედიზედ ორჯერ დაუმტკიცებლობის შემთხვევაში ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ნიშნავს რეგენტთა საბჭო. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურის შერჩევის წესს ადგენს რეგენტთა საბჭო;" 5-ბ)ამტკიცებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბიუჯეტს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით; ამასთანავე, დამტკიცებული ბიუჯეტის მუხლობრივი განწერის 15 პროცენტზე მეტის ცვლილების შემთხვევაში აუცილებელია რეგენტთა საბჭოს თანხმობა. სხვა ცვლილების შეტანა ხდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კოლეგიური ორგანოს მიერ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით; გ) ამტკიცებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წლიურ ანგარიშს; დ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კოლეგიური ორგანოს წარდგინებით ითანხმებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების ფონდის დირექტორის კანდიდატურას, რომელსაც ნიშნავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კოლეგიური ორგანო; ე) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს, რაც არ უნდა იწვევდეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თავისუფლების შეზღუდვას.

ამრიგად, შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმაზე, რომ კანონის მიერ დეკლარირებული "ავტონომიის" განმარტება წინააღმდეგობრივია კანონშივე განსაზღვრულ "რეგენტთა საბჭოს" ცნებასა და მის უფლებამოსილებებთან. ეს წინააღმდეგობრიობა სწორედ უნივერსიტეტების ფუნქციონირების პოლიტიკურ-ეკონომიკურ და ეროვნულ-კულტურულ განზომილებებს შორის არსებულ ერთგვარ, დაძაბულობის ველს ასახავს. აკადემიურ წრეებში პოპულარული, "ჰუმბოლდტისეული" უნივერსიტეტისათვის მნიშვნელოვანი ავტონომიურობის ცნების არსებობა ქართულ კანონმდებლობაში სწორედ კულტურული ასპექტია და ის მნიშვნელოვანი ცნებაა უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეშიც. თუმცა, ეკონომიკური ასპექტი, იმის გათვალისწინებით, რომ დღევანდელ რეალობაში სახელმწიფო უნივერსიტეტებისათვის ძირითადი დაფინანსების წყარო საბიუჯეტოა (მუხლი 79) და უმთავრესად დამოკიდებულია

სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით გრანტებზე: **(მუხლი 82; 1. სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და დადგენილ ვადებში გადასცემს იმ ოდენობის თანხას, რომელიც შეესაბამება ამ დაწესებულების სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის მქონე სტუდენტთა საერთო რაოდენობას.)** ეჭვგარეშეა, რომ მოცემულ ეტაპზე, სახელმწიფო პასუხსმგებელია და ერთადერთი სუბიექტიცაა, თავის თავზე აიღოს სახელმწიფო უნივერსიტეტების რეფორმირება და დაფინანსება ყველა საჭირო დონეზე მანამდე მაინც, ვიდრე საბაზრო მიმართულება, გარე დაფინანსების წყაროების ძიების, შიდა ინსტიტუციონალური მძლავრი მენეჯმენტის და უნივერსიტეტებს შორის საღი კონკურენციის პირობები არ იქნება უზრუნველყოფილი. თუმცა, სასწავლო გრანტების ოდენობა საკმაოდ შეზღუდულია, ხოლო ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არსებობს ჯანსაღი გარემო სტუდენტური სესხების მექანიზმის ამუშავებისათვის. ამ პირობებში, ხარისხიანი უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის საყოველთაო ხასიათი, რომელიც ასევე კანონმდებლობითაა გაცხადებული, ვერ იქნება გარანტირებული, ხოლო სახელმწიფო უნივერსიტეტების ფინანსურ მდგომარეობა საკმაოდ რთულ ვითარებაში დგება გრანტის მფლობელ სტუდენტთა რაოდენობაზე დამოკიდებული დაფინანსების პირობებში და შესაძლოა, გრძელვადიან პერქპექტივაში შეასუსტოს სახელმწიფო უნივერსიტეტების კონკურენტუნარიანობა კერძო სექტორთან მიმართებაში. წარმატებული კერძო უნივერსიტეტები სულ უფრო პოპულარული ხდება ეროვნულ გამოცდებში უმაღლესი ქულების მფლობელ აბიტურიენტთა შორის, რომლებიც ოჯახური ფინანსებით ავსებენ სხვაობას კერძო უნივერსიტეტებში სწავლების გადასახადსა და სახელმწიფო გრანტით გათვალისწინებულ თანხას შორის.

ამრიგად, ფაქტია, რომ ამ ეტაპზე მთავრობა ცდილობს საგულდაგულოდ გააკონტროლოს სახელმწიფო უნივერსიტეტების საბიუჯეტო ფინანსები, რათა თავიდან აიცილოს უნივერსიტეტების შიგნით რესურსების არამიზნობრივი ხარჯვა (საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული, აკადემიური ოლიგარქიის პირობებში ამის ღრმა საფუძველი არსებობდა), თუმცა, ფორმალურად მაინც აცახდებს უნივერსიტეტებს ავტონომიურ ერთეულებად.

უნივერსიტეტების ავტონომიურობის დაბალი ხარისხის მაჩვენებელი არსებულ ეტაპზე უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმის, ანუ აკრედიტაციის მუშაობის პრინციპებიც.

კანონის მიერ აკრედიტაცია განსაზღვრულია, როგორც: (თავი 1, მუხლი 2; თ) აკრედიტაციის სტანდარტებთან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის განსაზღვრის პროცედურა, რომლის მიზანია განათლების ხარისხის ასამაღლებლად სისტემატური თვითშეფასების დამკვიდრება და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარების ხელშეწყობა და რომელთანაც დაკავშირებულია სახელმწიფო დაფინანსების მიღება, ასევე ამ კანონით გათვალისწინებული ზოგიერთი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება". ჩანაწერში ჩანს ურთიერთკავშირი აკრედიტაციასა და სახელმწიფო დაფინანსებას შორის, რაც კანონის მიხედვით, ვრცელდება როგორც საჯარო, ასევე კერძო სამართლის იურიდიულ პირებზე. თავი 10, მუხლი 62, 3. "სახელმწიფო სასწავლო გრანტი და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი გაიცემა მხოლოდ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების იმ საგანმანათლებლო პროგრამის დასაფინანსებლად, რომელსაც გავლილი აქვს აკრედიტაცია." ასევე განსაზღვრულია აკრედიტაციის ვადები, რეგულირებად პროგრამებთან მისი მიმართება, ჩატარების წესები და კონტროლის მექანიზმი.

კანონის თანახმად (თავი 10, მუხლი 63, 7), "განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი აკონტროლებს აკრედიტაციის პირობების შესრულებას. მათი დარღვევის შემთხვევაში იგი უფლებამოსილია მიმართოს აკრედიტაციის საბჭოს აკრედიტაციის გაუქმების მოთხოვნით." - აქედან მკაფიოა, რომ სახელმწიფო. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მეშვეობით, თავის თავზე იღებს როგორც აკრედიტაციის განმახორციელებლის, ასევე აკრედიტაციის პირობების შესრულების მაკონტროლებელ ორგანოს. პრაქტიკულად, რიგ შემთხვევებში, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი თავად მიმართავს საკუთარ საბჭოს აკრედიტაციის გაუქმების მოთხოვნით. თუმცა, კანონი ითვალისწინებს თავად უსდ-ების მიერ ხარისხის კონტროლისათვის იურიდიული პირის შექმნას: (თავი 10,

მუხლი 63, 7) ”უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, მათ შორის, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, უფლება აქვთ, ხარისხის კონტროლის მიზნით ერთობლივად დააფუძნონ კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომლის შეფასებები შესაძლებელია განიხილოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის მსვლელობისას.”

ამ შემთხვევაში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები თავადაა დაინტერესებული მხარე სასწავლო პროცესის უწყვეტობაში და ნაკლებად სავარაუდოა, უსდ-ებმა საკუთარ ხარვეზებზე გააკეთონ განაცხადი ერთობლივად დაარსებული იურიდიული პირის მიერ. კანონში არ არსი განმარტებული, რას გულისხმობს ეს ”ერთობლიობა”, რამდენადაც პრაქტიკაში ნაკლებ სავარაუდოა მსგავსი ორგანოს დაარსების შემთხვევაში მასში აგერთიანებული იყოს საქართველოში ფუნქციონირებადი თითოეული უმაღლესი საგანმანათლებლო ადწესებულება; ხოლო თუ ასეთი იურიდიული პირი გამორიცხავს უსდ-ების ნაწილის ჩართულობას, მაშინ საქმე გვექნება ინტერესთა კონფლიქტთან - ხარისხის მაკონტროლებელი იურიდიული პირის დამფუძნებლებს ლოგიკური ინტერესი ექნებათ აკრედიტაციის ცენტრს წარუდგინონ არასახარბიელო ანგარიში მთელი რიგი უსდ-ების მიერ განხორციელებული პროგრამების შესახებ.

ობიეტურობის ხარისხი უკეთ იქნებოდა გარანტირებული, თუკი კანონით დაშვებული შესაძლებლობა, არსებობდეს სახელმწიფოს დაქვემდებარების გარეთ - ხარისხის მაკონტროლებელი თავისუფალი ორგანო, არ დაეფუძნებოდა უსდ-ების ბაზას და იქნებოდა დამოუკიდებელი. ამისი პრაქტიკა ხშირია დასავლეთში. უფრო მეტიც, ხშირად აკრედიტაციის ცენტრები თვითონაა დამოუკიდებელი სააგენტოები და მათ მიერ გაცემული აკრედიტაციის სერტიფიკატი გაიცემა მხოლოდ უნივერსიტეტების მიერ აკრედიტაციის პროცედურების ნებაყოფლობით გავლის საფუძველზე. ამ შემთხვევაში ამა თუ იმ სააგენტოს მიერ მინიჭებული აკრედიტაციის სერტიფიკატის ფლობა უნივერსიტეტებისთვის მხოლოდ პრესტიჟის საკითხია და გამოყენებულია აბიტურიენტთა მისაზიდად. სახელმწიფოს მიერ გაცემულ დაფინანსებასთან ის არ არის

პირდაპირ კავშირში. განვითარებული საგანმანათლებლო ბაზრის მქონე ქვეყნებისათვის მსგავსი მექანიზმის არსებობა გასაგებია, თუმცა ლოგიკურია ისიც, რომ საქართველოს მთავრობა, რომელიც ისედაც მწირ ბიუჯეტს ხარჯავს განათლების სფეროზე, ცდილობს აკრედიტაციის მექანიზმის მეშვეობით უნივერსიტეტების მიერ განხორციელებული იმ პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფას, რომლის დასაფინანსებლადაც გაიცემა სახელმწიფო გრანტი. თუმცაღა, ევროპეიზაციის და გლობალიზაციის პირობებში და ავტონომიურობის ფარგლებში, უნივერსიტეტებში მიმდინარეობს აქტიური პროგრამული დივერსიფიკაცია, რაც ახალი, განსხვავებული პროგრამების შემუშავებას და განხორციელებას გულისხმობს. ეს პროგრამები, თავისი სასწავლო გეგმითა და შინაარსით, უმთავრესად პროგრამის ავტორებზე - ლექტორებზეა დამოკიდებული და სპეციფიურ თემატიკას მათი კვალიფიკაცია, ინდივიდუალური კვლევები და ინტერესები განაპირობებს. პროგრამული აკრედიტაცია თავისთავად ძალიან რთული პროცედურაა და საჭიროებს სფეროს ექსპერტებს, რომლებსაც საფუძვლიანად შეუძლიათ ამა თუ იმ პროგრამის განხორციელებაში გამოყენებული სასწავლო მასალის შესწავლა და შეფასება. ხშირად ეს პროცედურა ფორმალურია და პროგრამის სიღრმეებში წვდომას ვერ უზრუნველყოფს. შედეგად, პროგრამული აკრედიტაცია (რეგულირებადი პროგრამების მიღმა) შეიძლება განვიხილოთ, როგორც ხელოვნური ბარიერი, რომელიც ფორმალურად ამცირებს კერძო და საჯარო იურიდიული პირების მიერ პროგრამული დაფინანსების მიღების შანსს და გარკვეული საბიუჯეტო დეფიციტის პირობებში შესაძლებელია სახელმწიფოს მიერ გამოყენებული იქნას ბარიერის გაძლიერების მზინით.

ამასთან, აკრედიტაციის პროცედურას წინ უსწრებს ნებისმიერი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ფუნქციონირების უფლების მოპოვებისათვის საჭირო ავტორიზაციის პროცედურა: (თავი 8, მუხლი 56-1; 1.) ” 1. ავტორიზაცია არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების პროცედურა, რომლის მიზანია სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გასაცემად შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სტანდარტების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა.” ავტორიზაციის სტანდარტები

მოიცავს (მუხლი 56-1; 2,3) საგანმანათლებლო პროგრამებს, მატერიალურ რესურსებსა და ადამიანურ რესურსებს. მისი ვადაა 5 წელი და ხორციელდება კვლავაც განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებით დადგენილი წესით. ამ შემთხვევაში, ავტორიზაციის მინიჭება ამა თუ იმ უნივერსიტეტისათვის უნდა გულისხმობდეს მის მიერ განხორციელებული პროგრამების გამართულობის აღიარებასაც. ამ შემთხვევაში მკაფიოა, რომ დამატებით, პროგრამული აკრედიტაციის გავლის მოთხოვნა (არარეგულირებადი პროგრამების გარდა) პროგრამული დაფინანსების მისაღებად, სახელმწიფოს მხრიდან არის უნივერსიტეტებისათვის გაცემული საბიუჯეტო დაფინანსების დამატებითი კონტროლის მექანიზმი. ფორმალურად, ქართული კანონმდებლობა ხელს უწყობს კერძო სექტორის განვითარებას და სახელმწიფო დაფინანსების მოპოვების შანსებს თანაბრად სთავაზობს სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტებს, თუმცა პროცედურულად ამ ფინანსების მოპოვება პროგრამული აკრედიტაციის მოთხოვნის საფუძველზე. აქ სწორედ უნივერსიტეტების ფუნქციონირების გლობალურ და ეკონომიკურ-პოლიტიკურ განზომილებებს შორის არსებულ ურთიერთწინააღმდეგობრივ ველს ვეხებით - ცუდად განვითარებული ბაზრის პირობებში, გლობალიზაციის ჭრილში, საქართველოს მთავრობა აღიარებს საჭიროებას, უმაღლესი განათლების სფერო გახსნილი იყოს კერძო სექტორისთვის და თავად ხელი შეუწყოს ამ სექტორის განვითარებას, თუმცა, მწირი რესურსების პირობებში, ხდება საპირისპირო - სახელმწიფოს არ ყოფნის ფინანსები, სრულყოფილად დააფინანსოს თუნდაც სახელმწიფო უნივერსიტეტები. სასწავლო გრანტით გათვალისწინებული მაქსიმალური დაფინანსება სტუდენტისთვის (100%-იანი გრანტის შემთხვევაში) - 2 250 ლარი, პოპულარულ კერძო უნივერსიტეტებში სწავლის საფასურის მხოლოდ მცირე ნაწილს შეადგენს, მაშინ როცა ერთიან ეროვნულ გამოცდებში უმაღლესი შეფასებების მქონე აბიტურიენტთა დიდი ნაწილი კერძო უნივერსიტეტებში აგრძელებს სწავლას. სახელმწიფო უნივერსიტეტებს ერთი მხრივ, არ აქვს უფლება დააწესონ გრანტის მაქსიმალურ ოდენობაზე უფრო მაღალი გადასახადი (და უმაღლესი განათლების ღიაობის საყოველთაო ხელმისაწვდომობის პრინციპიდან გამომდინარე,

არც უნდა ქონდეთ ეს უფლება), ხოლო მეორე მხრივ, სახელმწიფოს მხრიდან არ იღებენ დამატებით ფინანსურ მხარდაჭერას იმისათვის, რომ გააძლიერონ საკუთარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ადამიანური რესურსები, უმაღლესი განათლების კერძო სექტორისთვის რეალური კონკურენციის გასაწევად.

მწირი საბიუჯეტო დაფინანსების პირობებში, ქვეყნისთვის, რომელიც ორიენტირებულია უმაღლესი განათლების ტრადიციის შენარჩუნებაზე, მისი ღიაბოს და ხელმისაწვდომობის პრინციპების უზრუნველყოფაზე, ალბათ ლოგიკური იქნებოდა სახელმწიფო უნივერსიტეტების რიცხობრიობის შემცირება (სახელმწიფო უნივერსიტეტების გამსხვილების პროცესს უქკვე ქონდა ადგილი საქართველოში) და პარალელურად, მცირე რაოდენობის, მაგრამ უკეთ დაფინანსებული საუნივერსიტეტო ბაზების გამართვა, სწავლისა და სწავლებისათვის უფრო მიმზიდველი გარემოს შექმნა, კვლევის მზარდი დაფინანსება და ადამიანური რესურსის განვითარების ხელშეწყობა სახელმწიფო უნივერსიტეტებში. კონკურენტუნარიანი კერძო სექტორი, რომელსაც შეუძლია თავად არეგულიროს საბაზრო ფასი მის იერ გაცემულ ცოდნაზე, როგორც პროდუქტზე, დამოუკიდებელი განვითარებისთვის მეტ პოტენციალს ფლობს, შეუძლია განკუთვნილი იყოს სპეციფიური სექტორისთვის - გადახდისუნარიანი აბიტურიენტებისთვის, ან მეტი საერთაშორისო სტუდენტუსთვის (ძირითადად ეს აზიის "ბაზარს" ეხება), სასწავლო გრანტით გათვალისწინებული სახელმწიფო დაფინანსების გარეშეც, თუმცა სახელმწიფოს შეუძლია შესთავაზოს კერძო უნივერსიტეტებს პრიორიტეტულ სფეროებში გახორციელებული პროგრამებისთვის, კვლევისთვის ან სხვა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ინიციატივებისათვის სახელმწიფო დაფინანსება და მხარდაჭერა. შესაძლებელია ეს გამხდარიყო მექანიზმი ძლიერი, კონკურეტუნარიანი სახელმწიფო უნივესრიტეტის ჩამოყალიბებაში და პარალელურად, კერძო უნივერსიტეტების განვითარების ხელშეწყობაში.

თუმცაღა, მკაფიოა, რომ საქართველოს კანონმდებლობა უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებით დღეისათვის ასახავს სწორედ იმ წინააღდეგობრივ არეალს, რომელშიც საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაა მოქცეული გლობალური, რეგიონული, ეკონომიკურ-პოლიტიკური და ეროვნულ-კულტურული განზომილებების

ურთიერთკვეთის შედეგად და მის შემდგომ ფორმირებაში, სავარაუდოდ, წამყვანი ისევ ქვეყნის ეკონომიკურ-პოლიტიკური მდგომარეობა იქნება. თუმცა, ამ ეტაპზე მკაფიოა რიგი ასპექტები უმაღლესი გაანთლების პოლიტიკაში, რომლებზეც გადამწყვეტი ზეგავლენა ეროვნულ-კულტურული განზომილებების თავისებურებებს აქვს. ამ შემთხვევაში "ეროვნულზე" მეტად, აკადემიური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ფასეულობებისა და ღირებულებების სისტემასთან გვაქვს საქმე, რომელიც ჰუმბოლდტისეულ იდეალებს უკავშირდება და დღემდე განსაკუთრებულად ძლიერია ევროპულ სივრცეში. საქმე ეხება აკადემიური საზოგადოების და ზოგადად, საზოგადოების მხრიდან უკურეაქციას უნივერსიტეტებში "ახალი მენეჯერული" სისტემის დანერგვის მიმართ, რაც ამერიკული უნივერსიტეტების მართვაში წარმატებით აპრობირებული მეთოდია. ის გულისხმობს უნივერსიტეტების მმართველებად გამოცდილი მენეჯერების დანიშვნას, რომლებისთვისაც არ არის სავალდებულო უმაღლესი აკადემიური ხარისხის ფლობა. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ გარკვეულ პერიოდში მოერგო ასეთი ცვლილების შესაძლებლობას, თუმცა აკადემიურ წრეებში და საზოგადოებაში ამ რეფორმას მოუმზადებლები შეხვდნენ. შედეგად, პოლიტიკის განმსაზღვრელთა მხრიდან კომპრომისის საფუძველზე, კანონის დღევანდელი რედაქცია კვლავაც განსაზღვრავს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორისათვის უმაღლესი აკადემიური ხარისხის მოთხოვნას: (თავი 4. მუხლი 22,, 4.: "სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (გარდა სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული სამხედრო, საპოლიციო, საზღვაო, სახელოვნებო-შემოქმედებითი და სასპორტო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა) რექტორობის კანდიდატად შეიძლება განისაზღვროს პირი, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და აკმაყოფილებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით დადგენილ პირობებს." ამდენად, ეროვნულ-კულტურულ განზომილებას, რომელიც მოცემულ შემთხვევაში ევროპულ განზომილებასთან თანხვედრაშია, აქვს თავისი მაკფიო მნიშვნელობა თანამედროვე რეფორმების პერიოდში.

აშკარაა, რომ მოცემულ ეტაპზე, მმართველობის ეფექტურად განხორციელებისათვის. საქართველო, როგორც მწირი სახაზინო ბერკეტის მქონე სახელმწიფო, ყველაზე ეფექტურად იყენებს კანონმდებლობას (ძალაუფლებრივ ბერკეტს).

ორგანიზება (უნივერსიტეტების მართვის მექანიზმების გაუმჯობესება მენეჯმენტის წესების ცვლის შედეგად), როგორც მმართველობის ბერკეტი, გარკვეული სახით გამოყენებულია სახელმწიფოს მიერ: რექტორის თანამდებობა სახელმწიფო უნივერსიტეტებში არჩევითია, თუმცა: თავი 4, მუხლი 22, 2: "სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის პირველი არჩევნების შედეგების დამტკიცებამდე ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელს ნიშნავს საქართველოს მთავრობა.", 3: "დაუშვებელია სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელი არჩეულ იქნეს ზედიზედ ორ ვადაზე მეტით, რაც არ უნდა აღემატებოდეს ძირითადი საგანმანათლებლო საფეხურის ხანგრძლივობის 2 ვადას."; ამასთან, რეგენტთა საბჭო, როგორც სახელმწიფო უნივერსიტეტებთან მიმართებაში მთავრობის მიერ ფორმირებული ზედამხედველობითი ორგანო, სწორედ ორგანიზაციული ბერკეტს წარმოადგენს და უფლებამოსილია: (მუხლი 22-1; 5: 5. რეგენტთა საბჭო: ა) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრულ კოლეგიურ ორგანოს დასამტკიცებლად წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურას. კოლეგიური ორგანოს მიერ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურის ზედიზედ ორჯერ დაუმტკიცებლობის შემთხვევაში ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ნიშნავს რეგენტთა საბჭო. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურის შერჩევის წესს ადგენს რეგენტთა საბჭო; ბ) ამტკიცებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბიუჯეტს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით; ამასთანავე, დამტკიცებული ბიუჯეტის მუხლობრივი განწერის 15 პროცენტზე მეტის ცვლილების შემთხვევაში აუცილებელია რეგენტთა საბჭოს თანხმობა. სხვა ცვლილების შეტანა ხდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კოლეგიური ორგანოს მიერ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით; გ) ამტკიცებს ადმინისტრაციის

ხელმძღვანელის წლიურ ანგარიშს; დ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კოლეგიური ორგანოს წარდგინებით ითანხმებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების ფონდის დირექტორის კანდიდატურას, რომელსაც ნიშნავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კოლეგიური ორგანო; ე) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს, რაც არ უნდა იწვევდეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თავისუფლების შეზღუდვას. ”

ნოდალობა (საინფორმაციო გზების გამოყენება საზოგადოებასთან ეფექტური კომუნიკაციისათვის), საქართველოს მთავრობის მიერ ყველაზე სუსტად გამოყენებული ბერკეტია უმაღლესი განათლების კოორდინაციაში. ამ ეტაპზე არ არის ჩამოყალიბებული საზოგადოებასთან ეფექტურად მუშაობის კულტურა; იშვიათია უმაღლესი განათლების სისტემაში სახელმწიფო უნივერსიტეტების როლისა და პოპულარობის გაზრდისაკენ მიმართული ინიციატივები; არ ხდება უნივერსიტეტების ლოკალურად, რეგიონულ და გლობალურ დონეზე პოპულარობის გაზრდის კამპანიის წარმოება, რეიტინგების ჯანსაღი სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა, დასაქმების ბაზრის კვლევა სახელმწიფო უნივერსიტეტების შემდგომი განვითარებისათვის. ამასთან, არ ხდება მედია საშუალებების გამოყენება უმაღლესი განათლების პოლიტიკაში მიღებული გადაწყვეტილებების რაციონალიზაციისათვის (საზოგადოებისთვის ვლილების მნიშვნელობის ახსნა). თუკი ინფორმაციის გაცვლა სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის მაინც ხდება, მას. ძირითადად ამა თუ იმ ცვლილებაზე საზოგადოების მხრიდან მკაფიო პროტესტის და სახელმწიფოს მიერ პოლიტიკური გათვლებით ნაკარნახევი რეაგირების სახე გააჩნია. ამ დროს, სახელმწიფოსათვის, ნოდალობა შესაძლებელია იყოს ერთ-ერთი უმთავრესი ბერკეტი, ამა თუ იმ სფეროში (უმაღლესი განათლების ჩათვლით) რეფორმის პროცესში ურთიერთწინააღმდეგობრივი განზომილებების შეძლებისდაგვარად ჰარმონიზაციისა და წნეხის შერბილებისათვის.

კანონმდებლობის სხვადასხვა რედაქციების განხილვა თვალსაჩინოს ხდის, რომ საქართველოს უმაღლესი განათლების სფეროში გადაწყვეტილების მიმღებები არ იცნობენ კარგად რეფორმის გატარების ძირითად ტექნოლოგიებს, რომლებიც დასავლურ თეორიებში მკაფიოდაა ჩამოყალიბებული და რომელთა დაუფლებაც შესაძლებელია იყოს ეფექტური უფრო წარმატებული რეფორმებისათვის. თუმცა, უნივერსიტეტების ფუნქციონირებაში ჩაბმული ყველა რგოლი, კონკრეტული უნივერსიტეტების შიდა მენეჯმენტის, სფეროს მკვლევარებისა და საზოგადოების ჩათვლით, მნიშვნელოვან როლს უნდა ასრულებდეს სფეროს გამართულად ფუნქციონირების მისაღწევად. ნაშრომის შემდგომი კვლევითი კომპონენტი იმ რეალობის წარმოჩენისა და გაანალიზების მცდელობაა, რაც დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთება.

6. კვლევითი კომპონენტი: ქართული უნივერსიტეტების რეფორმირების ძირითადი მიმართულებები არსებულ ეტაპზე. ინტერვიუები უნივერსიტეტის ფუნციონირებაში დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლებთან.

6.1 სიტუაციური მაგალითები; უნივერსიტეტები, როგორც ერთერთი მთავარი დაინტერესებული მხარე საქართველოს უმაღლესი განათლების სფეროს ფუნქციონირებაში თანამედროვე ეტაპზე, მათი პოზიცია და სტრატეგიები

როგორც ნებისმიერ ქვეყანაში, საქართველოში, უმაღლესი განათლების სფეროსთან დაკავშირებული ყველა ცვლილება და სახელმწიფო სტრატეგია უპირველესად უმაღლესი საგნამანათლებლო დაწესებულებებისა და აკადემიური წრეების ინტერესის სფეროა. უნივერსიტეტები, როგორც ცვლილებებისადმი საკმაოდ რეზისტენტული ინსტიტუციები, აუცილებლობის შემთხვევაში მოქნილები ხდებიან, რათა ფეხი აუწყონ დროის მოთხოვნებს. სწორედ ამით არის განპირობებული მათი არსებებოს ხანგრძლივი ისტორია და დღევანდელი მნიშვნელობა. ქვემოთ მოყვანილი სიტუაციური

მაგალითები, რომლებიც უნივერსიტეტების წარმომადგენლებთან ინტერვიუებს ეყრდნობა, გვაწვდის მასალას, რათა დავინახოთ, თუ როგორ უმკლავდებიან ქართული უნივერსიტეტები დღევანდელობის ძირითად გამოწვევებს, რა ეფექტი აქვს უმაღლესი განათლების სფეროში გლობალურ და ლოკალურ დონეზე მიმდინარე ძირითად პროცესებს მათ ამჟამინდელ ფუნქციონირებაზე, რა არის ამთი ძლიერი და სუსტი მხარეები ამ ეტაპზე და რა სამომავლო სტრატეგიები გამოიკვეთება სფეროს განვითარებაში. მაგალითების რაოდენობა შეზღუდულია, თუმცა მოიცავს როგორც კერძო, ისე სახელმწიფო უნივერსიტეტებს და იმედია, იძლევა მასალას შემდგომი განზოგადებია და დასკვნებისათვის.

6.1. 1. სიტუაციური მაგალითი #1. ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი

უნივერსიტეტის ისტორიის მოკლე მიმოხილვა: დაარსდა 1995 წელს; არის კერძო სამართლის იურიდიული პირი. სწავლების წლიური გადასახადი - 1575 ლარი; უნივერსიტეტი ახორციელებს აკრედიტირებულ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს შემდეგი მიმართულებებით: მედიცინა; სამართალი; ბიზნესის ადმინისტრირება; ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები; ინფორმაციული ტექნოლოგიები. ევროპის სასწავლო უნივერსიტეტს აქვს სასწავლო კორპუსები თბილისსა და ლაგოდეხში. რესპონდენტი - ლაშა კანდელაკიშვილი, ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი (შემდგომში - რესპონდენტი #1)

არის თუ არა ინტერნაციონალიზაცია, როგორ უმაღლესი განათლების სფეროში გლობალურ დონეზე მიმდინარე ერთ-ერთი ძირითადი პროცესი რაიმე კავშირში ევროპული სასწავლო უნივერსიტეტის ფუნქციონირებასთან არსებულ ეტაპზე? იგულისხმება საერთაშორისო სტუდენტების ჩართულობა სასწავლო პროცესში, გაცვლითი პროგრამები, ინგლისურენოვანი პროგრამების შეთავაზების შესაძლებლობები და ა.შ.

- ჩვენთან გაცვლითი პროგრამებით ნაკლებად ჩამოდიან საერთაშორისო სტუდენტები. ფაქტიურად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ასეთი პრეცენდენტი არც არის. ჩვენი სტუდენტების ნაწილი პერიოდულად მიდის სხვადასხვა გაცვლითი პროგრამით

ევროპულ უნივერსიტეტებში. ჩვენც გვაქვს ინგლისურენოვანი პროგრამები, მაგრამ მათი მიმზიდველობა საერთაშორისო სტუდენტებისათვის ნაკლებია. კერძოდ, დასავლური უნივერსიტეტების სტუდენტებს ვგულისხმობ. საქართველოში მათი ვიზიტი ძირითადად მხოლოდ ტურისტული ინტერესით შემოიფარგლება. რაც შეეხება აზიას, აზიურ უნივერსიტეტებთან არ გვაქვს ერთობლივი გაცვლითი პროგრამები, თუმცა აზიელი სტუდენტები დაინტერესებულები არიან ჩვენთან განათლების მიღებით. ამ ეტაპზე გვყავს ინდოელი სტუდენტები. ძალიან გაიზარდა მოთხოვნა მედიცინის პროგრამაზე ინდოეთში, პაკისტანსა და შრილანკაზე და ვცდილობთ, ამ ქვეყნებიდან მოვიზიდოთ სტუდენტები. ინტერესია აფრიკის ქვეყნებშიც. ვფიქრობ, რომ საქართველოსთვოს ძალიან დიდი ინვესტიციაა. დღევანდელი მდგომარეობით გვყავს ოთხასი აზიელი სტუდენტი და ვგეგმავთ მომავალი წლისთვის ეს ციფრი კიდევ გავზარდოთ. ვვარაუდობთ, რომ მომავალი სასწავლო წლის (2016-2017)ოქტომბერ-ნოემბერში ცხრაასიდან-ათასამდე უცხოელი სტუდენტი გვეყოლება, ძირითადად აზიის და აფრიკის ქვეყნებიდან და ძირითადად, სამედიცინო ფაკულტეტზე.

რა დაინტერესება გაქვთ თქვენ, როგორც კერძო უნივერსიტეტს ასეთი მასშტაბების სამედიცინო პროგრამის განხორციელებაში?

- მედიცინის ინგლისურენოვანი პროგრამის განხორციელების მიზანი უნივერსიტეტისთვის არის მხოლოდ და მხოლოდ ფინანსური დაინტერესება, იმიტომ, რომ ეს პროგრამა არ ხორციელდება ადგილობრივი სტუდენტებისათვის. არ გვაქვს პროგრამაზე ქართული სექტორი და მიღებას არ ვაცხადებთ ეროვნული გამოცდების საფუძველზე, რადგან ეა არ არის ჩვენთვის, როგორც კერძო უნივერსიტეტისათვის ფინანსურად მომგებიანი. ვინაიდან პროგრამა ინგლისურენოვანია, მის განხორციელებაში ჩართულ ლექტორ-მასწავლებლებს ვუხდით გაცილებით მეტს, ვიდრე ქართულენოვანი პროგრამის განხორციელებისას. ძალიან ძვირი ჯდება ამ პროგრამის შენახვა. თუ სხვაგან ლექტორს ვუხდით საათში დავუშვათ ოცდაათ ლარს, აქ ვუხდით სამოცდაათიდან-ას ლარამდე. უცხოელი სტუდენტები გაცილებით მაღალ გადასახადს იხდიან, ვიდრე ადგილობრივი სტუდენტები. მათი წლიური გადასახადი

ხუთიათასიდან შვიდიათას დოლარამდეა, ამშინ როცა საქართველოს მოქალაქეებისათვის სწავლების საფასური ათასხუთას ლარს შეადგენს. ეს გადასახადი ერთ-ერთი ყველაზე შეღავათიანია სხვა კერძო უნივერსიტეტებთან შედარებით. ის საჯარო უნივერსიტეტებში სწავლების მაქსიმალურ გადასახადზე ნაკლებსაც კი შეადგენს, ამ გადაწყვეტილების ძირითადი მიზეზი კი ის არის, რომ ქვეყანაში სერიოზული ფინანსური კრიზისია და რეალურად, მოსახლეობა არ არის გადახდისუნარიანი.

მასიფიკაცია არის უმაღეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტების კონტინგენტის ზრდა, რაც 90-იანი წლების მერე სტიქიურად დაიწყო საქართველოში და დღემდე გრძელდება. თუ საბჭოთა პერიოდს შევადარებთ, ბევრად მეტი ადამიანი მონაწილეობს უმაღლეს განათლებაში და იღებს დიპლომს იმის მიუხედავად, ახერხებს თუ არა შემდგომ დასაქმებას. მასიფიკაციაც გლობალური პროცესია და ეხებეა მხოლოდ ქართულ უნივერსიტეტებს. მაინტერესებს თქვენი ხედვა ამ პროცესთან დაკავშირებით. რამდენად პროგრესულად მიგაჩნიათ ეს ტენდენცია ქვეყნის უმაღლესი განათლების სისტემისათვის?

- ფაქტია, რომ კურსდამთავრებულთა უმრავლესობა ვერ საქმდება საქმდება. ბევრი დიპლომირებული ადამიანის ყოლა ქვეყნისთვის თავისთავად კარგია, მაგრამ ვფიქრობ, საქართველოში ეს პროცესი სწორად არ ხორციელდება. დღეს საქართველოში სამოცდაათზე მეტი აკრედიტებული უნივერსიტეტია და ამ უნივერსიტეტების ოთხმოცი პროცენტი ვერ განახორციელებს საქმიანობას, სტუდენტობის ცოდნა რომ რეალურად ფასდებოდეს. სტუდენტების შეფასება ძირითადად სიმბოლურად ხდება, რადგან უმეტეს შემთხვევაში ისინი ვერ აკმაყოფილებენ სასწავლო გეგმით წაყენებულ მოთხოვნებს. სწავლის ხარიხხის ზუსტად შემოწმების შემთხვევაში სტუდენტების უმრავლესობა გახდება გასარიცხი და უნივერსიტეტები, უბრალოდ, გაკოტრდება. ეს არ ეხება მხოლოდ კერძო უნივერსიტეტებს. იგივე შეგვიძლია ვთქვათ სახელმწიფო უნივერსიტეტებზეც. თუ მაგალითად, ტექნიკური უნივერსიტეტი გაამკაცრებს მოთხოვნებს სტუდენტებსი მიმართ, სტუდენტების დიდი ნაწილი უბრალოდ,

გადანაწილდება იმ დარჩენილ 73 უნივერსიტეტში, სადაც ნაკლები ძალისხმევის აგღება დასჭირდებათ დიპლომის მისაღებად. ჩემი თვალსაზრისით დღეს გამონაკლისის სახით შეგვიძლია დავასახელოთ თავისუფალი უნივერსიტეტი და ივ. ჯავახიშვილის ასხელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სადაც სწავლის ხარისხი შედარებით მაღალია. ამრიგად, ამ პროცესში იმასაც ნაკლები მნიშვნელობა აქვს, უნივერსიტეტი კერძოა თუ სახელმწიფო.

გამოდის, რომ კომერციული ინტერესების გარდა სახელმწიფო დაფინანსების მექანიზმი უშლის ხელს უნივერსიტეტებს, მათ შორის სახელმწიფო უნივერსიტეტებს, რომ განახორციელონ სრულფასოვანი სწავლება და სტუდენტებსი მიმართ იყვნენ ადეკვატურად მომთხოვნები? შეგვიძლია თუ არა ჩავთვალოთ, რომ სახელმწიფოს მხრიდან უნივერსიტეტების დაფინანსების მექანიზმი განაპირობებს სტუდენტთა ხელოვნურად "გაბერილ" კონტიგენტს?

- დიახ, სწორედ ესაა პრობლემა. ავიღოთ სახელმწიფო უნივერსიტეტების მაგალითი. სახელმწიფო უნივერსიტეტები გადაიყვანეს თვითდაფინანსებაზე და მათი საქმიანობა აქციეს ბიზნესად. ჩვეულებრივ, კერძო უნივერსიტეტის შემთხვევაშიც, თუ სწავლებსი საფასური 2250 ლარია და უნივერსიტეტს ჰყავს 2000 სტუდენტზე მეტი, უნივერსიტეტი გადის 50-დან 70 პროცენტამდე მოგებაზე. ანუ გამოდის, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტს დღეს შეუძლია მინიმუმ 50 %-იანი მოგების მიღება სწავლების განხორციელების შედეგად. ნაკლებად კონტროლდება, თუ როგორ იხარჯება ეს თანხა. პრაქტიკულად, სახელმწიფო უნივერსიტეტები, რომლებიც კანონმდებლობით არამომგებიანი ინსტიტუციებია, არის მოგებაზე ორიენტირებული. მათ სახელმწიფოს მხრიდან რომ ჰქონდეთ ფიქსირებული დაფინანსება, რომელიც არ იქნება დამოკიდებული სტუდენტთა რაოდენობაზე, უნივერსიტეტებს ნაკლები დაინტერესება ექნებათ სტუდენტების გადახდისუნარიანობაში. უნივერსიტეტი რეალურად შეძლებს შეაფასოს სტუდენტის ცოდნა. მაგალითად, თუ, ვთქვათ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს სახელმწიფო დაუმტკიცებს კონკრეტულ ბიუჯეტს, რომელიც გათვლილი იქნება განსაზღვრული რაოდენობის სტუდენტის სწავლებაზე (მაგალითად, 19 000 სტუდენტის) და გადანაწილებულია ძირითად

ბიუჯეტად, კვლევისთვის, ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის, სასტიპენდიო ფონდისთვის და ა.შ. უნივერსიტეტს არ ექნება შიში, რომ შეფასების პროცესში ხარისხის მაქსიმალურად უზრუნველყოფით ფინანსებს დაკარგავს.

ვთქვათ, დაფინანსების ასეთი მექანიზმი დაინერგა სახელმწიფო სექტორში, ამ შემთხევვაში რა ელით კერძო უნივერსიტეტებს? წესით, ამ შემთხვევაში მათი კონტიგენტი უნდა გაიზარდოს, თუკი ის სტუდენტები, რომლებიც სახელმწიფო უნივერსიტეტებში ვერ მოახერხებენ მოთხოვნების დაკმაყოფილებას, გადავლენ კერძო უმაღლეს სასწავლებლებში.

- კერძო უნივერსიტეტების დაახლოებით 30-50 პროცენტამდე ყველა შემთხვევაში დაიხურება, რადგან ამ ეტაპზე უკვე ჩანს, რომ უნივერსიტეტების რაოდენობა უფრო მეტია, ვიდრე უმაღლესი განათლების მიღების გადახდისუნარიან მსურველთა რაოდენობა. ნაკლებად სავარაუდოა ქართულ რეალობაში დარჩეს 74 უნივერსიტეტი, როცა რიგ შემთხვევებში გასულ წელს, კონკრეტულ უნივესრიტეტში ჩარიცხულ აბიტურიენტთა რაოდენობა 5. 7 ან 20-ს შეადგენდა, ფაქტიურად, ასეთ უნივერსიტეტებს პირველი კურსის სტუდენტებისგან მიღებული შემოსავალი ვერანაირ მოგებაზე ვერ გაიყვანს. მომავალ წელს უკვე ორი კურსი აღმოჩნდება წამგებიანი და ა. შ. ასეთი უნივერსიტეტი იძულებული იქნება დაიხუროს.

შეგვიძლია თუ არა დავასკვნათ, რომ მოხდა სფეროს სრული მარკეტიზაცია? ანუ, უმაღლესი განათლება იქცა ბიზნეს-სფეროდ და როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო უნივერსიტეტები სწავლების პროცესის განხორციელებისას ძირითადად ფინანსური დაინტერესებით ხელმძღვანელობენ? თუ ასეა, რა რეალური საფუძველი გააჩნია უნივერსიტეტების გაცხადებულ მისიებს, რომლებიც გარკვეულწილად ეყრდნობა უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონში ფორმულირებულ ძირითად მიზნებს? ეს მიზნები ხომ შრომითი ბაზრისათვის პიროვნების მომზადებასთან ერთად მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან ასპექტებს, როგორიც ეროვნული და მსოფლიო კულტურის ღირებულებების ჩამოყალიბება, დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალები, სამოქალაქო აზროვნებაა და ა.შ.

- რეალურად, საქართველოში თუკი არსებობს ასეთი უნივერსიტეტი, ეს ალბათ მხოლოდ თავისუფალი უნივერსიტეტია. ფაქტია, რომ მის დამფუძნებელს, ბენდუქიძეს, უნივერსიტეტი მოგებისთვის არ სჭირდებოდა. ხარჯავდა 10 მილიონს და შემოსდიოდა 2 მილიონი. მას სურდა უნივერსიტეტი, რომელიც ფასეულობებსა და ღირებულებებზე იქნებოდა დაფუძნებული. გარკვეულწილად, ჩვენი უნივესრიტეტიც ცდილობს იგივე გააკეთოს. პირადად მე სხვა ბიზნესიც მაქვს და ეს მაძლევს შესაძლებლობას, უნივესრიტეტის შემოსავლებზე არ ვიყოთ დამოკიდებული. ასე ვთქვათ, ეს ჩემი ჰობია. რომ ვუყურებდი, რა ხდებოდა ჩემი სტუდენტობის პერიოდში, მსურდა შემექმნა კარგი უნივერსიტეტი. ბენდუქიძეს ძალიან დიდ პატივს ვცემდი იმის გამო, რომ უკვე აკეთებდა იმას, რაც მე მომავალში მსურდა გამეკეთბინა. რა თქმა უნდა, ჩვენს უნივერსიტეტს ნაკლები შესაძლებლობები აქვს, თუმცა ვცდილობთ, ამ იდეალებს არ ვუღალატოთ.

პარალელურ ბიზნესში ხომ არ გულისხმობთ საერთაშორისო სტუდენტებისათვის განხორციელებულ პროგრამებს? როგორც მესმის, თქვენ შეგიძლიათ ამ საქმიანობიდან მიიღოთ გარკვეული შემოსავალი, რომლის ნაწილიც მოხმარდება ადგილობრივი სტუდენტებისათვის სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. მაგალითად, შედარებით დაბალი გადასახადი საქართველოს მოქალაქეებისთვის ხომ არ კომპენსირდება საერთაშორისო სტუდენტების გადასახადით?

- დიახ, საერთაშორისო სტუდენტებისგან მიღებული თანხა ხმარდება ქართული სექტორის განვითარებას და გადასახადშიც უზრუნველყოფს ადგილობრივი სტუდენტებისთვისი შეღავათს. ეს ორი სექტორი აბალანსებს ერთმანეთს. საქართველოს მოქალაქე იხდის რეალური ფასის მხოლოდ ნახევარს და თანხის მეორე ნახევარი უცხოელი სტუდენტებისგან მიღებული შემოსავლით ფინანსდება. ბენდუქიძე თავისი იდეალისტური მიდგომით ცდილობდა უნივერსიტეტში რეალურად ხარისხიანი განათლების მიცემას და ჩვენც ვცდილობთ ეს გავაკეთოთ, რასაც დამატებითი ფინანსები სჭირდება და საკმაოდ რთული მისაღწევია. 90-იანი წლების შემდეგ, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში, საქართველოში უმაღლეს განათლებას ყოველწლიურად თითქმის 30000 ადამიანი იღებდა, თუმცა რეალურად აქედან ალბათ

მხოლოდ 3000 თუ ხდებოდა მეტნაკლებად კვალიფიცირებული სპეციალისტი, რაც ზოგადად, შრომის ბაზარზეც ჩანს.

ნიშნავს თუ არა ეს, რომ საქართველოში უმაღლესი განათლების მასიფიკაცია წარუმატებლად მიმდინარეობს, რადგან ძალიან ბევრს სურს უმაღლესი განათლების მიღება, თუმცა კურსდამთავრებულები, შრომით ბაზარზე რეალურად ვერ საქმდებიან?

- უფრო სწორი ფორმულირება იქნებოდა, რომ საქართველოში სურთ მიიღონ უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი/დიპლომი და არა ხარისხიანი უმაღლესი განათლება. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს არ არის ექსკლუზიურად ქართული ფენომენი, რადგან იგივე სურთ, მაგალითად, აზებაიჯანელებს ან ინდოელებს. აზერბაიჯანი, რესურსების წყალობით, ეკონომიკურად ჩვენზე ბევრად წინაა, თუმცა უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებით, მათი მენტალიტეტიც ჩვენი მსგავსია. აზერბაიჯანელი მშობლისთვისაც, ქართველოს მსგავსად, მთავარია შვილის ქონდეს დიპლომი, რადგან ეს პრესტიჟის საკითხია. გასაკვირი არ არის, რომ კურსდამთავრებულთა უმრავლესობა ბაზარზე ვერ საქმდება.

ევროპული სასწავლო უნივერსიტეტი რატომ გქვიათ?

- ეს ჩვეულებრივი მარკეტინგული სახელია. რაც შეეხება სასწავლო უნივერსიტეტეის სტატუსს, ჩვენი არჩევანი არ იყო კვლევით უნივერსიტეტზე უარის თქმა. სახელმწიფო, უფრო სწორედ გადაწყვეტილების მიმღებები, გარკვეული ეკონომიკური გათვლებიდან გამომდინარე, ზღუდავენ ბევრი კვლევითი უნივერსიტეტის არსებობის შესაძლებლობას. ძირითადად საუნივერსიტეტო ბიზნესის წარმოებაზე უფლებსი გაცემა დღეს პოლიტიკური გადაწყვეტილებაა. გასაგებია, რომ არ სურთ ყავდეტ ბევრი კონკურენტი. რომ არა აკრედიტაციასთან და ავტორიზაციასთან დაკავშირებული მოთხოვნები, ვფიქრობ, რეალურად შეგვიძლია კვლევითი ფუნქციების განხორციელებაც. ჩვენ გამოვცემთ სახელმძღვანელოებს, ვატარებთ საერთაშორისო და ადგილობრივ სტუდენტურ კონფერენციებს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოვინდომებდით კვლევისთვის თანამედროვე აღჭურვილობის ლაბორატორიების შექმნას, სავარაუდოდ, გაგვიძნელდებოდა ავტორიზაციის მიღება. მოთხოვნები ძალიან მაღალია და რეალურად კი იმ უნივერსიტეტებშიც, რომლებსაც აქვთ უნივერსიტეტების სტატუსი,

კვლევები მხოლოდ ბუტაფორიულად ტარდება. განსაკუთრებით დოქტორანტურის საფეხურზე. საქართველოში დაცული დისერტაციების 99 პროცენტი რეალურად გამოუსადეგარია. ჰუმანიტარულ სფეროში ძნელია ნაშრომის მნიშვნელობის პირდაპირ გაზომვა და ტექნიკური სფერო კი მთლიანად გამოუსადეგარი კვლევებით არის სავსე. დღემდე ძირითადად რუსული წყაროებიდან იწერენ და ასე იცავენ დისერტაციებს.

მეორეს მხრივ, ფაქტია, რომ დღეს საქართველოში უმაღლესი განათლება უკვე არის ბიზნესი. ამ ეტაპზე კი ბიზნესისთვის სადოქტორო კვლევა არ არის მომგებიანი. მომგებიანი იქნება მხოლოდ იმ შემთხევავში, თუ იქნება სერიზოული გამოგონებები, პრაქტიკაში დანერგვადი, სამომავლოდ მოგების მომტანი. ჩვენ კი არსებულ პირობებში მხოლოდ მოკლევადიან პროექტებზე ვაკეთებთ აქცენტს და რეალურად, ამით ვკარგავთ რესურსს, რომელიც მომავალში შეიძლება ძალიან მნიშვნელოვანი ყოფილიყო. გამოგონებები პრაქტიკულად არ გვაქვს. ჩვენთან ეს ტრადიცია მკვდარია უკვე და თუ არ გავაცოცხლეთ, ძალიან მალე ჩვენ კონკურენციას ვერ გავუძლებთ და შეიძლება მხოლოდ აფრიკიდან ჩამოვიდეს ხალხი, თორემ თვითონ ქართველებიც კი უკვე ევროპაში და ამერიკაში მიდიან. მომავალში უარესი სიტუაცია იქნება.

საქართველოში ძალიან არასტბილური მდგომარეობაა ამ კუთხით. დღეს ქართული უნივერსიტეტები ძირითადად ცდილობენ ფინანსურად კარგად განვითარდნენ და რაც შეიძლება მეტი მოგება ნახონ მაქსიმალურად მოკლე დროში, იმიტომ, რომ ჩვენი სახელმწიფო იმდენად პოლიტიზირებულია ბიზნესის კუთხით, რომ სტაბილურობის განცდა არ არის და ნებისმიერი უნივერსიტეტი შეიძლება დახურონ ნებისმიერ დროს. აღმოჩნდება, რომ მთელი რესურსი წყალში გადაიყარა. ამიტომ ყველა ცდილობს, რომ დღესვე აგვიდეს მაქსიმალურ მოგებაზე. სახელმწიფომ უნივერსიტეტებს უნდა შეუქმნას მეტი სტაბილურობის განცდა. არ უნდა გვქონდეს მუდმივი შიში, რომ ხვალ შეიძლება ხარისხის განვითარების ცენტრიდან ექპსერტად გამოგზავნონ რომელიმე კონკურენტი უნივერსიტეტის წარმომადგენელი თუ დამფუძნებელი თუ რექტორი.

ანუ, ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში ინტერესთა სერიოზული კონფლიქტია? ეს ხომ აკრედიტაციის დებულებით არის აკრძალული?

- დიახ, ინტერესთა კონფლიქტია. ძალიან ხშირად სამინისტროში დასაქმებული

ადამიანები ამა თუ იმ უნივერსიტეტშიც მუშაობენ და შესაბამისად, მათ ინტერესებს ემსახურებიან. საქართველო მცირე ზომის ქვეყანაა და ძნელია დამოუკიდებელი ექსპერტების პოვნა, რომლებსაც არ გააჩნიათ საკუთარი ბიზნესინტერესები უმაღლესი განათლების სფეროსთან დაკავშირებით. შესაბამისად, კონკურენციის პირობებში ასეთი ექსპერტები პრობლემებს უქმნიან კონკრეტულ უნივერსიტეტებს. კანონი უნდა უზრუნველყოფდეს უნივერსიტეტების ადცულობას ასეთ გარემოში. უნივერსიტეტებს უნდა ქონდეს დამოუკიდებლობის უფრო მაღალი ხარისხი, რათა მეტი მოტივაცია ქონდეს განვითარებისთვის ყველა მიმართულებით - კვლევის ჩათვლით. მაგრამ არსებული კანონმდებლობის და მაღალი კონტროლის პირობებში, უნივერსიტეტები იძულებულები არიან, ასე ვთვათ, მეტი იზრუნონ დღევანდელ კვერცხზე, ვიდრე ხვალინდელ ქათამზე. უნივესრიტეტების 90 % ხომ კერძო ბიზნესს წარმოადგენს.

რას ფოქრობთ, რა არის ის პრიორიტეტული სფეროები, რომლებზეც შეიძლება იყოს ბაზარზე რეალური მოთხოვნა ახლო მომავალში, ან რომლებიც შორეული პერსპექტივით არის მნიშვნელოვანი?

- მომავალ წელს ვაპირებთ ჩვენს უნივერსიტეტში დავამატოთ პროგრამები ისტორიის და არქეოლოგიიის მიმართულებით. ეს დაგრები დღეს ფაქტობრივად, კვდება, მიუხედავად იმისა, რომ რესურსი ჯერ კიდევ გაგავაჩნია. პირადად ძალიან მაინტერესებს ეს სფერო და ვფიქრობ, შესაძლებელია, მომავალში სამივე საფეხურზე გავაკეთოთ სწავლება ამ განხრით. ანუ, ვგეგმავ, გვქონდეს ისტორია-არქეოლოგიის მიმართულებით ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და სამომავლოდ, დოქტორანტურაც. წინასწარ ვიცი, რომ უნივერსიტეტისთვის, ეკონომიკური თვალსაზრისით ეს იქნება ასი პროცენტით წამგებიანი. ამ პროგრამაზე სწავლა იქნება უფასო. ზოგადად, ვფიქრობ, სამომავლოდ შევძლებთ უცხოელი სტუდენტებისგან შემოსული გადასახადის მეშვეობით უფასო სწავლა შევთვაზოთ ადგილობრივ სტუდენტებს. ჩვენი უნივერსიტეტი სამომავლოდ გათვლილია 12 000 სტუდენტზე. 2017 წლისთვის ამ სტუდენტებიდან დაახლოებით 10 000 უკვე საერთაშორისო სტუდენტი იქნება და შეგვეძლება, მთლიანად დავაფინანსოთ 2000 ადგილობრივი სტუდენტი.

თქვენს გეგმებს თუ განვაზოგადებთ, თვლით, თუ არა, რომ საქართველოს აქვს პოტენციალი განავითაროს უმაღლესი განათლების ბაზარი მნიშვნელოვანი მასშტაბებით აზიის და აფრიკის რეგიონისთვის?

- მე რომ გადაწყვეტილების მიმღები ვიყო, საქართველოს ფინანსურ სტრატეგიას მნიშვნელოვანწილად, ამაზე ავაწყობდი. ჩვენთვის ყველაზე დიდი შემოსავალი შეიძლება გახდეს უცხოელი სტუდენტი. ქვეყანას აქვს რესურსი წელიწადში 100 000 სტუდენტი მიიღოს აზიიდან და აფრიკიდან. მაღალი მოთხოვნაა სამედიცინო სფეროზე და ინფორმატიკაზე. ჩვენთან ჯერ კიდევ არიან როგორც მედიცინის, ისე ინფორმატიკის კარგი სპეციალისტები. თუმცა, ამ შემთხევავში, პრობლემა ინგლისურენოვანი პროფესორების ნაკლებობაა. ამ შემთხევვაშიც, არსებობს ზგები რესურსის გაზრდისთვის. მაგალითად, დასავლური უნივერსიტეტებიდან, პენსიაზე გასული პროფესორები, ემერიტუსები, დაინტერესების შემთხევვაში, გაცვლითი პროგრამით მიდიან სხვადასხვა ქვეყნების უნივერსიიტებში (ხშირად მეუღლეებთან ერთადაც) და ასწავლიან. ბევსრ ანაზღაურებაც არ აინტერესებს. ჩვენ გვაქვს შემთხვევები, როცა მხოლოდ საცხოვრებლით უზრუნველყოფას გვთხოვენ. ხშირად მათი კურსი სამთვიანია. გვაქვს გაფორმებული ხელშეკრულებები ასამდე პროფესორთან მედიცინის სფეროში. ვგეგმავთ, 7-8 ქართველი პროფესორი დასავლეთის უნივერსიტეტებში გავგზავნოთ ექვსთვიან პროგრამაზე გადასამზადებლად. თუ ვაპირებ, მივიღო 10 000 საერთაშორისო სტუდენტი, შესაბამისად, უნდა მქონდეს საკმარისი რესურსი. სახელმწიფოს შეუძლია მსგავსი პროცესების ხელშეწყობა და უნივესრიტეტებისთვის პროფესორ-მასწავლებლების გადამზადებაში დახმარების გაწევა, თუკი ეს უნივერსიტეტები აიღებენ ვალდებულებას, გარკვეული რაოდენობის საერთაშორისო სტუდენტები მიიღონ. ასეთი ინიციატოვების დამოუკიდებლად გამოჩენა უნივერსიტეტებისთვის მაღალ რისკებთან არის დაკავშირებული და ხშირად, არ დგამენ ამ ნაბიჯს, რადგან არ არიან დარწმუნებული, რომ გაველენ გარანტიებულ მგებაზე, ან გარკვეულ ვადებში რაიმე მიმართულებით არ შეიცვლება კანონმდებლობა. საჭიროა სახელმწიფოსა და უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობა, რადგან საერთაშორისო სტუდენტებს შეუძლიათ დიდი სარგებელი მოუტანონ მთლიანად ქვეყნის ეკონომიკას და არა

მხოლოდ კონკრეტული უნივერსიტეტის ბიუჯეტს.

ხარისხის უზრუნველყოფაზე რას ფიქრობთ? როგორც აღნიშნეთ, ავტორიზაციის და აკრედიტაციის მექანიზმი ხარვეზებით ხორციელდება და ერთერთი მნიშვნელოვანი პრობლემა ინტერესთა კონფლიქტია. მაინტერესებს თქვენი თვალსაზრისი, საკანონმდებლო დონეზე, როგორ უნდა აღმოიფხვრას არსებული ხარვეზები ისე, რომ ხარისხის გარანტია მივიღოთ?

- ვერ გეტყვით, კანონმდებლობაში რა უნდა გაუმჯობესდეს, რომ სწავლის ხარისხის გარანტია მივიღოთ, მაგრამ თუნდაც ის, რომ დღევანდელი კანონმდებლობა უნივერსიტეტებისგან ითხოვს პროფესორებად აიყვანონ სადოქტორო ხარისხის მქონე პირები და არავინ კითხულობს, კონკრეტულად რა თემაზეა ესა თუ ის დისერტაცია დაცული, კურიოზია. ხშირად ადამიანები სრულიად განსხვავებულ სფეროში დაცული დისერტაციებით იწყებენ სწავლებას განსხვავებულ ფაკულტეტებზე. ანუ, კანონმდებლობისთვის მხოლოდ ის არის მთავარი, რომ უნივერსიტეტში სადოქტორო ხარისხის მქონე პირები ასწავლიდნენ, სფეროს მიუხედავად. უფრო ხშირად კი, ეს დისერტაციები უბრალოდ, ბუტაფორიულია, ან მათი ავტორები არიან მხოლოდ თეორეტიკოსები და უჭირთ ამა თუ იმ დარგს სწავლება. დღეს ჩვენი საკანონმდებლო ბაზა არის მოწყობილი თეორეტიკოსებზე და ნეპოტიზმზე, რადგან დისერტაციების დაცვა ხშირად სწორედ პირად კონტაქტებზე იყო დამოკიდებული. ანუ, თუ ჩვენ ადამიანური რესურსის საზომად ავიღებთ სადქტორო დისერტაციას, შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ საქართველოს ასერთოდ არ ყავს აკადემიური რესურსი, რადგან სადოქტორო დისერტაციების დიდი ნაწილი არანაირი რეალური ხარიხის მაჩვენებელი არ არის. პირადად მე მირჩევნია ბიზნესფაკულტეტისთვის ავიყვანო წარმატებული პრაქტიკოსი ბიზნესმენი აკადემიური უნარებით და ლექციებზე შევუშვა, მაგრამ კანონმდებლობით აღარ მაქვს ამისი უფლება. თუ ავიღებთ ისევ თავისუფალი უნივერსიტეტის მაგალითს, დავინახავთ, რომ ამ უნივესრიტეტემა განვითარება და საუკეთესო სტუდენტების გამოშვება სწორედ ამგავრი მიდგომით შეძლო. ბენდუქიძე არ ითვალისწინებდა საკანონმდებლო ბაზას და დოქტორის ხარისხის სავალდებულო ხასიათს. მას ლექციებზე ძირითადად დოქტორანტები შეყავდა და ფაქტია, რომ ისინი

საუკეთესოდ ახერხებდნენ სწავლებას და საუკეთესო კურსდამთავრებულების გამოშვებას. ვიდრე ჩვენ არ გვეყოლება ნამდვილი მკვლევარები და ვიდრე თვითონ სადოქტორო ნაშრომების ხარისხი არ ქინება გარანტირებული, არსებული კანონმდებლობა რეალობასთან შეუსაბამოა და ხარისხის განვითარებას მხოლოდ აფერხებს.

თუ ერთი მხრივ, ვცდილობთ აზიური ბაზრისთვის უმაღლესი განათლების მნიშვნელოვან მიმწოდებლად ჩამოვყალიბდეთ, ხოლო მეორე მხრივ, რეალურად არ გვყავს ადამიანური რესურსი ხარისხიანი სწავლების განხორციელებისათვის, ხომ არ გამოდის, რომ უცხოელი სტუდენტების მოზიდვა მოხდება გარკვეული აფიორის ხარჯზე?

- როგორც უკვე ავღნიშნე, ჩვენ ადამიანური რესურსი გვყავს მედიცინაში და ინფორმატიკაშიც გვაქვს, თუმცა, ეს რესურსი ამ სფეროებშიც არასაკმარისია. ჩვენს ნივერსიტეტში დამატებით უცხოელი სპეციალისტებიც ჩამოგვყავს და იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანა სტრატეგიას ააწყობს მეტი საერთაშორისო სტუდენტის მოზიდვაზე, უნდა მოხდეს მეტი პროფესორ-მასწავლებლის გადამზადება და იგივე, უცხოელებისთვის მოკლევადიანი კონტრაქტების გაფორმება. მობილობა ხომ ამასაც ითვალისწინებს.

უნივერსიტეტებში სტუდენტების მიღების არსებულ მექანიზმზე რას ფოქრობთ?

- ამ მხრივ რეალური პრობლემაა აბიტურიენტების მოუმზადებლობა საუნივერსიტეტო სწავლებისთვის და ზოგადი განათლების ადბალი დონე. რათქმაუნდა, ეს პრობლემა უპირველეს კავშირშია სკოლებში სწავლების დაბალ ხარისხთან. არ ვიცი, აბიტურიენტების უმრავლესოვბა როგორ ახერხებს ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარებას, როცა ვთქვათ, გადალახული აქვს ბარიერი უცხო ენაში და ჩვენთან რომ მოდის, ანბანიდან გვიწევს ენის სწავლება. ერთიანმა ეროვნულმა გამოცდებმა პირველ ეტაპზე ნამდვილად გაანართლა - ახალ, უფრო გამართულ სისტემაში გადაგვიყვანა და ეს ძალიან კარგი იყო, მაგრამ ეს მექანიზმიც უკვე ადსახვეწია. მაგალითად, ტესტირებები ისე შედგენილი, რომ სწორი პასუხის შემთხვევით გარტყმის ალბათობა საკმაოდ მაღალია. თუნდაც ეს ხარვეზია აღმოსაფხვრელი.

ამის მიზეზი, ნაწილობრივ, ხომ არ არის ის, რომ საქართველოში რეალურად იმაზე მეტი უნივერსიტეტი და ადგილია აბიტურიენტისათვის, ვიდრე შესაძლებელია ხარისხიანი

უმაღლესი განათლების უზრუნველყოფა?

- პირიქით, მგონია, რომ კონკურენცია კარგი სტიმულია ხარისხის გაზრდისთვის. 90-იან წლებში 300 უნივერსიტეტი იყო, მაგრამ მაშინ ჩარიცხვის მექანიზმი საერთოდ არ არსებობდა და აბიტურიენტებს პირდაპირ იღებდნენ. ახლა 74 უნივერსიტეტია და მათ უმრავლესობას საკმარისი სტუდენტი არ ყავს, რომ ბიზნესი აწარმოოს. ასეთი უნივერსიტეტები მალე იძულებულები იქნებიან, ბაზრიდან გავიდნენ. ბევრი კერძო პირი, ვისაც 90-იან წლებში წარმატებული საუნივერსიტეტო ბიზნესი ქონდა, დღესაც ცდილობს ამ სფეროში დამკვიდრებას, მაგრამ კონკურენციას ვერ უძლებს. ავტორიზაციის მოთხოვნები რომ არ იყოს, ბევრად მეტი უნივესრიტეტი გაიხსნება, მაგრამ კონკურენციის პირობებში მათი რიცხვი, ხუთ წელიწადში, ვეჭვობ 35-ს აჭარბებდეს.

რეალურად, სჭირდება თუ არა საქართველოს ვთქვათ, ამ 35 უნივერსიტეტზე მეტი?

- ალბათ მეტი არც სჭირდება, თუმცა, თუ ჩვენ მოვიზიდავთ უცხოელ სტუდენტებს და ეს ქვეყნის ეკონომიკასაც წაადგება, იყოს 70 და თუნდაც მეტი, რომლებიც მიიღებენ საერთაშორისო სტუდენტებს. მარვალი ქვეყანა ეწევა უმაღლესი განათლების მსგავს ბიზნესს, მათ შორის, აშშ, რომლის უნივესრიტეტებიც ყველა საერთაშორისო რეიტინგში ლიდერობს.

6.1.2 სიტუაციური მაგალითი #2. თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

უნივერსიტეტის ისტორიის მოკლე მიმოხილვა: დაარსდა 1995 წელს; არის კერძო სამართლის იურიდიული პირი. არის აკრედიტებული. ახრცელებს 6 პროფესიულ, 9 საბაკალავრო და 7 სამაგისტრო პროგრამას, მასწავლებლის მომზადებისა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებს, რომლებიც შემუშავებულია ევროპული კრედიტებისა და ტრანსფერის სისტემის შესაბამისად და ხორციელდება აკრედიტებულ რეჟიმში.

რესპონდენტი - სოლომონ პავლიაშვილი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი (შემდგომში - რესპონდენტი #2)

არის თუ არა ინტერნაციონალიზაცია, როგორ უმაღლესი განათლების სფეროში გლობალურ დონეზე მიმდინარე ერთ-ერთი ძირითადი პროცესი აქტუალური თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ფუნქციონირებასთან არსებულ ეტაპზე? იგულისხმება საერთაშორისო სტუდენტების ჩართულობა სასწავლო პროცესში, გაცვლითი პროგრამები, ინგლისურენოვანი პროგრამების შეთავაზების შესაძლებლობა და ა. შ.

- ჩვენი უნივერსიტეტი გადის ავტორიზაციას ბიზნესადმინისტრირების ინგლისურენოვან პროგრამაზე, რომელზეც სწავლის საშუალება ექნებათ როგორც ქართველ, ასევე უცხოელ სტუდენტებს. ამ პროგრამის ავტორიზაცია ძალიან მნიშვნელოვანია თანამედროვე კონკურენციის პირობებში, რაც უნივერსიტეტს საშუალებას მისცემს, მოიზიდოს სტუდენტები უცხოეთის სხვადასხვა ქვეყნიდან. ირანის საელჩოს უშუალო მხარდაჭერით, ირანის ისლამური სახელმწიფოს განათლების სამინისტროსთან თანამშრომლობით, ვგეგმავთ მოხდეს ჩვენი უნივესრიტეტის აღიარება ირანში, რაც შესაძლებლობას მოგვცემს, მოვიზიდოთ ირანელი სტუდენტები. ირანში აბიტურიენტთა რაოენობა ბევრად აღემატება უნივერსიტეტებში ადგილების რაოდენობას და ბევრაი მსურველი, საზღვარგარეთ მიიღოს უმაღლესი განათლება. ვფიქრობთ, მაქსიმალურად მოვიზიდოთ სტუდენტები ირანიდან, უშუალოდ ფერეიდანიდან, აფრიკიდან, პაკისტანიდან, ინდოეთსა და სხვა ქვეყნებიდან. საამისოდ გვაქვს შესაბამისი ბაზა, როგორც თბილისში, ასევე, სიღნაღში. გარდა ამისა, შეგვიძლია, უცხოელი სტუდენტებს საერთო საცხოვრებლიც შევთავაზოთ. ზოგადად, კი, ამ საკითხთან დაკავშირებით მაქვს ჩემი მოსაზება. მიმაჩნია, რომ თვითონ პროცესი უდავოდ პოზიტიურია არა მხოლოდ კონკრეტული უნივერსიტეტებისთვის ან უმაღლესი განათლების სფეროსთვის, არამედ მთლიანად ქვეყნისთვის, თუნდაც ეკონომიკური თვალსაზრისით. მას აქვს როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი ეფექტები ქვეყნის განვითარებაზე. ეს გულისხმობს თუნდაც ვალუტის შემოდინებას ქვეყანაში,

ასევე, 21-ე საუკუნის შესაბამისი უმაღლესი განათლების სისტემის ჩამოყალიბებას, მითუმეტეს, რომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება გავაფორმეთ და ვართ ბოლონიის პროცესის მონაწილე ქვეყანა. ჩვენი კანონმდებლობაც, შესაბამისობაშია გლობალურ მიმართულებებთან და მიმაჩნია, რომ შესაძლებელია ქვეყანაში მეტი უცხოელი სტუდენტის მოზიდვა, თუმცა აუცილებელია დაცული იყოს ის რეგულაციები, რომელსაც ითხოვს უმაღლესი განათლების სისტემა და ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. ვგულისხმობ იმას, რომ უმაღლესი სასწავლებლებს გავლილი უნდა ქონდეთ ყველა შესაბამისი პროცედურა, რაც აუცილებელია უცხოელი სტუდენტების შემოყვანისთვის და მათთვის სტუდენტის სტატუსის მინიჭებისთვის. ხშირია შემთხვევები, როდესაც სტუდენტები ფიზიკურად არ იმყოფებიან აქ, საზღვარი არ გადმოუკვეთიათ, თუმცა ამა თუ იმ უნივერსიტეტში იღებენ შეფასებებს და ირიცხებიან, როგორც საქართველოს სტუდენტები. რა თქმა უნდა, ეს ძალიან ცუდია და მიუღებელია. ეს არ არის ონლაინ პროგრამები და კანონმდებლობით არ დაიშვება, მაგრამ ზოგიერთი უნივერსიტეტი შესაძლებელია ახორციელებდეს ამას. იყო რამდენიმე ასეთი შემთხვევა და კონკრეტულ უნივერსიტეტებს პრობლემები შეექმნა.

მრავალ მოსაზღვრე ქვეყნაში არის უმაღლესი აგნათლების შეზღუდული ბაზარი და შესაძლებელია საქართველომ ამ ქვეყნებიდან მოიზიდოს მრავალი სტუდენტი, თუმცა ამისთვის საჭირია ქართული უნივერსიტეტები იყოს იმ კონკრეტულ ქვეყანაში აღიარებული. ამისთვის უნივერსიტეტებს აქვე უნდა ქონდეთ გავლილი ავტორიზაცია და დაიწყონ თანამშრომლობა ამა თუ იმ ქვეყნის განათლებსი სამინისტროებთან აღიარებისთვის. ამასთან, მიგრაციის კანონში არის გარკვეული ცვლილებები რაც რიგ შემთხვევებში ზღუდავს უცხოელი სტუდენტების შემოსვლას საქართველოში. ჩვენი უნივერსიტეტიაქტიურად მუშაობს ამ მიმართულებით, რომ ჩვენს მიერ შეთავაზებული პროგრამები და სწავლების ემქანიზმი მთლიანად იყოს მოქცეული სამართლებრივ ჩარჩოში.

ამ პროცესში, რა შეიძლება ჩაითვალის ქართული უნივერსიტეტების მთავარ დაინტერესებად?

- პირველ რიგში, რათქმაუნდა, ეს არის კომერციული ინტერესები. ჩვენთან ძალიან

გაჭირდა მხოლოდ ადგილობრივი ბაზრის ხარჯზე კომერციული საქმიანობა. უმაღლესი განათლების სისტემაში გვაქვს ძალიან გაჯერებული ბაზარი; უნივერსიტეტებს არ ჰყოპფნით აბიტურიენტების რაოდენობა; მათ მიერ შეტანილი განაცხადების მხოლოდ 30-40 პროცენტი ივსება და უნივესრიტეტები იძულებულები არიან სტუდენტები სხვა ქვეყნებიდან მოიძიონ. ამაში ცუდი არაფერია, თუ ისინი დაიცავენ კანონით გათვალისწინებულ ნორმებს. რათქმაუნდა, მათ მიერ შეთავაზებული პროგრამები უნდა იყოს ინგლისურენოვანი, უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ აღიარებული და რეალურად უნდა ხდებოდეს უცხოელი სტუდემნტების მონაწილეობა სასწავლო პროცესში. უცხოენოვანი პროგრამები უნდა ექვემდებარებოდეს იმავე რეგულაციებს, რასაც ქართულენოვანი. თუმცა, უცხოელი სტუდენტებს თვითდაფინანსება უნდა შეეძლოთ. კომერციულ უნივესრიტეტებს ნამდვილი დაინტერესება აქვთ ამ პროცესში და უკვე სახელმწიფოც მუშაობს ამ საკითხებზე. ჩვენი უნივესრიტეტი ძალიან ფრთხილად უდგება ამ პროცესს. გვსურს შესრულებული გვქონდეს ყველა რეგულაცია, რომელსაც ითხოვს აკრედიტაციისა და ავტორიზაციის კანონმდებლობა, იგივე მიგრაციის შესახებ კანონმდებლობა, საგარეო საქმეთა სამინისტროს მოთხოვნები და ა.შ. ეს არის მთელი რიგი პრობლემების კომპლექსი და მათი გადაჭრის გარეშე არ უნდა ხდებოდეს უცხოელი სტუდენტების საქართველოში ჩამოყვანა.

როგორც აღნიშნეთ, ჩვენი საუნივერსიტეტო ბაზარი უკვე შეუსაბამობაშია ადგილობრივ მოთხოვნასთან. რათმაუნდა, გასაგებია კერძო უმაღლესი სასაწვლებლების ბიზნესდაინტერესება, თუმცა, რამდენად მიზანშეწონლიდა მიგაჩნიათ აპტარა ქვეყნისთვის ჰქონდეს ბევრად მეტი უნივერსიტეტი, ვიდრე არის ადგილობრივი მოთხოვნა უმაღლეს განათლებაზე?

- რთულია ამაზე მსჯელობა. თვითონ სახელმწიფოს მხრიდან არ არის შრომის ბაზარი სათანადოდ შესწავლილი. თუკი ამა თუ იმ უნივერსიტეტეს შეუძლია სტანდარტის დაკმაყოფილება, სახელმწიფო მას ვერ აუკრძალავს ფუნქციონირება. ბაზარს კი მხოლოდ კონკურენცია დაარეგულირებს. შესაძლებელია, ასხელმწიფოს მიერ გამკაცრდეს ზოგიერთი სტანდარტი, მაგალითად, მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან და ადამიანურ რესყრსთან დაკავშირებით. უნდა იყოს მოთხოვნა, უნივესრიტეტეს ყავდეს გარკვეული

რაოდენობის საკუთარი აკადემიური პერსონალი, სრული დატვირთვით, მაღალი ანაზღაურებით; პროგრამები უნდა იყოს ადეკვატური; უნდა გაიზარდოს ინგლისური ენის მცოდნე პროფესორ-მასწავლებლების რიცხვი და ა.შ. თუ მსგავსი მოთხოვნები გამკაცრდება, ბაზარზე თავისთავად გაიზრდება კონკურენცია და ეს კონკურენცია გახდება უფრო ჯანსაღი.

თქვენ ხართ სასწავლო უნივერსიტეტი და შესაბამისად, არ ახორციელებთ კვლევას. რატომ გადაწყვიტეთ ასეთი პროფილით შემოფარგვლა?

- ჩვენი უნივერსიტეტი ახორციელებს სამაგისტრო კვლევებს. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წამყვანი პროფესორი ვარ, დიდი ხანია, იქ ვმუშაობ და მიწევს დისერტაციების დაცვის საბჭოს თავმჯდომსრეობა. პირდაპირ მინდა გითხრათ, რომ ბოლო პერიოდში გამარტივებულია დისერტაციის დაცვა ყველა მიმართულებით, ამან რაღაცნაირად კონვეიერული ხასიათი მიიღო. ზოგიერთი სადოქტორო დისერტაცია, დასამალი არ არის, რომ ემსგავსება რაღაც სამაგისტრო ნაშრომს. ავტორები პირდაპირ აგდადიან ანალიზზე, როცა არ არის ეკონომიკური თეორიის კვლევა მაგალითად ეკონომიკაში, როცა არ არის პრობლემის წარმოჩინება, ამ დროს კი ხდება პირდაპირ პრობლემის გადაწყვეტა და მერე ანალიზის გაკეთება. მსგავსი სიტუაციაა ალბათ ყველა მიმართულებაში, იგივე სამართალში, იგივე სოციალურ მეცნიერებაში, ჰუმანიტარულში და ა.შ. ძალიან გამარტივდა დაცვა. უწინ იყო ჯერ საკანდიდატო დისერტაციის დაცვა, ხოლო შემდეგ, სადოქტორო. ახლა მხოლოდ ერთი დონეა, მაგრამ ისიც ძალიან მიფუჩეჩებული გამარტივებულია. ამიტომ მივიღეთ ამდენი აკადემიური დოქტორი, ამდენი კონკურენტი ამ ბაზარზე, რომელთაც კვლევის ხაზით ნაკლები სამუშაოები აქვთ ჩატარებული, ზოგი საერთოდ არც მუშაობს. დაკარგულია ხარისხიანი კვლევების წარმოების მოტივაცია. იმიტომ, რომ ამ კვლევების რეალიზება არსად არ ხდება. არავის ეს კვლევები არ ჭირდება. ის კი არა, ჩვენ ჩავატარეთ რამდენიმე საერთაშორისო კონფერენცია, მოწვეული გვყავდა აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები და სხვათა შორის, მე არა ერთი და ორი საერთაშორისო კონფერენციის ორგანიზატორი ვარ, არა მარტო აქ, იგივე ტექნიკურ უნივერსიტეტში, იგივე უნივერსიტეტში, და ამ კონფერენციებში ვერ შევძელით ჩინოვნიკების ჩართვა, რომ ერთად გვემსჯელა საჭირო

საკითხებზე. ქრება კვლევის მოტივაცია. ბევრია მეცნიერი, რომელთაც ხარისხი მიიღეს და წლების განმავლობაში არაფერი გაუკეთებიათ. ამ პირობებში კერძო უნივერსიტეტისთვის ნაკლები დაინტერესებაა იფიქროს კვლევების წარმოებაზე.

როგორც ვიცით, საბჭოთა პერიოდში კვლევების შემკვეთი ძირითადად იყო სახელმწიფო. კეთდებოდა დაფინანსება იმ კვლევების, რომლებიც სტრატეგიულად გამოადგებოდა სახელმწიფოს. დღეს რატომ არ შეიძლება თვითონ უნივესრიტეტმა აიღოს ინიციატივა, დაფინანსება ჩადოს რაღაც კონკრეტულ კვლევებში და იმ შემთხვევაში, თუ რეალური გამოგონება იქნება, გაყიდოს ეს კვლევა? ხომ არ ველდებით ინიციატიავს ისევ გარედან?

- რეალურად არავინ იცის, რამდენად საინტერესო იქნება შენი შექმნილი პროდუქტი და რამდენად ეყოლება შემკვეთი. თვითონ ეს სისტემაა ასაწყობი. თავიდანვე არ გაქვს მოტივაცია, რომ ეს გააკეთო და ამიტომ თავიდანვე არ ეწევი ხარჯებს. მეორეც, ეკონომიკური შეზღუდვა ხდება ამ მიმრთულებით და არ არის შესაძლებელი, განახორციელო ის კვლევები. სასწავლი უნივერსიტეტი მაინც გაძლევს შესაძლებლობას, მოიყვანი საბაკალავროზე, მოიყვანო სამაგისტროზე. სადოქტორო ეკონომიკურად არაფრის მომცემი არ არის. სჭირდება დიდი ხარჯი და არ აქვს შემოსავლები. უნივერსიტეტებსი უმრავლესობა, იზულებულია, თავი დაანებოს კველვას, ან მხოლოდ სახელის გამო აკეთებს ამას. ძნელია გარისკო და ჩადო დამატებითი ხარჯი. ამიტომ ავირჩიეთ იგივე საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე კონცენტრაცია, რომლების ხარისხის უზრუნველყოფაც მეტად შეგვიძლია. აკრედიტაციის პროცესში პროგრამების შემოწმება ხდება ძალიან მაღალ დონეზე. ამ პროგრამების განხორციელებში მთავარი პრობლემა შეიძლება იყოს შეფასების სისტემაში, უფრო სწორედ, სტუდენტებსითვის ნიშნის დასმაში. უნდა ავღიაროთ, რომ ქართულ უნივესრიტეტებში სტუდენტებსი შეფასება უფრო რბილია, ვიდრე ამას ხარისხი ითხოვს, რადგან დაფინანსების სისტემიდან გამომდინარე, ყველა უნივერსიტეტი ცდილობს, სტუდენტი არ გაექცეს. ბაზარი გაჯერებულია და დრევანდელ ქართველ სტუდენტებს აქვთ მოტივაცია, ირიცხებოდნენ იმ უნივერსიტეტში, სადაც მარტივად მიიღებენ ნიშნებს. სამაგისტრო საფეხურზე კი სტუდენტების 30-40 პროცენტი მუშაობს; ისინი სასწავლო პრიცესს, ფაქტიურად, მოწყვეტილები არიან, ამიტომ ცდილობენ, სადაც მარტივად გავლენ,

მარტივად ჩააბარებენ, იმ უნივერსიტეტს მიმართონ.

საქართველოში შრომით ბაზარზე დასაქმება ყველაზე დიდი პრობლემაა. თუკი სტდენტების 30-40%, როგორც თქვენ აღნიშნეთ, გარკვეულ ეტაპზე უკვე მუშაობს, რატომ ცდილობენ, პარალელურად, აიღონ ფსევდო-დიპლომი?

- საქართველოში ბევრი უცნაური ფენომენია, რომელსაც მხოლოდ ბაზრის მოთხოვნებით ვერ ავხსნით. დიპლომომანიას რომ თავი დავანებოთ, საინტერესოა აბიტურიენტების მიერ პროგრამების არჩევის კრიტერიუმებიც. ჩვენ გვაქვს, მაგალითად, აგროინჟინერია, რომელიც, რეალურად, დასაქმებადი უნდა იყოს ბაზარზე, მაგრამ ბავშვემი არ მოდიან. ყველაზე საინტერესო და პიპულარული ბიზნესის ადმინისტრირება და სამართალია, თუმცა, ამ პროგრამების კურსდამთავრებულები იშვიათად საქმდებიან; პრობლემები აქვთ, მაგრამ მაინც ცდილობენ ეს ფაკულტეტები დაამთავრონ. ეს ისეთი ინერციით მოდის, ძნელია ლოგიკა მოვძებნოთ. ფაქტია, რომ ბაზრის შეკვეთა არ არის. გვაქვს აგრარული პროგრამა, რომლის რეკლამასაც ორი წელიწადი მოვანდომე, მოვიწვიე პროფესორ-მასწავლებლები აგრარული უნივერსიტეტიდან, მაგრამ ჯერჯერობით პირველ კურსზე გვყავს მხოლოდ 7 სტუდენტი, მეორეზე კი 14. ვფიქრობ, საჭიროა შრომითი ბაზარი თვითონ სახელმწიფომ შეისწავლოს უკეთ და უნივერსიტეტების მონაცემებიც გამოიყენოს დასკვნების გაკეთების პროცესში.

6.1.3. სიტუაციური მაგალითი #3. თბილისის ივ, ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უნივერსიტეტის ისტორიის მოკლე მიმოხილვა: ”1918 წელს გაიხსნა კავკასიაში პირველი ეროვნული უნივერსიტეტი, რომელმაც, ქართული საგანმანათლებლო ტრადიციების

გათვალისწინებით, საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ევროპული ტიპის უმაღლეს სკოლას. 1989 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მისი დამაარსებლის ,ივანე ჯავახიშვილის სახელი მიენიჭა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი თავისი მასშტაბით ერთ–ერთი უდიდესია საქართველოში. დღეისთვის თსუ–ს 7 ფაკულტეტზე 22 ათასამდე სტუდენტი სწავლობს; საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებთან ერთად უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო, ასევე მოკლე და გრძელვადიანი სასერტიფიკატო პროგრამები ხორციელდება.”

რესპონდენტი - **ვლადიმერ პაპავა**, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს; თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი რექტორი 2013-2016 წლებში (შემდგომში - რესპონდენტი #3)

უმაღლესი განათლების ეროვნული სისტემები, გლობალიზაციის პირობებში, დამოუკიდებლად, პრაქტიკულად აღარ არსებობს. უნივერსიტეტებს, მთელს მსოფლიოში, უწევთ იზრუნონ საკუთარ კონკურენტუნარიანობაზე არა მხოლოდ ლოკალური, არამედ საერთაშორისო მასშტაბებით. არც საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემა და უნივერსიტეტებია გამონაკლისი. თქვენი აზრით, არსებულ ეტაპზე არის თუ არა ინტერნაციონალიზაცია, როგორ უმაღლესი განათლების სფეროში გლობალურ დონეზე მიმდინარე ერთ-ერთი ძირითადი პროცესი აქტუალური თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის? იგულისხმება საერთაშორისო სტუდენტების ჩართულობა სასწავლო პროცესში, გაცვლითი პროგრამები, ინგლისურენოვანი პროგრამების შეთავაზების შესაძლებლობა და ა. შ.

- ალბათ უნდა დავიწყოთ იმით, რომ საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემა ბოლონიის პროცესშია ჩართული და სწორედ ამ პროცესის მეშვეობით მისდევს გლობალურ ტენდენციებს უმაღლეს განათლებაში. ეს ნიშნავს იმას, რომ უნივერსიტეტებს აქვთ გარკვეული სტანდარტები, რომლებიც უნდა დაიცვან. მაგრამ ეს

არ ზღუდავს მათ არჩევანში, თუ როგორი შიდა მოწყობა უნდა ჰქონდეს უნივერსიტეტს; რა და რამდენი ფაკულტეტი უნდა ჰქონდეს, რომელი სპეციალობებით და ა.შ. რა თქმა უნდა, ყველა უნივერსიტეტს აქვს თავისი ძლიერი და სუსტი მხარე და ინდივიდუალურა უნდა ეცადოს, ერთი მხრივ, უკეთ წარმოაჩინოს ძლიერი მხარეები, ხოლო მეორე მხრივ, სუსტი მხარეები დაძლიოს. გლობალური ბაზარი და კონკურენცია უნივერსიტეტებს ამაში ეხმარება, თუმცა არსებობს ეროვნული პრიორიტეტები, მეცნიერებების ისეთი დარგები. რომლების განვითარებაც საბაზრო მოთხოვნებზე არ არის დამოკიდებული და რომლებსაც ვერ ექნებათ განვითარება ჩვენი ქვრყნის მცირე ზომებიდან გამომდინარე, საერთაშორისო დონეზე, თუ ამ მეცნიერებების წახალისება არ მოხდა სახელმწიფოს ან თვითონ უნივერსიტეტის მიერ. მაგალითად, ჩვენს უნუვერსიტეტში, 2014 წლიდან შემოვიღეთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის საერთაშორისო პრემია ქართველოლოგიაში. ვცდილობთ, დავაინტერესოთ მსოფლიოს ქართველოლოგები. ეს ნიშნავს, რომ რაღაც გაგებით ამ სფეროსაც აქვს საერთაშორისო მასშტაბით მნიშვნელობა. თუკი მსოფლიოს რომელიმე უნივესრიტეტში მუშაობს ქართველოლოგი, ის აუცილებლად ეცდება, რომელი ქვეყნის უნივერსიტეტის წარმომადგენელიაც არ უნდა იყოს, მიიღოს გრანტი საქართველოში კვლევის წარმოებისათვის. ამიტომ, ეროვნული უნივერსიტეტებისთვის მნიშვნელოვანია გადაარჩინონ ის სფეროები, რომლებზეც გლობალურ კონტექსტში სხვა ვერ იზრუნებს.

თვითონ გლობალიზაცია უმაღლეს განათლებაში გარკვეულწილად უნიფიცირებას ნიშნავს და ეს უნიფიცირება მსგავსი სტანდარტების დაკმაყოფილებასაც ნიშნავს ამა თუ იმ საგნის სწავლებისას. ძველად, დაგეგმილი ბაზრის პირობებში, სტუდენტებს წინასწარ ქონდათ განსაზღვრული სავალდებულო საგნების ჩამონათვალი და დასაქმების სპექტრი. დღეს სტუდენტს აქვს არჩევანის მეტი შესაძლებლობა, თუმცა უფრო კონკურენტულ გარემოშიც უხდებათ სამსახურის ძებნა. უნივერსიტეტები მათ ამ გამოწვევისთვის მზადყოფნაში უნდა ეხმარებოდეს.

ბოლონიის პროცესი ერთიანი ევროპულ სივრცის შექმნაზეა ორიენტირებული, თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ ეს პროცესი ამერიკული უმაღლესი განათლების სისტემსითვის

კონკურენტუნარიანი ალტერნატივის შექმნას გულისხმობს. ამავდროულად, ამერიკანიზაცია ხშირად გლობალიზაციის სინონიმად გამოიყენება, თუნდაც უმაღლესი აგნათლებსი სფეროში და ამ გლობალურ ზეგავლენას თვითონ ევროპული უნივერსიტეტებიც განიცდის. თქვენი აზრით, საქართველსოთვის რამდენად მომგებიანია ამ პროცესებში მონაწილეობა მაშინ, როცა გლობალიზაცია და მობილობის გააქტიურება გონებრივი რესურსების კარგვასთანაც არის დაკავშირებული?

- ეს პროცესი კარგვასაც გულისხმობს და შეძენასაც. საქართველომ ხელი მოაწერა ასოცირების ხელშეკრუებას ევროკავშირთან, რაც იმასაც ნიშნავს, რომ უმაღლესი განათლების კუთხით, ქართულმა უნივერსიტეტებმა ავტორიზაცია უკვე უნდა გაიარონ არა მარტო ქართული სისტემის მოთხოვნით, არამედ ევროპული სისტემის მოთოვნებითაც; სხვანაირად რომ ვთქვათ, მათ უნდა დააკმაყოფილონ ევროპული სტანდარტები. ამას, რა თქმა უნდა, მოყვება არა მარტო სტუდენტების, არამედ პროფესორ-მასწავლებლების გაადვილებული მობილურობაც. როდესაც გახლდით პორტოს უნივერსიტეტში, რომელიც ერთ-ერთი უძველესია პორტუგალიაში, მკითხეს, რამდენი უცხოელი პროფესორი გვყავდა. ისინი გლობალიზაციით ამაყობენ; მათთვის მნიშვნელოვანია, ყავდეთ გარკვეული რაოდენობის უცხოელი პროფესორი, რომელიც არ არის პორტუგალიის მოქალაქე. თვითონ პორტუგალიელები კი ასევე, სხვა ქვეყნების უნივერსიტეტებშიც ასწავლიან. ეს გლობალიზაციის პირობებში არ ნიშნავს ინტელექტუალური რესურსის კარგვას, ეს უფრო შეძენაა. თუ შენ კარგი უნივერსიტეტი ხარ, შენთან უკეთესი კადრი მოვა; უკეთეს სერვისს შესთავაზებ, უკეთეს ანაზღაურებას, უფრო დააინტერესებ. ამიტომ, როგორც იტყვიან, ეს არის მოძრაობა ორმხრივი მიმართულებით. ოღონდაც, ამ კონკურენტულ გარემოში უნივერსიტეტი მუდმივად უნდა მიდიოდეს სრულყოფისაკენ. ჩვენ ცოტა სხვა პრობლემების წინაშე დავდექით ამ ეტაპზე; ჯერ კიდევ უფრო დაბალი დონის, დაბალი რანგის პრობლემები გვაქვს გადასაჭრელი. მაგალითად, უნდა ვიზრუნოთ, რომ ჩვენი უნივერსიტეტი იყოს მეტად ცნობადი. იმას კი არ ვგულისხმობ, რომ რამე რეიტინგში ბოლო პოზიცია გვიკავია, არამედ იმას, რომ პრაქტიკულად, არც კი გვიცნობენ. საქართველოს უნივერსიტეტები, და სამწუხაროდ, მათ შორის თსუ-ც, არაერთ სერიოზულ რეიტინგში, ბოლო

პერიოდამდე, უბრალოდ, არ ჩანდა. ჩვენი ძალისხმევით წელს პირველად მოხდა, რომ არა უბრალოდ რეგისტრაცია გავიარეთ, არამედ სრულფასოვანი ინფორმაცია მივაწოდეთ ტიმსის და ტომსონის რეიტინგებს. ეს ნიშნავს, რომ ამ ყველაზე ავტორიტეტულ რეიტინგებში ჩვენი უნივერსიტეტიც გამოჩნდება, რაც გაზრდის მის ცნობადობას. მნიშვნელოვანია, ჩანდეს, თუ რომელ ადგილზე ვართ რა მახასიათებლებით; რითიც დაინტერესებული პირები შეძლებენ გაშიფრონ ჩვენი სარეიტინგი მდგომარეობით, უნივერსიტეტის მდგომარეობის გაშიფრვას - რომელი მიმართულებით გვაქვს მთავარი მიღწევები, რა სფეროებში გვაქვს პრობლემები ან ჩავარდნა და ა.შ. ეს ინფორმაცია ჩვენთვისვე ასასარგებლო, რათა უფრო მიზანმიმართულად დავიწყოთ მუშაობა.

დღეს მასიფიკაცია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროცესია უმაღლეს განათლებაში, რომელიც პირდაპირ აისახება უნივერსიტეტების ფუნქციონირებაზე. მასიფიკაცია გულისხმობს სტუდენტების მასობრივად შემოსვლას უმღლეს განათლებაში. უწინ უმაღლესი განათლება ელიტარული, შეზღუდული იყო მსურველებისათვის; მკაფიოდ იყო დაგეგმილი ბაზარი, წინასწარ იყო განსაზღვრული თუ რა რაოდენობის სტუდენტი მოხვდებოდა სასწავლებელში, რაც პირდაპირ კავშირში იყო შემდგომ მათი დასაქმების პერსპექტივასთან. გასაგებია, რომ მოგებაზე ორიენტირებულ საზოგადოებაში, მასიფიკაცია კარგია უნივერსიტეტების, როგორც კომერციული საწარმოების განვითარებისათვის, მაგრამ თქვენ როგორ ხედავთ ამ პროცესის კავშირს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით?

- ის, რომ ადამიანს უნდა, მიიღოს განათლება და ამისკენ აქვს სწრაფვა, თავისთავად კარგია. მაგრამ ამ პროცესში ხარისხის უზრუნველყოფისათვის არის მინიმალური სტანდარტი, რომელიც წესდება ეროვნულ გამოცდებზე და რომელიც უნდა დააკმაყოფილოს აბიტურიენტმა, რათა გახდეს სტუდენტი. დღეს საქართველოში ეს სტანდარტი ფაქტობრივად არის ძალიან დაბალი, მაგრამ იმავდროულად უნივერსიტეტებს აქვთ უფლება, რომ ეს მინიმალური ზღვარი ასწიონ და ჩვენ ძალიან ბევრი მიმართულებით ეს გამოცდების სტანდარტი გვაქვს აწეული, რადგან არა მარტო სტუდენტების მოზიდვა გვინდა, არამედ გვინდა, პირველ რიგში, სწავლების ხარისხი

უზრუნველვყოთ. სხვანაირად რომ ვთქვათ, გვინდა, რომ უნივერსიტეტში სათანადოდ მომზადებული ახალგაზრდები მოვიდნენ, რომლებიც შეძლებენ სრულფასოვნად სწავლას და მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტს დაამთავრებენ, შეძლებენ დასაქმდნენ უკიდურესად კონკურენტულ გარემოში. ძველ საბჭოურ სისტემაში ადამიანს თუ ჰქონდა დიპლომი, ის რაღაც გარანტირებულ სამსახურს იშოვიდა და თუნდაც ამ დიპლომის გამო, რაღაც ხელფასს მიიღებდა. დღეს ასე არ არის. შრომით ბაზარზე შეხვდებით ბაკალავრიატდამთავრებულ ახალგაზრდებს, რომლებსაც არანაირი სურვილი არა აქვთ, მაგისტრატურაში ისწავლონ, რადგან უკვე აქვთ სასურველი სამსახური და მოტივაციას ვერ ხედავენ, თუ არში შეიძლება გამოადგეთ მაგისტრის დიპლომი. ბაზარმა განსაზღვრა ის, რომ შესაძლებელია კონკრეტული ბაკალავრი უკეთ დასაქმდეს, ვიდრე კონკრეტული მაგისტრი. ვინმემ შეიძლება თქვას, რომ დღეს ბაკალავრიატი არ არის სრულყოფილი განათლება, თუმცა ესეც ძალიან პირობითი ცნებაა. ყოველ შემთხვევაში, მაშინ როცა საბაზრო სისტემის საკმაოდ ძლიერი ელემენტები გაჩნდა უმაღლეს განათლებაში, დასაქმების საკითხსაც ბაზარი წყვეტს. სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა უნივერსიტეტების უმთავრესი პრიორიტეტი უნდა იყოს. სახელმწიფო უნივერსიტეტებს უწესებს გარკვეული სახის საერთო რეგულაციებს. უნივერსიტეტებმა უნდა გაიარონ ავტორიზაცია, პროგრამებმა უნდა გაიარონ აკრედიტაცია, ანუ უნივერსიტეტმა უნდა დააკმაყოფილოს მთელი რიგი მოთხოვნები, რომ მის მიერ გაცემული სერთიფიკატი მოცემულმა სახელმწიფომ აღიაროს; ხოლო როდესაც მოხდება უნივერსიტეტების ევროპული ავტორიზაცია, უნივერსიტეტებს მოუწევთ ევროპული უნივერსიტეტებისათვის საერთო გარკვეული სტანდარტების დაკმაყოფილებაც.

თვლით, თუ არა, რომ ეროვნულ დონეზე საკმარისია ხარისხის უზრუნველყოფის ის მექანიზმი, რომელიც დღეს არსებობს?

- იდეალური დონე ხარისხის უზრუნველყოფის თვალსაზრისით ალნათ არც არასდროს იქნება, რადგან სტანდარტები მუდმივად გადასახედია და უმაღლესი განათლების სისტემა გამუდმებით დგას სერიოზული გამოწვევების წინაშე. ამ ეტაპზე ჩვენ ევროპული ავტორიზაცია გვაქვს გასავლელი და ბუნებრივია, სამომავლოდ სტანდარტები იქნება ევროპული. აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, მოთხოვნაც

იქნება თვისებრივად განსხვავებული; მაგრამ ჩვენ აქ მივადექით კიდევ ერთ საკითხს - იმისთვის, რომ ამა თუ იმ უნივერსიტეტს ჰქონდეს სტაბილური განვითარების შესაძლებლობა, ის არ უნდა იყოს მხოლოდ სტუდენტის მიერ მოტანილ ფულზე დამოკიდებული. დღეს შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში მთელი სასწავლო პროცესი სწორედ ასეთ დაფინანსებაზეა დამოკიდებული, რაც უდავოდ არის შეცდომა. უნივერსიტეტისთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, სტუდენტმა მოიპოვა გრანტი თუ ოჯახიდან მოიტანა ფული. მისი შემოასვლები მაინც სტუდენტების რაოდენობაზე ხდება დამოკიდებული. დაფინანსების ასეთი მექანიზმი განსაკუთრებით აზარალებს კვლევით კომპონენტს. ახლა ჩვენთან გაჩნდა პროგრამული დაფინანსების შესაძლებლობა და თითქოს ამან გარკვეული შვება აგრძნობინა უნივერსიტეტს, თუმცა ეს დაფინანსებაც ისევ სტუდენტზეა ასე ვთქვათ, მიბმული. თუ სტუდენტი, რომელიც, ვთქვათ, ფიზიკის ფაკულტეტზე მოდის სასწავლებლად, გრანტსაც მოიპოვებს, უნივერსიტეტისთვის ეს ნამდვილი შეღავათია, მაგრამ ჯამურად ჩვენი შემოსავლები პროგრამული დაფინანსებიდან ახლა ორი მილიონია, რაც ასეთი მასშტაბების უნივერსიტეტისათვის, სამწუხაროდ, არ არის რეალური შეღავათის მომცემი. ამიტომ, ვთვლი, რომ უნივერსიტეტს სჭირდება განსაზღვრული ბიუჯეტით დაფინანსება. მე არ ვიტყოდი, რომ აუცილებელია მაინცდამაინც დაფინანსებს გერმნული მოდელის აღება, რადგან ეს მოდელი საკმაოდ ძვირია - იქ თითქმის უფასოა სწავლა. თითქმის იმიტომ, რომ არის რაღაც მიმართულებები, ტრენდული სპეციალობები, რომლებზეც ფასიანი კომპონენტი იქნა შემოღებული, მაგრამ სხვა უნივერსიტეტებში, მაგალითად ესპანურ უნივერსიტეტებში, იტალიურ უნივერსიტეტებში, სადაც მე გახლდით, მქონდა შეხვედრები ლექტორებთან და იქ ყველგან არის სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსება. ესპანეთში და იტალიაში, სახელმწიფო დაფინანსება შეადგენს უნივერსიტეტის შემოსავლების 40-50 %-ს. სახელმწიფო დაფინანსება შედარებით ნაკლებია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, მათ შორის, ბალტიის ქვეყნებში (20-დან 25 %), იმისდა მიხედვით, თუ რამდენად მდიდარია ქვეყანა. ჩვენთან ეს არის ნულის ტოლი. ჩემს უცხოელ კოლეგებს გაუკვირდათ, თუ როგორ ახერხებს სახელმწიფო უნივერსიტეტი არსებობას ასეთ ვითარებაში. ჩვენთვის თითოეული სტუდენტი არის ფულის მომტანი. როცა

სტუდენტს უყურებ, როგორც ფულის მომტანს, ეს უკვე პრობლემებს გიქმნის, იმიტომ რომ იცი, რომ სტუდენტის დაკარგვა გიქმნის ფინანსურ პრობლემებს. შემიძლია გითხრათ ჩემი გამოცდილებიდან, რომ უნივერსიტეტში გვყავს ოცდაერთი ათასზე მეტი სტუდენტი. უნივერსიტეტი უფრო ხარისხიან განათლებას მისცემდა, რომ შეგვეძლოს სტუდენტთა რიცხვის მაქსიმუმ, თვრამეტი ათასზე დაყვანა. ანუ, გვიწევს კომპრომისებზე წასვლა ხარიხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. რადგან ავტორიზაცია გვაქვს ოცდაერთი ათას სტუდენტზე, მაქსიმალურად ვიღებთ ოცდაერთი ათას სტუდენტს, რომ არ დავკარგოთ 10 -11 მილიონი ლარის შემოსავალი. თუ განათლების ხარისხს მივიჩნევთ პრიორიტეტად, მაშინ ამ რესურსს დავკარგავთ. ამიტომ ვამბობ, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტი არ უნდა იყოს დამოკიდებული სტუდენტის მიერ მოტანილ ფულზე რათა ხარისხის მიმართულებით განვითარდეს და შექმნას ჯანსაღი კონკურენტული გარემო სხვა უნივერსიტეტებისათვისაც.

კერძო უნივერსიტეტების ნაწილიმა უკვე დაიწყო მეზობელ ქვეყნებთან თანამშრომლობა სტუდენტების მოზიდვის პერსპექტივით, რადგან მათი დაკვირვებით, ადგილობრივი ბაზარი არ არის საკმარისი, შეავსონ ადგილები. ეს უნივერსიტეტები ცდილობენ მოიზიდონ აბიტურიენტები ირანიდან, ინდოეთიდან, აფრიკის ქვეყნებიდან და ა.შ. ამაზე მიმდინარეობს სერიოზული მუშაობა. შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ეს უამღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის ერთ-ერთი თანმდევი პროცესია. მაინტერესებს, მობილობის წახალისებისა და გაცვლით პროგრამების მიღმა, რომლებიც შედარებით მოკლევადიანია, სახელმწიფო უნივერსიტეტიც თუ მუშაობს სხვა ქვეყნების უმაღლესი განათლების ბაზრების ათვისების თვალსაზრისით?

- რა თქმა უნდა, ჩვენთანაც არის მსგავსი პროცესები. ნუ ვიტყვით, რომ ეს მარტო კერძო უნივერსიტეტშია. უბრალოდ, ჩვენ გარკვეული სირთულეები გვაქვს ამ მიმართულებით, იმიტომ, რომ ჩვენი ძირითადი საკადრო შევსება ხდება ადგილობრივი სტუდენტებით. კანონმდებლობის შესაბამისად, კერძო უნივერსიტეტს შეუძლია, სწავლებას დაადოს ნებისმიერი ფასი. ჩვენ ამაში შეზღუდულები ვართ და ამიტომ, ბუნებრივია, ჩვენს შეჭირვებულ საზოგადოებაში სტუდენტი, რომელსაც იღებს გრანტის მაქსიმალურ ოდენობას, 2250 ლარს და არ შეუძლია ამ თანხას დაამატოს რამე ფინანსური

შეზღუდვებიდან გამომდინარე, ვერ მიდის კერძო სასწავლებელში და მოდის ჩვენთან, მაგრამ ჩვენთან მაინც გამოიკვეთა მაღალი მოთხოვნა უცხოელი სტუდენტების მხრიდან, მაგალითად მედიცინის ფაკულტეტზე, სადაც უკვე ძალიან ბევრი უცხოელი სწავლობს - ერაყელი, ინდოელი, პაკისტანელი. გვაქვს ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა, აისეტი, ძალიან ცნობილი სკოლა, სადაც სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, სხვა მეზობელი ქვეყნებიდან მოდის დიდი რაოდენობის სტუდენტი. ბუნებრივია, რომ ასეთ პროგრამებზე სწავლის საფასური განსხვავებულია. ამის უფლება გვაქვს, მაგრამ აქ ვდგებით სხვა სირთულის წინაშე - როცა აკეთებ საერთაშორისო პროგრამას, ბუნებრივია, რომ იქ ცოტა უფრო მაღალი მომსახურების სერვისი უნდა დაახვედრო. გჭირდება უცხოენივანი ლექტორები და ინფრასტრუქტურა. ჩვენ გვიჭირს ინფრასტრუქტურა. კერძო უნივერსიტეტს საკუთარი ინფრასტრუქტურა აქვს და შეუძლია საკუთარ ნებაზე განკარგოს, სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა კი სახელმწიფო კუთვნილებაა და მისი განკარგვაც სახელმწიფოს ხელეწიფება.

მაგრამ თქვენ ხომ აწარმოებთ კანონით დაშვებულ გარკვეული სახის ფინანსურ ოპერაციებს?

- ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია საერთაშორისო პროგრამებზე, უცხოელი სტუდენტებისათვის სწავლების განსხვავებული გადასახადი დავაწესოთ, რომელიც აღემატება სასწავლო გრანტის მაქსიმალურ ოდენობას, ანუ 2250 ლარს. მაგრამ უცხოელი სტუდენტი რომ მოიზიდო, მას უნდა შესთავაზო განსხვავებული დონის მომსახურება. რასაც ქართველი სტუდენტი ''ითმენს'' დუხჭირი ცხოვრების გამო, უცხოელი ამას არ მოითმენს, რადგან ის 2-3-ჯერ მეტს უხდის უნივერსიტეტს, ვიდრე ადგილობრივი სტუდენტი. საერთაშორისო ბაზარი დიდია და მარტივად შეუძლია, უბრალოდ, სხვაგან წავიდეს. ვთქვათ, მედიცინის ფაკულტეტზე თუ მოდის სტუდენტი, მას უნდა მისცე სრული სერვისი. ამისთვის მედიცინის ფაკულტეტი იდეალურად უნდა იყოს გამართული და აღჭურვილი. ეს ერთი ხელის მოსმით არ ხდება. ჩვენ მთავრობასთან ვიმუშავეთ და იმედი გვაქვს, რომ წელს გვეყოფა თანხები; მით უფრო, რომ განათლების და მეცნიერების სამინისტროს აქვს დადებითი პოზიცია, გამოიყოს თანხები, რომლითაც მაქსიმუმ ერთ წელიწადში გავარემონტებთ იმ ბაზას, რომელიც აქვს მედიცინის

ფაკულტეტს. ეს დაგვეხმარება დამატებით უცხოელი სტუდენტების მოზიდვაში. მათი მოზიდვა ახლაც ხდება, მაგრამ რაოდენობრივად ჯერ ვერ აღწევს საჭირო მასშტაბებს. როცა მთელი კორპუსი გაიმართება, რა თქმა უნდა, მეტ სტუდენტს მოვიზიდავთ და დამატებითი შემოსავლის წყაროც შეიძლება ჰქონდეს უნივერსიტეტს.

ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საფეხურები დღევანდელ ქართულ უნივერსიტეტებში ალბათ მეტ-ნაკლებად, შედარებით უფრო გამართულად მუშაობს, ვიდრე კვლევითი საფეხური. სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში კვლევების წარმოება უფრო მარტივია, რადგან ნალკლებად ძვირადღირებულ ინფრასტრუქტურას საჭიროებს, ხოლო ისეთ სფეროებში, სადაც საჭიროა ლაბორატორიებით და თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ძლიერი კვლევითი ბაზა, ალბათ ისეთივე მწირი შესაძლებლობებია, როგორც უცხოელი სტუდენტების მოზიდვისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის შემთხვევაში, რაზეც თქენ ისაუბრეთ. და ეს მაშინ, როცა საქართველოს ნამდვილად ქონდა, და ალბათ ჯერ კიდევ აქვს საკმაოდ ძლიერი ფიზიკის სკოლა, მათემატიკის სკოლა. იყო რეალური პოტენციალი, გაგვეგრძელებინა ტრადიცია ამ მიმართულებებში და მსოფლიო მასშტაბებზე გასვლის პრეტენზიაც კი გვქონდა. ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლები, რომლებმაც თავის დროზე დაამთავრეს ეს უნივერსიტეტი, ფაქტია, რომ დღეს საერთაშორისო მნიშვნელობის პროექტებზე წარმატებით მუშაობენ სხვადასხვა ქვეყანაში. მაინტერესებს თქვენი დამოკიდებულება ამ საკითხთან. როგორ შეაფასებთ უნივერსიტეტის დღევანდელ შესაძლებლობებს კვლევასთან დაკავშირებით?

- თქვენ უფრო მუქი ფერებით გაქვთ წარმოდგენილი შექმნილი ვითარება, თუმცა, მთელ რიგ საკითხებში ამბობთ იმას, რაც რეალურად არის საქართველოში. მეცნიერება დაზარალდა ყველაზე მეტად. ზოგადად კვლევას ნუ დავუძახებთ ამ კომპონენტს. ანალიზებს რომ ჩააბარებ პასუხისთვის, ესეც კვლევაა. ახლა ჩვენთან ყველაფერს კვლევას ეძახიან, თუმცა ხშირად ეს არაფერ კავშირში არ არის მეცნიერებასთან. მთელი რიგი არასამთავრობო ორგანიზაციები (მე თვითონ მიმუშავია ამ სექტორში) რასაც ატარებენ, იმასაც კვლევა ჰქვია. თუმცა იმ კვლევას არანაირი კავშირი არ აქვს მეცნიერებასთან. ამ მომენტში ჩვენ ვსაუბრობთ მეცნიერებაზე. თავიდანვე, ჩვენი უნივერსიტეტი დამფუძნებლებმა ჩამოაყალიბეს, როგორც სამეცნიერო სასწავლო

დაწესებულება. ჩემი რექტორობის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქცია, მიმაჩნია, რომ არის პრიორიტეტის მინიჭება მეცნიერების განვითარებისთვის. ამას წინათ ერთ-ერთმა საერთაშორისო რეიტინგულმა ორგანიზაციამ სარეიტინგო კვლევა გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც უნივერსიტეტები არიან რანჟირებული მსოფლიოში სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის მიხედვით. მე შემიძლია გითხრათ, რომ სხვადასხვა პარამეტრების მიხედვით, ამკვლევის შედეგად თბილისის ივ. ჯავახიშვილსი სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მსოფლიოს 23 ათასზე მეტ უნივერსიტეტს შორის არის 985-ე ადგილზე. სამეცნიერო კვლევის თვალსაზრისით, ჩვენი უნივერსიტეტი პირველია არა უბრალოდ საქართველოში, არამედ კავკასიაშიც. ინფორმაცია ამის შესახებ დევს ჩვენს ვებ გვერდზე და ნებისმიერ მსურველს შეუძლია მისი ნახვა. 23 ათა სუნივერსიტეტს შორის 985-ე პოზიცია ნიშნავს, რომ სამეცნიერო კვლევის წარმოების თვალსაზრისით, მსოფლიო უნივერსიტეტების 5 %-ში ვართ. ანუ, ეს ძალიან მაღალი მაჩვენებელია. თანაც, დინამიკაზე თუ ვილაპარაკებთ, 3 წლის წინ ვიყავით 1600-ე ადგილზე და ახლა უკვე 985-ე ადგილი დავიკავეთ. მათემატიკის დარგში 432-ე პოზიცია გვიკავია. სხვა მიმართულებებით უფრო გვიჭირს. თუმცა მაინც შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღესაც ჩვენი უნივესიტეტის სახეს საერთაშორისო დონეზე წარმოაჩენს მეცნიერება. ერთია, რომ სულ გქვონდა კვლევის ტრადიცია და ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ მივიღეთ გარკვეული მარეგულირებელი აქტები, და პირველი და უმთავრესი, შემოვიღეთ მინიმალური სტანდარტი სამეცნიერო კვლევითი საქმიანობისათვის. იგი განსაზღვრავს, თუ რა უნდა გააკეთოს პროფესორმა, რომ მისი საქმიანობა ჩაითვალოს სამეცნიეროდ, რაშიც ის ხელფასს იღებს. ჩვენ არ გვაინტერესებს პროფესორების მხრიდან ფორნალური ოქმების წერა და ანგარიშების წარმოადგენა. ეს მეათეხასრისხოვანია. ჩვენ გვაქვს მინიმალური სტანდარტი. მაგალითად, პროფესორმა ყოველწლიურად უნდა დააგროვოს 100 ქულა სხავდასხვა აქტივობის ხარჯზე. ამისთვის შეუძლია, ვთქვათ, ორ წელიწადში ერთხელ გამოაქვეყნოს სტატია მაღალი რეიტინგის მქონე ჟურნალში. ორ წელიწადში ერთი სტატიაც რომ გამოაქვეყნოს, ექნება საჭირო 100 ქულა. არსებობს ალტერნატივებიც. მაგალითად, სტატიის გამოქვეყნება ჟურნალში, რომელიც ფიქსირდება გუგლში, არის 60 ქულა; დანარჩენი ორმოცი ქულა შესაძლებელია შეივსოს გრანტით, კონფერენციით,

ადგილობრივი პუბლიკაციით და ა.შ. სამეცნიერო პოპულარული სტატიის ადგილობრივად გამოქვეყნება, პრაქტიკულად, შეუძლებელიცაა. დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობაშუი მეცნიერების პოპულარიზაციას, მათი განათლების დონის ამაღლებას. ასეთი აქტივობებითაც შეიძლება 25 ქულის მოპოვება. აი, დაახლოებით ამ პრინციპებზეა აგებული ჩვენი სტანდარტი, რომელიც მივიღეთ 2014 წლის 29 დეკემბერს და ამოქმედდება 2017 წლის 1 იანვრიდან, ანუ პროფესორებს მივეცით ორი წელი, რათა დაიწყონ სტანდარტის მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე ზრუნვა.

რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ პროფესორების დიდი ნაწილი ვერ დააკმაყოფილებს სტანდარტს?

- ძალიან მარტივად დადგება საკითხი რეგულარული კონკურსების საფუძველზე მათი ჩანაცვლების შესახებ. თუ ჩვენ გავზრდით ინგლისურენოვანი პროგრამების რაოდენობას, სხვა ქვეყნებიდანაც კი შეიძლება მოვიზიდოთ პროფესორები კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, მაგრამ ინგლისურენოვანი პროგრამებს გაზრდა არ არის საკმარისი, რომ უცხოელი კადრი ჩამოვიდეს. მაღალი რანგის პოზიციაზე ანაზღაურების საკითხიც პრობლემურია. მნიშვნელოვანია საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის განვითარება. ჩემი აზრით, მთავარი მაინც ისაა, რომ ეს მინიმალური სტანდარტი შემოვიღეთ. შემიძლია, გითხრათ, რომ ეს ინიციატივა არ იყო ერთსულოვნად მხარდაჭერილი, მიუხედავად იმისა, რომ მინიმალურ საუნივერსიტეტი სტანდარტზეა საუბარი. ყველა ფაკულტეტს აქვს უფლება, სტანდარტი აწიოს. ფიზიკოსისთვის და მათემატიკოსისთვის ძალიან ადვილია მინიმალური სტანდარტის დაკმაყოფილება, რაც ნიშნავს, რომ ფაკულტეტს მათ მიმარტ მეტი მოთხოვნები ექნება. სხვისთვის შეიძლება ეს რთულად მისაღწევი იყოს, მაგრამ მინიმალური სტანდარტის დაწევის უფლება არ უნდა ქონდეს ფაკულტეტს. ანუ, სიტუაცია არის ასეთი - ჩვენი უნივერსიტეტი, პრაქტიკულად, აიძულებს პროფესორებს, რომ 2017 წლის 1 იანვრიდან ჰქონდეთ მაღალრეიტინგული პუბლიკაციები. რა თქმა უნდა, ამას პროფესორები შეხვდნენ დიდი წინააღმდეგობით, მაგრამ ეს დოკუმენტი, აკადემიურ საბჭოზე წინააღმდეგობის მიუხედავად, გავიდა, ანუ ის უკვე ძალაშია შესული. სამწუხაროდ, საქართველოში არის კიდევ ერთი ერთი ძალიან სერიოზული სენი - პლაგიატი და ნორმების სხვა დარღვევები. ამიტომ პირველმა ჩვენმა

უნივერსიტეტმა მიიღო რეგულაცია აკადემიური ეთიკის დარღვევასთან დაკავშირებით. აკადემიური ეთიკის დარღვევა, დავუშვათ პლაგიატის მოძიების საკითხი დასავლეთში გადაწყვეტილია პროგრამული უზრუნველყოფის დონეზე, რაც საქართველოში შეუძლებელია. როგორ უნდა იპოვო პლაგიატი, თუ არ არის ამისთვის სპეციალური კომპიუტერული პროგრამები? არსებულ პროგრამებს საქართველოში ვერ გამოიყენებ, რადგან ჩვენ ძირითადად ვწერთ ქართულად, ხოლო ენა, საიდანაც პლაგიატი ხდება, არის ან ინგლისური, ან რუსული და იდეალური კომპიუტერული თარგმანი კი არ არსებობს. კომპიუტერულად ამას ვერ მოიძიებ, ამიტომ ჩვენ შევქმენით მექანიზმი, თუ როგორ შეიძლება დეტალურად ამის გაკონტყროლება, რა უნდა იქნეს წარმოდგენილი, რა უნდა იქნას განხილული და თუ დადგინდება, რომ პროფესორს აქვს პლაგიატი ჩადენილი, ჩვენ მას ვემშვიდობებით.

რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ პლაგიატი წარსულშია ჩადენილი? იმიტომ, საბჭოთა პერიოდში ხომ იყო ყველაზე დიდი პრობლემა სწორედ პლაგიატი იყო, არა?

- მე ვიტყოდი, რომ ეს პრობლემა დღესაა ყველაზე მწვავე. თქვენ იმ თაობას განეკუთვნებით, რომელსაც ჰგონია, რომ საბჭოთა პერიოდში მეტი პრობლემა იყო . მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ მაშინ მეტი იყო კონტროლი. დღევანდელ სისტემაში კონტროლის მექანიზმი მოშლილია. კანონმდებლობის მიხედვით, პლაგიატის ფაქტის სიძველეს არა აქვს მნიშვნელობა, ანუ არა აქვს ვადა და ნებისმიერ შემთხვევაში არის დასჯადი. რა მნიშვნელობა აქვს, შენ ეს ათი წლის წინ გაკეთებულ ნაშრომში გიპოვეს პლაგიატი, თუ ორმოცი წლის წინ შესრულებულში; ეს დასჯადია. უბრალოდ, თუ პლაგიატის შემთხვევა ეხება პუბლიკაციას და დადასტურებულია, კომპეტენცია მხოლოდ უნივერსიტეტისაა და უნივერსიტეტი წყვეტს ამ პროფესორთან კონტრაქტს. ხოლო თუ პლაგიატი ჩადენილია დისერტაციაში, მაშინ უნივერსიტეტი არამარტო წყვეტს კონტრაქტს, არამედ საქმე გადაეგზავნება სადისერტაციო საბჭოს, რომელიც ვალდებულია, განიხილოს შემთხვევა და აქვს უფლება, პირს ჩამოართვას მინიჭებული ხარისხი; მაგრამ ამას ჩვენ ძველ დისერტაციებზე ვერ ვავრცელებთ, იმიტომ რომ აღარ არსებობს ის სისტემა. რომლის ფარგლებშიც მოხდა დისერტაციის დაცვა. ავტომატურად, დღევანდელი მხოლოდ ახალდაცულ დისერტაციებს ეხება, რადგან ის

2006 წლის შემდეგ ამოქმედდა. ამის გარდა, მეცნიერების სტიმულირების მიზნით, უნივერსიტეტში შევქმენით სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ფონდი. პირველ ეტაპზე, ამ ფონდში ნახევარ მილიონზე მეტი ლარი ჩავდეთ, ეს ფონდი განაწილდა ფაკულტეტებზე თანაბრად. თითო ფაკულტეტზე მოვიდა 75 ათასი ლარი, იმიტომ, რომ 7 ფაკულტეტი გვაქვს და ამ ფაკულტეტებს მიეცათ შესაძლებლობა, თვითონ ჩაატარონ კონკურსი თავიანთი სტანდარტით, ოღონდ ვთხოვთ, სამეცნიერო კვლევით პროგრამაში აუცილებლად სულ ცოტა ორი სტუდენტი მაინც მონაწილეობდეს, რომ სტუდენტების ჩართულობა იყოს გარანტირებული. ეს ძალიან მნიშვნელოვანიან ახალი კადრის გაზრდისათვის; პლუს, განვსაზღვრეთ, რომ პროფესორის ანაზღაურება არ უნდა შეადგენდეს პროგრამაზე გაწეული ხარჯების ერთ მესამედზე მეტს. დანარჩენ ასპექტებში სრული თავისუფლება მივეცით ფაკულტეტებს. ამის გარდა, საქართველოში პირველებმა, ჩვენს უნივერსიტეტში შევქმენით პოსტდოქტორანტურა. ახალგაზრდა, რომელიც დაიცავს სადოქტორო ხარისხს და მისი ასაკი არ აღემატება 35 წელს, შეძლებს კონკურსში მიიღოს მონაწილეობა და კიდევ 2 წელი დარჩეს უნივერსიტეტში, ან კი არ დარჩეს, სხვა უნივერსიტეტიდან შემოვიდეს ჩვენს უნივერსიტეტში. უნივერსიტეტი მათ უნაზღაურებს ლექტორის მინიმალური ხელფასის დონეს, რაც პრაქტიკულად იძლევა საშუალებას, გააგრძელონ კვლევა. წელს ჩვენ უკვე ასეთი 5 პოსტდოქტორანტი გვყავს უნივერსიტეტში, გაისად ალბათ კიდევ 7 დაემატება. ამასთან, შევცვალეთ კიდევ სხვა პრაქტიკა - სამეცნიერო მივლინებებში ხშირად დადიოდნენ პროფესორები და ერთ მოხსენებაზე ორი -სამი მომხსენებელი ერთად მიდიოდა. პრაქტიკულად, მოხსენებას აკეთებდა ერთი, დანარჩენები კი მიდიოდნენ ეგრეთწოდებულ სამეცნიერო ტურიზმში. ჩვენ ეს ავკრძალეთ და გვაქვს ახალი რეგულაცია. რამდენი თანაავტორიც არ უნდა ჰყავდეს მოხსენებას, მივლინებაში ვუშვებთ მხოლოდ ერთს. ყველა შეთანხმდება, ვინ წავიდეს. გამონაკლისია მხოლოდ ერთი შემთხვევა, როცა შეიძლება ერთ მოხსენებაზე წავიდეს ორი, თუ მეორე თანაავტორი სტუდენტია. ესეც სტიმულია, რომ სტუდენტი წავიდეს პროფესორთან ერთად, მიიღოს უცხოური გამოცდილება, რაც მისთვის გარკვეული სკოლაა. ახლა კიდევ ერთ ახალ ნაბიჯს ვდგამთ. ახალი სასწავლო წლიდან უნივერსიტეტი ყოველ ფაკულტეტზე 5 საუკეთესო სტუდენტს თვითონ დააფინანსებს,

ანუ დაფინანსება ექნება დოქტორანტურის ძირითადი სემესტრის ხუთ-ხუთ სტუდენტს ყველა ფაკულტეტზე. ჯამში ეს არის 35 სტუდენტი. ეს გულისხმობს ძირითადი სემესტრის სტუდენტებს, ფაკულტეტებოს მიუხედავად. ფაკულტეტები თვითონ ჩაატარებენ კონკურსს. დოქტორანტების შემთხვევაში კონკურსის კრიტერიუმებად ვთავაზობთ ფაკულტეტებს, რომ იყოს პუბლიკაცია. დანარჩენ კრიტერიუმებს და ფორმატს თვითონ ფაკულტეტი განსაზღვრავს. ვფიქრობთ, რომ ესეც მნიშვნელოვანი ხელშეწყობა იქნება საუკეთესო სტუდენტებისათვის სამეცნიერო კვლევით საქმიანობის გაღრმავებაში.

უკუკავშირი თუ გაქვთ კურსდამთავრებულებთან და თუ იცით, დაახლოებით რამდენი მათგანი საქმდება ბაზარზე?

- ამის სტატისტიკა საქართველოში არ არსებობს. ჩვენ შევქმენით კარიერული ზრდის სამსახური სპეციალურად იმისთვის, რომ იზრუნოს სტუდენტების დასაქმებაზე და აგრეთვე შესაძლებლობის ფარგკებში მოიძიოს და დაამუშაოს მასალა; ანუ, თუ კურსდამთავრებული არ მოდის თანამშრომლობაზე და არ გაწვდის ინფორმაციას, სად და როგორ არის დასაქმებული, ამას ვერ მოიძიებ. ვერც მათ დავაავალდებულებთ ასეთი ინფორმაცია მოგვაწოდონ . წესით კარიერული ცენტრის მეშვეობით ეს სამუშაო მაინც უნდა გაკეთდეს, მაგრამ იდეალური ეს ინფორმაცია არასდროს არ იქნება. ჩვენ ახლახანს საერთაშორისო ტომსონის რეიტინგისთვის გასაგზავნად დაგვჭირდა ეს მნაცემები და საკმაოდ გაგვიჭირდა ამ უჯრის შევსება. იმიტომ. რომ ეს ინფორმაცია მწირია. თუმცა, მაინც მივმართეთ ყოფილ კურსდამთავრებულებს და შემდეგ ექსტრაპოლაციით გავედით მიახლოებით ციფრზე. თუ 1000 სტუდენტიდან მოვახერხეთ დაკავშირება 200-თან, 200-დან გავიგეთ, რო დასაქმებულია სიტყვაზე 50, დაახლოებით პროცენტული თანაფარდობა გავიგეთ.

დღეს ძალიან ბევრი კურსდამთავრებულია და ამ პირობებში მთავარი არის დასაქმების მომენტი. ძალიან ბევრი ახალგაზრდა, თუკი ბაკალავრიატის დასრულების შემდეგ, ან სწავლის პერიოდში საქმდება, აღარ თვლის, რომ მას სწავლის გაგრძელება სჭირდება. სამუშაოსა და სწავლის გაგრძელებას შორის არჩევანი უმთავრესად, პირველის სასარგებლოდ კეთდება. პარალელურად, უნივერსიტეტებმა გამონახეს გამოსავალი -

გაჩნდა ონლაინ კურსები. ანუ ადამიანს შეუძლიან სახლიდან გაუსვლელად, მუშაობის პირობებში მიიღოს ხარისხი. ხომ არ უქმნის ეს გარკველ საფრთხეს უნივერსიტეტების ფუნქციონირებას იმ სახით, რომლითაც ჩვენ მათ ვიცნობთ? რა დამოკიდებულება გაქვთ ამ პროცესებთან?

- ჩვენ არ გვაქვს ონლაინკურსები, მაგრამ ვფიქრობთ, რომ უნდა დავიწყოთ ამაზე მუშაობა. ჯერ უნდა განვსაზღვროთ, რომელ ფაკულტეტებზე შეიძლება გვქონდეს ინლაინკურსი და რომელზე არა. ფიზიკაზე და ქიმიაზე ონლაინკურსს ვერ გავაკეთებთ,ისევე როგორც მედიცინაზე. ასევე, ვთქვათ, პედაგოგი თუ გინდა გაზარდო, ამას ვერ მოახერხებ სასკოლო პრაქტიკის გარეშე. ამიტომ მთავარია, განისაზღვროს, ონლაინკურსს რომელ საგანზე, რომელ მიმართულებაზე გავაკეთებთ და რომელზე უბრალოდ, ვერ შევძლებთ ამას. ჯერ ამ მიმართულებით მუშაობა არც დაგვიწყია, თუმცა აუცილებლად მოგვიწევს, რადგან გლობალიზაციის პროცესში ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა.

6.1.4. სიტუაციური მაგალითი #4. თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უნივერსიტეტის ისტორიის მოკლე მიმოხილვა: ”ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი დაფუძნდა 2006 წელს განსხვავებული და ხანგრძლივი ისტორიის მქონე 6 ინსტიტუტის გაერთიანების შედეგად. ამჟამად ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთ-ერთი წამყვანი კვლევითი და საგანმანათლებლო დაწესებულებაა საქართველოში. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი წარმოადგენს სტუდენტთა და პროფესორთა კავშირს - მრავალფუნქციურ საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებას, რომელშიც სტუდენტების, პროფესორების, მასწავლებლებისა და მკვლევრების თანამშრომლობით იქმნება აკადემიური და პროფესიული განათლებისა და კვლევის ერთიანი სივრცე. უნივერსიტეტს ყავს 14 560 სტუდენტი, 271 პროფესორი და სამასამდე მკვლევარი, აერთიანებს ორ სკოლას და ორ ფაკულტეტს: მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტი, ბიზნესის სკოლა და სამართლის სკოლა; აქვს 5ო-მდე საბაკალავრო და 40-მდე სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამა, 30-მდე კვლევითი ინსტიტუტი და ცენტრი, სასწავლო და სამეცნიერო ბაზები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

რესპონდენტი - **გიგა ზედანია,** ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი, 2014-წლიდან დღემდე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტეის რექტორი (შემდგომში რესპონდენტი #4)

როგორც ნებისმიერი სფერო, განათლების სფეროც განიცდის გლობალერი ტრენდების გავლენას, როგორიც არის თუნდაც მასიფიკაცია. საქართველოს უმაღლეს განათლებაში მასიფიკაციის პროცესი ალბათ ბევრად უფრო სტიქიურად დაიწყო, ვიდრე დასავლურ ქვეყნებში; ჩვენთან პროცესი დაიწყო 90-იანი წლებიდან მოყოლებული და დღესაც გრძელდება. როგორ ფიქრობთ, რა ურთიერთმიმართებაშია უმაღლესი აგნათლების ხარისხი და მასიფიკაცია. ფაქტია, რომ დღევანდელ ეტაპზე. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ადგილების რაოდენობა აბიტურიენტების რაოდენობაზე მეტია. როგორ უმკლავდებიან ეს უნივერსიტეტები მასიფიკაციის პირობებში ხარისხის უზრუნვე;ყოფის პრობლემას?

- დავიწყოთ იმით, რომ თავიდანვე, უნივერსიტეტები საქართველოში გლობალიზაციის შედეგია. ჯავახიშვილი რომ აარსებს უნივერსიტეტს, ის ძალიან ზუსტად და ფაქიზად განასხვავებს იმას, რომ ჩვენ შუა საუკუნეებში გვქონდა აკადემია, მაგრამ ამ ეტაპზე ვქმნით ადსავლური ტიპის უნივერსიტეტეს. თავისთავად ის ფაქტი, რომ უნივერსიტეტი გვაქვს, გლობალიზაციის შედეგია. ამიტომაც გასაგებია, რომ ჩვენი უნივერსიტეტი იმ პროცესების გავლენის ქბეშ იქნება, რომლებიც მსოფლიოში მიმდინარეობს. კონკრეტულად თქვენს კითხვას რომ დავუბრუნდეთ, ჩვენ გვაქვს ძალიან მწირი დაფინანსევა. პრინციპში ეს უნივერსიტეტი ჩამოყალიბდა მცირე ბაზაზე, რომელიც იყო ფილოსოფიის და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი და რომელსაც თავდაპირველად პრიფესორი უფრო მეტი ჰყავდა, ვიდრე სტუდენტი. სტუდენტების შერჩევა ხდებოდა ინდივიდუალურად.

საბჭოთა პერიოდზე ამბობთ?

- არა, ვლაპარაკობ ილიას უნივერსიტეტზე საწყის ეტაპზე, 2001 წლიდან 2004 წლამდე, სანამ რეფორმა დაიწყებოდა, ეს იყო 45 სტუდენტიანი ფაკულტეტი, რომელსაც ემსახურებოდა დაახლოებით ოცამდე ლექტორი და პროფესორი.

ეს ბაზა ხომ დაგხვდათ? მთელი ეს პროცესი სახელმწიფოს მხრიდან უნივერსიტეტების

გამსხვილების ინიციატივას დაემთხვა, არა?

- დაემთხვა, მაგრამ საერთოდ ეს ყველაფერი იყო გაყინული სისტემა თავისი ფასიანი, უფასო, არაფორმირებული 7 საბჭოთა და პოსტსაბჭოთა სულით (უნივერსიტეტით). ძნელი იყო მათი ერთ კონტექსტში მოქცევა. სხვათა შორის, დასავლური გავლენით, დასავლური ინსტიტუტების მხარდაჭერით, ფოლკსვაგენის ფონდის და სხვადასხვა გერმანული და ჩრდილოამერიკული უნივერსიტეტების მხარდაჭერით შეიქმნა ეა პატარა ფაკულტეტი, რომელმაც მნიშვნელოვანწილად ითამაშა კატალიზატორის როლი. როცა რეფორმები დაიწყო, ძალიან ბევრი ის კონცეპტი თუ წესი, რომელიც აქ დაინერგა, შემდეგ გავრცელდა ნაციონალურ მასშტაბზე. ეს ერთი და მეორე, რაც მოხდა, ეს ფაკულტეტი გახდა ამ გაერთიანებების უშუალო ინიციატორი და საბოლოოდ, იმ უნივერსიტეტიდან, რომელსაც დასაწყისში ჰყავდა ათასზე მეტი სტუდენტი, დღეს ჰყავს 14 ათასი სტუდენტი.

თუნდაც ეს კორპუსი, სადაც ახლა ვართ, უცხო ენების კორპუსია. ჩემთვის გასაგებია, თუ რატომ გადაწყდა უნივერსიტეტების გამსხვილება. დაფინანსების კონტროლისა და მენეჯმენტის თვალსაზრისით ძალიან მომგებიანი იყო საქართველისთვის, ჰქონოდა ნაკლები სახელმწიფო უნივერსიტეტი. მაგრამ დღეს მაინც გვაქვს 74 უნივერსიტეტი კერძო უნივერსიტეტების ჩათვლით და მასიფიკაცია ხორციელდება ისეთი მასშტაბებით, რომელიც ევროპულ და ამერიკულ მასშტაბებსაც კი უსწრებს წინ. სწორედ ამიტომ მაინტერესებს, ამ პროცესის ხარისხთან ურთიერთმიმართებას როგორ ხედავთ.

- რასაკვირველია, ძალიან ბევრი რაღაცაა დამოკიდებული ინდივიდუალურ უნივერსიტეტზე, როგორია მისი პოლიტიკა და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა ის, რომ უნივერსიტეტის დაფინანსების ძირითადი წყარო დღეს არის სტუდენტის გადასახადი. ამიტომაც უნივერსიტეტს აქვს სერიოზული მოტივაცია, რომ გაზარდოს სტუდენტების რაოდენობა იმისათვის, რომ გაზარდოს ბიუჯეტი. ეს რასაკვირველია, სერიოზული გამოწვევაა, მაგრამ გარდა ამისა, ცოტა უფრო დიდ მასშტაბში რომ შევხედოთ, მნიშვნელოვანწილად უნივერსიტეტი ასრულებს იმ როლს, რომ უმუშევარი ახალგაზრდების ძალიან დიდი კოჰორტა რაღაც პერიოდში შეისრუტოს და არ დატოვოს ფუნქციის გარეშე. სოციალურად რომ შევხედოთ, ეს სერიოზული გამოწვევაა. ასევე არის

ის მომენტიც, რომ ჩვენი სკოლის სისტემა არ არის ისეთი სისტემა, რომლის დამთავრების შემდეგაც ადამიანს ექნებოდა უპრობლემოდ პროფესიაში შესვლის შესაძლებლობა. ძალიან ბევრი რაღაცა, რაც უნუვერსიტეტში კეთდება, სკოლაში უნდა გაკეთდეს, მაგრამ სკოლა ამას ვერ ახერხებს.

ანუ ხელოვნურად არის საფეხურები გაწელილი, გაზრდილი და ეტაპობრივად, რაც სკოლაში უნდა დამთავრებულიყო, უნივერსიტეტში გადაინაცვლებს? გამოდის, რომ ბაკალავრიატი, ყველაზე მასიფიცირებული საფეხური, ერთგვარი მიბმაა იგივე სასკოლო განათლებასთან, რომელიც კარგი სასკოლო განათლების პირობებში უნდა მთავრდებოდეს სკოლაშივე. საუნივერსიტეტო განათლება კი შეიძლებოდა დაწყებულიყო მაგისტრატურიდან. თან ჩვენთან ბაკალავრიატის პერიოდი სრული ოთხი წელია, ევროპის ქვეყნებში კი ის უფრო ხანმოკლეა.

- რა თქმა უნდა, ხელოვნურად არის გაზრდილი. ანუ თქვენ თუ გინდათ კარგი განათლება მისცეთ სტუდენტს, მას უნდა მისცეთ განათლების ის ელემენტები, რაც სინამდვილეში სკოლაში უნდა შეეძინა. ამას არავინ არ გეგმავს, ხელონნურად არავინ არ აკეთებს, უბრალოდ ასე ხდება, იმიტომ, რომ პრინციპში სკოლის რეფორმა არ იყო წარმატებული და ჩვენ გვაქვს სკოლა, რომელიც ვერ ამზადებს ახალგაზრდებს დამაკმაყოფილებლად ზრდასრული ცხოვრებისთვის. ნებისმიერი კარგი პროგრამის ამგები უნივერსიტეტში ითვალისწინებს იმას, რომ რაღაცა პერიოდი ცტუდენტმა უნდა გაიაროს ზოგადი მომზადების საფეხური იმისათვის, რომ დაიწყოს პროფესიის შესწავლა. ეს არის გამართლებულია რადგან თუმცა ეს ყველაზე არ ვრცელდება, სტუდენტების მნიშვნელოვან ნაწილს, პირველი წელი სჭირდება იმისათვის რომ მათ ჰქონდეთ ელემენტარული უნარები, როგორიცაა გარკვეული თემის ან წაკითხულის შინაარსის დაწერა, ანალიტიკური აზროვნება და ა.შ.

კერძო უნივერსიტეტები ცდილობენ, მასობრივად მოიზიდონ უცხოელი სტუდენტები, მე რამდენიმე ინტერვიუ ჩავწერე და როგორც ჩანს, აპირებენ კიდეც, რომ ძირითადი ნაკადი აზიური ქვეყნებიდან მოიზიდონ, აქ ევროპაზე არ არის ლაპარაკი.თქვენი უნივერსიტეტი რამდენად არის ინტერნაციონალიზაციის ეფექტის ქვეშ. არიან საერთაშორისი სტუდენტები?

- ჩვენთვის საერთაშორისო სტუდენტები არის პრობლემა, რადგან არ გვაქვს ისეთი დისციპლინები, რომლებიც განსაკუთრებით იზიდავს საერთაშორისო სტუდენტს. რეალისტური წარმოდგენა უნდა გვქონდეს ჩვენს შესაძლებლობებზე, თუმცა პოტენციალი არსებობს. ინტერნაციონალიზაციაზე რომ ვლაპარაკობთ, ალბათ უფრო ვგულისხმობთ კვლევის და სწავლების ინტერნაციონალიზაციას, ანუ ერთობლივი სასაწავლო პროგრამების ხელშეწყობას დასავლურ უნივერსიტეტებთან, ასევე ერთობლივ კვლევით პროგრამებს, რომლებიც საშუალებას აძლევს პროფესურასა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, ჩაერთოს ამ პროცესში, რაც, თავის მხრივ, სწავლების ხარისხის გაზრდას ემსახურება.

თქვენ ალბათ ბოლონიის პრიცესით გათვალისწინებულ მობილობას გულისხმობთ

- ბოლონიის პრიცესი ცხადია, რომ არის ჩარჩო და ამ ჩარჩოში შეიძლება უნივერსიტეტი სრულიად იზოლირებული იყოს, უბრალოდ მინიმალური პრაქტიკა გადმოიღოს და ამით დამთავრდეს; მაგრამ არსებობს შესაძლებლომა იმუშაო მართლა ძალიან ახლო კონტაქტებზე ინდივიდუალურ დასავლურ უნივერსიტეტებთან. ჩვენთან ეს მცდელობა ნამდვილად არის. უნივერსიტეტეის ბაზაზე არსებული პირველადი პატარა ფაკულტეტი უკვე ცდილობდა დაენერგა ევროპული და დასავლური უმაღლესი განათლების სისტემით გათვალისწინებული სტრატეგიები. ამან თავიდანვე განსაზღვრა უნივერსიტეტის შემდგომი განვითარება. გვქონდა ერთობლივ პროგრამებზე ალიან ინტენსიური მუშაობა და ჩართულობა და სასწავლო პროცესში წამყვანი უცხოელი პროფესურის მაღალი ჩართულობა. პრინციპში, შეგვიძლია ვთქვათ, რომ არსებობს რთული მოცემულობები, მაგალითად, ძალიან ბევრი სტუდენტი; ამ სტუდენტების დიდი ნაწილი არ არის კარგად მომზადებული და ეს რასაკვირველია, უნივერსიტეტისთვის გამოწვევაა; ამასთან, არის შეზღუდული რაოდენობა კვალიფიციური პროფესურისა. მეორე მხრივ კი არსებობს ხელშემწყობი შესაძლებლობები, მაგალითად, შერეული დაფინანსების შესაძლებლობა, ის რომ პროგრამების ხარისხის გაუმჯობესებისათვის ჩვენ ბოლომდე არ ვართ დამოკიდებული იმ თანხაზე, რომელიც მოდის სტუდენტების გადასახადებიდან, არამედ, არსებობს სერიოზული გრანტები, ევროპული ფული, ინსტიტუციური თუ კონკრეტული

პროექტების განსახორციელებლად და ეს ცხადია, რომ ძალიან სერიოზულად გვიწყობს ხელს.

თქვენ ახსენეთ კვლევები. დღეს საქართველოში კვლევები ყველაზე დიდი პრობლემაა, იმიტომ, რომ 74 უნივერსიტეტიდან, დარწმუნებული ვარ, ათიც არ ახორციელებს კვლევას და თუ ახორციელებს, ძალიან მცირე მასშტაბებით, ან მხოლოდ ისეთ მეცნიერებებში, მაგალითად, ჰუმანიტარიაში, სადაც ნაკლებად არის საჭირო კარგი ლაბორატორია. ფუნდამენტურ მეცნიერებებში ძალიან მცირეა კვლევები. თქვენთან როგორ არის ეს საკითხი დასმული და თვლით თუ არა, რომ ჩვენი მასშტაბების ქვეყანას სჭირდება სახელმწიფოს მხრიდან უშუალო თანადგომა იმაში, რომ თუნდაც 2-3 უნივერსიტეტში რაღაცა კვლევითი კომპონენტი შენარჩუნდეს?

- მე ვიტყოდი ასე, რომ სახელმწიფო დაფინანსება კვლევებისთვის ერთმნიშვნელოვნად აუცილებელია. არსებობს რუსთაველის სამეცნიერო ფონდი, რომელიც ამას აკეთებს. ცალკე საკოთხია ფორმები, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოში, გარკვეულწილად, სახელმწიფოს მიერ, კვლევები ფინანსდება. რაც შეეხება კვლევას ჩვენთან, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი თავის თავს მუდმივად განსაძღვრავს, როგორც კვლევით უნივერსიტეტს, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენთან პროფესორს ძირითადად დატვირთვაში აქვს სასწავლო კომპონენტის გარდა კვლევითი კომპონენტი. ეს ნიშნავს იმას, რომ უნივერსიტეტი კვლევას აფინანსებს თავისივე ბიუჯეტიდან. ასევე ძალიან ბევრს მუშაობს კვლევითი თანხების მოზიდვაზე, ამის მოტივაცია მუდმივად არსებობს. და პლუს ამას, ექცევა ყურადღება კვლევის შედეგებს, რომელიც ასევე საერთაშორისო განზომილების უნდა იყოს. მე შემიძლია გითხრათ, რომ მოყოლებული 2006 წლიდან, მას შემდეგ, რაც დაარსდა უნივერსიტეტი, საერთაშორისო ჟურნალებში სისტემატიურად იზრდება ჩვენი პუბლიკაციების რიცხვი. ძირითადად ეს არის საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, ფიზიკა-ბიოლოგია. სოციალური მეცნიერებები უფრო პრობლემურია ჩვენთან და ზოგადად, მთელ საქართველოში. ზუსტი ციფრი არ მახსოვს, მაგრამ ჩვენს ვებსაიტზე დევს ეს ინფორმაცია, მაგალითად რაოდენობა იმ პუბლიკაციებისა, რომლებიც გამოაქვეყნა ჩვენმა პრიფესურამ ასეთ საერთაშორისო ჟურნალებში გაიზარდა 2013 წელთან შედარებით და ზრდის ტემპი არის ძალიან სერიოზული. უბრალოდ

რაოდენობა ჯერ შორსაა იმისგან ჩვენ გვაქვს დასახული. ზრდის ტემპი არის ძალიან შთამბეჭდავი.

გეთანხმებით იმაში, რომ გლობალიზაცია სხვადასხვა განზომილებით არის წარმოდგენილი სხვადასხვა ეპოქაში და სხვადასხვა წამყვანი სუპერსახელმწიფოს ნიმუშებზე ხორციელდება სხვადასხვა კონტექსტში, მაგრამ დღეს გლობალიზაციის ქვეშ უფრო ამერიკანიზაციას გულისხმობენ, რაც პირდაპირ კავშირშია უმაღლესი განათლების სფეროს მარკეტიზაციასთან, ანუ ბაზარზე ორიენტირებული სისტემების შექნასთან. მთელი რიგი ევროპული სახელმწიფოები ცდილობენ არ შესუსტდეს სახელმწიფოს წამყვანი ფუნქცია განათლების სფეროს კოორდინაციაში. საქართველოს უმაღლეს განათლებაში, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მარკეტიზაცია საკმაო მასშტაბებით განხორციელდა. თქვენ როგორ ხედავთ სახელმწიფოს როლს ბაზარზე ორიენტირებულ სისტემაში?

- მაგალითად, ის რომ უფასო ფაკულტეტები არსებობს, ზუსტად იმას ასახავს, რომ სახელმწიფოს აქვს უფლება, გარკვეული პრიორიტეტი გამოყოს სწავლებაში და თქვას, რომ დააფინანსებს თვითონ. ანუ მხოლოდ საუკეთესო სტუდენტებს კი არ აძლევს გრანტს, რომელ მიმართულებაზეც არ უნდა წავიდნენ ისინი, არამედ გამოყოფს სახელმწიფო გრანტს გარკვეული დისციპლინებზე და სრულად აფინანსებს მათზე სწავლებას.

თქვენი ხედვა როგორია დაფინანსების იმ მექანიზმზე, რომელიც დღეს არსებობს საქართველოში. რამდენად გამართული მექანიზმია?

- ბევრი მცდელობა იყო უკანასკნელ პერიოდში, რომ ეს მექანიზმი გადასინჯულიყო, მაგრამ ვერ მოხდა ალტერნატივის შემოთავაზება. აი ამდენი წელია უკვე ლაპარაკია იმაზე, რომ ეს დაფინანსების სისტემა კარგად არ მუშაობა, მაგრამ ვერავინ ვერ ამბობს, როგორ შეცვალოს ეს. ბოლიმდე კარგად მუშაობს თუ ბოლომდე ცუდად მუშაობს, ფაქტია, რომ ამ დაფინანსების სისტემის პირობებში უნივერსიტეტების განვითარება მოხდა ძალიან სწრაფად. 15 წლის წინ თავისი საქმის კარგი პროფესიონალი უნივერსიტეტში მუშაობას არ იფიქრებდა, ან იფიქრებდა ერთი ლექცია წაეკითხა, რადგან ცხოვრების კარგი ხარისხის მისაღწევად უნივერსიტეტში მუშაობა არ იქნებოდა

საკმარისი. ამიტომ უნივერსიტეტი დარჩენილი იყო უფროსი თაობის ზედამხედველობის ქვეშ, რომელიც უკვე აუცილებლად საჭიროებდა შევსებას. სწორედ იმ სისტემის შემოტანის შედეგად, რომელიც დღეს არსებობს, შესაძლებელი გახდა, რომ უნივერსიტეტს მობილიზება მოეხდინა ისეთი განხრების, რომელიც შესაძლებლობას მისცემდა მის პროფესურას, რომ მიყოლოდა აკადემიურ საქმიანობას მანამდე არსებული ხარვეზების გარეშე. დღეს რომ ადამიანი უნივერსიტეტში პროფესორია, ეს არ არის მორალური მიღწევა, რომ მე ყველაფერზე უარი ვთქვი და სტატიებს ვაქვეყნებ და ლექციებს ვკითხულობ. ეს არის ჩვეულებრივი სამუშაო, ზოგიერთ უნივერსიტეტში საკმაოდ მაღალანაზღაურებადიც. ამისი ინფრასტრუქტურული შესაძლებლობა შექმნა სწორად დაფინანსების ფორმამ, რომელიც არ არის დამოკიდებული სახელმწიფოზე, არამედ თვითონ მუშაობს აქტიურად იმისათვის, რომ სტუდენტებისგან გააკეთოს თანხები.

თუმცა აზიური ბაზრის ათვისების გარეშე, როგორც პერსპექტივაში ჩანს, ბევრი კერძო უნივერსიტეტი დაიხურება საქართველოში.

- ასეც იქნება, დაიხურება, მაგრამ ეს არ არის ტრაგედია, რადგან ყველა კერძო უნივერსიტეტი იმ სტანდარტს ვერ აკმაყოფილებს, რასაც მოითხოვს დღეს მსოფლიო უმაღლესი განათლების სტანდარტები. თუნდაც საქართველოში, ჩვენ ვიცით, რომ არსებობს უმაღლესები, რომლებიც დაწინაურებულია და არსებობს ისეთები, რომელთაც გარკვეული პრობლემები აქვთ. შესამისად, უნდა დაიხუროს, მაგრამ გეთანხვებით იმაში, რომ საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვა იქნებოდა მნიშვნელოვანი. ამისთვის უნივერსიტეტის რესტრუქტურიზაციაა საჭირო, ადგილიბრივმა უნივერსიტეტებმა ბევრი ინგლისურენოვანი პროგრამა უნდა შესთავაზონ. რეალურად საჭირო იქნება, რომ ის პროგრამები, რომლებიც დღეს ისწავლება ქართულ ენაზე, იყოს ინგლისურენოვანი. ეს იქნება გამოწვევა. ამას ზოგიერთი უნივერსიტეტი უკვე ართმევს თავს, ზოგიერთი მომავალში გააკეთებს. ამას სჭირდება გარკვეული პერიოდი. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ უნდა შევეგუოთ იმ აზრს, რომ უახლოეს მომავალში საქართველოს არ ექნება ისეთი თანხები, რომ მოახერხოს სრულად აიღოს თავის თავზე უმაღლესი განათლების და კვლევის დაფინანსება. სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტის ის ნაწილი, რომელიც

დღეს სახელმწიფოსგან მოდის, არის ძალიან მცირე. და წარმოიდგინეთ, რომ ჩვენ სახელმწიფოს მივცეთ ის ვალდებულება, რომ მთლიანად დაფაროს ხარჯები, თან საქართველოს პირობებში, დღეს ამისი შესაძლებლობა საერთოდ არ არის.

უნივერსიტეტებს აქვთ საკმაოდ ჰუმანისტური მისიები; კანონის დონეზეც გაცხადებულია ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების დაცვისა და ჰუმანიზმის პრინციპების მნიშვნელობა უმაღლეს განათლებაში. რამდენად რეალურია დღეს ყველა ამ დეკლარირებული პრინციპის სწავლების პროცესში უზრუნველყოფა? ხომ არ არის ეს გარგვეული ტრადიციის ანარეკლი, რომელიც დღევანდელობაში არ მუშაობს. რამდენად არის უნივერსიტეტი ორიენტირებული ჰუმანიზმის პრინციპების სწავლებაზე ამ საბაზრო ეკონომიკის პირობებში, როდესაც მთავარი ამოცანა დასაქმებაა?

- ჩვენი უნივერსიტეტი თავის თავს ყოველთვის აღიქვამდა, როგორც ლიბერალური პრინციპების ერთგულს. ჩვენ ვიყავით პირველები, ვინც ლიბერალური განათლების პრინციპები შემოიტანა საქართველოში და ამერიკული განათლების მოდელის გადმოტანის საჭიროება სწრაფად დავინახეთ. ის ფაქტი, რომ ჩვენი ნებისმიერი სტუდენტი, რომელიც იწყებს სწავლას, იქნება ის იურისტი თუ ფსიქოლოგი, სწავლას იწყებს პლატონით, მაკიაველით, ბლოკით და ამთავრებს ლორენცით და ასე შემდეგ, მეტყველებს იმაზე, რომ ამით ჩვენ ვაძლევთ მათ კრიტიკული აზროვნების საშუალებას, გვინდა, რომ განვუვითაროთ უნარი, რომ ზოგადსაკაცობრიო საკითხებზე იმსჯელონ დამოუკიდებლად, აცნობიერებდნენ სხვადასხვა პოზიციებს და შეეძლოთ ამ პოზიციებზე კონკრეტული მსჯელობა. პირველი კურსი ჩვენთან ეთმობა ამას.

თუმცა, თქვენ აღნიშნეთ, რომ პირველი კურსი რთულია უნარების თვალსაზრისით. რამდენად რეალურია, ადამიანი, რომელსაც უნარები არა აქვს, კითხულობდეს და ბოლომდე იყენებდეს წაკითხულს სიღრმისეულად?

- ჩვენი გამოცდილებიდან გეტყვით - აღმოვაჩინეთ, რომ პლატონი და ჰობსის კითხვისას, სტუდენტები, გარდა ამ ზოგადსაკაცობრიო თუ სამოქალაქო საკითხებისა, უეფლებიან ელემენტარულ ცოდნასაც და ითვისებენ იმ ელემენტარულ კომპეტენციებს, როგორიც არის მაგალითად, ტექსტის მოკლე შინაარსის დაწერა და ა.შ. მაგრამ ეს ერთმანეთს არ უშლის ხელს. უკეთესი იქნებოდა, უფრო მეტი დრო ეთმობოდეს ამ ზოგადი უნარების

ჩამოყალიბებას, მაგრამ ის, რომ აი ამ პროცესში ხდემა ელემენტარული კომპეტენციების ათვისება, ეს არის ბუნებრივი პროცესი. მოდით, ასე ვთქვათ, ამ შესავალი კურსიდან სტუდენტს გამოაქვს თავისი შესაძლებლობებიდან გამომდინარე ცოდნა-კომპეტენციები. ვინც უკეთესადაა მომზადებული, სხვები კი ნაკლებად; მაგრამ ფაქტია, რომ ეს ცოდნა მომავალში ყველას ადგება და ეს განიხილემა, როგორც გულის გული ჩვენი სწავლებისა, რომელსაც, რატომღაც **სტუდიუმ-გენერალი**[2] ჰქვია და სწორედ ეს უწყობს ხელს იმას, რომ ჩვენთან მიღებული განათლება იყოს განათლება, რომელიც ეხება არა მხოლოდ ცოდნას, არამედ ლოგიკას.

საინფორმაციო ტექნოლიგიები ალბათ ძალიან შეცვლის სურათს უნივერსიტეტებთან დაკავშირებით და არა მხოლოდ საქართველოში, არამედ უფრო განვითარებული ქვეყნების სისტემებშიც. ჩვენთან უცხო ენის სწავლა ჯერ კიდევ ერთ-ერთი ბარიერია, მაგრამ, თუ სკოლებში უკეთესი პროგრამების იმპლემენტაცია მოხდება, ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ყველასთვის უფრო მომხიბლავი იქნება დასავლური თუნდაც ონლაინ დიპლომი, ვიდრე ქართული. ამასთან, საქართველოში დასაქმების ბაზრის არარსებობამ შეიძლება გაუხანგრძლივოს დღევანდელი ფორმით უნივერსიტეტებს სიცოცხლისუნარიანობა, იმიტომ რომ ამერიკაში და ევროპაში სკოლადამთავრებული, თუკი შოულობს ელემენტარულ სამსახურს, პარალელურად, სამსახურისგან მოწყვეტის გარეშე, უპირატესობას ანიჭებს ონლაინგანათლებას; საქართველოში კი ამის პერსრექტივა ნაკლებია, აქ ჯერჯერობით უნივერსიტეტს ეყოლება თავისი კონტინტენტი. თქვენი აზრით, რამდენად გრძელვადიანია ეს პერსპექტივა და რამდენად შეუქმნის ეს პროცესი, თუნდაც მომავალში, რეალურ საფრთხეს ქართულ უნივერსიტეტებს?

- რასაკვირველია, ეს შესაძლებლობა გაჩნდება, თუმცა ისიც ცხადია, რომ ჯერჯერობით, ამ ეტაპზე, ვერანაირი ონლაინსწავლება ვერ ჩაანაცვლებს სწავლების პროცესს. ონლაინსწავლება, ონლაინკურსები ძირითადად არის შესაძლებლობა იმ ადამიანებისათვის, რომელთაც უკვე გარკვეული განათლება მიღებული აქვთ, რომელთაც აქვთ უკვე უნარი, რომ რთულ საგნებს დაეუფლონ და უბრალოდ ამას

[2] ქართულად ნიშნავს "ზოგადი განათლების ადგილი"; მოდის მე-13 საუკუნის იტალიიდან, სადაც პირველი ევროპული უნივერსიტეტები დაარსდა და აღნიშნავს ადგილს, სადაც ყველა კუთხიდან მოდიოდნენ სასწავლებლად.

აკეთებენ რაღაც დამატებითი მიმართულებებით და ძალიან რთული იქნება ონლაინკურსებით საბაზო ცოდნის დაუფლება. საქართველოს კანონმდებლობა ჯერ არ აღიარებს ონლაინკურსებს, მაგრამ ამერიკაში არავინ მოგედავება, როგორი სერტიფიკატი გაქვს. სტუდენტისათვის, რომელიც არ მოდის სრულყოფილი სკოლიდან, როგორც საქართველოშია, შეუძლებელია დამოუკიდებლად, პედაგოგის დახმარების გარეშე დაეუფლოს რთულ საგანს. მას აუცილებლად დასჭირდება ინტერაქცია უფრო გამოცდილ ადამიანთან, რომელიც პრიფესორია, რომელიც შეიყვანს მას დისციპლინაში, აუხსნის მას ამ დისციპლინის ელემენტარულ საფუძვლებს და მიიყვანს მას იმ დონემდე, რომ მას უკვე დამოუკიდებლად შეეძლოს სწავლის გაგრძელება. მეორე მხრივ, საკითხავია, საერთოდ რამდენად არის შესაძლებელი ასეთი უმალესი განათლების მიღება უშუალო კონტაქტის გარეშე. ეს სერიოზული შეკითხვაა. არ ვიცი, ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ ონლაინკურსები აქვს ვთქვათ, ჰარვარდს და თვითონ უნივერსიტეტს ეს ამ ეტაპზე არანაირ საფრთხეს არ უქმნის.

პირიქით. მომგებიანია მათთვის.

- რასაკვირველია. სხვათა შორის, ჩვენც ახლა დავიწყეთ ზუსტად ონლაინ ილიაუნის პროექტი, როდესაც ონლაინკურსებს საკმაოდ მაღალი ხარისხით ვდებთ უკვე ჩვენს პლატფორმაზე.

აპირებთ, რომ სერტიფიკატები გასცეთ?

- რასაკვირველია. გეგმაა, რომ მომავლისათვის, როცა სისტემა კარგად ჩამოყალიბდება, სტუდენტებს რეგიონებიდან მივცეთ საშუალება ჩააბარონ გარკვეული ინლაინგამოცდები. როცა კურსს გაივლიან, მივცეთ საშუალება მიიღონ სერტიფიკატი და კრედიტები ჩვენი უნივერსიტეტიდან. ამით მივბაძავთ საუკეთესო უნივერსიტეტების გამოცდილებას.

6.2. ინტერვიუები საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის კოორდინაციაში დაინტერესებული სხვა მხარეების წარმომადგენელებთან

როგორც უკვე აღინიშნა, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების გარდა

სისტემის კოორდინაციაში ორი სხვა ძირითადი მხარე მონაწილეობს - საზოგადოება და სახელმწიფო. საზოგადოება ამ შემთხვევაში მოიცავს როგორც უშუალოდ ცოდნის მიღებაში დაინტერესებულ მოქალაქეებს, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებსა და პოტენციურ დამსაქმებლებს. რამდენადაც საქართველოში შრომითი ბაზარი წმირია და არასათანადოდ შესწავლილი, დამსაქმებელთან უკუკავშირი უნივერსიტეტებს არ გააჩნიათ, რაც უნდა ვივარაუდოთ, რომ ერთერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა, რაც აფერხებს საუნივერსიტეტო ცოდნის ბაზართან ადეკვატურობის შეფასებასა და გაუმჯობესებას. პრობლემიდან გამომდინარე, ინტერვიუებისათვის ავირჩიეთ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, სხვადასხვა თაობის განათლების ექსპერტები და განათლების რეფორმაში ჩართული პირები როგორც დღევანდელ ეტაპზე, ასევე უახლოეს წარსულში.

6.2.1. არასამთავრობო სექტორი, რესპონდენტი - **დოქტორი ლიკა ღლონტი,** სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის CSS) ასოცირებული მკვლევარი, განათლების ექსპერტი; 2009 წლიდან ტემპუსის ეროვნული ოფისის კოორდინატორი საქართველოში; იყო სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულების, სახელისუფლებო უწყების და არასამთავრობო ორგანიზაციების პროექტების ხელმძღვანელი; მუშაობდა ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებზე, საკანონმდებლო ჩარჩოების განვითარებაზე და სტრატეგიული გეგმების შემუშავებაზე. (შემდგომში რესპონდენტი #5)

თქვენი აზრით, 90-იანი წლებიდან მოყოლებული, რამდენად შეეხო გლობალიზაცია ქართულ უნივერსიტეტებს და რამდენად ახერხებენ ისინი ადგილი დაიმკვიდრონ მსოფლიო კონტექსტში?

- გლობალურ პროცესებთან დაკავშირებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნაწილობრივ სიტუაცია ჰომოგენური არ არის. სხვადასხვა პროცესი სხვადასხვანაირად ეხება ქართულ უმაღლეს სასწავლებლებს, რადგან მათ შორსი ძალიან დიდი დიფერენციაციაა. ზოგი უნივერსიტეტი რეგიონზეა მიბმული, ზოგი ლოკალური მნიშვნელობისაა, ზოგს აქვს პრეტენზია და მიდრეკილება, მომავალში საერთაშორისო უნივერსიტეტი გახდეს. 90-

იანი წლების შემდეგ ჩვენ გვქონდა ძალიან მძიმე პერიოდი, უნდა გამოვსულიყავით საბჭოთა სიტუაციიდან. მე ვთვლი რომ მისასალმებელი იყო 2005 წელს დაწყებული რეფორმები და კარგი იქნებოდა, ისინი ბოლომდე ყოფილიყო მიყვანილი. რეფორმის მხოლოდ ნახევრად განხორციელებამ და ნახევრად ძველი სისტემის ნანგრევების დატოვებამ მიგვიყვანა დევანდელ ქაოტურ მდგომარეობამდე. მაგრამ ისიც აშკარა გახდა, რომ რეფორმის განხორციელება ბევრად უფრო მარტივია, ვიდრე, ვთქვათ, აკადემიური წრეების მენტალობის შეცვლა. შეიძლება საუკუნეები ელოდოთ იმას, როდის მოუნდებათ პროფესორებს უნივერსიტეტების მოდერნიზება. აკადემიური წრე კონსერვატული არის ყველგან, მთელ მსოფლიოში, ეს მხოლოდ ჩვენი პრობლემა არ არის. ამას ემატება საბჭოთა კავშირის 70-წლიანი ისტორია, ხარისხის ნაკლებობა, საერთაშორისო გამოცლილების ნაკლებობა ძველი სისტემის ნგრევის მომენტში. ახლა აკადემიური წრეები მაინც უფრო პროგრესული გახდა, რადგან უამრავი პროგრამის წყალობით ბევრი წავიდა სხვადასხვა ქვეყანაში და მიიღო საერთაშორისო გამოცდილება; გაჩნდა ფინანსური ფაქტორი და ვთქვათ, განათლების, როგორც ეკონომიკის დარგის გაგება; შესდაბამისად, გაჩნდა საკმაოდ ბევრი კერძო უნივერსიტეტი, რომელსაც უნდა მესამე ქვეყნის ბაზარზე გასვლა. კონკრეტულად ამ მიზნისთვის გაიხსნა სასწავლებლები. ახლანდელი სავიზო რეჟიმი ცოტა ამძიმებს სურათს, მაგრამ კანონმდებლობით ამის განხორციელების უფლება აქვს უნივერსიტეტეს და ვფიქრობ, თუ განათლებას განვიხილავთ, როგორც ბიზნესს, ქვეყნის პრობლემა და მოვალეობაა, უზრუნველყოს მინიმალური ხარისხი მაინც, დანარჩენ რისკებს კი თვითონ უნივერსიტეტი უნდა გაუმკლავდეს. გაცურავენ, ხომ კარგი, არ გაცურავენ და რა ვქნათ ახლა. არის მოწინავე ქართულ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც ცდილობენ საერთაშორისო პროცესებში ჩართვას. საქართველოს მასშტაბით ასეთი 5-6 უნივერსიტეტი თუ იქნებ, თუმცა ჯერჯერობით ამასაც პროვინციული ელფერი აქვს, რადგან გლიბალური მოთამაშე რომ გახდე, აღიარება უნდა გქინდეს და ვიღაც უნდა გიცნიბდეს. ჩვენთან ნდობის და აღიარების პრობლემაა და იძულებულები ვართ ან ეროვნულ, ან რეგიონალურ დონეზე ვიმუშაოთ, ან იგივე მესამე ქვეყნის ბაზარზე გავიდეთ. პრინციპში ეს ცუდი არ არის; თუ დროთა განმავლობაში კარგ სახელს

დავიმკვიდრებთ, შეიძლება დასავლეთისთვისაც საინტერესო გავხდეთ. აქ გააჩნია სწორ პოლიტიკას. თუ რაღაც მიზნობრივი ინვესტიცია განხორციელდა, პოტენციალი გვაქვს გარკვეულ სექტორებში.

ბიოსამეცნიერო სფეროში, მედიცინაში, მათემატიკაში და თეორიულ ფიზიკაში ჩვენ გვაქვს საერთაშორისო ნდობა,რადგან ამ სფეროებში გქვონდა კარგი სკოლები და ჯერ კიდევ გვყავს კადრი; არის გარკვეული დაფინანსებაც. ეს სფეროები სხვა სფეროებთან შედარებით ყოველთვის დეიდეოლოგიზირებული იყო და იოლია მოდერნიზაცია. ამ სფეროებში გვაქვს კარგი პუბლიკაციები, კარგი პოტენციალი. მათემატიკა და ფიზიკა თან იაფია. არ დაჭიროებს ლაბორატორიებს, მთავარია გქონდეს წვდომა წყაროებზე. შეფასება გაკეთებული იყო კერძო სექტორის მიერ. ეს კვლევა მიეწოდა განათლების სამინისტროს, მაგრამ მათ არ აქვთ ტანმიმდევრული პოლიტიკა. უნდა მიიღონ პოლიტიკური გადაწყვეტილება - რა უნდა ქვეყანას. თუ ფიქრობენ, რომ შესაძლებელია ყველაფრის თანადროულად განვითარება, მაშინ ეს აბსურდია. უნდათ განავითარონ ის, რაშიც პოტენციალი გვაქვს. მე ვახსენე ეს სფეროები და ალბათ უნდა დავამატოთ ქართული ფოლკლორი და ლინგვისტიკა, რადგან ამ დარგებს არ ყავს მსოფლიოში სხვა გულშემატკივარი. შეიძლება იყოს სხვანაირი სტრატეგიული მიდგომა და თქვან, რომ აღნიშნული სფეროები თავადაც განვითარდება, რადგან აქვთ ტრადიცია და შედარებით კარგი კადრი. თუ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ვთქვათ, პრიორიტეტულად ჩაითვლება აგრარული სფეროს წინ წამოწევა, მაშინ უნდა განვავითაროთ ბიოქიმია, ნიადაგმცოდნეობა და ვეტერინარია. ეს ბმა კი რეალურად არ არსებობს, ანუ შეფასება სახელმწიფოს არ ჩაუტარებია და პირიქით, ხდება რაღაც სტიქიური გადაწყვეტილებების მიღება პიროვნებების ლობიზმის დონეზე - ვთქვათ, ახლა გამოვყოთ ფილოსოფიის ინსტიტუტი ცალკე, ფსიქოლოგია ცალკე და ა.შ. რა მნიშვნელობა აქვს, ვისი ქუდის ქვეშ იქნება კვლევითი ჯგუფი, თუ მას ნორმალური პირობები შეექმნება. ანუ ცალკე გამოყოფით რაღაც ფეოდალური დაქუცმაცებულობის ხანაში გადავდივართ ისევ. სჯობს ვიფიქრით დაფინანსებაზე, გრანტებზე, რომელიც იქნება გარანტირებული, ხანგრძლივი, მშვიდი კვლევის წარმოების წინაპირობა. არ გამოვრიცხავ იმას, რომ ის დარგებიც კი, რომლებიც ახლა ჩავარდნილია, ნორმალურ პირობებში, რამდენიმე წელიწადში,

შედეგზე გავიდნენ. ჩვენ ვერ შევაფასებთ ადამიანის პოტენციალს, რომელსაც ხელფასი ორასი ლარი აქვს და არ აქვს კვლევის არანაირი პირობა. ცხადია, ასეთ ადამიანს პროდუქტი არ დაუდია ბოლი 5 წლის მანძილზე, რადგან უწევს რამდენიმე ადგილზე პარალელურად მუშაობა. მაგრამ შეიძლება ათიდან ხუთმა მკვლევარმა, ხელსაყრელ პირობებს თუ შევიქმნით, დადოს რეალური შედეგი. თუ გლობალურ ტრენდებს შევხედავთ, როგორის არის მასიფიკაცია, კვლევით სფეროებში და საფეხურებზე ყველაზე ნაკლებ ხდება მასიფიკაცია. ამაზე ცალკე კვლევები გვაქვს გაკეთებული და ვცდილობლით ავხსნათ მიზეზები. დოქტორანტურაში ხალხის რაოდენობის ზრდა არის უმუშევრობის გადავადება; მეორეს მხრივ, სოკოებივით დაჩეკილ ახალ სასწავლებლებს, სჭირდებათ აკადემიური პერსონალი და აკადემიურ პერსინალს სჭირდება ხარისხი. ქანქარასავით არის - 200 უნივერსიტეტიდან ჩამოვედით 41-ზე და ავედით 73-ზე. იმედი მაქვს, უნივერსიტეტების რაოდენობა აღარ გაიზრდება, ავალთ, მაგრამ პოლიტიკურ ნებას ვერ ვხედავ, რომ ეს პროცესები რაციონალურად დარეგულირდეს.

გადავიდეთ მარკეტიზაციაზე. წეღან ახსენეთ, რომ ესეც გლობალური ტრენდია - ზოგადად განათლების სფეროს, როგორც ბაზრის სეგმენტის აღქმა. გასაგებია, რომ კერძო პირებისთვსი შესაძლებელია ამ სეგმენტმა დიდი მოგებაც მოიტანოს მომავალში, მაგრამ როგორ უყურებთ უმაღელსი აგნათლების მარკეტიზაციას ეროვნული სისტემის ინტერესებიდან გამომდინარე? რა შესაძლო დადებითი და უარყოფითი შედეგები შეიძლება იქონიოს ქართული უნივერსიტეტებისათვის სფეროს კომერციალიზაციამ მომავალში? თუკი საჯარო სექტორში კიდევ შემცირდება სახელმწიფო დაფინანსება, გლობალუყრ ბაზარზე კონკურენტუნარიანობის სიმცირე ხომ არ გააქრობს ქართულ სახელმწიფო უნივერსიტეტებს?

- მე ვერ ვხედავ ამ საშიშროებას. ძალიან ბევრი უნივერსიტეტი უცხოელი სტუდენტების მოზიდვას უკვე თითქმის იძულებითი წესით ახორციელებს, რომ მოხდეს თანხების აკუმულირება. თუმცა, ეს მხოლოდ მედიცინის ფაკულტეტზე თუა შესაძლებელი. უცხოელებს თეორიული ფიზიკა და მათემატიკა არ აინტერესებთ. ამ პროცესს ბევრი პრობლემა ახლავს. პროფესორები, რომლებიც უნდა შევიდნენ ამ უცხოელ სტუდენტებთან, იქნება ეს ნიგერიელი, შრილანკელი თუ პაკისტანელი, უნდა იყოს

თავისი დარგის კარგი სპეციალისტი და თან ინგლისური ენის მცოდნე. ეს სტუდენტები განათლებაში ფულს იხდიან და ძალიან მომთხოვნებიც არიან. ეს კარგია. ეს არის გამოწვევა იმ პროფესორისთვის, რომელიც უკითხავს ლექციას უცხოენოვან ჯგუფს და სტიმული აქვს, ქართულენივან ჯგუფშიც მობილიზებული შევიდეს. ამ სტუდენტებმა ძალიან კარგად იციან, სად არის უკეთესი ხარისხი. რამდენად კარგად სწავლობენ სხვა საკითხია, მაგრამ მოთხოვნები აქვთ ძალიან მაღალი. მარტივად იქ ვერ გაახალტურებ სიტუაციას და ეს კარგია. მაგალითად თესეუში აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან არიან სტუდენტები ჩამოსული ბიოსამედიცინო მიმართულებით. საქართველოს გარკვეულწილად, ამ სამ ქვეყანაში აქვს მაინც რეგიონური სტატუსი. თვითონ ქვეყანაა ჯერ კიდევ მომხიბვლელი. ქვეყნის მომხიბლავობაზე კარგად შეიძლება თამაში. ბათუმში თურქებმა გახსნეს სამედიცინო უნივერსიტეტი ორი თვის წინ. თურქეთში ვერ გახსნიდნენ? ქვეყნის იმიჯია. ირანელებისთვის და ერაყელებისთვის საქართველო არის ევროპა. ამაზე შეიძლება ბიზნესის აწყობა ამ სიტყვის კარგი გაგებით. ასე უცებ საქართველოს შვედების ნაკადი არ მოაწყდება. უნდა დავიწყოთ საზაფხულო სკოლებით, გაცნობით. ამ სფეროში გუშინ ავიდგით ფეხი.

მე თვითონ ბიოლოგი ვარ და უნივერსიტეტებიდან ხშირად მიკავშირდებიან, რომ მოძებნონ კარგი კადრი - ბილოგიის სპეციალისტი, ინგლისური ენის კარგად მცოდნე. ასეთ პერსონალს ყველა ეძებს და თუკი ვინმე არის ასეთი, მუდმივად იზრდება პროფესიულად, როგორც ლქტორი. არსებობს იმის რისკი, რომ ამ ადამიანური რესურსის "გადაქაჩვა" მოხდეს სახელმწიფო უნივერსიტეტებიდან კერძოში, მაგრამ ეს უკვე ბაზრის მოთხოვნაა. თუ სახელმწიფო უნივერსიტეტს არ ეყო იმის ტაქტიკა და უნარი, დააკავოს პროფესიონალები და შეუქმნას მუშაობისათვის ნორმალური პირობები, მასთ ისედაც დაკარგავს. რესურსების ასეთ "გადაბირებას" უნივერსიტეტები ისედაც რეგულარულად ახორციელებენ. მაგალითად, ილიას უნივერსიტეტს "მიჰყავს" თსუ-ს წარმატებული პერსონალი.

თქვენი აზრით, ასეთ კონკურენციას უნივერსიტეტებს შორის ხომ არ ამძაფრებს უნივერსიტეტების დაფინანსების არსებული მექანიზმი?

- რა თქმა უნდა, ეს არ არის საკამათო არსებული დაფინანსება საკმარისი არ არის და არც

მექანიზმია გამართული. ამისი კლასიკური მაგალითია ის, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტები ერთმანეთს ართმევენ ინტელექტუალურ რესურსს ხელფასების გაზრდის პერსპექტივით. მეორე მხრივ, დავსვათ საკითხი ასე - აქვს კი საქართველოს იმის ინტელექტუალური პოტენციალი, რომ ბევრი კარგი ხარისხის უნივერსიტეტი ჰქონდეს? სხვა პრობლემებს რაც შეეხება, მაგალითად, "უფასო ფაკულტეტების" დაფინანსება, არის უბრალოდ დანაშაული. ეს სახელმწიფოს მხრიდან შეფობა არ არის, ეს არის სისტემის დანგრევა, იმიტომ, რომ ბაკალავრიატში იმ დარგების დაფინანსება, რომელშიც შენ გაქვს დოქტურანტურა, აია ალოგიკური. რატომ მოხვდა ფილოსოფია ასეთ ფაკულტეტებს შორის? ასეთი ინტერვენცია იყო დამანგრეველი. წესით, სახელმწიფო დაფინანსება უნდა ემყარებოდეს ობიექტურ შეფასებას - რომელ უნივერსიტეტეს და არ სფეროში რა პოტენციალი აქვს. ზოგადად, სახელმწიფოს ინტერვენციის მომხრე ვიქნებოდი თუ მეცოდინებოდა, რომ მას აქვს ძალიან მკაფიო სტრატეგია. მაგალითად, მხარს ვუჭერ სახელოვნებო უმაღლესებს, ან სამედიცინო სფეროს განვითარებას. ვერ გეტყვით, რომელი უფრო მეტად გვჭირდება - ჯავახიშვილის, ილიას თუ, ვთქვათ, სოხუმის უნივერსიტეტი, როცა სამივე კლასიკური უნივერსიტეტია; უნდა იყოს თუ არა დოქტირქნტურა თელავში, ბათუმში, ქუთაისში და ახალციხეში? თუ უმაღლესი განათლების სფეროში დაფინანსება დაეფუძნება წინასწარ კვლევას, შეიძლება სახელმწიფომ გადაწყვიტოს, რომ მთელი რიგი ფაკულტეტები დასახურია. მაგალითად, დოქტორანტების აყვანა დიდი რაოდენობით, როცა რეალურად ამდენი მკვლევარი არც გვყავს ად არც გვჭირდება. ეს არის პრესტიჟის არასწორი გაგება. ახალციხის უნივერსიტეტმა ყველაფერი გააკეთა, რომ დოქტურანტურა ქონოდა მხოლოდ იმიტომ, რომ ბაკალავრიატში რაღაცეები დაფინანსებულიყო. მეორე მომენტია, დოქტორანტებზე შემიძლი გითხრათ, რომ სოც.სკოლების მიმართულებაზე განათლებაში კვლევა დავამთავრეთ და ბოლო 5 წლის განმავლობაში ვნახეთ დაცული დისერტაციების რაოდენიბა. თსეუში დაცულია 5 და ილიაში 6, თუ პირიქით, და თელავში დაცულია 44. როგორც ჩანს, იქ არის ერთგვარი კონვეიერი. ესეც იმის მაგალითია, რომ სახელმწიფო ფინანსები ირაციონალურად იხარჯება.

მაშინ დგება საკითხი - საერთოდ რისთვის გვჭირდება უმაღლესი განათლების სფერო და

მასში სახელმწიფო ინტერვენცია? ფორმალურად კანონში არის მუხლი უმაღლესი განათლების მიზნებისა და მისიის შესახებ, სადაც, კონკურენტუნარიანი მოქალაქეების აღზრდასთან ერთად, დეკლარირებულია მთელი რიგი ზოგადსაკაცობრიო იდეალები, რომლებსაც უმაღლესი განათლება უნდა ემსახურებოდეს. თავის მხრივ, ყველა უნივერსიტეტს გაცხადებული აქვს ამ იდეალებიდან გამომდინარე საკუთარი მისია. თქვენი აზრით, რამდენად რეალურად ემსახურება თანამედროვე ქართული უნივერსიტეტი მისიაში გაცხადებულ მიზნებსა და ამოცანებს?

- მისია იყო შექმნილი აკრედიტაციისათვის. ის ორმა-სამმა ადამიანმა დაწერა და დღემდე ფორმალურობას წარმოადგენს. მისიაზე უარს მაინც არ ვიტყოდი. თუ გვინდა, რომ მართლა იყოს ხარისხის მატება, მისია უნდა იყო უნივერსიტეტის ყველა დონეზე გააზრებული, ვითიდენტიფიცირების საშუალება უნდა იყოს ,ან რაღაც კორპირატიული იდენტობის ნაწილი. სხვა ამბავია, რომ მისიას არ უნდა ამუშავებდეს ორკაციანი ჯგუფი, ან რექტორი არ უნდა ამტკიცებდეს ამას ცალსახად. ჩვენ უნდა გავყოთ, ქაღალდზე არსებული პროცესები და რეალური პროცესები. ქვეყანაში არსებული ხარისხის უზრენველყოფის და დაფინანსების სისტემა არის ორიენტირებული ქაღალდზე გაწერილი წესების შემოწმებაზე და შეფასებაზე და არა რეალური პრიცესებისა. მე მაინც მჯერა ხარისხის უზრუნველყოფის და თუ ის ისე ამუშავდა, როგორც საჭიროა, ძალიან ბევრი კარგი რამის გაკეთება შეიძლება. დღეს ეს პროცესი მხოლოდ ფორმალურია, რამდენადაც მცირე ქვეყნის ფარგლებში ხორციელდება და თან აკრედიტაციაზე მიბმულია დაფინანსება. არავინ ამ დაფინანსებას არ მოუხსნის სასწავლებელს, რომ ის არ გაკოტრდეს, მაგალითად, ავიღოთ იგივე სახელმწიფო სექტორი - თელავის უნივერსიტეტმა ბიოლოგიის ბაკალავრიატის პროგრამა შეიტანა აკრედიტაციაზე სამჯერ. სამჯერ რომ შეიტან, ესე იგი პროგრამის გამართვა არ შეგიძლია, მაგრამ საბოლოოდ აკრედიტაცია მიიღეს, იმიტომ რომ ფაკულტეტი არ უნდა გაკოტრებულიყო ჩემთვის ესეც გაუგებარია. თუ უნივერსიტეტეს არ შეუძლია პროგრამების განხორციელება, სახელმწიფო რატომ უნდა ცდილობდეს ხელოვნურად მათ შენახვას? ასეთი ფაკულტეტები უნდა დაიხუროს.

ეს ალბათ უფრო ამერიკული მიდგომაა, მაშინ როცა ევროპული ქვეყნები ცდილობენ

სახელმწიფოს როლი უმაღლესი განათლების სისტემის კოორდინაციაში კოორდინაციაში იყოს წამყვანი, ანუ თავის თავზე აიღოს სფეროს კოორდინაციის სხვადასხვა ბერკეტები, არა მხოლოდ კონტროლის თვალსაზრისით. შეგვიძლია თუ არა ვთქვათ, რომ ევროპა ამ მხრივ ეწინააღმდეგება გლობალიზაციის პროცესს? თვითონ ბოლონიის პროცესიც ხომ ხშირად მოიაზრება, როგორც ამერიკული უმაღლესი განათლებისთვის ალტერნატიული სივრცის შექმნის მცდელობა.

- არსებობს ამგვარი ხედვა, მაგრამ მე არ ვიზიარებ. თვითონ ევროკავშირიც გლობალიზაციის ნაწილია. მე ბოლონიის პროცესსაც აღვიქვამ, როგორც გლიბალიზაციიც ნაწილის. რა არის ბოლონიის პრიცესი, თუ არა ამერიკული მოდელის გადმოღება და მისი გახსნა მთელი მსოფლიოსათვის? იგივე ხდება ლათინურ ამერიკაში და ვერ ვხედავ ამაში დიდ წინააღმდეგობას. ეს არის ჩვეულებრივი ჯანსაღი კონკურენცია. ევროპის ქვეყნები ცალკე ამერიკას კონკურენციას ვერ გაუწევდნენ, ვერც გერმანია და ვერც იტალია, ისინი გაერთიანდნენ და ევროპა არის უფრო მომხიბვლელი. მომხიბვლელობის წინაპირობაა იგივე სისტემის აწყობა სამსაფეხურიანი სწავლებით, თავისი კრედიტებით და სხვა ასპექტებით, როგორიც იყო ამერიკაში. ევროპა გაერთიანებული ფორმით იბრძვის მესამე ქვეყნების სტუდენტებისთვის, რომ ამერიკას კონკურენცია გაუწიოს უცხოელი სტუდენტების მიზიდვაში. ერთადერთი წელი, როდესაც ამერიკაში იყო ნაკლები უცხოელი სტუდენტი, იყო როცა ტყუპები ააფეთქეს. ახლა ამერიკა მთელ გაერთიანებულ ევროპაზე მაინც წინაა სტიდენტების მიზიდვის მხრივ.

თქვენ თვლით, რომ უმაღლესი განათლების მისიის იდეალისტური ხედვა ევროპაშიც უკვე მეორეხარისხოვანია?

- ავიღოთ ფრანგული უმაღლესი სასწავლებლები, უნივერსიტეტები, რომლებსაც ინტენსიურად შემოაქვთ ინგლისურენივანი პროგრამები. რატომ? აქ არის ინტერნაციონალური გათვლები. ფრანგული უნივერსიტეტები მიხვდნენ, რომ სხვანაირად არ გამოვიდოდა. 5 წლის წინ საფრანგეთთან შემექმნა პრობლემები, იმიტომ რომ უცხოურ განყოფილებებშიც კაცმა არ იცოდა ინგლისური. თუ ფრანგულად არ ლაპარაკობდი, იმეილზე პასუხს ვერ იღებდი. ახლა სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა.

იგივე ხდება გერმანიაში. DAAD-ი არიგებს სტიპენდიებს გერმანიაში ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამებზე და უფსო მეტიც, გერმანიამ დაიწყო ძალიან აგრესიული პიარკამპანია ამერიკაში, რის შედეგადაც გერმანიაში ინგლისურენოვანი სტუდენტების რაოდენობა, რომლებიც არიან ამერიკიდან, ირლანდიიდან, ინგლისიდან, იზრდება. ეს კონკურენტული ბრძოლა არის გლობალიზაცია და მე ამას ცუდ კონტექსტში არ აღვიქვამ. ცუდი არის ის, რომ მე ახლა ქართულ ენას დავტირი, მაშინ როცა გერმანელები და ფრანგები, რომელთაც რაღაც წვლილი აქვთ შეტანილი მეცნიერებაში და მსოფლიო ინტელექტუალურ კაპიტალში, და თავს უხერხულად და უსიამოვნოდ უნდა გრძნობდნენ ამ პროცესში, ინტენსიურად გადადიან ინგლისურენოვანი პროგარმების დანერგვაზე, რადგან ბაზარი ამას ითხოვს.

და ბოლოს, რას ფიქრობთ, საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის როგორ ტრანსფორმაციას გამოიწვევს ონლაინ პროგრამები შორეულ პერსპექტივაში?

- ფატიურად ძირფესივაინად შეცვლის. და ეს არც ისე შორეული პერსპექტივაა. ერთადერთი, რაც ქართულ უნივერსიტეტებს ამ ეტაპზე იცავს არის სწორედ ის, რომ დისტანციური სწავლების მექანიზმები არ არსებობს საქართველიში. საკმარისია, ეს მოხდეს, დისტანციური სწავლების ხარისხის უზრენველყოფა ნორმალურად დაინერგოს და დამთავრდა, საქართველოში იქნება სულ 5 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება; უმარლესი განათლების სისტემა გახდება ერთი დიდი კორპორაცია, რომელიც მთელ მსოფლიოს ამეცადინებს. მაგრამ აქ კიდევ მეორე მომენტია - მე მაინც ძველმოდური ადამიანი ვარ და არა მგონი, რომ ეს კამპუსის მდგომარეობა არის მნიშვნელოვანი. უნივერსიტეტებს მოუწევთ ონლაინკურსებისა ად ჩვეულებრივი სწავლების ერთგვარი ნაზავი გააკეთონ - მაგალითად, აღიარონ რაღაც კრედიტები ონლაინკურსებში და დანარჩენი - საუნივერსიტეტო ბაზაზე სწავლებით. რაღაც პერიოდი ჩვენი სისტემა ამისგან იქნება დაცული, თუ არ იქნა აღიარებული ონლაინ პროგრამების სერტიფიკატები, და ისიც, რომ უცხო ენის ცოდნა ჯერ კიდევ დაბალ დონეზეა ჩვენს ბავშვებში. გამოკითხვა მაქვს ჩატარებული და აბიტურიენტების მხოლოდ 10%-ს შეუძლია უცხო ენაზე ლიტერატურის წაკითხვა და სწავლა. ეს ძალიან დაბალი მაჩვენებელია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ყველა ემზადება უცხო ენაში.

დარჩენილი 90 % მაინც ქართული უნივერსიტეტების ბაზაზე გააგრძელებს სწავლას. იგივე სან დიეგო რომ შემოდის აქ, 361 განაცხადი აქვთ უკვე. 361 ბავშვი არის საქართველოში, ვისაც უნდა, ინგლისურ ენაზე ისწავლოს ტექნოლოგია, ინჟინერია, მათემატიკა, ეს არ არის მარტივი. ერთი წელი არის მოსამზადებელი კურსი ენის სწავლისთვის, 361 ბავშვის მიღება პირველ ცდაზე არ არის ცუდი მაჩვენებელი. გამოჩრდა, რომ არსებობს ხალხი, ვისაც ამის გაკეთება უნდა. თან ეს ინფორმაცია სწრაფად ვრცელდება.

6.2.2 არასამთავრობო სექტორი. რესპონდენტი - დოქტორი ოლეგ შატბერაშვილი (ხარისხი დაიცვა ლაზერების ფიზიკაში პ. ლებედევის სახ. ფიზიკის ინსტიტუტში, ნობელის პრემიის ლაურეატის ნ. ბასოვის ხელმძღვანელობით (1973). 90-მეტი ნაშრომის ავტორი, ჟურნალების „სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაცია" (VINITI) და „ინფორმაცია და ინოვაცია" (ICSTI) სარედაქციო კოლეგიის წევრი. რიგი პროექტის ხელმძღვანელი და მონაწილე: „საქართველოს მეცნიერების ინდექსი"; „საქართველოში საპატენტო საქმიანობის განვითარების კონცეფცია"; „საქართველოს პარლამენტის კვლევითი სამსახურის ჩამოყალიბება"; „საქართველოში კვლევითი ორგანიზაციების განვითარება საბაზრო ეკონომიკის პირობებში" და სხვა. ამჟამად და წარსულში რიგი საერთაშორისო და ეროვნული პროფესიული ორგანიზაციის პრეზიდენტი და მმართველი საბჭოს წევრი: ინფორმაციისა და დოკუმენტაციის საერთაშორისო ფედერაცია; სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრი; ინფორმაციისა და დოკუმენტაციის საქართველოს ფედერაცია; ასოციაცია ევროპული კვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის და სხვა. 1976-2004 წლებში საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ინსტიტუტის (ტექინფორმის) დირექტორი. საერთაშორისო ორგანიზაციების (UNESCO, UNIDO, FAO, GFAR და სხვა) პროექტებში - ექსპერტი.) (შემდგომში რესპონდენტი #6)

თქვენ გაქვთ სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ხანგრძლივი გამოცდილება.

მაინტერესებს თქვენი აზრი - რა მდგომარეობაშია საქართველოში სამეცნიერო კვლევა დღევანდელ საუნივერსიტეტო ბაზაზე.

- როდესაც ქვეყანაში კვლევაზე იხარჯება ბიუჯეტიდან 2 პროცენტის ნაცვლად 0,2 % პროცენტი, ეს ყველანაირ კვლევას აფუჭებს. ტექნიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში , სადაც საჭიროა ლაბორატორიები, ინვენტარი, პრობლემა უფრო მწვავეა, თუმცა სოციოლოგიური კვლევებისთვისაც კვლევის შედეგების გამართულ ბაზაში განთავსებაც ჯერ კიდევ დიდი პრობლემაა. ჩვენს ინსტიტუტში იყო სპეციალური განყოფილება, რომელიც არჩევდა ისეთ გამოგონებებს, საქართველოში გაკეთებულ გამოგონებებს, რომელთაც ჰქონდათ პოტენციალი კომერციალიზაციის ლიცენზიის გაყიდვის და ასე შემდეგ. შემდეგ შეიქმნა საქპატენტი, რომელსაც დაეკისრა ეს ფუნქცია.

დღეს თუ ფიქსირდება რაიმე გამოგონება?

- ფიქსირდება. დაახლორბით1000 გამოგინებაა წელიწადში. თუმცა, არ მგონია სადმე იყიდებოდეს. რეალურად მხოლოდ საავტორო უფლების დაცვისთვის ხდება დარეგისტრირება. კომერციალიზაცია რთული საქმეა.

როგორც ვიცით, წარსულში მეცნიერებათა აკადემია თავისი ინსტიტუტებით იყო ცალკე, და მხოლოდ ბოლო პერიოდში გახდა უნივერსიტეტების ბევრ ქვეყანაშია ასე; ახალგაზრდა მკვლევრები პირდაპირი წესით არიან ჩართულები კვლევაში. წარსულში თითქმის ყველა კვლევა საბჭოთა კავშირის იდეოლოგიური წნეხის ქვეშ იყო და კვლევითი უნივერსიტეტების ცალკე არსებობას ქონდა თავისი ლოგიკა. დღეს ითვლება, რომ კვლევის მთავარი მიზანი უნდა იყოს ახალგაზრდა მკვლევარების გაზრდა აკადემიურად თავისუფალ გარემოში. როგორც აღნიშნეთ, სამეცნიერო-ინფორმაციული ტექნოლოგიის ინსტიტუტი, რომელსაც წარსულში ხელმძღვანელობდით, დღეს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე ფუნქციონირებს. რამდენად ხდება ტექნიკური უნივერსიტეტის რესურსის, იგივე დოქტორანტების ჩართვა რაიმე სახის კვლევებში.

- ჩართვა ხდება, რა თქმა უნდა, რაღაც თანამშრომლობა არის, მაგრამ ეს ინსტიტუტი სინამდვილეში ემსახურება არა მხოლოდ ტექნიკურ უნივერსიტეტს, არამედ საქართველოს მთლიანად. ორგანიზაციულად მოხდა ისე, რომ ტექნიკურ

უნივერსიტეტის ფარგლებშია მოქცეული. ესეც შეცდომაა. ეს ინსტიტუტი ყოველთვის იყო სამინისტროს ქვეშ. ამ ინსტიტუტს აქვს კონტრაქტები ძალიან ბევრ მონაცემთა ბაზასთან. ეს ინსტიტუტი ეხმარება სხვებს ინფორმაციის ძიებაში. აქვე ხდება შედეგების განზოგადება საქართველოს მასშტაბით. დავუშვათ ხდება კვლევა ასეთ საკითხზე - "კოოპერაციული მოძრაობა საქართველოს სოფლის მეურნეობაში". ეს ინსტიტუტი აგროვებს შესაბამის მონაცემებს და განაზოგადებს მათ.

კვლევის შემკვეთი ვინ არის?

- სხვადასხვა ორგანიზაციები. ხან ეს დამოუკიდებელი ინიციატივაა. ინსტიტუტი გამოსცემს მიმოხილვას, საინფორმაციო ფურცლებს. მთავარი ფუნქციებია - საინფორმაციო სფერიში დახმარება, შედეგების განზოგადება და მესამე - კვლევითი სამუშაოების შედეგების შეგროვება და სპეციალური მონაცემთა ბაზის გაკეთება, სადაც ასახულია ყველა კვლევა, რაც რეგისტრირებულია საქართველოში.

თქვენ მუშაობთ არასამთავრობო ორგანიზაციაში "ევროპული გამოკვლევების საქართველოს ასოციაცია". რას აკეთებს ეს ორგანიზაცია და რა პროდუქტი იდება მისი მუშაობით. უნივერსიტეტებთან თუ მიდის ეს ინფორმაცია და თუ ხდება მისი გამოყენება სწავლების პროცესში?

- ეს არასამთავრობო ორგანიზაციაა, მაგრამ ვთანამშრომლობთ უნივერსიტეტებთანაც. რა თქმა უნდა, გვინდა კვლევსი შედეგები სწალებაშიც გამოიყენებოდეს, თუმცა უნივერსიტეტების მხრიდან არ ჩანს მაღალი ინტერესი. კვლევების დაფინანსების დონე საქართველოში არის ძალიან დაბალი. ასეთ დაბალ დონეზე კვლევების დაფინანსება ნულოვან შედეგს იძლევა. ვერაფერს მიაღწევ, გინდა საუნივერსიტეტო კვლევები იყოს და გინდა ზოგადად. კომუნისტების დროს იხარჯებოდა 3 პროცენტი, საქართველო გაჯერებული იყო კვლევებით. იყო სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტი, იყო სამედიცინო ინსტიტუტი, და ამ ინსტიტუტებს მჭიდრო კავშირი ქონდა უნივერსიტეტებთანაც. უნივერსიტეტებშიც იყო კვლევა, იყო კვლვები კათედრებზე, უნივერსიტეტემში შედიოდა კვლევითი ინსტიტუტები და ე.წ. პრობლემური ლაბორატორიები. პრობლემური ლაბორატორია იქმნებოდა რაღაც გარკვეულ საკითხზე, უნივერსიტეტის ქვეშ და იყო იურიდიული პირი. ეს იყო უფრო პატარა, ვიდრე უნივერსიტეტი, მაგრამ

გაცილებით მეტი უფლებების მქონე, ვიდრე კათედრა. იგივე გეოლოგიური შეიძლებლდა ყოფილიყო, ეკოლოგიური. ასეთი ცენტრები ახლაც შეიძლებოდა გახსნილიყო.

თქვენ გაქვთ სხვადასხვა გამოცემა. მაგალითად -"ქვეყნების კონკურენტუნარიანობა და კლასტერები". არის თუ არა აქ ბაზრის შესწავლის მცდელობა და რას ემსახურება ასეთი გამოცემები?

- გამოცემის შინაარსს ადგენს კონკრეტული ავტორი. საქართველოში მტკივნეულია ხარჯების საკითხი. აქ ორგანიზებულ კვლევასთან იშვიათად გვაქვს საქმე, რომლის შედეგებიც პრაქტიკაში იქნება გამოყენებული. ტექინფორმი მხოლოდ აგროვებს მონაცემებს, გამოსცემს ბროშურებს და კეთდება სათანადო მონაცემთა ბაზა. დაფინანსება არის მთავარი პრობლემა. თუ ეს არ არის, არაფერი არ არის. ფინანსები სჭირდება კვლევის ორგანიზებას, მკვლევართა რესურსის მოზიდვას. არ ვფიქრობ, რომ ამის პოლიტიკური ნებაც რომ იყოს, კვლევის დაფინანსება ვთქვათ, ერთბაშად, ათჯერ უნდა გაიზარდოს. მაგრამ საჭიროა გარკვეული ტემპით მეტი და მეტი რესურსის ჩადება სფეროს გადასარჩენად.

მაგრამ ბევრი კვლევა, დაფინანსების არსებობის შემთხევვაშიც, არის ბუტაფორიული, ქაღალდზე, რომელსაც პრაქტიკაში არანაირი გამოყენება არ აქვს. რამდენად საჭიროა ასეთი კვლევების დაფინანსება?

- ეს ყველა ქვეყანაში ასეა. გასაგებია, რომ აქ ამის ფუფუნება არ გვაქვს, მაგრამ კვლევა არის ცოდნის კვლევა. ეს არის ცოდნის გამრავლება და შექმნა. ვიღაცა ამას თუ იყენებს, აუცილებელი არ არის კომერციალიზაცია მოხდეს. შეიძლება მომავალში მოხდეს. თქვენ სწავლობთ სამყაროს, და აძლევთ საშუალებას ვიღაცას გამოიყენოს თქვენი ძიების შედეგი მომავალში; თქვენ არ იცით ზუსტად, ვინ წაიკითხავს და როგორ გამოიყენებს.

ანუ თვლით, რომ ხისტად ბაზარზე ორიენტირებული არ უნდა იყოს უმაღლესი განათლების სისტემა და კვლევის დაფინანსება ქვეყანაში? დღეს მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების განათლებსი სიტემები სწორედ ბაზარზეა ორიენტირებული. მაგალითად, აშშ-ში სახელმწიფო მინმალურად აკონტროლებს სფეროს. დაფინანსების წყაროები შერეულია და უნივერსიტეტები ძირითადად ცდილობენ თავად მოიძიონ საჭირო რესურსი. თქვენი

აზრით, ჩვენთვის რამდენად ხელსაყრელია ეს მოდელი?

- ასეთი მოდგომა არაფერს აძლევს ჩვენს სახელმწიფოს. ამერიკა ალბათ ისედაც დიდ რესურსს დებს კვლევაში და განვითარებული ბაზარი კი დამატებით საშუალებებს უხსნის კვლევით საქმიანობას.

საქართველოში დღეს 70-ზე მეტი უნივერსიტეტია. რას ფიქრობთ, შესაძლებელია ამ უნივერსიტეტების თუნდაც ნახევარში განხორციელდეს ხარისხიანი კვლევა, თუკი ის სათანადოდ დაფინანსდება?

- ჩემი აზრით, ამდენი უნივერსიტეტი ზედმეტად ბევრია. კვლევის პოტენციალს რაც შეეხება, ეს ძნელი სათქმელია. ისიც არ ვიცით, რეალურად რა ადამიანური რესურსი გქვაქვს დღეს ამისთვის. კარგი იქნება თუ გაჩნდება დამოუკიდებელი ფონდები, რომლებიც უნივესრიტეტებს და არასანთავრობო ორგანიზაციებს კონკრეტული კვლევისთვის დაუფინანსებს პროექტებს. ახლაც არის, რუსთაველის ფონდი, მაგრამ ის შეზღუდულია ბიუჯეტით. ეს არ უნდა იყოს ფინანსების მოპოვების თითქმის ერთადერთი მექანიზმი. ეს საკონკურსო მექანიზმია, მაგრამ უნდა იყოს საბაზო მექანიზმიც, რომელიც კონკრეტულ უნივერსიტეტებს მისცემს კვლევისთვის საბაზო ბიუჯეტს. რუსთაველის ფონდი კი დამატებითი რესურსი იქნება კვლევების წარმოებისთვის.

ანუ უნივერსიტეტის დაფინანსება, როცა მიბმულია ეს დაფინანსება სტუდენტზე და არ არის ბაზისური, ამ მომენტში წამგებიანია უნივერსიტეტისთვის და კვლევისთვის?

- მხოლოდ სტუდენტზე არ შეიძლება მიბმული იყოს დაფინანსება. გრანტის სახით არის თითოეული სტუდენტის დაფინანსება სერიოზული კვლევსი წარმოების შესაძლებლობას გამორიცხავს. კვლევაზე ცალკე თანხები უნდა იყოს გამოყოფილი. კერძოც რომ იყოს უნივერსიტეტი, იმ დივერსიფიცირებული შემოსავლიდან, რომელიც გააჩნია, უნდა გამოყოს ფინანსები კვლევისთვის. სხვანაირად უნივერსიტეტის სამეცნიერო პოტენციალს ზრდა არ აქვს და საერთაშორისო პროცესებს ჩამოვრჩებით.

6.2.3 აკადემიური სფერო, რესპოდენტი - გიგი თევზაძე, ფილოსოფიის დოქტორი, ილია

ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი (1991-2001წწ. - იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, პროფესორი. 2001-2006წწ. ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი; 2004-2006წწ. საქართველოს განათლების სამინისტროს განათლების რეფორმის პროექტის - "ილია ჭავჭავაძე" დირექტორი. 2006 -2012 წლებში ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი.) (შემდგომში რესპონდენტი #7)

თქვენი აზრით, რა არის ქართული სახელმწიფო უნივერსიტეტების მთავარი პრობლემა დღეს?

- 2003 წლსითვის ქართული სახელმწიფო უნივერსიტეტი იყო საშუალო ადამიანების მმართველობის უნივერსიტეტები, რომლებსაც სიახლე არ უნდოდათ. დღევანდელი უნივერსიტეტების მთავარი იდეა არის კვლევები, თუმცა კონსერვატულობა ასე სწრაფად არსად არ ქრება. ფსიქოლოგიურად ეს გასაგებია, რადგან ყველა ცდილობს რომ თავის სფეროში ჩაიკეტოს, არავინ არ შემოუშვას, არავინ არ გაუშვას და ეს ძალიან ცუდად მოქმედებს სისტემაზე. კიდევ მთავარი პრიბლემაა ის, რომ ვერანაირად ვერ ხდება იდენტიფიცირება, ვინ არის ბოლოს და ბოლოს კარგი პროფესორი და ვინ არა. ამის გარკვევა საერთოდ არ ხდება. დასავლეთში უნდა დაიწყო პუბლიკაცია, ციტირება, მერე უკვე გადახვალ სხვა ეტაპზე, აქ ასე არ ხდება. აქ კარგი პროფესორის ნიშანი საბოლოოდ არის მაინც არარაციონალური და არაინსტრუქციული.

ეს ხომ არ არის იმასთან კავშირში, რომ საქართველოში განათლების სისტემამ მასიფიკაცია განიცადა უფრო მეტი მასშტაბურობით, ვიდრე გლობალურად არის საჭირო? ამდენ უნივერსიტეტს სჭირდება ბევრი, თუნდაც "ცუდი" პროფესორი.

- მასიფიკაციაც თავისთავად ცუდი არ არის. ეს ორი მოვლენა ალბათ რაღაცა კავშირში არის ერთმანეთთან, მაგრამ მთავარი პრობლემა უნივესრიტეტების რაოდენობა არ არის. ამერიკაშიც და სხვაგანაც სჭირდებათ ბევრი პროფესორ-მასაწვლებელი. ეს საერთოდ უმაღლესი სასწავლებლების პრიბლემაა, საიდან მოვიყვანოთ ამდენი პროფესორი ამდენი სტუდენტისათვის. ამ პრობლემას მაგალითად ამერიკის უნივერსიტეტები წყვეტენ ისე, რომ ჰყავთ ძალიან ბევრი ლექტორი და პროცენტულად ცოტა პროფესორი.

საქართველოს მასშტაბით, რომელსაც ჰყავს სულ 500 ადამიანი, რომელსაც შეიძლება პროფესორი იყოს, 500 მკვლევარი გვყავს, რომელიც მეტნაკლებად რაღაცას აკეთებს. შეუძლებელია. სტუდენტი რამდენი გვყავს საქართველოში? თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სადღაც 150 ათასი სტუდენტია საქართველოში, 500 პროფესორი ვერანაირად ვერ ეყოფა მათ სწავლა-განათლებას. იმის მაგივრად, რომ ჩვენ წავსულიყავით იმ გზით, რომ გაგვეკეთებინა ლექციონერების სია და მათი კარიერა თანდათან შეგვექმნა, რატომღაც ვთქვით, რომ მოდი რა, იყოს ერთი პროფესორი 70 სტუდენტზე. ეს კი გამორიცხავს ხარისხს.

თქვენ გულისხმობთ ცვლილებას კანონში, რომელიც აკადემიური ხარისხის არმქონე პირს უკრძალავს ლექციაზე შესვლას?

- მანდ რა მოხდა იცით? მთავარი პრობლემა ის არის, რომ ჩვენ მიგვყავდა უმაღლესი განათლება პრივატიზაციისაკენ. ახლა კი მიდგომა შეიცვალა.

უცხოეთშიც არის სახელმწიფო უნივერსიტეტები, მაგრამ იგივე ამერიკაში ყველა უნივერსიტეტი იმართება, როგორც კერძო დაწესებულება, რაც ზრდის დაფინანსების შესაძლებლობებს და შესაბამისად, ხარისხს.

მაგრამ დასავლეთში ეს უნივერსიტეტები ჯერ კიდევ არამომგებიანია, საქართველოში კი იმის იყო ტენდენციები, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები გამხდარიყო მომგებიანი.

- ეს პრობლემა არ არის. პრობლემა მაშინაა, როცა სახელმწიფოს აქვს უნივერსიტეტი და თვლის, რომ თვითონ უნდა აკონტროლოს. კალიფორნიის სახელმწოფო უნივერსიტეტებს მართვის ისეთი სისტემა აქვთ, რომენიც ძალიან არის დაახლოებული კერძო უნივერსიტეტის მართვასთან.

ამერიკაში რექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნსაც კი არ წარმოადგენს აკადემიური ხარისხი, როგორც ეს ჩვენთანაა. ამაზე რას ფიქრობთ?

- კალიფორნიული სისტემა აბსოლუტურად სხვაა. იქ სინამდვილეში 3 უნივერსიტეტი არსებობს, 3 ქსელი და თითო ქსელს თითო რექტორი ჰყავს.ძალიან მინდოდა, საქართველოშიც მსგავსი სისტემა ყოფილიყო. მე მგონი, ახლა ყველაფერი დამახინჯდა. იდეა კარგი იყო. კალიფორნია ძალიან ჰგავს საქართველოს თავისი სიღარიბის და

სიმდიდრის ზღვარით. ევროპაში, უმაღლესი განათლება არ არის კერძო, უნივერსიტეტი არის წარუმატებელი. გერმანიაში უზარმაზარი ფული იხარჯება, ბევრად მეტი ფული იხარჯება, ვიდრე ამერიკის უნივერსიტეტებზე, თუმცა მიახლოებულ შედეგსაც ვერ აღწევენ.

ხომ არ არის მიბმული იგივე დაფინანსებაზე. იმიტომ, რომ ამერიკა კვლევებზე მეტ თანხებს დებს, ვიდრე თუნდაც ევროპა.

- ასე არ არის. სადაც კვლევა მიდის და კვლევა ფინანსდება, იქ არის პლანკი. პლანკი არ არის სახელმწიფო არანაირად. ეს არის იურიდიული საზოგადოება, რომელიც მერე პლანკის საზოგადოებად გადაკეთდა და პლანკის საზოგადოება აძლევს ძირითად რესურსს სამეცნიერო პროექტებს. ვერ იტყვი, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტებში ფული არ იხარჯება. გერმანიის უნივერსიტეტებში კვლევებზე ფული იხარჯება, მაგრამ იმდენად, დამდენადაც ეს არის შესაძლებელი ერთი ორგანოს მიერ - სახელმწიფო აკეთებს, სახელმწიფო აკონტროლებს. საბოლოოდ არაფერი არ გამოდის, რადგან სახელმწიფო მიდის დათმობაზე, უნივესრიტეტეს ყავდეს ცუდი პროფესორი; სხვადასხვა დამსახურების გამო, რომლებიც არ არ არის კავშირში მეცნიერებასთან, ესა თუ ის პროფესორი რეალური კვალიფიკაციის მიუხედავად რჩება უნივერსიტეტში. საფრანგეთშიც იგივე ვითარებაა. სადაც უნივერსიტეტები დამოუკიდებლები არიან, უკეთესი ხარისხია. ამერიკული სისტემა ინგლისურია. ბრიტანეთში, სადაც უნივერსიტეტები ისტორიულად არიან დამოუკიდებელი, ძალიან მაღალი დონის უნივერსიტეტებია. ცხადია, რომ საუნივერსიტეტო სისტემა თუ გინდა, რომ იყოს კარგი, უნდა იყოს კერძო. ახლა იქნება ეს მოგებაზე ორიენტირებული, თუ არა, ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. შენ თუ არ გაქვს სწორი მექანიზმები რეგულაციის, ის უბრალოდ კარგი ვერ იქნება.

რამდენად წაადგება საქართველოს ეს გამოცდილება, როცა ასე ჩამორჩება ეკონომიკური განვითარებით დასავლურ ქვეყნებს? ვთქვათ, გერმანიამ მისცა მსხვილ კორპორაციებს საშუალება დაიწყონ ბიზნესი. იქ შეიძლება მხოლოდ მოგებაზე ორიენტაცია არც იყოს, იმიტომ რომ იდეალისტური თვალსაზრისით შესაძლებელია გაჩნდეს დაფინანსება და შეიქმნას ხარისხზე და არა მოგებაზე ორიენტირებული მნივნელოვანი, ძლიერი

უნივერსიტეტი. ჩვენ ვნახეთ, რომ საქართველოში, სფეროს კომერციალიზაციის პროცესში მსგავსი პრეცედენტი არის ძალიან ცოტა.

- მაგას ძალიან დიდი ფინანსური რესურსი სჭირდება, რაც აქ არი არის.

სწორედ ამ მწირი რესურსების პირობებში, ხომ არ უნდა აღოს სახელმწიფომ შეფობა რაღაც პერიოდით კვლევსი დაფინანსებასა და სფეროს განვითარებაზე? საქართველოში მასიფიკაცია ისეთი ტემპით მიდის, რომ ხარისხი ვერ კონტროლდება.

- ყველაზე კარგი, რაც ჯერჯერობით მოხდა, სწორედმასიფიკაციაა, ეს გარემო უნდა არსებულიყო, რომ ყველას ჰქონდეს საშუალება, მიიღოს უმაღლესი განათლება. ის, თუ როგორ მოქმედებს ეს მასშტაბი ხარისხზე, მხოლოდ სისტემაზეა დამოკიდებული, როგორ მოექცევა პროცესს. როგორც კი გავა სახელმწიფოს ხელიდან აკრედიტაციის პროცესი, ხარისხის უზრუნველყოფა უკეთესი იქნება. იმ გეგმაში, რომელიც ჩვენ გვქონდა, სააკრედიტაციო ცენტრები უნდა გასულიყო სამინისტროს გარეთ და სახელმწიფოს მხოლოდ ფული უნდა ჩაედო მათ განვითარებაშიი. ეს კონტროლის მომენტი მათ რჩებათ. რაც შეეხება უნივერსიტეტების რაოდენობას, ეს პრობლემა არ არის. პრობლემაა ის, ისინი რას ასწავლიან. რომ ვამბობთ, კალიფორნიის მაგალითი როგორია, არის კალიფორნიის უნივერსიტეტი და კალიფორნიის სახელმწიფო უნივერსიტეტიც. საფეხურები მოიცავს ხელობის სწავლასაც და უმაღლეს საფეხურსაც. თუ სტუდენტმა თუ მიიღო ლიბერალური განათლების პორცია, შეუძლია სწავლა ნებისმიერ დროს გააგრძელოს ნებისმიერ უნივერსიტეტში. სახელმწიფო უნივერსიტეტები ახლა ცოტა განვითარდნენ, აქამდე ჰქონდათ მხოლოდ ის უფლება, რომ განათლებაში აძლევდნენ სერტიფიკატს, ქვედა საფეხურებზე სწავლებას ახორციელებდა კალიფორნიის უნივერსიტეტი.

ჩვენთანაც ხომ არის სასწავლო უნივერსიტეტები.

- რაღაცა თითქოს ჰგავს, ანუ პრობლემა ის კი არ არის, დამდენია უნივერსიტეტი, არამედ, როგორაა მოწყობილი. რამდენად აძლევს ის ხალხი, რომელიც იქ მუშაობს, ადეკვატურ განათლებას, რომელიც მას შეუძლია, რომ მისცეს. ეს არის სინამდვილეში გასაკეთებელი და არა ის, რომ ახლა გამოდის ზოგიე პარტია და ამბობს, ცოტა უნივერსიტეტი უნდა იყოსო. რეალურად, ეს გამოცდები ნელ-ნელა აზრს კარგავს.

მაგრამ ყველა ეს პროცესი უკვე უშუალო კავშირშია მარკეტიზაციასთან. უნივერსიტეტები გახდა ჩვეულებრივი ეკონომიკის დარგი. კერძო უნივერსიტეტებს უნდათ, მასობრივად შემოიყვანინ სტუდენტები შუა აზიიდან. ჩვენთან წმინდა კომერციული განზომილება მიიღო კერძო სექტორმა.

- ფაქტობრივად ეს კერძო უნივერსიტეტები საერთოდ მიტოვებული ჰყავს სახელმწიფოს. ინდოელი და ირანელი სტუდენტების შემოყვანაში ცუდი არაფერი არ არის, ძალიან მომგებიანია, მაგრამ მეორე მხრივ, სახელმწიფო ვერ დაარეგულირებს კერძოს რადგან ვერ არეგულირებს სახელმწიფო უნივერსიტეტს. სახელმწიფო ვერ ეტყვის კერძოს, მაჩვენე, როგორი პროფესორები გყავსო. უარესები ჰყავს თვითონ. ხშირად ისინი ერთი და იგივე პროფესორები არიან. არ შეიძლება ორმაგი სტანდარტის შემუშავება, რომ აბა კერძოებს მოვთხოვოთ, რამდენი პროფესორი ჰყავს და რამდენია აქედან კვალიფიციური. მსგავსი რეგულაცია უნდა იყოს საყოველთაო. სახელმწიფომ უნდა არეგულიროს უნივერსიტეტების ზოგადი ხერისხი. დაგვიმტკიცოს, რომ ის პროფესორი, რომელიც იქ კითხულობს, რაღაცა ღირს. საქართველოში ციტირებაზე ლაპარაკი არ არის, პუბლიკაციები არაა.

ისიც ხომ არ არის ამასთან კავშირში, რომ კვლევებში ბიუჯეტის ძალიან დაბალი წილი იდება? ვერ გეყოლება კარგი მკვლევარი, თუ პირობები არ შეუქმენი.

- ის ფული, რომელიც იხარჯება და სწორად რომ იხარჯებოდეს, საკმარისია გვყავდეს კარგი მკვლევარები. მაგალითად, რუსთაველის ფონდის არც ერთ კონკურსის გამოცხადებაში არ იყო მითითებული პუბლიკაციები, როგორც მიზანი. ის ფული სულ სხვაგან მიდის. რეალურად ხომ არსებობს ის 500 მეცნიერი, რომელიც აკეთებს, აქვეყნებს, მუშაობს. მაგრამ ფონდის მიზანი იყო არ გაეცათ ეს გრანტები იმ 500 ადამიანზე, რომელიც ისედაც შოულობს გრანტებს, არამეს გაეცათ მათზე, ვისაც არასოდეს არაფერი არ გაუკეთებია.

მეორე მხრივ ხომ არ არის პრობლემა, რომ შეიძლბა პოტენციალი არის კვლევის, მით უმეტეს ახალგაზრდა მკვლევარებში, მაგრამ ინფარასტრუქტურა არ არის.

- ინფრასტრუქტურა არის. ჩვენთანაც არის, ჯავახიშვილშიც არის. პრობლემა არის ის, რომ საქართველოს არასოდეს არ ჰქონია მიზანი, რომ კვლევა განავითაროს. კვლევას რომ

განავითარებ, მერე ეს დაეხმარება მცირე ბიზნესს. ეს ხაზი არასოდეს არ ჰქონია სახელმწიფოს.

იმიტომ, რომ ეს გრძელვადიანი და იდეალისტური ხედვაა?

- იდეალისტური არ არის, ეა ძალიან მოკლევადიანი ხედვაა. თუ მისცემ საშუალებას, განვითარდეს კვლევა, მერე ეს კვლევა მოქმედებს მცირე ბიზნესზე. მცირე ბიზვესი რომ ვითარდება, მერე ეს მოქმედებს ეკონომიკაზე. არაფერი გრძელვადიანი ეს არ არის, შეიძლება 5 წელიწადში მიიღო ეს ეფექტი. გრძელვადიანია კარგი კვლევის მიღება, რომ შენ შეხვიდე მსოფლიო უნივერსიტეტების ასეულში. გერმანიაც კი დღეს აკეთებს ამას ამერიკის მაგალითზე. აქვთ ძალიან მოქნილი სისტემები.

ჰუმბოლდტის უნივერსიტეტზე რას ფიქრობთ, ხომ იქიდან მოდის ეს ძირი, აკადემიური თავისუფლება, ჩაურევლობა.

- კი, ყველაფერი იქიდან მოდის, მაგრამ ჰუმბოლდტის უნივერსიტეტი ისეთივე ნაკლოვანებებითაა სავსე, როგორც ყველა სხვა გერმანული უნივერსიტეტი. რასაც ისინი ფულს ხარჯავენ, ასეულში მანც უნდა იყვნენ. ფსევდოიდეალიზმი არ რგებს სისტემას. პირიქით, ვნებს. 21-ე საუკუნეში კვლევა უკვე აღარ არის ის ინტერესი, როგორიც ეს იყო მე-19-ში, მე-20 საუკუნეში. არა მარტო უნდა იკვლიო, არამედ უნდა იზრუნო, რომ კვლევის შედეგები გასაჯაროვდეს. შენ გაქვს ინტერესი და თუ შენ "ფაბლიკ პერსონალ" არა ხარ, არც არაფერი არ ხარ. 21-ე საუკუნეში ესეც აღარ არის საკმარისი. მართვის ობიექტი გახდა მეცნიერება. ჰუმანიტარი უნდა დაუკავშირდეს კიბერნეტიკოსს, ან ბიოლოგს, რაღაც ახალი გააკეთოს. ყველაფერი ინტერდიციპლინარული ხდება.

ბევრ საერთაშორისო ჟურნალში ჩვეულებრივალ იხდი იმისთვის რომ გამოგიქვეყნონ თუნდაც საშუალო სტატია. ეს სფეროც კომერციალიზაცის ხომ არ განიცდის?

- ჟურნალები ალბათ მალე გაქრება. უფრო ონლაინჟურნალები და სხვა სისტემებზე იქნებიან გადასული.

უნივერსიტეტების მისიები, რომლებიც ჯერ კიდევ არის გაცხადებული და კანონშიც კი ფიგურირებს, შეიცავს ზოგადსაკაცობრიო მიზნებსა და იდეალებს. რეალობაში როგორაა საქმე? ხომ არ არის ეს წარსულის ბუტაფორიული გადმონაშთი?

- ეს ჰუმბილდტის გადმონაშთია. ახლა ძალიან მარტივადაა. ერთ მთავარ მისიას უნდა

პასუხობდე - სტუდენტი რომ იყოს მზად შრომის ბაზრისთვის. შრომის ბაზარი უზარმაზარია. ის არ ნიშნავს, რომ უნდა დადგე ელიავას ბაზრობაზე და რამე გაყიდო. შრომის ბაზარი არის ყველაფერი, დაწყებული ელიავათი, დამთავრებული მაღალი რანგის ინსტიტუტში პირველი დონის კვლევითი პიზიციით. ერთი არის ერთი - შრომითი ბაზრისთვის მომზადება და მეორე - ინტენსიური კვლვების წარმოება. ეს არის ორი მთავარი მიზანი უნივერსიტეტისთვის. ერთი, უნდა აკეთოს ინოვაციები, გააადვილოს ადამიანის ცხოვრება და მეორე, უნდა მოამზადოს სტუდენტი შრიმის ბაზრისთვის. მკვლევარს უნდა ასწავლო რომ შრომის ბაზარზე იყოს წარმატებული. თუ ის აკეთებს იმას, რაც მართლა საინტერესოა, ის ყველა ვარიანტში წარმატებული იქნება.

მაგრამ ზოგჯერ გააზრებას და აღაირებას წლების სჭირდება. შეიძლება ის, რაც დღეს არაპრაქტიკულია და სიგიჟესაც კი გავს, მომავლში უდიდეს ნოვაციად მიიჩნიონ.

- შეიძლება, მაგრამ რისკაია. ერთეულები ყოველთვის რისკავენ და მერე მობელის პრემიას იღებენ. ეს სულ გარისკვაა. მაგის გარანტიას ვერავის მისცემ, მაგრამ ადამიანმა, რომელსაც უნდა კვლევა, უნდა იცოდეს, ამ სისტემაში როგორ მოიქცეს.

ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ონლაინპროგრამების საკითხს როგორ ხედავთ? ხომ არ შეუქმნის ისნი საფრთხეს უნივერსიტეტებს იმ ფორმით, რა ფორმითაც დღეს ფუნქციონირებენ? ქართულ სისტემა ზე რა გავლენა შეიძლება იქონიოს ამ პროცესმა?

- ფეისბუქი ხომ არის ქართული, რამე პრობლემა არის? ისევე იქნება ესეც.

მაგრამ უმაღლესი განათლების გლობალურ ბაზარზე უფრო მარტივი გახდემა უცხოური დიპლომის აღება, რაც უდავოდ დიდ კონკურენციას გაუწევს ქართულ უნივერსიტეტებს.

- მაშინ ქართული უნივერსიტეტებიც უნდა გადაეწყონ ასეთი პროგრამების შეთავაზების რეჟიმზე და თუ ამას ვერ მოახერხებენ, შანსი არ ექნებათ. ამის დრო ჯერ კიდევ არის.

6.2.4 სამთავრობო სექტორი, რესპოდენტი - ირინა დარჩია, უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის უფროსი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, კლასიკური ფილოლოგიის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი; სხვადასხვა დროს იყო თსუ კლასიკური ფილოლოგიის ბიზანტინისტიკისა

და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და რსექტორის მოადგილე; ტემპუსის ეროვნული ოფისის უმაღლესი განათლების რეფორმის ექსპერტი, მრავალი ნაშრომის ავტორი. (შემდგომში რესპონდენტი #8)

დღეს ბევრი მკვლევარი საუბრობს გლობალიზაციის პროცესზე, რომელმაც გავლენა იქონია ეროვნულ სისტემებზე, განათლების სფეროს ჩათვლით. შეგვიძლია თუ არა მივიჩნიოთ, რომ გამონაკლისი არც საქართველოს უმაღლესი განათლებაა? რა ადგილი შეიძლება მივაკუთვნოთ თანამედროვე ქართულ უნივერსიტეტს მსოფლიო კონტექტსში?

- გლობალიზაციას სხვადასხვა კონტექტში ვხმარობთ, ჯერ დავაზუსტოთ, ვილაპარაკოთ, გლობალიზაციის ინდიკატორები რა შეიძლება იყოს.

ვგულისხმობ "ამერიკანიზაციას", ანუ ამერიკული "მოწყობის" სისტემების გავრცელებას მსოფლიო მასშტაბებით უმაღლესი განათლების სფეროში. შეიძლება ევროპეიზაციაც ამის ნაწილი იყოს.

- ამერიკანიზაციას რაც შეეხბა განათლების სისტემაში, საკმაოდ პირობითი ცნებაა. იმიტომ რომ იქ რაღაც ძირითად ტენდენციებზე და ფასეულობებზე შეიძლება ვილაიარაკოთ.

მაშინ ვისაუბროთ სფეროს მარკეტიზაციაზე. უფრო დავკინკრეტდეთ. ფატია, რომ უმაღლესი განათლების სფერომ შეიძინა კომერციული მახასიათებლები, განათლება მოერგო ბაზარს.

- გლობალიზაცია ძალიან ფართო ცნებაა და არაერთგვაროვანი განმარტება არსებობს. ჩავთცალოთ, რომ გლობალიზაცია დღეს ერთი მხრივ არის გავლენები, ეს არის ამერიკული ან ევროპული უნივერსიტეტების გავლენები ჩვენს უნივერსიტეტებზე. ეს შეიძლება იყოს დაწყებული სტრუქტურებით, მიდგომებით, პროგრამების შინაარსით, შეფასების მეთოდებით. შეგვიძლია ვილაპარაკოთ ერთი მხრივ ამერიკულ გავლენებზე და მეორე მხრივ, ევროპულზე, და ვილაპარაკოთ ასევე უმაღლესი განათლების სფეროს ბაზართან კავშირზე. 90-იანი წლებიდან ვართ გარდამავალ პერიოდში, ვქმნით რაღაც

ქართულს, ფსევდოქართულს, რომელიც არის გარკვეული ჯგუფების, გარკვეული კლანების ინტერესებზე მორგებული საბჭოთა სისტემა და ვიღებთ ქართულ ხალხურ პოსტსაბჭოტა რეალობას. რომლითაც ხდება იდეების და ცნებების შენარჩუნება, ეროვნული შეფუთვა, თუ შეიძლება ასე ითქვას. სინამდვილეში ნელ-ნელა იკარგება ხარისხი, იკარგება ფული, და ხარისხი კი, ფულის გარეშე არ არსებობს, იკარგება ფასეულობები და ვიღებთ რაღაცა ფსევდოქართულ, პოსტსაბჭოთა რეალობას. მაგრამ ვართ ისევ ამაყები, როგორც მაგალითად დღეს ბერძნები არიან ამაყები, როცა უარი უთხრეს სავალუტო ფონდის კაბალურ პირობებს, მაგრამ ხელფასები ვეღარ გაიცემა დღეს საბერძნეთში. თუმცა თავისთავად პლუსი არის, რომ ეს ხდება პირველად და ყველაფერს ერქმევა ქართული სახელი - დისერტაციების დაცვით დაწყებული და უნივერსიტეტებისთვის სახელის დარქმევით დამთავრებული. ამის შემდგომ გვაქვს გარდამტეხი პერიოდი, მოხდა აბსოლუტური გარდატეხა ბევრი თვალსაზრისით, მანამდე ვუკაკუნებდით ევროკავშირის კარს, ნატოს კარს, მაგრამ 2005 წლიდან რაღაც რადიკალური ხდება. მითელვითი პროცესები მანამდეც იყო. მე მახსოვს 2000 წლიდან მოყოლებული ეს პროცესები და 2003 წელი, როცა უცებ გვითხრეს, რომ კრედიტების სისტემა უნდა შემოვიღოთ. იმის თმა მინდა, რომ იმ 90-იან წლებშიც კი იყო პატარ-პატარა გარღვევები და მცდელობები, რომ გლობალიზაციის ელემენტები ჩვენთან შემოსულიყო.

მაგრამ ეს ხომ რაღაც სტიქიური პროცესი იყო. საბჭოთა კავშირის რღვევის შედეგად ყველამ დაინახა, რომ გამარჯვებული იყო დასავლური პრაგმატიზმი. თეორიული გააზრების გარეშე, ქვეყანამ დაიწყო ყველა სფეროს საბაზრო ურთიერთობებეზე გადაწყობა, მათ შორის უმაღლესი განათლებისაც. უმაღლეს განათლებაზე მაღალი მოთხოვნის პირობებში ასეთმა ლიბერალიზაციამ გააჩინა ორასზე მეტი უნივერსიტეტი. ძალიან სწრაფად, ინერციით, ბაზრის პრინციპები აითვისეს უმაღ;ესმა საგანმანათლებლო სასწავლებლებმა. თქვენ როგორ შეაფასებდით ამ პროცესს?

- ეს ყველაფერი გაუაზრებლად მოხდა, მაგრამ პოსტსაბჭოთა გაგებით, ბაზარი ნიშნავდა უკონტროლო თავისუფლებას. მანამდე ბევრს სურდა სამედიცინოზე ჩაბარება, მაგრამ ზოგს ცოდნა არ ყოფნიდა და ზოგს ფული - კორუფციის პირობებში. ახლა ეს

ყველასთვსი გახდა შესაძლებელი. გაჩნდა მოთხოვნა ბიოცამედიცინო ეკოლოგიურ გენეტიკაზე. ბიოლოგიაც პრესტიჟული იყო, გენეტიკა იყო ახალი და უცხო ჩვენთან იმ პერიოდში. ეკოლოგია გავიგეთ და ყური მივკარით და რახან ბაზარზე იყო მოთხოვნილება, დასხდნენ მარკეტზე ორიენტირებული ჩვენი პროფესორები და მოიფიქრეს და გამოაცხვეს სპეციალობა - სამედიცინო ეკოლოგიური გენეტიკა; გაიცემოდა შესაბამისი ბაკალავრის და მაგისტრის ხარისხი. ჩემი თვალით რომ არ მქონდეს ეს დიპლომები ნანახი, არ დავიჯერებდი. ანუ ერთი მხრივ, მოერგნენ ბაზარს, მაგრამ შედეგად მივიღეთ აბსურდი - აბსოლუტურად მცდარად მოხდა პროცესის გააზრება და ხარისხის და შინაარსის უგულებელყოფა. ბაზრის მოთხოვნა გაიგეს, როგორც "რა გამეყიდება კარგად". ასე ვთქვათ, ვყიდდით ფოჩიან კანფეტებს, მაგრამ ქაღალდის შიგნით კანფეტი არ იდო. ეს იყო 90-იან წლებში. 2004 წლის დეკემბერში ვიღებთ ახალ კანონს, რომელიც იყო იმ დროისთვის ევროპაში ერთ-ერთი პროგრესული კანონი, დღეს კი ეს კანონი სამწუხაროდ არის ხრუშჩოვკა, რომელსაც ლოჯიები აქვს მიდგმული და ამ ეტაპზე ვერ ვხედავ, რომ რამე ეშველოს. შესაბამისად ხდება გარდატეხა და უკვე ჩვენ გადავდივართ ე.წ. ბოლინიის პროცესზე, და ამ პროცესის ჩვენეულ ინტერპრეტაციაში მხოლოდ ორი მესამედია ბოლონიის პროცესი, დანარჩენი ერთი მესამედი ეს არის ჩვენი მაშინდელი მთავრობების, ამჟამინდელი მთავრობის ჩათვლით, პოლიტიკური სურვილების, გარკვეული ხედვების და იდეების რეალიზება. ამას ვეძახით ბოლონიას. ასე რომ, სახელმწიფო დონეზე ხდება სავალდებულო, გარკვეულ დასავლურ სისტემასთან ჰარმონიზაცია. ჩვენ ხელს ვაწერთ ბოლონიის დეკლარაციას, ვიღებთ მთელ რიგ ვალდებულებებს და ამ ვალდებულებების შესასრულებლად ვქმნით სპეციალურ, იმ დროისთვის საკმაოდ პროგრესულ და კარგ კანონს. შესაბამისად ინტერნაციონალიზაცია ამ შემთხვევაში ხდება სავალდებულოდ გაცხადებული საკანონმდებლო დონეზე და იწყება მისი იმპლემენტაცია. იმპლემენტაცია ხდება ძალმომრეობით, ხდება ზედაპირულად, ხდება ფორმალურად, ხდება ყურმოკვრით, მაგრამ ფორმალურ მახასიათებლებს მეტნაკლებად ვცვლით და არის ძალიან პრინციპული და მნიშვნელოვანი; მიდგომები და ფასეულობები პრინციპულად იცვლება. იქ შემოდის საერთო სამაგისტრო ერთიანი გამოცდების ცენტრი, ანუ

კორუფცია გადის და ესეც არის ინტერნაციონალიზაციის ასე ვთქვათ, ნაწილი. ეს არის დასავლეთიდან შემოტანილი და დანერგილი სისტემა, რომლის ექსპორტზეა დღეს ლაპარაკი. ოფიციალურად სამინისტროში ევროკომისიამ უკვე მოგვთხოვა, რეფორმის ექსპორტი გააკეთეთო, მაგალითად უკრაინაში, ბელორუსიაში ან შუა აზიაშიო და ევროკავშირის ერთ-ერთ ქვეყანაშიც კი, ხორვატიაში. იმის თქმა მინდა, რომ ის, რაც იყო დასავლეთიდან შემოსული, ინტერნაციონალიზაციის ნაწილი, დღეს გახდა ქართული ბრენდი და დღეს ალპარაკია მის ექსპორტზე. შესაბამისად, ბოლინიის პროცესის ერთ-ერთი ამოცანა არის მობილობის ხელშეწყობა, სამსაფეხურიანი სისტემა, აქ არის იგივე კრედიტების აღიარება, აქ არის ერთობლივი პროგრამები, ერთობლივი ხარისხები; არის სახელმწიფო დონეზე აღებული ვალდებულებები, რომ სისტემა გაიხსნას, საზოგადოება გაიხსნას, გახდეს უფრო ღია, უფრო გამჭვირვალე და იმოძრაოს. ეს უკვე არის სახელმწიფო დონეზე გაცხადებული გლობალიზაცია. მე მივდივარ და რაღაცის ნაწილი ვხდები, უნდა ვიყო მაქსიმალურად ჰარმონიული, თუმცა, მეორე მხრივ, ბოლინია გეუბნება, რომ შენს თვითმყოფადობას არავინ გართმევს, შეინარჩუნე, უბრალოდ, რასაც შენ აკეთებ, ეს მომიყევი ჩემთვის გასაგებ ენაზე. შესაბამისად, რადგან ეს იყო სახელმწიფო დონეზე გაცხადებული, ამას მოჰყვა ფულ. ეს ფული იყო ევროკომისიის პროგრამების საშუალებით მოპოვებული; ეს იყო პირველ რიგში ინსტიტუციური მხარდაჭერის პროგრამები. შესაბამისად, სისტემა ნელ-ნელა მაინც იხსნება. ბუნებრივია, სისტემაში მოხდა გარდატეხა. რომ აიღო და შეადარო დღევანდელი პროგრამები 10 წლის წინანდელ პროგრამებს, ცა და დედამიწაა. არის ბევრად უფრო გახსნილი, ბევრად უფრო მიახლოებული იმასთან, რაც დასავლეთში ისწავლება. ახლა ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი ამ თანამედროვე გლობალური პრობლემების არის ის, რომ უნდა მოხდეს თანამედროვე ადამიანის სოციალური საჭიროებების, მათი დასაქმების გათვალისწინება. ამ მხრივ საქმე ჯერ კიდევ ძალიან ცუდადაა, რადგან ჩვენი ბაზარი არის ძალიან ღარიბი. გერმანიის, საფრანგეთის და ესპანეთის გამოცდილება მაინცდამაინც გამოსადეგი არ არის, იმიტომ რომ ეს ბაზარი არის განსხვავებული.

იგივე ევროპულ ქვეყნებში მასიფიკაცია ბევრად უფრო ნელა და მცირე მასშტაბებით ხორციელდება, ვიდრე ჩვენთან. თითმის ყველა ადგილობრივი მსურველი შედის

უნივერსიტეტში. ქართული უნივერსიტეტები უკვე აზიურ ბაზარზე იწყებენ აბიტურიანტების ძებნას. ამ პროცესზე რას იტყოდით?

- მთლად ასეც არ არის. ეს არ ხდება მხოლოდ იმიტომ, რომ დემოგრაფიული პრობლემა გვაქვს. როგორიც, მაგალითად, ბალტიისპირეთშია - ფიზიკურად ბავშვები აღარ ყავთ და ამიტომ რუსულ პროგრამებს ახორციელებენ. ჩვენთან არის პრობლემა ის, რომ საატესტატო გამოცდები 1300 ბავშვმა ვერ ჩააბარა და მე მეცოდებიან ის უნივერსიტეტები, რომლებსაც 1300 ბავშვი მოაკლდა მანამდე, სანამ გამოცდები დაიწყებოდა. ანუ მასიფიკაცია ჩვენთან არის ზომიერი და საშუალო ევროპული მაჩვენებლის ფარგლებში. ახლა ისევ მივუბრუნდეთ მარკეტს და შრომის ბაზარს. ერთი მხრივ საქართველოში შეიქმნა იდეალური პირობები იმისთვის, რომ განათლება ყოფილიყო სტუდენტზე და ბაზარზე ორიენტირებული, რადგან 2005 წლიდან მოიხსნა საბაზო დაფინანსება, გადავედით ვაუჩერულ დაფინანსებაზე, რაც ნიშნავს იმას, რომ სტუდენტი თვითონ წყვეტს, სად უნდა სწავლა. ის გეგმავს მომავალს და ცდილობს აირჩიოს სპეციალობა, რომლითაც მომავალში ფულს იშოვის; რომლითაც უკეთ დასაქმდება. რომელია ეს სპეციალობები? ეს არის სამართალი, ადმინისტრირება, რატომღაც - საერთაშორისო ურთიერთობები, კომპიუტერები თავისთავად, ინგლისური, ამერიკანისტიკა; შეიძლება ჟურნალისტიკა და ერთი-ორი გამომრჩეს. და ვიღებთ შემდეგ სურათს - სტუდენტები ირჩევენ ბაზარზე მოთხოვნად პროფესიებს, მაგრამ რეალობაში ბაზარზე არსებული მოოთხოვნა არაფერ შუაშია იმასთან, რა ცოდნაც აქვს სტუდენტს. ანუ, აქვთ ბაზარზე ორიენტირებული სპეციალობა, რომელსაც პრაქტიკულად ვერ იყენებენებენ, რადგან არ აქვთ პრაქტიკულად გამოყენებადი ცოდნა. ერთი მხრივ, სისტემა არის ორიენტირებული ბაზარზე, მაგრამ მეორე მხრივ, პროგრამები და უნივერსიტეტები არიან ჯერ კიდევ ძალიან ჩამორჩენილები, რომ უპასუხონ საბაზრო მოთხოვნებს.

გამოდის, რომ ბუტაფორიულია დღევანდელი აკრედიტაცია?

- ეს კიდე ცალკე თემაა. გვაქვს ქართული მოდელი, სრულიად არნახული და წარმოუდგენელი. სხვათა შორის, ამას წინათ ვიყავი ერთ საერთაშორისო ღონისძიებაზე და განათლების ერთ-ერთი შვედი ექსპერტი მეუბნება, ეს საქართველო სად არის,

რომელი ქვეყანაა, რაღაც 20 წელიწადში ყველა აკრედიტაცია რომ გააკეთეთო. კვდებოდა სიცილით, ანუ ეს ჩვენი ქეისი არის, მაპატიეთ და სასაცილო - სერიოზულად ვერ აღიქვამენ ჩვენს აკრედიტაციის სისტემას; შინაარსში არც ჩადიან, ციფრებს რომ ხედავენ. მათთვის ეს არარეალურია. შესაბამისად, უნივერსიტეტები ახორციელებენ პროგრამას, როგორც მათ ჰგონიათ, ისე, რომ მათ არა აქვთ კომუნიკაცია დამსაქმებელთან. ანუ არ ვიცი მე დამსაქმებელს რა უნდა, ჩემი სტუდენტი რომ მივიყვანო. აქ არის ერთი პრობლემა, უნივერსიტეტი ვერ აცრობიერებს, რომ რაღაც არ გამოსდის, არ შეუძლია და დამსაქმებელიც არ არის მზად უნივერსიტეტთან იქონიოს კომუნიკაცია. ვერ წარმოიდგენთ, რამდენი შეხვედრის ორგანიზება გამიკეთებია, სადაც ვთხოვდი დამსაქმებელს, აეხსნა საკუთარი მოთხოვნები. პასუხებს ვიღებდი არრადეკვატურს. მთხოვდნენ მათთან ხელშეკრულება გამეფორმებინა და დამიწერდნენ საჭირო პროგრამას. ერთი მხრივ, უნივერსიტეტი ცალსახად არ არის მზად ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, არ ცდილობს კომუნიკაციას და როცა ცდილობს, ყოველთვის არ გამოსდის; იშვიათად თუა წარმატებული შედეგი. კიდევ ერთი საინტერესო მომენტია - კრედიტაციის დონეზე, სააკრედიტაციო მოთხოვნა არის ის, რომ პროგრამა, სანამ შემუშავდება, აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს დაინტერესებული მხარეების ჩართვას, რომელთა შორისაც აუცილებლად უნდა იყვნენ დამსაქმებლები. დღეს აკრედიტებული პროგრამების 80 პროცენტში დამსაქმებელთა გამოკითხვის კითხვარები ივსება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის კაბინეტებში. ესეც ცალსახად. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო დონეზე ის მოთხოვნა, რაც არსებობს, არ ხორციელდება. ეს არის სრული ფორმალობა. ხარისხის სამსახურს, ხარისხის ცენტრს არ გააჩნია ბერკეტები, რომ იდენტიფიკაცია გააკეთოს და ქაღალდზე განასხვავოს დამსაქმებლების ფორმალური ჩართულობა და რეალური ჩართულობა.

უნივერსიტეტების დაფინანსების დღევანდელ მექანიზმზე რას ფიქრობთ?

- რაც შეეხება ვაუჩერულ დაფინანსებას, ეს არ არის მხოლოდ ჩემი პოზიცია, მაგრამ მე ვიტყოდი, რომ ეს არის რეალურად ქვეყნის სიტუაციური ანალიზის შედეგად არსებული სრულიად ობიექტური პოზიცია. ერთი მხრივ, ეს არის ძალიან კარგი სისტემა, რომელიც განაპირობებს კონკურენტუნარიანობას იმიტომ, რომ სტუდენტი თვითონ ირჩევს,

რომელ უმაღლესში წავა; შესაბამისად, ფულის კონცენტრაცია ხდება უკეთესში. უნივერსიტეტები იძულებულები არიან, ეცადონ, იყვნენ უკეთესები; სხვა საქმეა, ამას რამდენად პატიოსნად აკეთებენ, მაგრამ ცდილობენ რომ გააკეთონ. ზოგიერთი ამას ხარისხობრივადაც ცდილობს. მეორე მხრივ, იმის გამო, რომ დღეს ბაზარი არის წამყვანი და უნდა იყოს კიდეც წამყვანი, ხდება სტუდენტების და შესაბამისად, ფულის კონცენტრაცია იმ დარგებზე, იმ სპეციალობებზე, რაზეც დღეს არის ბაზრის მოთხოვნა. ბაზრის მოთხოვნა კი არის ძალიან ცვალებადი მთელ მსოფლიოში. და შესაბამისად, გვაქვს ტრაგიკული სურათი სპეციალობებს შორის დისბალანსის. გვაქვს ძალიან მდიდარი სპეციალობები ბევრი სტუდენტით და ეს არის საშიშროება იმისა, რომ 10-15 წელიწადში იქნება მასობრივი უმუშევრობა; ამასთან დაკავშირებული კვლევები არსებობს. შესაბამისად, გვაქვს სტრატეგიული მნიშვნელობის დარგები, სადაც საკმარისი სტუდენტი დღეს არ გვყავს. ეს არის პირველ რიგში საბუნებისმეტყველო დარგები და გარკვეული ჰუმანიტარული სპეციალობები. 2009 წელს ამერიკელებმა დადეს კვლევა, რომლსი თანახმადაც 15 წელიწადში გვეყოლება არაადეკვატურად დიდი რაოდენობის იურისტი, მაგრამ არ გვეყოლება ფიზიკის და მათემატიკის მასწავლებელი. იყო პერიოდები, როცა თსეუ-ში ფიზიკაზე და ქიმიაზე - ერთ ადგილზე მოდიოდა 7-8 აბიტურიენტი. იყო პერიოდი, ამას აუცილებლად ვიტყვი - ამ დაწესებულებიდან რეკავდნენ უნივერსიტეტის რექტორთან, ამგალითად, 2006 წლის შემოდგომაზე და ეუბნებოდნენ, რომ უნდა განევითარებინათ ბაზარზე ორიენტირებული დარგები და უნდა შემცირებულიყო დანარჩენი; ანუ თსუ-ს უნდა დაეხურა თითქმის მთელი საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი. მადლობა ღმერთს, თსუ-მ ეს არ გააკეთა; ამშინდელმა რექტორმა, ბატონმა ხუბუამ ეს არ გააკეთა, თუმცა ამისთვის მადლობა არავის უთქვამს. თუმცა, ფაქტია, რომ გადარჩა ეს მიმართულება. მაგრამ დღემდე საბუნებისმეტყველო დარგები და ჰუმანიტარიაც ვართ ღარიბი მეზობლები იურისტების და ადმინისტრირების. მერე ნაციონალებმა დაინახეს, რომ ფიზიკის და მათემატიკის მასწავლებლები მართლა არ ეყოლებოდათ, ამის იმპორტს კი ვერ გააკეთებდნენ; ამიტომ შეცვალეს დაფინანსების სისტემა და მერე უკვე ახალი მთავრობა რომ მოვიდა, მათ გააკეთეს ეს ე.წ. პრიორიტეტული სპეციალობები, რომ ის ვაუჩერული დაფინანსების

გამო არსებული დისბალანსი სპეციალობებს შორის, რაც სპეციალობის განვითარებასთან არის კავშირში, ანუ ჩვენი ქვეყნის მომავალთან, ცოტათი მაინც დაერღვიათ.

კვლევით კომპონენტზე რას იტყოდით? საუნივერსიტეტო კვლევების თვალსაზრისით ალბათ კიდევ უფრო მეტი პრობლემაა ვიდრე დაბალ საფეხურებზე.

- კვლევის კომპონენტი საქართველოში პრაქტიკულად არ არსებობს. ამას ვაცხადებ აბსულუტური პასუხისმგებლობით. და ეს არ არის მხოლოდ და მხოლოდ უნივერსიტეტების ბრალი. ქვეყანაში არ არსებობს სადოქტორო განათლების პოლიტიკა. საქართველოა ერთ-ერთი ქვეყანა, რომელიც გადავიდა სადოქტორო განათლების მესამე საფეხურზე ისე, რომ სადოქტორო განათლების კონცეფცია არ შეუქმნია. გააკეთა ძალიან ფორმალური, მარტივი ჩანაწერები კანონმდებლობაში და სულ ეს არის. გაკეთდა სააკრედიტაციო სტანდარტი, რომელიც არის ზუსტად ისეთი, როგორიც მაკალავრიატის და მაგისტრსტურის, რაც ეწინააღმდეგება ხარისხის უზრუნველყოფის საერთაშორისო სტანდარტებს. ალბათ საქართველო არის ერთადერთი ქვეყანა მსოფლიოში სადაც დოქტორანტურის აკრედიტაციის წინაპირობა არის კრედიტების განაწილება კვლევით კომპონენტში, მაშინ როდესაც ვისაც ოდესმე რამე გამოუკვლევია ცხოვრებაში, იცის, რომ კვლევა არ იზომება. კვლევას არ შეიძლება საათები მივუწეროთ და გადავიყვანოთ კრედიტებში. ეს არაჩვეულებრივად იციან ევროპელმა ექსპერტებმა, რომლებიც გვეუბნებიან, რომ არსებობს ევროპაში სადოქტორო კვლევის მარეგულირებელი დოკუმენტი ზალცბურგის პრინციპები. არის 10 ძირითადი პრინციპი, თუ როგორი უნდა იყოს სადოქტორო განათლება ევროპაში. ამ 10 პრინციპიდან არც ერთს რომ არ ვაკეთებთ, ამაზე ორი აზრი არ არის, მაგრამ ერთ-ერთი, რაც წერია, ის არის, რომ სასურველია კვლევით კომპონენტს კრედიტი არ მიენიჭოს. ჩვენთან სადოქტორო განათლებაში არის გაწევ-გამოწევა აკრედიტაციის ექსპერტების მხრიდან, რომ სწორედ უნდა იყოს ჩასმული კრედიტები კვლევით კომპონენტში. სადოქტორო განათლების სააკრედიტაციო სტანდარტი არის ისეთვე, როგორიც არის ბაკალავრიატი და მაგისტრატურა, რაც არ შეიძლება, იმიტომ, რომ დოქტორანტურა არის პრინციპულად განსხვავებული საფეხური და სჭირდება პრინციპულად განსხვავებული პოზიცია. დოქტორანტურა არის კვლევა და ჩვენთან არ არსებობს მექანიზმი, რომელიც უნივერსიტეტს შეუფასებს

კვლევით კომპონენტს, და შესაბამისად მისცემს დოქტორანტურის განხორციელების უფლებას.

ალბათ სადოტორო საფეხურზე დაფინანსებაც განსხვავებული უნდა იყოს იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბაკალავრიატის და მაგისტრატურის დონეზე დარჩება ეს ვაუჩერული სისტემა. დოქტორანტურას გაცილებით მეტი რესურსი სჭირდება მატერიალური თვალსაზრისითაც; დასავლეთში კი დოქტორანტები კვლევაში ჩართული პირები არიან და ანაზღაურებასაც შესაბამისს იღებენ, მაშინ როცა ჩვენთან უნივერსიტეტების უმრავლესობა დოქტოარნტებისთვის წლიურ გადასახადს აწესებს.

- სადღაც რაღაც ჯერ კიდევ ფეთქვა,ს მაგრამ ფაქტია, რომ წინა მთავრობის პირობებში ქვეყნის პრიორიტეტი არასოდეას არ ყოფილა კვლევა მთელი 9-10 წლის ამნძილზე. ვთვლი, რომ იმ პერიოდში განხორციელებული რეფორმების ორი მესამედი იყო პოზიტიური, ერთი მესამედი კი იყო საბედისწერო განათლების სისტემისთვის; თუმცა იმ ორ მესამედს არ ვუკარგავ. ის რომ დღეს უნივერსიტეტში ჩაწყობა არ არის და მე რომ მირეკავენ, ნიშანი დაწერეო, ვეუბნები, რომ ვერ დავწერ, იმიტომ რომ ერთიანი გამოცდებია უნივერსიტეტში, მე ვარ ბედნიერი; და ის, რომ კარგი ბავშვები აბარებენ და ფულს რომ არ იხდიან, და რომ გაცილებით თანამედროვე მიდგომები გვაქვს და ბევრად უფრო გახსნილები ვართ ევროპული ფასეულობების მიმართ, არის იმ რეფორმის დამსახურება.

იმაზე რას იტყვით, რომ ეს რეფორმა ერთგვარი "შოკური თერაპია" იყო და ძალიან მოკლე პერიოდში მოხდა კანონის ძირფესვიანად შეცვლა?

- შოკურ თერაპიის გარეშე საქართველოში არაფერი არ გამოვიდოდა. ამას ვერ ავცდებოდით. თუმცა იმ პერიოდის გამოძახილია ის. რომ გარკვეული დარგები დაფინანსების არქონის გამო სიკვდის პირასაა მისული; ერთი-ორი კლანი მართავდა განათლების სისტემას, ეს იყო ძალიან დიდი პრობლემა. და ყველაზე მთავარი პრობლემა კი იყო სწორედ ის, რომ პრიორიტეტი არ იყო კვლევა. ჩემთვის კვლევა ასოცირდება მეცნიერებათა აკადემიასთან. შეიძლებოდა მეცნიერებათა აკადემიაში აღარც ყოფილიყო კვლევა და საუნივერსიტეტო ბაზაზე გადანაცვლებულიყო. რადგან ეს არის თანამედროვე გზა მეცნიერების განვითარების, მაგრამ ზოგადად კვლევა არ იყო

პრიორიტეტი. მოიძებნა თანხები, ბაკალავრიატის, მაგისტრატუის, პროფესიული განათლების დაფინანსებისთვის, მაგრამ ვერ მოიძებნა თანხები დოქტორანტურისთვის. ეს თანხები არსებობდა. მაგალითად, განათლების სამინისტრომ უნივერსიტეტებს გამოუყო ფული ინტერნაციონალიზაციისათვის. უნდა ჩამოგვეყვანა უცხოელი პროფესორები, თავისი ჰონორარით, აქ ცხოვრებით და ყველაფრით. რა ფულიც იმ პროექტზე დაიხარჯა, სამი წელი ეყოფოდა დოქტურანტურას. უბრალოდ, ეს არ იყო პრიორიტეტი სახელმწიფო დონეზე. ქაღალდზე რაც უნდა დაწერო, თუ ფული არ ჩადე, პრიორიტეტი ვერ იქნება. ამ შემთხვევაში არც ქაღალდზე გვეწერა და არც ფული გვქონდა. პრინციპულად სულ იყო ლაპარაკი დოქტორანტურის დაფინანსების მოდელზე, მაგრამ, არაფერი განხორციელებულა. სინამდვილეში საზოგადოების გადარჩენა ეს არის საზოგადოების მოაზროვნე ინტელექტუალური ნაწილის გადარჩენა, რაც უდრის დოქტორანტს. დოქტორანტი არ არის მეცნიერი, დოქტორანტი საზოგადოებისთვის არის განვითარებული ანალიტიკური უნარების მქონე ადამიანი, რომელიც ქმნის უკეთეს საზოგადოებას. ჩვენ კი სულ გვესმოდა - საქართველოში რა უნდა კვლევას, ჩვენ ვართ მომსახურე პერსონალი, ჩვენ უნდა განვავითაროთ სერვისები, ბაკალავრიატი, მაგისტრატურა; უნარები მივცეთ და გავუშვათ საზღვარგარეთ. არა და, ჩვენი ქვეყნის მასშტაბების პირობებში და ჩვენი დაფინანსების პირობებში უკვე არსებული ფაქტები, ფაქტობრივი მასალა გვეუბნება, რომ გაქვს სერიოზული პოტენციალი, რომელსაც სჭირდება ხელშეწყობა. შეიძლებოდა ელემენტარულად მთელი ფული არ წასულიყო სამართლის დაფინანსებაზე და ნაწილი წასულიყო ფიზიკის დაფინანსებაზე. და ფიზიკოსი, რომელსაც აქვს მღალი ციტირების ინდექსი, არ უნდა იღებდეს 1800 ლარს მაშინ, როდესაც იურისტ ასისტენტ პროფესორი იღებს 2-3 ათასს. რაც მე მომწონს ახალი მთავრობის პოლიტიკიდან, ეს არის ცალსახა პრიორიტეტი მეცნიერების და ცალსახა პრიორიტეტი დოქტორანტურის.

რაში გამოიხატება ეს?

- გაკეთდა სპეციალური პროგრამა, ახალგაზრდა მეცნიერთა მხარდაჭერის პროგრამა. ნაციონალების დროსაც არსებობდა დაფინანსება რუსთაველის ფონდში, თუმცა ახლა პრიორიტეტი ენიჭება ახალგაზრდა მეცნიერებს. უკვე მეორე წელია, 300-მდე

დოქტორანტი არის დაფინანსებული სპეციალური პროგრამის ფარგლებში, რაც გულისხმობს, რომ 21 000 ლარი ეძლევა თითოეულ დოქტორანტს. რეალირად ეს არის 8-9000 ევრო, რაც არ არის ცუდი მაჩვენებელი არამარტო საქართველოსთვის, დასავლეთისთვისაც. აღმოსავლეთ ევროპის არც ერთ ქვეყანაში ასეთი კარგი დაფინანსება დოქტორანტებისთვის არ არის. თან აქ არის ინდივიდზე ორიენტირებული დაფინანსება. მე უნივერსიტეტს კი არ ვაძლევ ფულს, რომ მისცენ, ვისაც უნდატთ და იქ ვიღაცამ ჩააწყოს, არამედ არის რაღაცა კონკურსი. შეიძლება ვინმემ ეს "ჩაწყობა" ახლაც მაოხერხოს, მაგრამ ეს ნაკლებსავარაუდოა და პროცესი ბევრად უფრო გამჭვირვალეა; ყველაფერი ინდიკატორებზეა დაფუძნებული. დოქტორანტმა შეძლება აიღოს ხელფასი, წიგნები, აპარატურა, ლაბორატორია, რეაქტივი, სტაჟირება. ამისი საშუალება არის, რაც ადრე არ იყო. და ეს ცალსახად არის პოზიტიური ნაბიჯი. გარდატეხა არის მომხდარი.

და ბოლოს, რას ფიქრობთ ონლაინპროგრამებზე, რომლებსაც სულ უფრო მზარდად ახორცელებენ უცხოური უნივერსიტეტები და საქართველოსთვისაც აქტუალური ხდება ამ ტექნოლოგიის ათვისება? რა შეიძლება შეცვალოს ამ პროცესმა ქართული უნივერსიტეტებისთვის?

- საქართველოში ზოგადად ხაისხის უზრუნველყოფაში გვიჭირს. ყველა ღარიბ ქვეყანას აქვს ეს პრობლემა და ჩვენ ამ მხრივ არ ვართ გამონაკლისი. უბრალოდ, ერთ ადგილს ვტკეპნით. სტრატეგიულად ვიცით, საით უნდა წავიდეთ, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა განვავითაროთ. 100 პროცენტით ვეთანხმები იმ სტრატეგიას, რაც აქვს ხარისხის ცენტრს ქაღალდზე, მაგრამ 2 წელია, ეს სტრატეგია რჩება ქაღალდზევე და ველოდებით, რომ დაიწყოს იმპლემენტაცია. ჩვენი ერთერთი სუსტი წერტილია ის, რომ არ ხდება ონლაინგანათლების აღიარება იმიტომ, რომ ჩვენს ქვეყანას არა აქვს ამის მექანიზმები. ამ ეტაპზე, ვინაიდან ძალიან რთულია ონლაინგანათლების ხარისხის უზრუნველყოფა, სახელმწიფო თავს იკავებს მისი აღიარებისგან. თუმცა ეს არის ძალიან დროებითი, ეს დიდხანს ვერ გაგრძელდება, და მე ამ შემთხვევაში, როგორც ექსპერტმა, შეიძლება გავაკეთო პროგნოზი, რომ 2-3 წლის ფარგლებში აუცილებელი გახდება სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავება, თავის დაფინანსებიანად, ბუნებრივია, რომ მოხდეს ამ სისტემების, საინფორმაციო ტექნოლოგიების იმპლემენტაციაზე ზრუნვა,

რათ ქართული უნივერსიტეტები გახდნენ კონკურენტუნარიანნი.

წინააღმდეგ შემთხევავში ფუნქციას დაკარგავენ? ის აბიტურიენტებიც კი, ვინც ვერ მიდის ქვეყნის ფარგლებს გარეთ, ონლაინ რეჟიმში შეძლებს ვთქვათ, დასავლური დიპლომის მიღებას.

- ფუნქციას არ დაკარგავენ. პოზიციებს დათმობენ. ეს არის კონკურენტული გარემო, რაც არის ძალიან კარგი, იმისთვის, რომ უნივერსიტეტებმა განვითარებაზე იფიქრონ. ამ ეტაპზე სამინისტრო თავს იკავებს, თუმცა პროგნოზირება შემიძლია, რომ 3 წელი მაქსიმუმ და ამ ონლაინგანათლების აღიარების აუცილებლობას ვერ ავცდებით.

და რა მოუვა არსებულ 73 ქართულ უნივერსიტეტს, თუკი ამ დამატებით გამოწვევას შეეჯახება?

- ბაზარი არის დიდი. რეგიონულ დონეზე შეგვიძლია ვიფიქროთ საერთაშორისო კამპუსების მოწყობაზე, როგორიც, ვთქვათ, არის უკრაინაშიც. ასე რომ, მე ამ პროცესებს ტრაგიკულად არ ვუყურებ, რადგან საერთაშორისო ბაზარი მართლა ძალიან დიდია, ჩვენი ბაზარი კი ძალიან პატარაა იმისთვის, რომ თუ მოქნილები ვიქნებით, ვერ შევძლოთ თუნდაც აზიური რესურსით შევსება. სიმართლე გითხრათ, ამაში დიდ პრობლემას ვერ ვხედავ. თუმცა პროგნოზირება შემიძლია, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიების იმპლემენტაციაზე ზრუნვა სახელმწიფო დონეზე უფრო სერიოზულად მოგვიწევს უახლოეს ხანებში.

7. ინფორმაციის განზოგადების მცდელობა; საქართველოს უმაღლესი განათლების სიტემაში მიმდინარე რეფორმების ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრა; დასკვნები და რეკომენდაციები

როგორც ინტერვიუებიდან ჩანს, ქართული უნივერსიტეტები, თანამედროვე ეტაპზე განიცდიან მთელ რიგ სახეცვლილებას გობალურ, ევროპულ, პოლიტიკურ-ეკონომიკურ და ეროვნულ-კულტურულ განზომილებებში სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის.

მაგალითები გვაძლევს საფუძველს, ვიფიქროთ - უნივერსიტეტების ადმინისტრაციბის წარმომადგენლები აცნობიერებენ, რომ თანამედროვე გლობალური ცვლილებები უმაღლესი განათლების სფეროში და ის გამოწვევეი, რომელთა წინაშეც ეროვნული სისტემები და კონკრეტული უნივერსიტეტები დგას, მოითხოვს ადეკვატური რეფორმების გატარებას არა მხოლოდ სახელმწიფოს მხრიდან, არამედ თითოეული უნივერსიტეტის შიდა მენეჯმენტისაგან. ინტერვიუებმა აჩვენა, რომ ცალკეული უნივერსიტეტები)როგორც საჯარო, ასევე კერძო იურიდიული პირები), კანონმდებლობასთან შესაბამისობაში ცდილობენ გაუძლონ თავისუფალი ბაზრის პირობებში წარმოქმნილ კონკურენტულ გარემოს, რომელიც ფუნდამენტურად განსხვავდება ქართული უნივერსიტეტების ფუნქციონირების ისტორიული (უმთავრესად საბჭოთა პერიოდის) მახასიათებლებისაგან. ამასთან, კონკურენტულ გარემოს გააჩნია ორი ძირითადი არეალი - ლოკალური და საერთაშორისო. ფაქტია, რომ გლბალური მასშტაბებით თუ ვიმსჯელებთ, ქართული უნივერსიტეტების მნიშვნელობა მინიმალურია. არსებულ ეტაპზე საერთაშორისო რანჟირებებში ქართულ უნივერსიტეტებს უმნიშვნელო პოზიციები უკავიათ. ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგალითზე შეიძლება ვთქვათ,. რომ პირველი ნაბიჯები ახლა იდგმება საერთაშორისო შეფასების სიტემებში ქართული უნივერსიტეტების მონაწილეობისაკენ, დღეისთვის, ამ მცდელობების მიუხედავად, შეიძლება ისიც ითქვას, რომ რანჟირებით გათვალისწინებულ კრიტერიუმებთან შესაბამისობა, ქართული უნივერსიტეტების შემთხვევაში, ხშირად დაბალი სანდოობის მონაცემებს ეყრდნობა, რამდენადაც ეს კრიტერიუმები ჯერ კიდევ არ არის გათვალისწინებული უნივერსიტეტების ფუნქციონირებაში, როგორც წამყვანი პრინციპები ხარისხის უზრუნველყოფისათვის. მაგ. უნივერსიტეტებს თითქმის არ აქვთ შესწავლილი დასაქმების ბაზარი, რათა თვალყური ადევნონ საკუთარი კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებელს. პროფესორ-მასწავლებელთა პროფესიონალიზმი ძნელად თუ ასოცირდება საერთაშორისო მნიშვნელობის რეფერირებად ჟურნალებში გაკეთებულ პუბლიკაციებთან და სამეცნიერო მიღწევებთან. უნივერსიტეტების შემთხვევაში, ფორმალური თუ არაფორმალური ინიციატივების მიუხედავად, ზედმეტად

გახანგრძლივდა "პოსტ-საბჭოთა" პერიოდი გლობალურ სივრცესთან ადაპტაციის თვალსაზრისით. დასავლურ უნივერსიტეტებს და აკადემიურ წრეებს ამ დროისთვის საერთო ტრადიციები, ინფორმაციის გაცვლის მოწესრიგებული სისტემა და ფასეულობები აერთიანებს, მაშინ როცა ქართული უნივერსიტეტებისათვის ამ არეალში შესვლა ჯერ კიდევ მომავლის საქმეა. აქ პრობლემას წარმოადგენს მრავალი ფაქტორი. მათ შორის, ზოგიერთი, როგორ უმნიშვნელოდაც არ უნდა ჩანდეს, დღემდე აფერხებს გლობალურ განზომილებაში ქართული უნივერსიტეტების სრულფასოვან ინტეგრაციას. როგორც დაინტერესებულ მხარეებთან საუბარმა აჩვენა, ასეთი ფაქტორი შეიძლება იყოს თუნდაც ენობრივი ბარიერი. მაგ. ინგლისური ენა ქართული აკადემიური წრეებისათვის ჯერ კიდევ არ არის ბუნებრივი კომუნიკაციის საშუალება. რესპონდემტები საუბრობენ კვალიფიციური კადრის ნაკლებობაზე. მათ უდიდეს ნაწილს, დამატებითი მხარდაჭერის, თარგმანის უზრუნველყოფის გარეშე უჭირთ საერთაშორისო აკადემიურ წრეებთან თანამშორმლობა, ისევე როგორც სწავლების შეთავაზება სტუდენტებისათვის ევროპული და ამერიკული უნივერსიტეტებიდან.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა ძირითადი პროცესი, რომელიც უნივერსიტეტების რეფორმირებასთან დღეს გლობალურად მიმდინარეობს, ეხება ქართულ ინსტიტუციებთან, ეს პროცესები ჩვენთან გარკვეული თავისებურებით და შეზღუდულობითაც ხასიათდება. მაგალითად, ინტერნაციონალიზაცია, რომელიც სფეროს კომერციალიზაციის ნაწილია, მაგრამ განვითარებული სისტემების უნივერსიტეტებისთვის ამავე დროს უმთავრესად მულტიკულტურული გარემოს შექმნის, კულტურული გაცვლის ფუნქციასაც ასრულებს, საქართველოს უნივერსიტეტებში დღეისთვის ძირითადად მხოლოდ აზიური ბაზრის ათვისებას გულისხმობს. აზიური უნივერსიტეტები, რომლებსაც დღეს საქართველო უწევს კონკურენციას, მსოფლიო რანჟირებაში ვერ იკავებენ წამყვან პოზიციებს. საქართველოს მდებარეობა, ევროპასთან კულტურულ-ისტორიული ასოციაცია და სწავლის შედარებით დაბალი გადასახადი არის ის ფაქტორები, რომელიც განაპირობებს კონკრეტული ქვეყნების წარმომადგენელი, აზიელი და აფრიკელი სტუდენტების

ინტერესს ქართული უნივერსიტეტების მიმართ. ბუნებრივია, რომ როდესაც ინტერნაციონალიზაცია ქართულ უნივერსიტეტებში ძირითადად ეკონომიკური ფაქტორით არის განპირობებული და აზიურ ბაზარზეა ორიენტირებული, ხარისხის მიახლოვება დასავლურ სტანდარტებთან შეფერხებულია. ამ კონტექსტში საინტერესოა დავინახოთ ის განსხვავებებიც, რომლითაც სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტები ხვდებიან არსებულ გამოწვევებს ქართულ და გლობალურ კონტექსტში. ინტერვიუებიდან ჩანს, რომ კერძო უნივერსიტეტები (რესპონდენტი #1, რესპონდენტი #2) უფრო მეტად არიან ორიენტირებულნი ინტერნაციონალიზაციის პროცესის გააქტიურებაზე და აზიური ბაზრის ათვისებაზე, თუმცა არსებული კანონმდებლობა და საემიგრაციო რეგულაციები გარკვეულწილად აფერხებს ამ პროცესს. უდავოა, რომ უსაფრთხოების თვალსაზრისით არასტაბილური გლობალური გარემო ქართული კანონმდებლობისგან მოითხოვს დაცვითი მექანიზმების შენარჩუნებას; მეორეს მხრივ, უმაღლესი განათლება მთელ მსოფლიოში სულ უფრო მეტად გახდა ეკონომიკის სფერო და აქედან არა მხოლოდ კონკრეტული კერძო ინსტიტუციები იღებენ სარგებელს, არამედ ქვეყნების ბიუჯეტებიც. კერძო უნივერსიტეტების მცდელობებს უკვე მოსდევს რეალური შედეგი და ჩანს ეკონომიკური პოტენციალი, რომელიც საქართველოს უმაღლეს განათლებას, როგორც ბაზარს, გააჩნია. იქნება თუ არა პოლიტიკური ნება, ქართულმა უმაღლესმა განათლებამ უფრო აქტიურად შეითვისოს ეკონომიკური სფეროს ფუნქციები, დროის საკითხია. როდესაც ინგლისურენოვანი პროფესორ-მასწავლებლების არასაკმარისი რაოდენობა და მიგრაციასთან დაკავშირებული რეგულაციები ინტერვიუერების მხრიდან სახელდება, როგორც ერთერთი მთავარი პრობლემა მარკეტიზაციის განზომილების გაფართოების თვალსაზრისით, მკაფიოა, რომ რეფორმის კურსი ამ მიმართულებებით მეტ ძალისხმევას მოითხვოვს. საჭიროა კიდევ უფრო ძაძლიერდეს ინგლისური ენის სწავლებაზე აქცენტი საშუალო სკოლებში, ისევე როგორც პედაგოგიურ მიმართულებზე, უნივერსიტეტებში. როგორი იდეალისტური საფუძვლებიც არ უნდა ქონდეს უმაღლეს განათლებას, მისი ელიტარული ბუნების ძველი სახით შენარჩუნება დღეს პრაქტიკულად, შეუძლებელია. უმაღლესი განათლება მთელ მსოფლიოში ხდება კომერციის სფერო და უახლესი ისტორია მოწმობს, რომ

ქართული უნივერსიტეტებიც, კარგახანია, ჩაერთო ამ პროცესში. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ხარისხიანი უმაღლესი განათლების იდეაზე უარი უნდა ვთქვათ და მხოლოდ კომერციულ ასპექტებზე დავიწყოთ ზრუნვა. განვითარებულ სისტემებში, სადაც სფეროს მასიფიკაცია მასშტაბურად მიმდინარეობს,, იგივე რანჟირების სისტემების და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით, საუკეთესო უნივერსიტეტებში ნარჩუნდება ფარული "ელიტიზმი". შეიძლება ტერმინი არადემოკრატიულად ჟღერს, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ უმაღლეს განათლებაში სულ უფრო მეტი ადამიანია, ჩართული, ფაქვია, რომ სამუშაო ბაზარზე მნიშვნელობა ენიჭება დიპლომის გამცემი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსს. მსოფლიოში საუკეთესოდ აღიარებული ამერიკული და დასავლური უნივერსიტეტების ისტორია, ტრადიცია, ბიუჯეტი, კვლევსითვის შექმნილი პირობები, პროფესორ-მასავლებელთა სამეცნიერო მიღწევები დღესაც ელიტურს ხდის ამა თუ იმ სასწავლებელს, რომელშიც, სტიპენდიებით, ან გადახდისუნარიანობის შემთხვევაშიც კი, მხოლოდ საუკეთესო მონაცემების მქონე აბიტურიენტები ხვდებიან. საქართველოშიც ეს "ელიტიზმი", გარკვეულწილად, შეინიშნება, თუმცა აბიტურიენტებს იშვიათად გააჩნიათ ხელშესახები, მკაფიო კრიტერიუმები, რომლითაც გადაწყვეტილების მიღებამდე უნივერსიტეტების ხარისხზე იმსჯელებენ. ხშირად ერთადერთი კრიტერიუმი სწავლის საფასურის ხელმისაწვდომობაა. ამასთან, ქართული უნივერსიტეტების ამჟამინდელი რიცხვი და ქართულ ბაზარზე აბიტურიენტთა სიმცირე უნივერსიტეტების უმრავლესობას მკაფიოდ უბიძგებს აითვისონ მეზობელი ქვეყნების ბაზრები. ხარისხის უზრუნველყოფის ადგილობრივი მექანიზმი კი, რომელიც ჯერ კიდევ გაუმართავია, ამ ეტაპზე ალბათ ძნელად თუ გაწვდება უცხოელი სტუდენტების მომზადების ხარისხის შემოწმების უზრუნველყოფას. გამართულ სისტემებში, იგივე აშშ-ს მაგალითს თუ ავიღებთ, უცხოელი სტუდენტების მიღება ეფუძნება მკაცრად განსაზღვრულ პროცედურებს და უმაღლესი განათლების ბაზრის სიფართოვისა და სიჭრელის მიუხედავად, ჩარიცხვის პროცესში, თითქმის იგივე მოთხოვნებს უყენებს უცხოელ აბიტურიენტებს, რასაც ადგილობრივს. ამასთან, ამერიკულ უნივერსიტეტებში ადგილობრივი სტუდენტები გარკვეული ფინანსური შეღავათებით სარგებლობენ, უცხოელ სტუდენტთა

უმრავლესობა კი (განსაზღვრულ პროგრამებში მონაწილეთა გამოკლებით) ექსკლუზიურ თვითდაფინანსებაზეა. რესპონდენტი #1 გვაჩვენებს განწყობას, რომლის მიხედვითაც ინტერნაციონალიზაცია შესაძლებელია ადგილობრივი სტუდენტების სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისთვის გამოვიყენოთ, თუმცა ამ ეტაპზე ეს მხოლოდ კერძო ინიციატივაა. საინტერესოა ისიც, რომ რესპონდენტების უმრავლესობა ინტერნაციონალიზაციას ხედავს ცალმხრივად, ეკონომიკურ ჭრილში, მაშინ როცა ევროპული სახელმწიფოების მაგალითზე, ინტერნაციონალიზაციას გააჩნია მკვეთრად კულტურული განზომილება - ხშირად უცხოელი სტუდენტების მიღება ევროპულ უნივერსიტეტებში არ ეფუძნება კომერციულ ინტერესებს, არამედ ევროპული კულტურისა და განათლების მსოფლიოში ფართოდ გატანას ემსახურება. ცალკეულ სახელმწიფოებს აქვთ განსაზღვრული სტიპენდიები უცხოელი სტუდენტებისათვის და სულ უფრო მზარდია სპეციალურ პროგრამებში ჩართული ახალგაზრდების რიცხვი.

ბოლო პერიოდში მარკეტიზაციის პროცესი აქტუალური გახდა ევროპული სახელმწიფოებისთვისაც; სულ უფრო იმატებს კომერციული უნივერსიტეტების რიცხვიც, თუმცა ორიენტირი მაინც ჰუმანისტურ იდეებზე დაფუძნებული უნივერსიტეტი რჩება. ქართული უნივერსიტეტებისთვის კი (რესპონდენტებთან მისიებზე საუბრიდან გამომდინარე), დეკლარირებული იდეალები უმთავრესად ფორმალურია და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მოთხოვნილ აუცილებლობას წარმოადგენს. როგორც რესპონდენტი #7 აღნიშნავს, მთავარი საუნივერსიტეტო მისია დღეს არის ადამიანის მომზადება შრომის ბაზრისთვის და ყველა სხვა განაცხადი ფიქციაა.

საინტერესოა, რომ სფეროს კომერციალიზაციის და წარმატებული კერძო უნივერსიტეტების მაგალითების მიუხედავად, საქართველოში სახელმწიფო უნივერსიტეტები გარკვეულწილად, ინარჩუნებენ ელიტური უნივერსიტეტების მახასიათებლებს. უნდა ვივარაუდოთ, რომ უმთავრესად, ამ ფაქტს მათი ხანგრძლივი ისტორია და რეპუტაცია განაპირობებს, რაც უნივერსიტეტების ფუნქციონირების კულტურულ-ეროვნული განზომილების მახასიათებლებია.

პარადოქსულია, რომ რექტორის თვალსაზრისით (რესპონდენტი #4), ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც ვარდების რევოლუციის შემდეგ პერიოდში რამდენიმე სახელმწიფო უნივერსიტეტის შეერთების (გამსხვილების) შედეგად შეიქმნა, რეალურად ერთი ფაკულტეტის ბაზაზე შექმმნილ უნივერსიტეტად აღიქმება. ჩნდება განცდა, რომ ეს არის ჰიბრიდული ტიპის უნივერსიტეტი თავისი ლიბერალური ფასეულობებითა და მათთან შერწყმული რაციონალური სტრატეგიით, რომელიც ამერიკული უმაღლესი განათლების ფუნდამენტს ეფუძნება, მაშინ როცა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი ევროპულ განზომილებაში რჩება - ნაკლები აქცენტით მარკეტიზაციაზე, თუნდაც ნომინალურად, დღეს არამომგებიანი, ქართული ტრადიციული სამეცნიერო "სკოლების" შენარჩუნებაზე ორიენტირებული ისეთ სფეროებში, რომლების მოკლევადიან პერსპექტივაში არანაირ მოგებას არ გულისხმობს.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ მასალაზე მუშაობის პერიოდში რესპონდენტი #3, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, სტუდენტთა მოთხოვნის საფუძველზე, თანამდებობიდან გადადგა. საქართველოში, როგორც განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობაში (ყველაზე ნათელი მაგალითი ლათინური ამერიკის ქვეყნებია), სახელმწიფო უნივერსიტეტები ძალიან ხშირად ხდება პოლიტიკური მანიპულაციების ბერკეტი; სხვადასხვა ფლანგზე მდგომი და ხშირად ერთმანეთთან დაპირისპირებული სტუდენტთა მოძრაობა სამწუხაროდ, არცთუ იშვიათად გამოიყენება ხელისუფლების თუ ოპოზიციის წარმომადგენლელთა მხრიდან ძალაუფლებისთვის ბრძოლაში, მათთვის სასურველი კანდიდატების ხელმძღვანელ პოზიციებზე დანიშვნის პროცესში. ეს საფრთხე დღემდე რჩება სახელმწიფო უნივერსიტეტების სუსტ მხარედ მთელ მსოფლიოში. მოსახლეობაში არის განწყობა, რომ ნომინალური სტუდენტური თვითმმართველობები ხშირად გარკვეული პოლიტიკური ძალების (უმთავრესად ხელისუფლების) მიერაა მართული. სახელმწიფო უნივერსიტეტების ექსკლუზიური ფინანსური დამოკიდებულება და ანგარიშვალდებულება სახელმწიფოს წინაშე ასუსტებს მათი ავტონომიურობის ხარისხს,

რაც განათლებაზე ორიენტირებული, იდეოლოგიური წნეხისაგან თავისუფალი სწავლებისა და სწავლის პროცესს სერიოზულ დარტყმას აყენებს. უნდა ვივარაუდოთ, რომ სწორედ ამის გამო, განვითარებულ სისტემებში, სახელმწიფო უნივერსიტეტები, კერძო უნივერსიტეტების მსგავსად, ცდილობენ დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაციას, რაც ზრდის მათი ავტონომიურობის ხარისხს. ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ თუ საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის კოორდინაციის სქემატურად გამოსახვას შევეცდებით კლარკის კოორდინაციის სამკუთხედით, დღევანდელ ეტაპზე ის ასე გამოიყურება:

სურ.8:



მიუხედავად იმისა, რომ ქართული უნივერსიტეტები დრეს ძირითადად გლობალური საბაზრო პრინციპებით ხელმძღვანელობენ და განიცდიან თითქმის ყველა იმ ძირითადი პროცესის ეფექტს, რომელიც მსოფლიოს უმაღლესი აგნათლების სისტემებისთვისაა დამახასიათებელი, ევროპული უნივერსიტეტების მსგავსად, ისინი ჯერ კიდევ არიან სახელმწიფოზე ძლიერი დამოკიდებულების რეჟიმში. ნეტგაზეთის მიხედვით, განათლების ამჟამინდელი მინისტრი, ალექსანდრე ჯეჯელავა, "ლიბერალთან" ინტერვიუში ამბობს: *"ერთიან ეროვნულ გამოცდებში უნდა გაგრძელდეს ბარიერის ზრდა. კიდევ უფრო უნდა აიწიოს ბარიერი. სამი წლის წინ 21 ქულა იყო გადასალახი.*

ახლა გვაქვს 24 ქულა. ის კიდევ უნდა ავწიოთ, რომ შემთხვევით ჩარიცხვის ალბათობა შევამციროთ". (http://netgazeti.ge/life/138512/) პრესა მის ასეთ კომენტარს ელიტური განათლებისადმი ნოსტალგიას უკავშირებს, თუმცა უმაღლესი განათლების ექსპერტებისათვის ელიტური უნივერსიტეტეის ცნება არ გულისხმობს ექსკლუზიურად საბჭოთა მენტალობას. დღვანდელი ევროპული უმაღლესი განათლება და ნაწილობრივ, აზიურიც, სწორედ ელიტურ უნივერსიტეტებზე დგას, სადაც სახელმწიფო ცდილობს უზრუნველყოს სწავლებისა და კვლევის ხარისხი სახელმწიფო უნივერსიტეტებში. გარკვეულწილად, ბაზარზე ორიენტირებული, უკიდურესად დივერსიფიცირებული უმაღლესი განათლების სისტემები უნივერსიტეტების ფართო ქსელით, როგორიცაა აშშ-ში, თავისი წამყვანი როლით მსოფლიო კვლევასა და სწავლებაში, როგორც აღვნიშნეთ, ეგრედწოდებულ "ფარულ ელიტურ ბუნებას" ატარებს. სისტემა უბრალოდ, თავისუფალ ბაზარს მიანდობს უნივერსიტეტების რაოდენობის რეგულირებასა და მათში სწავლების ხარისხის უზრუნველყოფას, თუმცა ადგილობრივი თუ საერთაშორისო რეიტინგები, წამყვანი უნივერსიტეტების რეპუტაციით, ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსითა და დაფინანსებით, მუდმივად წარმოაჩენს თითქმის უცვლელ ლიდერ-უნივერსიტეტებს, რომელთა კურდამთავრებულის საშუალო ანაზღაურება სხვა ნებისმიერი კურსამთავრებულის ანაზღაურებას შრომით ბაზარზე საგრძნობლად აღემატება.

ქართული უნივერსიტეტების რეფორმირება დღესაც თითქმის ისევე სტიქიურად მიმდინარეობს, როგორც ოთხმოცდაათიან წლებში, როდესაც სისტემა თითქმის ინტუიციურად გადაეწყო ახალ რეჟიმზე. მაშინ როცა ქართული უნივერსიტეტების ფუნქციონირების ერვნული და კულტურული განზომილებების მახასიათებლები რაციონალიზაციას განიცდის პოლიტიკურ-ეკონომიკური განზომილების ქვეშ, ბუნდოვნად ჩანს სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც ამ პროცესებს გეგმაზომიერად უსადაგებს საჭირო რეფორმას. ყოველ შემთხვევაში, პოლიტიკური არასტაბილურობით გამოწვეული ხშირი საკადრო ცვლილებები გადაწყვეტილების მიმღებთა შორის, ტოვებს განცდას, რომ უნივერსიტეტები, როგორც ერთგვარი ხომალდები, მუდმივი რყევების

პირობებში, კაპიტნების გარეშე მისდევენ ცვლილებების მსფლიო ნაკადს, რაც მათ მოგზაურობას რისკით და ხიფათით სავსეს ხდის.

არსებობს მსოფლიოს ქვეყნებში კარგად აპრობირებული მეთოდები, რომელთა მეშვეობით უმაღლესი განათლების სფეროში რეფორმა ნაკლებად მტკივნეული ხდება ეროვნული სისტემებისათვის. ერთერთი მათგანია ნოდალობა (კომუნიკაციის საშუალებების, საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება). რეფორმის ამ იარაღის მწირი გამოყენება ერთერთი მიზეზი იყო და რჩება საქართველოში გადაწყვეტილების მიმღებთა და საზოგადოებას შორის მისკომუნიკაციისა, რომელიც თავს იჩენს სხვადასხვა დროის ხელისუფლების მიერ უმაღლესი განათლების რეფორმის განხორციელების პროცესში. ექსპერტების ნაკლებობა და ჟურნალისტიკის ლაფსუსები ხშირად ამ მისკომუნიკაციას უწყობს ხელს. მაგალითად, ზემოთ აღნიშნული სტატია ”ნეტგაზეთში”, იწყება შესავლით: *”განათლების მინისტრი ალექსანდრე ჯეჯელავა ეროვნული გამოცდების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის აწევის ინიციატივით გამოდის იმ არგუმენტით, რომ უფრო მცოდნე ხალხი წავიდეს უმაღლესი განათლების მისაღებად. მსოფლიო ბანკის მონაცემებით კი, საქართველოს უმაღლეს განათლებაში მონაწილეობის მაჩვენებელი 2013 წელს მხოლოდ 35%-ია.”* - მსგავსი კომენტარი ”მხოლოდ 35%-ის” ხაზგასმით მკითხველში ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ საქართველოში უმაღლეს განათლებაში მონაწილე ასაკობრივი ჯგუფი გაცილებით მცირერიცხპვანია, ვიდრე მსოფლიოს სხვა ქვეყნებში. თუ მოსახლეობის რაოდენობასთან პროცენტულ კორელაციას გავითვალისწინებთ, 35 %-იანი ჩართულობა უმაღლეს განათლებაში ძირითადად კარგად განვითარებულ დასავლურ სისტემებში გვხვდება.[3]

სახეზეა დასავლური ტენდენცია, უმაღლეს განათლებაში მონაწილეთა პროცენტული მაჩვენებელი მიუახლოვდეს 50 %-,ს რაც მასიფიცირებულ უმაღლეს განათლებას ნიშნავს, თუმცა თუ ავიღებთ ევროპულ სახელმწიფოებს, მათი უმრავლესობა 20-40%-იან მაჩვენებლებს შორის მერყეობს. ამდენად ქართული მაჩვენებელი ვერანაირი

[3] (სტატისტიკის გადამოწმება შესაძლებელია არაერთ ოფიციალურ ვებ.გვერდზე.მაგ. http://ec.europa.eu/europe2020/pdf/themes/28_tertiary_education.pdf)

კრიტერიუმით ვერ ჩაითვლება დაბალ მაჩვენებლად. რათქმაუნდა, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ სუსტუ ეკონომიკის პირობებში, როდესაც უნივერსიტეტები ხედავენ საკუთარ პოტენციალს, აითვისონ არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ მეზობელი ქვეყნების ბაზარი, სახელმწიფო დაინტერესებული უნდა იყოს ამ ინიციატივების ხელშეწყობაში; თუმცა, სწავლების ხარისხის მხოლოდ ბაზრისთვის მინდობა ამ ეტაპზე პროფესიონალიზმის კიდევ უფრო დიდ დეფიციტს გამოიწვევს ქართულ რეალობაში. მსოფლიო ტენდენციებიდან გამომდინარე, ადრე თუ გვიან, საბაზრო ურთიერთობები ალბათ კიდევ უფრო ღრმად შეიჭრება უმაღლესი განათლების სფეროში და კოორდიაციის მარკეტზე ორიენტირებულ მოდელს მიუახლოვდება: **სახელმწიფო** *სურ.9*



უმაღლესი საგ. დაწესებულებები **ბაზარი**

ასეთი მოდელის მიღება განვითარებული ბაზრის პირობებში მომგებიანია ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკისთვის და უმაღლესი განათლების სფეროს განვითარებისთვის, თუმცა ქართულ რეალობაში სახელმწიფოს მიერ სფეროს კოორდინაციაში წამყვანი როლის შენარჩუნების მცდელობამ, სწორი სტრატეგიის დასახვის შემთხვევაში შეიძლება ხელი შეუწყოს მეცნიერების მნიშვნელოვანი სკოლების შენარჩუნებასა და გაზლიერებას, ინტელექტუალური რესურსისა და პროფესიონალთა რიცხვის ზრდას, კვლევის წარმოების ტრადიციის შენარჩუნებასა და აღორძინებას. რესპონდენდთა მხრიდან საქართველოში წარმოებულ სამეცნიერო კვლევასთან დაკავშირებით მოწოდებული მოსაზრებები ცხადყოფს, რომ უმაღლესი განათლების ბოლოდროინდელი პოლიტიკა ნაკლებად იყო უნივერსიტეტებში სამეცნიერო კვლევების წარმოებაზე

ორიენტირებული. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო გაზრდის კვლევის დაფინანსებასა და ხარისხს უზრუნველყოფას სახელმწიფო უნივერსიტეტებში ისე, რომ ხელს არ შეუშლის კერძო უნივერსიტეტების რაციონალურ და თანადროულად ხარისხზე ორიენტირებულ ინიციატივებს, შესაძლებელი გახდება კონკურენტუნარიანი და თანამშრომლობითი გარემოს შექმნა უმაღლესი განათლების კერძო და სახელმწიფო სექტორს შორის.

ასევე, არ უნდა გვქონდეს მოლოდინი, რომ დღეს არსებული უნივერსიტეტების უმრავლესობა ერთნაირად გაუმკლავდება ძირითადი პროცესების წნეხს. რესპონდენტებთან ინტერვიუები ადასტურებს მოსაზრებას, რომ ქართული უმაღლესი განათლების სისტემა უთვალავი გამოწვევის წინაშე დგას და უნივერსიტეტებს მოუწევთ გადარჩენისათვის საკუთარი სეგმენტის, პროფილისა და მისიის უკეთ განსაზღვრა. ოპტიმისტურად თუ შევხედავთ მოვლენათა განვითარებას, მათი მხოლოდ მცირე ნაწილი მოახერხებს თუნდაც რეგიონული მნიშვნელობის შეძენას, ხოლო დანარჩენებს მოუწევთ იზრუნონ კონკრეტულ სპეციალიზაციაზე თუ პროფილზე, რათა თუნდაც ლოკალური მნიშვნელობა შეინარჩუნონ. როგორც აღვნიშნეთ, რესპონდენტებთან ინტერვიუებში ასევე გამოიკვეთა უნივერსიტეტების დღევანდელი მისიების ნომინალურობა. მათ ბოლომდე არ აქვთ გააზრებული ვალდებულებები იმ სეგმენტის წინაშე, რომელსაც ემსახურებიან. მათ მისიებში დეკლარირებული ჰუმანიზმი, ლიბერალური ფასეულობები და პროფესიონალიზმი ხშირად აკრედიტაციის ცენტრისთვის წარსადგენ დოკუმენტებში ჩაწერილი სიტყვებია, რომლებსაც მათ უმაღლესი განათლებსი შესახებ საქართველოს კანონმდებლობა კარნახობს და რეალურ საუნივერსიტეტო სწავლებასთან ნაკლები კავშირი აქვს. დროა უნივერსიტეტებმა მისცეს სტუდენტებს ის ცოდნა და უნარები, რომლებიც მათ სასწავლო გეგმებშია გაწერილი. პროგრამული აკრედიტაციის ხარვეზების აღმოფხვრა კი მათ ამ პროცსეში უნდა დაეხმაროს. არსებულ ეტაპზე, საუნივერსიტეტო ბაზრის განვითარებამდე, ხარისხის ზურუნველყოფის ცენტრის სამინისტროსადმი დაქვემდებარება ლოგიკურია, თუმცა თუ ის ვერ მოახერხებს ხარისხის რეალურ შემოწმებას უკიდურესად დივერსიფიცირებული

პროგრამებითა და სასწავლო გეგმებით აღჭურვილი უნივერსიტეტებში, ეს სამსახური მხოლოდ ბიუროკრატიულ ორგანოდ დარჩება.

თუ დღეს ქართული უნივერსიტეტებისათვის ინტერნაციონალიზაცია ძირითადად მარკეტიზაციის პროცესს უკავშირდება, სამომავლოდ შესაძლებელია ეს პროცესი კულტურულ-ეროვნული განზომილების ჭრილშიც ამუშავდეს და ქართული კულტურის პოპულარიზაციას შეუწყოს ხელი შესაძლო მასშტაბებით. ქართული უნივერსიტეტებისათვის მნიშვნელოვან პრობლემად რჩება ინტელექტუალური რესურსის კარგვა, რაც ინტერნაციონალიზაციის, როგორც ორმხრივი პროცესის შედეგია. გაცვლითი პროგრამები სტუდენტებისა და მასწავლებლებისათვის და საკრედიტო სისტემაზე გადასვლა, რაც ადგილობრივი დიპლომის საერთაშორისოდ აღიარებას ამარტივებს, ისევე ზრდის საქართველოდან ინტელექტუალური რესურსის კარგივს შესაძლებლობას, როგორც ნებისმიერი სხვა ქვეყნიდან. თუმცა, ასეთი გაცვლითი პროგრამების შედარებითი სიმცირე და ის დადებითი მხარეები, რომელიც მეცნიერთა და სტუდენტთა მობილობას მოაქვს, ქართული უმაღლესი განათლებისთვის შეუფასებელია. უნდა ვივარაუდოთ, რომ ინტელექტუალური რესურსის კარგვის უმძიმესი ეტაპი უშუალოდ საბჭოთა სისტემის ნგრევის პერიოდს მოსდევდა და დღეისთვის ის ნაკლები მასშტაბებისაა.

დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუებმა ასევე დაადასტურა ტენდენცია, რომ როგორც წესი, საქართველოში ხელისუფლების ცვლილება ყოველთვის დაკავშირებულია მთელ რიგ ფუნდამენტურ ცვლილებებთან ქვეყნის განვითარების ნებისმიერ სფეროში, რაც ხშირად რეფორმების არათანმიმდევრულობას, წყვეტას და ზოგჯერ სრულიად საპირისპირო მიმართულებით წარმართვაშიც გამოიხატება. ეს, თავის მხრივ, ახანგრძლივებს რეალური პროგრესისათვის საჭირო ცვლილებების დანერგვის პროცესს და სასურველი შედეგი ან გვიანდება, ან საერთოდ ვერ დგება. უმაღლესი განათლება, როგორც სხვა ბევრი სფერო, ძირითადად პოლიტიკური მანიპულაციების სფეროა. სახელისუფლებო ცვლილებები და ზოგჯერ მმართველი გუნდის ფარგლებშიც კი ცალკეულ მინისტრთა ცვლილება წინამორბედთა მიერ

წამოწყებული საქმის კრიტიკით იწყება და რადიკალურად განსხვავებული მიმართულებებს იძენს. საჭიროა სახელმწიფო მოხელეებმა გაიაზრონ, რომ უმაღლესი განათლება ბევრად უფრო მნიშვნელოვანი სეგმენტია, ვიდრე რევანშისტული პოლიტიკა ითვალისწინებს. ასევე, უნივერსიტეტების უკიდურესად რეალური ავტონომიურობა, რაც სახელმწიფო უნივერსიტეტების შემთხვევაში ორმაგად აშკარაა, ზიანს აყენებს უმაღლესი განათლების კანონით დეკლარირებულ მისიას შეინარჩუნოს უნივერსიტეტებში სწავლებისა და სწავლის აკადემიური თავისუფლება. სტუდენტების პოლიტიკურ პოლიგონად გამოყენება და სახელმწიფო უნივერსიტეტების რექტორებისა და აკადემიური საბჭოს მართვის მცდელობები მკაფიოდ გვაჩვენებს, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტი კერძო უნივერსიტეტებთან შედარებით ბუნებრივად დგას და იდგა დამატებითი წნეხის ქვეშ - ემსახუროს სახელმწიფო იდეოლოგიას, რაც თავისთავად უკვე სპობს ყოველგვარ აკადემიურ თავისუფლებას. თუ ამ ზეწოლის ეფექტებს გავითვალისწინებთ, მკაფიო გახდება, თუ რატომ ახერხებს კერძო სექტორი, ფინანსების არსებობის შემთხვევაში უკეთ და უფრო მოკლე დროში განვითარებას, ვიდრე სახელმწიფო სექტორი.

ყველაფერთან ერთად, ერთერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას ქმნის ერთი მხრივ, კომერციული ინტერესებიდან გამომდინარე, უმაღლესი განათლების ერთგვარი "პროლიფერაცია", სასწავლებლების აროდენობრივი ზრდა და ასეცე სწავლების ხანგრძლივობის გაზრდა, რაც ხშირად არ ექვემდებარება საგნის თუ სპეციალობის სპეციფიკის მოთხოვნებს, და მეორე მხრივ, სწავლების მესამე საფეხურის ფაქტობრივად, მოშლა. რესპონდენტი #6 და რესპონდენტი #8 ხაზს უსვამენ საქართველოს უნივერსიტეტებში დღეს არსებული სამეცნიერო კვლევის ბუტაფორიულობას. კვლევა კომპლექსური კომპონენტია და მოითხოვს დიდძალ ადამიანურ და მატერიალურ რესურსს. მაშინ როცა უნივერსიტეტების რაოდენობის ზრდა უმაღლეს განათლებაზე მზარდი მოთხოვნების პირობებში გარდაუვალია, საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემა, თავისი ეროვნულ-კულტურული განზომილებითა და ხანგრძლივი ისტორიით, სავარაუდოდ, კიდევ მეტ მასიფიცირებას განიცდის მომდევნო ეტაპზე. უნივერსიტეტებისთვის ელიტური ბუნების შენახვა, კლასიკური გაგებით, უმაღლესი

განათლების რეალურად შეცვლილი ფუნქციებისა და მიზნების ეპოქაში მხოლოდ ერთგვარი მცდელობაა - შევინარჩუნოთ თუნდაც რამდენიმე უნივერსიტეტი, რომლებშიც მოხერხდება სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის უზრუნველყოფა. ისტორიულად უნივერსიტეტები მმართველ წრეებს ავსებდა განათლებული ადამიანებით, თუმცა დღეს მოთხოვნა განათლებაზე ცხოვრების ყველა სფეროში გაიზარდა, რამაც უნივერსიტეტებს საშუალება მისცა უპასუხონ სხვადასხვა სეგმენტის განსხვავებულ მოთხოვნებსა და მოლოდინებს. სახელმწიფოს მხრიდან ამ პროცესის შეჩერება ალბათ კიდევ მეტად დააზიანებს სფეროს, რომელიც ბაზრის მსხვილ სეგმენტად იქცა, თუმცა პასუხისმგებლობის აღება თუნდაც სახელმწიფო უნივერსიტეტების ფუნქციონირების გამართვაზე მეტი ფინანსების, უკეთესი მენეჯმენტის, გამართული საკანონმდებლო ბაზისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის უკეთესი ტექნოლოგიებით, ამ ეტაპზე ალბათ ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება იქნება.

სფეროს ფუნქციონირების ბაზრისთვის მინდობა და სრული მარკეტიზაცია, რა თქმა უნდა, მწირი ბიუჯეტის პირობებში უფრო მარტივი გამოსავალია, თუმცა უმაღლესი განათლების გადაქცევას ბიზნეს-სფეროდ აქვს თავისი საფრთხეები, რაზეც გლობალურად მსჯელობენ სფეროს თანამედროვე მკვლევარები. ყველაზე უფრო რადიკალები, როგორიცაა ამერიკელი მეცნიერი ნოამ ჩომსკი, მიიჩნევენ, რომ უნივერსიტეტების ბოლომდე განხილვა ბიზნეს-სფეროდ, გრძელვადიან პერსპექტივაში, განათლების ხარისხს დიდ ზიანს მიაყენებს. თუ უნივერსიტეტები ბოლომდე იქცევა მოგებაზე ორიენტირებულ "საწარმოებად", და თუ დაფინანსების წყარო გავლენას იქონიებს სწავლებაზე, კვლევაზე და სხვა აქტივობებზე, რომელიც აკადემიურ თავისუფლებაში მოიაზრებოდა, სფერო დაკარგავს მთავარ ფასეულობებს და მხოლოდ დამკვეთთა ინტერესების შესრულებაზე გახდება ორიენტირებული (2011).

ისტორიამ აჩვენა, რომ სახელმწიფო დაკვეთებზე ორიენტირებული უნივერსიტეტები ვერ ასრულებენ მთავარ ფუნქციას - დააკმაყოფილონ ადამიანის ბუნებრივი ცნიბისმოყვარეობა, სამყაროს კვლევისა და შეცნობის ინსტინქტი. ხშირად ძლიერი

აკადემიური რესურსი ვიწრო პოლიტიკურ-იდეოლოგიეურ ინტერესებს ეწირება. მნიშვნელობა არ აქვს, ვინ იქნება უნივერსიტეტებისთვის დაფინანსების მთავარი წყარო - სახელმწიფო თუ კერძო სექტორი, მთავარია შენარჩუნდეს აკადემიური თავისუფლება, როგორც უნივერსიტეტის ფუნქციონირების ძირითადი პრინციპი; თავისუფალი გონებისათვის ხელშემწყობი გარემო, რომელიც უზრუნველყოფს სწავლასა და ძიებას.

თანამედროვე ეტაპზე მკაფიოდ წარმოჩენილ პრობლემებთან ერთად უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ უმაღლესი განათლების სფერო მუდმივი ცვლილებების სფეროა როგორც ლოკალურ, ისე გლობალურ ჭრილში; მასში მიმდინარე ძირითადი პროცესები სხავდასხვა ეტაპზე სხვადასხვაგვარად დომინირებს, იძენს ახალ მნიშვნელობასა და მიმართულებას. საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების ფონზე, როცა მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში ონლაინ განათლება უმაღლესი განათლების სფეროს მნიშვნელოვანი ნაწილი ხდება, საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემა ჯერ კიდევ არ განიცდის ამ პროცესის ეფექტს. ქართული კანონმდებლბა უმაღლესი განათლების შესახებ და ქართული უნივერსიტეტების პრაქტიკა ამ ეტაპზე თითქმის გამორიცხავს ონლაინ განათლებას. უნდა ვივარაუდოთ, რომ ონლაინც განათლების აღიარება მხოლოდ დროის საკითხია და თუ ქართული უნივერსიტეტები დროულად არ დაიწყებენ ახალი რეალობისთვის მზადყოფნაზე ზრუნვას, წამყვანი დასავლური უნივერსიტეტების მიერ გაცემული ონლაინ სერტიფიკატები სერიოზულ დარტყმას მიაყენებს ისედაც მწირე ქართული უმაღლესი განათლების ბაზარს. როცა ონლაინ განათლებაზე ვლაპარაკობთ, შეიძლება ჯერ კიდევ არც წარმოგვიდგენია ის მასშტაბები, რომლითაც საინფორმაციო ტექნოლოგიები ადრე თუ გვიან შეცვლის მთლიანად უმაღლესი განათლების სფეროს. გააგრძელებენ თუ არა უნივერსიტეტები და მათ შორის, ქართული უნივერსიტეტები იმ სახით ფუნქციონირებას, რომლითაც კაცობრიობა მათ იცნობს საუკუნეების მანძილზე, თუ ფუნდამენტურად შეერწყმიან ვირტუალურ შესაძლებლობებს, ისევ მათი ინსტიტუციური მდგრადობისა და მოქნილობის საკითხია.

დასკვნები და რეკომენდაციები

კვლევის მთავარ კითხვებზე პასუხის გასაცემად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დღევანდელ ეტაპზე ქართული უნივერსიტეტების ფუნქციონირების ძირითადი განზომილებების ურთიერთქმედება მკაფიოდ იერარქიულია. მათი ტრანსფორმაციის პროცესში წამყვანია გლობალური განზომილება. უმაღლესი განათლების სფეროში გლობალურად მიმდინარე ყველა ძირითადი პროცესი აისახება ქართული უნივერსიტეტების ამჟამინდელ ფუნქციონირებაში, თუმცა, ადგილობრივი შეზღუდვებით. ამ შეზღუდვებს განაპირობებს ურთიერთქმედება კულტურუ/ეროვნულ და ეკონომიკურ/პოლიტიკურ განზომილებებს შორის, რაც ხშირად კონფლიქტურ ველს ქმნის. რაც შეეხება ქართული უნივერსიტეტების რეგიონულ განზომილებას, ის მას ისტორიულად ახასიათებდა და მუდმივად იყო ცვალებადი. უმაღლესი განათლების საბჭოთა და მოგვიანებით ევროპულ რეგიონულ არეალში თანამონაწილეობა ამის მაგალითებია. დღეს, ფორმალურად, ბოლონიის პროცესის წევრი ქვეყნისთვის რეგიონულ განზომილებად ევროპული სივრცე ითვლება, თუმცა ქართული უნივერსიტეტების ფუნქციონირების ეკონომიკური განზომილებიდან გამომდინარე, აზიური ბაზრის ათვისებაზეა ორიენტირებული.

ამრიგად, ქართული უნივერსიტეტები დღევანდელ ეტაპზე დგანან შემდეგი **საფრთხეების წინაშე**:

- პოლიტიკური კლიმატისა და რეფორმების არასტაბილურობის გამო დაექვემდებარონ სტიქიურ ცვლილებებს, რაც გულისხმობს სფეროს უკიდურეს მარკეტიზაციას, ან, პირიქით, სახელმწიფოს მხრიდან სფეროს კოორდინაციაში საკანონმდებლო ბერკეტის მძლავრად გამოყენებას (მაშინ როცა წარმატებული რეფორმის გატარებისათვის საჭირო სხვა კომპონენტები/ბერკეტები მინიმალურად გამოიყენება) და დამატებითი რეგულაციების ამუშავებას, რაც შეზღუდავს უნივერსიტეტების დამოუკიდებელ ეკონომიკურ პოტენციალს.

- დაექვემდებარონ მეორეხარისხოვანი მოთამაშეების როლს გლობალური უმაღლესი განათლების ქსელში; მიაწოდონ უმაღლესი განათლება ადგილობრივ, აზიურ და აფრიკულ ბაზარს ხარისხის მინიმალური უნზრუნველყოფით, თვითონ კი მზარდად განიცადონ ადგილობრივი პოტენციალის, გონებრივი რესურსის კარგვა დასავლური უნივერსიტეტების სასარგებლოდ. გარკვეულ პერიოდში ამან შეიძლება შეცვალოს ქართული უნივერსიტეტების რეგიონული (ევროპული) განზომილება აზიური ბაზრის სასარგებლოდ.

- უმაღლესი განათლების სფეროში გლობალურად მიმდინარე პროცესების გავლენა განიცადონ გრძელვადიან პერსპექტივაში წამგებიან, შეზღუდულ რეჟიმში. იგივე ინტერნაციონალიზაცია მომავალშიც აღიქვან მხოლოდ ეკონომიკური განზომილების ჭრილში და არა კულტურული გაცვლის შესაძლებლობად.

- დარჩნენ პოლიტიკური მანიპულაციების ინსტრუმენტად; განსაკუთრებით, სახელმწიფო უნივერსიტეტები, რაც მომავალშიც შეზღუდავს მათ პოტენციალს, იხელმძღვანელონ აკადემიური თავისუფლების პრინციპით და ორიენტირებულები იყვნენ მხოლოდ ხარისხიან სწავლებასა და კვლევაზე.

- დაკარგონ კვლევითი საფეხური კვლევისთვის სათანადო დაფინანსების წყაროების მოძებნის გარეშე, ხოლო სხვა საფეხურებზე სწავლის ხანგრძლივობის გაზრდა, რაც უნივერსიტეტების კომერციულ ინტერესებს ემსახურება, გრძელვადიან პერსპექტივაში, უფრო არაადეკვატური გახდეს ბაზრის მოთხოვნებთან.

- ფეხი ვერ აუწყონ დროულად უმაღლესი განათლების სფეროს ვირტუალიზაციას, რაც გამოიწვევს დასავლური უნივერსიტეტების მხრიდან კონკურენციის კიდევ გამწვავებას და ქართული უნივერსიტეტებისათვის ადგილობრივი ბაზრის კიდევ მეტად შეზღუდვას.

ამასთანავე, ქართული უნივერსიტეტების ეროვნული და კულტურული განზომილების თავისებურებებიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ ეს განზომილება

დღევანდელ ეტაპზე ხშირად პოლიტიკურ-ეკონომიკური განზომილებით ჩანს გადაფარული, ქართულ უნივერსიტეტებს აქვთ მთელი რიგი **უპირატესობები**:

- მათ მიმართ ჯერ კიდევ არის სანდოობა ადგილობრივ ბაზარზე, რაც ხშირად ირაციონალურია, ბაზარზე ქართული დიპლომით დასაქმების მწირი შესაძლებლობებიდან გამომდინარე; თუმცა, თუ ქართული უნივერსიტეტები ისწავლიან ბაზრის კვლევას და სანდოობის კიდევ ამაღლებას, მათ მაღალი შანსი აქვთ მომავალშიც დარჩნენ გამძლე ინსტიტუციებად.

- საქართველოს ისტორიული ასოცირება ევროპასთან და ამჟამინდელი კურსი ქართულ უნივერსიტეტებს აზიური ბაზრისთვის მომხიბვლელს ხდის, რაც სამომავლოდ შეიძლება უმნიშვნელოვანესი აღმოჩნდეს ქართული უნივერსიტეტების ფუნქციონირების ეკონომიკური განზომილებისათვის.

- ქართულ უნივერსიტებში (განსაკუთრებით ტექნიკურ და საბუნებისმეტყველო დარგებში, რომლებშიც არსებობდა ერთგვარი სამეცნიერო სკოლები) ჯერ კიდევ არის ადამიანური რესურსი იმისათვის, რომ განხორციელდეს ხარისხიანი კვლევა. ეს ადამიანური რესურსი თავისი რაოდენობით არ შეესაბამება ქართული უნივერსიტეტების ამჟამინდელ რაოდენობას, თუმცა ქვეყნის მასშტაბებიდან გამომდინარე, გრძელვადიან პერსპექტივაში, ადეკვატური დაფინანსებისა და სწორი პოლიტიკის გატარების შემთხვევაში. თუნდაც რამდენიმე კვლევითი უნივერსიტეტის შენარჩუნების შესაძლებლობას გვაძლევს.

დასკვნების საფუძველზე შესაძლებელია გადაწყვეტილების მიმღებებს მივაწოდოთ შემდეგი რეკომენდაციები:

- რეფორმები უნდა გახდეს თანმიმდევრული, პოლიტიკურად არასტაბილურ გარემოში კურსის მკვეთრი ცვლილებების გარეშე, რაც გულისხმობს პოლიტიკური განზომილების მეორადობას სისტემის კოორდინაციის პროცესში. გადაწყვეტილების მიმღებები უნდა ფლობდნენ წარმატებული რეფორმის გატარებისათვის საჭირო

ტექნოლოგიებს და არ უნდა ეყრდნობოდნენ მხოლოდ საკანონმდებლო ბაზის მზრად გამოყენებას.

- რეფორმები ორიენტირებული იყოს ჰიბრიდული უმაღლესი განათლების სისტემის შექმნაზე, რომელში ჩართული უნივერსიტეტებიც მოახერხებენ ფეხი აუწყონ გლობალურ პროცესებს, ექნებათ ავტონომიურობა დაფინანსების წყაროების მოძებნისა და თვითგანვითარებისათვის, ხოლო სახელმწიფო იზრუნებს ქართულ უმაღლესი განათლების სისტემას შესაძლებელი მასშტაბებით შეუნარჩუნოს კვლევითი ფუნქცია და ხელი შეუწყოს სწავლებისა და კვლევის ხარისხის უზრუნველყოფას.

- უნივერსიტეტების ადმინისტრაციების წარმომადგენლები არ უნდა დაელოდონ ინიციატივებს სახელმწიფოს მხრიდან, გააქტიურებენ შრომითი ბაზრის კვლევას, უნივერსიტეტების გლობალურ ქსელში გაერთიანებას, სტუდენტებისა და პროფესორ-მაწავლებლების გაცვლით პროგრამებში ჩართვას, დაფინანსების წყაროების ძიებას და ა.შ.

- უნდა გაიზარდოს უკუკავშირი უნივერსიტეტების ფუნქციონირებაში დაინტერესებულ მხარეებს შორის - სახელმწიფომ უნდა გამოიყენოს რეფორმებისთვის სხვა ბერკეტებიც გარდა კანონმდებლობისა და მიიღოს რჩევები უნივერსიტეტების მართვაში ჩართული კადრების მხრიდან, რომლებიც უკეთ იცნობეს სფეროს პრაქტიკულ გამოწვევებს და ხედავენ რეალურ შესაძლებლობებს, რომლებსაც ხშირად კანონმდებლობა აფერხებს.

- ბაზრის ათვისება არ უნდა მოხდეს ხარისხის უგულვებელყოფის ხარჯზე. მაშინ როცა დასავლეთში ინტერნაციონალიზაცია უცხოელი სტუდენტების მიღებას აკადემიურად საგულდაგულო შერჩევის პროცედურებს ითვალისწინებს, ქართულმა უნივერსიტეტებმა უნდა გაითვალისწინოს ის რისკები, რაც სტუდენტების გაუკონტრელებელ მიგრაციას მოყვება მთლიანად უმაღლესი განათლების სფეროსთვის.

- ქართულ უნივერსიტეტებში უნდა დაიწყონ ზრუნვა ვირტუალურ სასწავლო პროგრამების შექმნისათვის, რათა მომავალში კიდევ უფრო მტკივნეულად არ განიცადოს უმაღლესი განათლების მსოფლიო ბაზრის კონკურენციის წნეხი.

- კიდევ მეტი აქცენტია გასაკეთებელი უცხო ენის სწავლების დონის ამაღლებაზე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, რაც არა მხოლოდ აბიტურიენტებს მოამზადებს უნივერსიტეტებისათვის, არამედ, მომავალ აკადემიურ პერსონალს გახდის კონკურენტუნარიანს საერთაშორისო ბაზარზე.

- უნივერსიტეტებმა უნდა აითვისონ ტექნოლოგიები, რომლებითაც მიიღწევა ხარისხის მაქსიმალური შიდა უზრუნველყოფა და იმ ძირითადი კრიტერიუმების დაკმაყოფილება, რომლითაც საერთაშორისო მასშტაბით წარმატებული უნივერსიტეტის სტატუსი განისაზღვრება.

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები არ უნდა იყოს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე დამოკიდებული, უნდა ქონდეს მკაფიოდ ჩამოყალიბებული, გაზომვადი კრიტერიუმები, რომლებიც უნივერსიტეტებს მისცემს მიმართულებას ხარისხიანი და წარმატებული საქმიანობისათვის და არ იქნება ბიუროკრატიული პროცედურებზე ორიენტირებული.

- უნივერსიტეტების მისიები, რომლებიც ითვალისწინებს ბაზრისთვის პროფესიონალის მომზადებას და ასევე, ძირითადად, ითვალისწინებს ზოგადსაკაცობრიო, ჰუმანისტურ იდეალებზე ორიენტირებას, არ უნდა იყოს ნომინალური. პრაქტიკულ უნარ-ჩვევებზე ორიენტირებულ სწავლებასთან ერთად, ლიბერალური განათლება ერთერთი საუკეთესო ტრადიციაა, რომელიც ადამიანს პროგრესისკენ უბიძგებს, როგორ პოლიტიკურ-ეკონომიკურ თუ კულტურულ კონტექსტშიც არ უნდა ცხოვრობდეს ის.

გამოყენებული ლიტერატურა, საკანონმდებლო აქტები და ინტერნეტ რესურსები

1. ბოლონიის პროცესის ძირითადი დოკუმენტები; განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი http://eqe.gov.ge/geo/static/313/Internationalization/Bologna-Process/Key-Documents-of-Bologna-Process

2. ზაალიშვილი, თამარ (2013): უნივერსიტეტების ავტონომია და აკადემიური თავისუფლება; განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი https://www.osgf.ge/files/2014/publications/University_Authonomy_and_Academic_Freedom_-_Tamar_Zaalishvili.pdf

3. მსოფლიო ბანკი (2005): კორუფციასთან ბრძოლა საჯარო სამსახურებში; საქართველოში გატარებული რეფორმების ქრონიკა

http://siteresources.worldbank.org/INTGEORGIA/Resources/Georgia_Book_Georgian.pdf

4. გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრი (NAEC) (2006): ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები

5. გამსახურდია ს., (1975) სწავლა-განათლება ძველ საქართველოში, თბილისი, „განათლება“

6. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC) (2011): დასაქმებისა და უმუშევრობის ტენდენციები საქართველოში

7. მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია (2015): საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია; განათლების სექტორის ინტენაციონალიზაცია

http://migration.commission.ge/files/saqartvelos_2016-2020_ww._migraciis_strategia.pdf

8. მელიქიშვილი გ. (რედ.),(1973) , საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ. 2, თბილისი, გამ. „საბჭოთა საქართველო“

9. ნუცუბიძე, შალვა (1958) ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ.2, თბილისი

10. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე; https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830%23

11. საქართველოს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო; განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი http://eqe.gov.ge/geo/static/125/education-system/national-qualifications-framework

12. უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში (2013); განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი

13. ქართული უნივერსიტეტები (2016); ტემპუსის ეროვნული ოფისი; http://tempus.ge/old/index.php?option=com_content&view=article&id=79&Itemid=74&lang=ka

14. ხარისხიანი უმაღლესი განათლებისთვის; წლიური ანგარიში (2006) განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი http://eqe.gov.ge/res/docs/angarishi2006.pdf

15. ჩახაია, ლელა (2013) უმაღლესი განათლების და კვლევის დაფინანსება და ფინანსური მართვა; განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი

https://www.tsu.ge/data/file_db/xarisxis_martvis_dep/ganatlebis-politika-2.pdf

16. ჯორბენაძე ს.(1988) თბილისის უნივერსიტეტის მოკლე ისტორია, თბილისი, გამ. „თბილისის უნივერსიტეტი“

17. Altbach, Philip, G. (2007): Tradition and Transition: The International Imperative in Higher Education. Center for International Higher Education, Lynch School of Education, Boston College, Chestnut Hill, Massachusetts.

18. Analytic Quality Glossary, Council of Europe (2005):

http://www.qualityresearchinternational.com/glossary/bolognaprocess.htm

19. Barrow, Clyde W. (2003): Globalisation, Trade Liberalisation, and the Knowledge Economy, in: Mallea, J; Barrow, C. W. & Didou-Aupetiris (eds.): Liberalisation, and Higher Education in North America, pp. 1-21. Dordrecht: Kluwer Academic Publishers

20. Beerkens, Eric (2004): Globalisation and Higher Education, in Global Opportunities and Institutional Embeddeness. Higher Education Consortia in Europe and Southeast Asia,pp. 7-28. CHEPS

21. Bologna Process, Europe Unit: http://www.europeunit.ac.uk/bologna_process/index.cfm

22. Brown, Roger (2014): The Marketisation of Higheer Education: Issues and Ironies; Liverpool Hope Univercity
htp://www.uwl.ac.uk/sites/default/files/Departments/Research/new_vistas/vol1_iss1/vol1_iss1_art1_23April2015.pdf

23. Bryman, Alan (2004): Social Research Methods. Oxford: Oxford University Press

24. Burnett, Nicholas; Cnobloch, Rodica; WB Consultants (2003): Public Spending on Education in the CIS-7 Countries: The Hidden Crises. http://lnweb18.worldbank.org/ECA/CIS7.nsf/16b0f996d67b117585256bfb006e03f6/85256c370063ebbe85256c14005956df/$FILE/Burnett%20-%20Education%20-E-%2022DEC-I.pdf

25. Castells, Manuel (2000): The Informational Economy and the Process of Globalization. The Information Age. Economy, Society and Culture. The Rise of the Network Society 1, pp. 66-147. Oxford: Blackwell Publishers

26. Cerych, Ladislav (2002): Sorbonne, Bologna, Prague: Where Do We GO from Here?, in Enders, Jurgen & Fulton, Oliver (eds.): Higher Education in a Globalising World. International Trends and Mutual Observations,pp. 121-126. Dordrecht: Kluwer Academic Publishers

27. Chomsky, Noam (2011): Academic Freedom and Corporate Univesrities. Univesrity of Toronto https://chomsky.info/20110406/

28. Clark, Burton R. (1983): The Higher Education System. Academic Organization in Cross-National Perspective. Berkeley: University of California Press

29. Cloete, Nicol & Maassen, Peter (2002): Global Reform Trends in Higher Education, in Cloete, Nicol (Ed): Transformation in Higher Education: Global Pressures and Local Realities in South Africa, pp. 13-57. Juta & Co

30. Cornell, Svante E. (2007): Georgia After the Rose Revolution: Geopolitical Predicament and Implications for U.S. Policy http://www.silkroadstudies.org/new/docs/publications/2007/0703USAWC.pdf

31. Douglass, John A. (2005): All Globalization is Local: Countervailing Forces and the Influence on Higher Education Markets. Center for Studies in Higher Education: University of California, Berkeley

32. Gornitzka, Åse (1999): Governmental Policies and Organisational Change in Higher Education. Higher Education38, pp. 5-29. Kluwer Academic Publishers

33. Held, David & McGrew, Anthony (2000): The Great Globalization Debate: An Introduction, in Held, D & McGrew, A (eds.): The Global Transformation Reader: An Introduction to the Globalization Debate, pp. 1-45. Cambridge: Polity Press

34. Higher Education in Georgia (2012); European Commission, Tempus http://eacea.ec.europa.eu/tempus/participating_countries/overview/georgia_tempus_country_fiche_final.pdf

35. Johnstone, Bruce D. (2003): Cost Sharing in Higher Education: Tuition, Financial Assistance, and Accessibility in Comparative Perspectives. Czech Sociological Review 39 (3), pp. 351–374. http://esreview.soc.cas.cz/upl/archiv/files/238_34john32.pdf

36. Katzenstein, Peter J. (2005): A World of Regions: Asia and Europe in the American Imperium. Ithaca and London: Cornell University Press

37. Main Directions and Action Plan for Implementing the Bologna Process in Georgia until 2010 (2005): http://media.ehea.info/file/Universities_Tbilisi_June_2006/96/7/Implementing_the_Bologna_Process_in_Georgia_Draft_Tbilisi2010_587967.pdf

38. Olsen, Johan P. (2002): The Many faces of Europeanization, in Journal of Common Market Studies 40 (5)pp. 921-952. Blackwell Publishers

39. Organization for Economic Co-Operation and Development (1999): Quality and Internationalisation of Higher Education

http://www.keepeek.com/Digital-Asset-Management/oecd/education/quality-and-internationalisation-in-higher-education_9789264173361-en#.WH4Fqbm4S2A#page1

40. Orkodashvili, Mariam (2013): The Role of State in the Higher Education Reforms in the Caucasus: Corruption, Coercion, and strife for EHEA Standards. Journal of The European Higher Education Area:03-2013

41. Pachuashvili, Marie (2007) Changing Pattern of Private-Public Growth and Decline: The Case of Georgian Higher Education http://www.prophe.org/en/working-papers/changing-patterns-of-privatepublic-growth-and-decline-the-case-of-georgian-higher-education/

42. Pechar, Hans (2012): The Decline of an Academic Oligarchy. The Bologna Process and 'Humboldts'" Last Worries pp.613-619

43. Rostiashvili, Ketevan: Corruption in Higher Education System of Georgia. Starr Foundation and IREX, Tbilisi, 2004

44. Scharpf, Fritz W. (2003): Notes Towards a Theory of Multilevel Governing in Europe, in: Scandinavian Political Studies,24 (1), pp. 1-26.

45. Sharvashidze, George (2005): Private Higher Edication in Georgia. International Institute for Educational Planning

46. Strategic Development of Higher Education and Science in Georgia. The International Institute for Education Policy, Planning and Management; Tbilisi, 2013

47. Veld, Roel in't; Fussel, Hans-Peter & Neave, Guy (1996): Legislative Reform Programme for Higher Education and Research, Council of Europe. The Hague/London/Boston: Kluwer Law International

48. Yin, Robert (1994): Case study research: Design and methods. Thousand Oaks, CA: Sage Publications

49. Zgaga, Pavel (2006): "External Dimension" of the Bologna Process: Report A: Looking Out! Bologna is a Global Setting. The Nordic Seminar Oslo 28-29 September http://www.bolognaoslo.com/expose/global/download.asp?id=28&fk=11&thumb

50. World Bank (2002): The Changing Global Environment, Constructing Knowledge Societies. New Challenges for Tertiary Education, pp. 7-22. World Bank

51. Wildavsky, Ben (2010): The Great Brain Race: How Global Universities Are Reshaping the World; Princeton Univercity Press